N28 (527) 15/VII-21/VII-2010 ფასი 1 ლარი

გზა

ქართული პროზის საგანძური

ტომი №20
თამაზ ბიბილური

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
რეზო ინანიშვილი

ვინ წაუკიდა მარი ასათიანს თმაზე ცეცხლი

ქართველი რეპერის ეროტიკული კლიპი

რატომ თქვა ირინა ონაშვილმა მოდელობაზე უარი

მის თიკა: „მეწყვილე ქმარმა შემირჩია“

რატომ მომრავლდა თვითმკვლელთა რიცხვი

„მაზავშიკობა“ — აკრძალული და სახიფათო თამაში

ხვიჩა მაღლაკელიძის საზაფხულო თავგადასავლები

14 წლის მოზარდი მრავალსულიან ოჯახს არჩენს

ნიკო გომელაურისა და ნინა ჩოდრიშვილის სიყვარულის ლეგენდა

რატომ ეშინოდა მსახიობს ჟურნალისტების

ISSN 1987 - 5029

როგორ წარმოიშვა აფხაზური სეპარატიზმი

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

წიგნი IX

რენუარი

12 -დან – 19 ივლისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

ყურადღება: I, II, III, IV, V, VI VII და VIII ტომი, წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

Elite House
DEVELOPMENT COMPANY

კომერციული და საცხოვრებელი ფართები
ვაკეში -
ფალიაშვილის 92 (მესახლეობული)
დიდუბეში -
თევდორე მღვდლის 53 (მთავრდება 2010წ)
სოხუმის 4 (მთავრდება 2011წ.)
ვარკეთილში -
ალოუბნის 22 (მთავრდება 2010წ.)
500$-დან
გრძელვადიანი უპროცენტო განვადება www.elitehouse.ge; e-mail: eh98@mail.ru
მის: თბილისი, ფალიაშვილის ქ. 92 ტელ: 91-53-77; 29-28-02; 899 34-23-05

თჯვერი ოჯახის ჟურნალი

საბავშვო ჟურნალი

www.mkurnali.ge

ტერბინაფინი

ლამიზილ უნო



1 წასმა

ზღვაზე ან აუზზე
გადაწყვიტეთ წასვლა?

გსურთ დაიცვათ
ტერფი სოკოვანი
ინფექციისგან?

ლამიზილ უნო
მხოლოდ 1 წასმა და
ტერფი დაცულია
სოკოვანი ინფექციისგან
3 თვის განმავლობაში

გამოიყენება მოზრდილებში და მოზარდებში 15 წლის ასაკიდან:

- ლამიზილ უნოს თხელი ფენა თანაბრად დაიტანება ორივე ტერფის თითებს შორის არეზე და მის ირგვლივ, ტერფის გულზე და კიდეებზე 1.5 სმ-ის რადიუსში
- ლამიზილ უნოს გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში არ შეიძლება ტერფის დაბანა

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია

გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30; 98 27 50

აპილაკი
Apilacum

ბუნების საჩუქარი!

- აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას
- აუმჯობესებს ორგანიზმის მდგრადობას სტრესის მიმართ
- აჩქარებს გამოჯანმრთელების პროცესს

ვიტამინების, ამინომჟავების, მონერალებისა და მიკროელემენტების კომპლექსი

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ს.ს. "გრინდექსი", რიგა, ლატვია
წარმომადგენლობა საქართველოში
შიო მღვიმელის ქ. 15, ტელ/ფაქსი: 44 19 99
ელ.ფოსტა:info@grindeks.ge, www.grindeks.lv

Grindex

რადიომკურნალი

იპოვე შენი მკურნალი „ჯალიცკის" ეთერში!

ყოველ ოთხშაბათს, 15:30 საათზე სალომე ლილუაშვილთან ერთად



საუკეთესო საჩუქარი დიასახლისებს!

320 თანამედროვე კერძი!

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!

ფასი: 29.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე
ტელ: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

№28 (527)
15 - 21 ივლისი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
არჩენს ბუასილს დაჟინებული მზერით!!!
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ საზრდო 7
■ პროექტი 8
■ შემოქმედი 10
ქართველი გიტარისტის ფანტასტიკური კონცერტი ნიუ-იორკში და ნიუ-იორკის შემდეგ
■ კვალი 12
ნიკო გომელაურის „უბრალოდ ნათქვამი“ და სიყვარულის ლეგენდა
■ ერთი მინის შვილები 14
■ არჩევანი 16
■ დედამიწვილები 18
■ დეკლარანტები 20
პირველი ვიცე-სპიკერის ქონება და ჯანსაღი ცხოვრების სტილი
■ კარიერა 22
მოსკოვური კონცერტებით დაწყებული კარიერა
■ სეზონი 24
■ ვარსკვლავები 26
■ თემა 28
„მაზავშიკობა“ — აზარტული თამაში თუ გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე
■ დრონი 32
ჟაკ-ივ კუსტო
■ მოდა 36
„ცხოვრების გზა ის „პოდიუმია“, რომელზეც თავაწეულმა, ლამაზი ნაბიჯებით უნდა იარო“
■ ანტიდეპრესანტი 38
■ ავტო 38
■ ისტორიის ლაბირინთები 40
როგორ წარმოიშვა აფხაზური სეპარატიზმი

ქვეყანა

ქართველი გიტარისტის ფანტასტიკური კონცერტი ნიუ-იორკში

მსოფლიოში აღიარებული ქართველი გიტარისტი — თემურ ყვითელაშვილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებიდან პირველი გიტარისტი გახლავთ, ვისაც ნიუ-იორკში, „კარნეგი ჰოლის“ ცნობილ დარბაზში კონცერტის გამართვის ბედნიერება ხვდა წილად...“

6

სახე

„ფერადი“ ოჯახის შვილებმა საქორწინო სტარტი აიღეს

„ხედავენ, რომ ორივეს ძალიან გვიყვარს ჩვენი რჩეულები. თვითონაც 17-18 წლის ასაკში შექმნეს ოჯახები და შესაბამისად, არც ჩვენი გადაწყვეტილება გაჰკვირვებიათ. ძალიან უყვართ სიძეები“.

18

ცხოვრება

„მაზავშიკობა“ — აზარტული თამაში თუ გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე

„აღსანიშნავია, რომ ბევრ მოთამაშეს ტოტალიზატორში დასადები ფულიც არა აქვს და აქედან გამომდინარე, ასეთი გამოსავალი იპოვეს — „პოსლეზე“ თამაშობენ. პირობა ასეთია: მოქალაქე ე.წ. „მაზავშიკთან“ სიტყვიერ გარიგებას დებს“.

28

ეზა ბნილები

ლამარას ამბები ანუ საიმედო მესაიდუმლე

„ბედნიერი დღე იყო, როცა ჩემი საყვარელი ადამიანი სიყვარულში გამომიტყდა, თავბრუ დამახვია, უბედნიერესი გოგო გამხადა, გრძნობათა მორევში ჩამითრია, ცხოვრება გამილამაზა, ოცნების კოშკები ამაგებინა, სიხარულის მეცხრე ცაზე ამიყვანა...“

76

■ ტაძარი 43

ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი საქართველოს ეკლესია და აღორძინების ხანა

■ ეს სამყარო 44

■ ჯანმრთელობა 47

■ ბურჯი 50

14 წლის ბიჭუნა, რომელიც ოჯახის მძიმე ტვირთს ზიდავს

■ კრიმინალი 52

ქალი, რომელმაც მეგობარს ქმრის მოკვლა შეუკვეთა

■ პროფესია 54

როდესაც წამები წყვეტს ყველაფერს

■ შოუბიზნესი 55

„მის თიკას“ ეროტიკული კლიპი, ცოლისთვის შერჩეული „შეყვარებული“ და „არენბის“ მოყვარული ბებო

■ თინეიჯერული პონტები 57

ვინ როგორ ემალება თბილისის მზეს

■ წვეთი პოეზია 60

■ სახსოვარი 61

■ ფანტასტიკური დეტექტივი 62

რუსუდან ლებანიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)

■ მინირომანი 66

სხვა ქალის სურნელი ანუ დაბნეული მამაკაცის დღიური

■ რომანი 68

სვეტა კვარაცხელია. ძლიერი სუსტი ქალი (გაგრძელება)

■ რეალური 72

ULTRIX (დასასრული)

■ გზავნილები 76

■ ყველა ერთისათვის 80

„ყოფილმა მეგობარმა ინტრიგებში გამხვია“

■ მობილი-ზაცია 82

■ მოზაიკა 88

■ მუნდიალი 90

■ ერუდიტი 92

„ყველა ასაკში კარგი მკითხველი ვიყავი“...

■ გასართობი 94

■ ასტროლოგია 96

■ სკანვორდი 97

■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



როგორ წარმოიშვა აფხაზური სეპარატიზმი

აქედან გამომდინარე, ყველა ის საფუძველი, რასაც აფხაზური სეპარატიზმი დღესაც ეყრდნობა, შემუშავდა არა უშუალოდ აფხაზი ხალხის წიაღში, არამედ — ჩრდილოეთით, ჯერ სანქტ-პეტერბურგში, მერე — მოსკოვში.

36

ადამიანი

14 წლის ბიჭუნა, რომელიც ოჯახის მძიმე ტვირთს ზიდავს

„...10-15 ლარი, 30-მდეც ამიღია, მაგრამ ზოგჯერ, 10 დღის მანძილზე 1 ლარიც ვერ „გამიკეთებია“. იცი, ბავშვი რომ ვარ, ჩემს შეთავაზებას სერიოზულად არ აღიქვამენ; ზოგი არ მენდობა, რადგან ქურდი ვგონივარ და მცდის“.

52

ბიბლუსი

— ჩემი პირობა ასეთია: ამ საქმეში ოცი ათასი დოლარი უნდა გადამიხადოთ, თანაც თხუთმეტი ახლავე უნდა მომცეთ.
— რას ბრძანებთ?!. — ხელები გაასავსავა ისიდორემ. — ოცი ათასი ნამეტანი მაღალი ჰონორარია, აღარაფერს ვამბობ წინასწარ თხუთმეტი ათასის გადახდაზე... თქვენ ხომ ახლა საერთოდ უფულოდ ხართ... ასე რომ, ჯობს, ჩვენს პირობას დათანხმდეთ.

60

ტაიმ-აუტი

სასიკვდილო დოზა

მზის დარტყმის მისაღებად 2-8 საათია საჭირო. თუ მზეზე 8 საათზე მეტს გაჩერდებით, თავის ტკივილი, ხმაური ყურებში, გულისრევის შეგრძნება შეგაწუხებთ (შესაძლოა, ბოდვა დაგეწყოთ ან გონება დაკარგოთ). გარდა ამისა, სხეულის ტემპერატურა 40-42 გრადუსს მიაღწევს.

88

ვრჩენს ბუსილს დაჟინებული მზერით!!!

შესავლის ნაცვლად **გამარჯობა, ჩემო კარგებო და კეთილებო!..**

აუჰ, დამსიცხა... რა „კარგები და კეთილები“ ამიტყდა, გამლახავს ვილაცა... ჰო, მაგრად ცხელა... არა, მეტეოპროგნოზის მიხედვით, თქვენ რომ ამას წაიკითხავთ, კი უნდა იყოს უკვე აგრილებული, მაგრამ ახლა სამშაბათია, დღის 3 საათი და გაცოფებამდე არაფერი მიკლია... თანაც, ეს კომპიუტერის კეისი მიდგას აგერ, მარცხენა ფეხთან და ისეთი სასიამოვნო „სითბო“ გამოდის!.. ჰოდა, მერე ვილაცა იტყვის, „პროვოკატორობა“ ადვილი საქმეაო!

ისე, ამ ტექნიკური პროგრესის დედა ვატირე, მიჩვევა იცის, თორემ მე დრო მახსოვს, ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინ — ჩავწვებოდი ცივი წყლით სავსე აბაზანაში, ხელში — ბლოკნოტი და კალმისტარი, პირში — სიგარეტი და მიდი, „აცხვე“ პროვოკაციები! ახლა — აღარც ბლოკნოტი, აღარც კალმისტარი, აღარც სიგარეტს ვეწევი...

ვაა! ნაღდად მზემ დამკრა — რაებს ვწერ?!.

ისე, რა უჭირს, მზის დაკვრაც რომ მივიღო? ან თუნდაც მანქანაც რომ დამეჯახოს? ან, მოულოდნელად, კიბო რომ აღმომაჩნდეს? ანდა, სულაც სამსახურიდან რომ გამაგდონ?

რა უჭირს და — არაფერი! რატომ არ უჭირს და — ყველაფრის წამალი და საშველი არსებობს! სად არსებობს და — თბილისში (ადრე სენაკსა და ზუგდიდში „არსებობდა“, ხანდახან თბილისიდანაც ითესება ხოლმე, „მორჩენილ-გადარჩენილთა“ გადაჭარბებულ „სიყვარულს“ ემალება, მაგრამ ამ დროს ისრაელსა და უკრაინაში „ვარსებობო“ — ამბობს)! რატომ არსებობს და — უფალმა გვაჩუქა მისი თავი ჩვენ, ქართველებს! ოღონდ მამაზეციერმა, როცა ასეთი მადლი მოიღო ჩვენზე, იქვე აღნიშნა: ამ ბიჭს გიგზავნით და არ მიწყენინოთ — ყოველი მისი გაღიმება 300 ლარი ეღირება, ხოლო „დაჟინებულ მზერაზე“ თვითონ დააზუსტებს ფასსო!

არადა, როგორც ამბობენ, ღიმილით თითქმის ყველა დაავადებას არჩენს, გარდა ბუსილისა, ხოლო ბუსილს — სწორედ ის „დაჟინებული მზერა“ სჭირდება მტკივან ადგილას, გულში (თუ რაშიც არის) ჩამწვდომი, დაჟინებული მზერა!

ჰო, ალბათ მიხვდით, „ქართული პარაფსიქოლოგიის მამაზე“ — ვინმე ირაკლი ლომაიაზე მოგახსენებთ. ეს „პარაფსიქოლოგიის მამა“ ამ ბოლო დროს ჩვენს მედიასახლს შემოსწყრა და „ტირაჟს დაგიგდებთო“ — დაგვემუქრა, მე კი ძალიან მაინტერესებს, სად არის მისი „შვილი“ (ანუ „პარაფსიქოლოგია“) და ვინ არის „პარაფსიქოლოგიის დედა“?! იქნებ მივსულიყავი, ვინმე საერთო ნაცნობ-მეგობარი გამომენახა და „მესიის რისხვას“ ავრიდებოდით?.. აბა, მე ახლა კიდევ ტირაჟის „დაგდება“ მინდა?! ამ პაპანაქებაში ისედაც წნევაც მივარდება და აწი კიდევ რა დამივარდება, ვინ იცის?! იარე მერე და იტარე „დაჟინებული მზერის“ პროცედურები... ამან კიდე — ტირაჟსაც დაგიგდებთო...

არადა, რა კარგია ცივილიზებული და მშვიდი ევროპა — გერმანიაშიც გამოჩნდა ვილაც ეგეთი, პაული ჰქვია, ფეხბურთის ანგარიშებს „ურტყამს ათიანში“ და როგორც ამბობენ, — ავადმყოფობის დიაგნოზსაც უტყუარად სვამსო. მაგრამ კი არ „ბლატაობს“, ზოგიერთი „პარაფსიქოლოგიის“ ზოგიერთი „მამასავით“ — ზის თავისთვის აკვარიუმში და თუ მიუტანენ საჭმელს, აირჩევს ერთ-ერთ თეფშს თუ ქვაბს, თუ არა და — არის თავისთვის ჩუმად. თანაც — რვაფეხაა! წარმოიდგინეთ: ეს ორფეხაა და რა დღეშია, რვა ფეხი რომ ჰქონდეს, „ტირაჟს დაგვიგდებდა“ კი არა, შეიძლება, რედაქტორადაც დამჯდომოდა აქ, იმის მიუხედავად, რომ წერა-კითხვა „ეგერ-აგერ“ იცის...

კაი, შევეშვათ, თავისი გაჭირვება ეყოფა...

საერთოდ, არ მიყვარს წინა „პროვოკაციაში“ ნახსენები თემის გამეორება — „ხალტურად“ მიმაჩნია, მაგრამ „მდგრადი განვითარების“ (არა, არა — მაგრად ცხელა) მინისტრ ვერონიკა ქობალიას, პრესკონფერენციაზე, ნაცვლად — ხაზი მინდა გავუსვაო, წამოსცდა — ხაზი მინდა გავხსნაო! ცხადია, ჯერ გაურკვეველია, რა ხაზზეა ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, „მარშრუტკის ხაზი“ არ უგულისხმია. უფრო, ალბათ, რომელიმე პარფიუმერიული ან ტანსაცმლის ბრენდის ხაზის გახსნა უნდა, მაგალითად, ასეთი სლოგანით: „მდგრადი სურნელი მდგრადობის სამინისტროსგან“!

სანამ ამ „პროვოკაციას“ რედაქციაში გადავაგზავნიდი, ა, ამწუთას, მაგ ლომაიას ინტერნეტსაიტზე და „ფეისბუქის“ პროფილში შევიხედე, იქნებ გვაპატია ამ კაცმა და შერიგებას აპირებს, რომ მოვდექი და ვლანძღავ-მეთქი...

P.S. **ჰმ, შერიგებას კი არა, ლექსი დაუწერია, ოღონდ ასეთი:**

„საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები,
სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები!“

„ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენო“ — ნათქვამია: როგორც ვიცი, ყველა ტელეკომპანიას, ვინც ეს „ქართველი პაული“ გააპარა, მან მსუყედ გადაუხადა. ასე რომ, ძუნწი ნამდვილად არ არის. დარწმუნებული ვარ, ეს „ლექსიც“, მიუხედავად იმისა, რომ ერთობ ბრიყვული რამ გახლავთ, თავისი დაწერილი არ არის და მინდა ვუთხრა: ეგეთ იდიოტობაში ფულის გადახდას თუ კიდევ დააპირებ, დამირეკე!

P.P.S. **სიცხემ მაინც თავისი ქნა — რა ხანია, „პარაფსიქოლოგიის მამასთან“ კი არა, მამაჩემთან არ მილაპარაკია ამდენი...**

პროვოკატორი

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

ქვეყანა

„ღმერთმა დააბერტყა და მერე ჩვენ გაგვიზიარა...“

დიდი შემოქმედისა და დიდი პიროვნების — კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის ამ ქვეყნიდან წასვლა უძლიერესი ტკივილის მომტანია ათასობით ადამიანისთვის. მით უფრო, რომ მოულოდნელი გახლდათ... დიახ — მოულოდნელი, რადგან თავისი ხელოვნებითაც და ადამიანური თვისებებითაც ბატონი ბიძინა მუდამ ახალგაზრდა გახლდათ. ვისაც მასთან წამიერი კონტაქტი ჰქონია, ყველა ამას აღნიშნავს...

ანზორ ერქომაიშვილი:

— ბიძინას სტუდენტობის პერიოდიდან ვიცნობდი... ეს იყო არაჩვეულებრივი კაცი, საოცრად კეთილი, კეთილმოსურნე ყველას მიმართ, კაცი, რომელსაც არ შეეძლო ვინმეზე ძვირი ეთქვა. იყო არაჩვეულებრივად ხალისიანი, ენამოსწრებული. ცოცხალ კლასიკოსს ვეძახდით მეგობრები. ჯანო კახიძემ მას ქართული მუსიკის ბარათაშვილი დაარქვა. მისი ლირიკული ნაწარმოებები საუკუნეებს გაუძლებს.

მერი დავითაშვილი:

— მთელი ცხოვრება ერთად მოვდიოდით. ჩემს ოჯახთან მეგობრობდა, შინაური გახლდათ ჩვენი. ქუთაისში დავამთავრე სამუსიკო ათწლედი და კლასელებმა რამდენიმე წლის შემდეგ გადავწყვიტეთ, შევკრებილიყავით. წასვლის წინ ბიძინა ჩემს ოჯახში იყო მოსული. ჩემმა მეუღლემ, გივიმ უთხრა, — ბიძინა, წამოდი ჩვენთან ერთადო... მაშინვე დაგვთანხმდა, — წამოვალ, მარას ვიზამ, ცოლ-შვილი ხომ არ მიჩხავის აქაო... შეხვედრა მოაწყვეს ჩვენი ახლობლის ოჯახში, დიდი სახლი ჰქონდათ. ამხელა სახლი და ეზო რომ დაინახა ბიძინამ, თავის სტილში იხუმრა — სტადიონია თუ სახლიო?.. სწორედ ამ ოჯახში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, შესანიშნავი პიროვნება ნუგეშა. ჩემი კლასელების შეკრება ბიძინას საღამოდ იქცა.

კახა ცაბაძე:

— ბატონ ბიძინას სახელთან ასოცირებულია არაჩვეულებრივი მუსიკა და იუმორი, რომელიც ღმერთმა დააბერტყა და მერე ჩვენ გაგვიზიარა... სანამ არსებობს საქართველო, სანამ იქნებიან ქართველები, ყოველთვის იმღერებენ ბიძინა კვერნაძის უკვდავ ქმნილებებს.

P.S. ბიძინა კვერნაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელ წერილს „გზის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

■

ჭრელი მსოფლიო

ბარაკ ობამას პარტიას „დემოკრატები“ ამარცხებენ

აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას დემოკრატიულმა პარტიამ შესაძლოა, კონგრესში უმრავლესობა დაკარგოს. ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა, რობერტ გიბსმა ტელეკომპანია ენ-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. „ეჭვგარეშეა, რომ ნოემბერში დაგეგმილ არჩევნებზე კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში უმრავლესობას „რესპუბლიკელები“ მოიპოვებენ და კონტროლიც მათ ხელში გადავა. განსხვავებული პოზიციის შემთხვევაში, მათ პრეზიდენტ ობამას საკანონმდებლო ინიციატივების დაბლოკვაც შეეძლებათ“, — აღნიშნა გიბსმა.

■

ბინ ლადენის ვაჟი გაგიჟდა

უსამა ბინ ლადენის ვაჟი შიზოფრენიის დიაგნოზით, საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმებმა 29 წლის ომარ ბინ ლადენის ჰოსპიტალიზება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც გაირკვა, რომ მუდმივად ჩაესმის მამის ხმა. ბინ ლადენ-უმცროსის მეუღლე, ზეინა ელ-სავახი, რომელიც ქმარზე 25 წლით უფროსია, განქორწინებას ითხოვს... ელ-სავახი მეუღლის ავადმყოფობაში თავად უსამა ბინ ლადენს ადანაშაულებს და ამბობს, რომ ნომერ პირველმა ტერორისტმა თავისი ოჯახის წევრები „ფსიქოლოგიური პრობლემების ტყვეებად“ აქცია. ომარ ბინ ლადენი ბიზნესმენი იყო, მაგრამ პოლიტიკურ განცხადებასაც ხშირად აკეთებდა. მას არაერთხელ უთქვამს, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უსამართლობამ მუსლიმანები იძულებული გახადა, ხელში იარაღი აეღოთ.

■

რუბრიკა მოამზადა **ხათუნა ბახტურიძემ**

რევაზ ინანიშვილი — მისსავე წიგნის კარადაში ჩამწყვდეული ასეულობით ადამიანის სულის „ზედამხედველი“

1926 წლის 20 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში დაბადებულა. მაშინ მისი მშობლებიც სოფელში ცხოვრობდნენ. წერა-კითხვა ბებიას უსწავლებია: ისხდნენ თურმე საღამოობით გახურებულ ღუმელთან, ბებია წინდას ქსოვდა, მას კი „ქართული მწერლობის“ ძველი, გაყვითლებული სახელმძღვანელო გადაეშალა და ნელ-ნელა, დამარცვლით კითხულობდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს. განსაკუთრებით სევდიანი ამბები გულს უჩვილებდა და თუკი ბებია თავშლის ბოლოთი ცრემლს იწმენდდა და ხმამაღლა მოთქვამდა, თვითონ კბილს კბილზე აჭერდა და ოდნავ დაახანებდა ხოლმე, რომ მოწოლილი ცრემლი და ბოღმა შეეჩერებინა...

ირმა ხარშილაძე

წლები გავიდა, გაიზარდა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, მაგრამ ის საღამოები არ დავიწყნია. არც მაშინ, როცა თვითონ ძალიან ცნობილი მწერალი გახდა. უფრო მეტიც, ყოველთვის ის წიგნი მიაჩნდა საუკეთესოდ, რომელიც ღრმად აფიქრებდა და ცრემლებსაც ჰგვრიდა ნაოჭებით გარშემორტყმულ თვალებზე...

ეს მწერალი ბევრ თქვენგანს ძალიან უყვარს, მას რეზო ინანიშვილი ჰქვია და მომავალ ხუთშაბათს ჟურნალ „გზასთან“ ერთად 21-ე ტომად სწორედ მისი მოთხრობების კრებულს მიიღებთ „ქართული პროზის საგანძურის“ მკითხველები.

თამაზ ჭილაძე: „თითქოს იმავე თიხით იყო მოზელილი, როგორც მთელი კახეთი — ქვევრი, ჯამი, დოქი, ხელადა, ოღონდ, ცეცხლში კი არა, მზეში იყო გამომწვარი, ხაშმის მზეში, ედო კიდეც მისი ფერი. შეკრული იყო პატარა, მოდარაჯე კოშკივით, როგორიც კახეთში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ. ლაპარაკობდა დინჯად, მოზომილად, თითქოს უხილავ კრამიტებს აწყობდა ჩვენ ზევით, უხილავ სახურავზე. მის სიტყვას მართლაც კრამიტის სიმძიმე და საიმედოობა ჰქონდა. რატომღაც უცებ კვეტარას ლურჯი კრამიტი გამახსენდა — თითქოს ანგელოზის ცრემლისგან გაჩენილი“.

ჯონდო გარდაველიძე *იხსენებს:* „სულ ჩაფიქრებული მახსოვს. სევდიანად ჩაფიქრებული. ცხოვრება ყოველთვის მძიმე ჰქონდა, მაგრამ ეს სევდა პირადული არ ჩანდა, უფრო ღრმა იყო, უფრო ფართო. 1979 იყო თუ 1980 წელი, ჩემი მანქანით დასავლეთ საქართველოში უნდა წავსულიყავი. რეზოს შევთავაზე, შენც ხომ არ წამოხვალ-მეთქი? სიამოვნებით დამთანხმდა. მოვინახულეთ ქუთაისი — ბაგრატი, გელათი, წინათაც არაერთხელ ჰქონდა ნანახი, მაინც თითქოს პირველად იყო, ისე გულდასმით ათვალიერებდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, ნანგრევებში ჩარჩენილ ჩუქურთმებს, გელათის მონასტრის ფრესკებს, მოზაიკას, აკადემიის შენობის ნარჩენებს. დიდხანს იდგა დავითის საფლავთან. „ღმერთო, ღმერთოო“, — ბუტბუტებდა თავისთვის. — რეზო, ხომ გაგიგია დავითის ანდერძი, ფეხი უნდა დაადგა მისი საფლავის ქვას-მეთქი, — ვუთხარი და ხელი გავუ-

წოდე. — რას ამბობ, კაცოო, სხვა რა შევუსრულეთ იმ მირონცხებულს, რომ მაინცდამაინც ეგ შევუსრულოო. უკან გადგა პირჯვრის წერით, ვერ დავითანხმე, არ ქნა: დავით აღმაშენებლის საფლავის ლოდს ფეხით როგორ უნდა შეჰბედოს კაცმაო. მერე — სამეგრელო: ზუგდიდი, მარტვილი, გორდის ციხე... — სად ვიყავით აქამდე, როგორ შეიძლება, ქართველ კაცს ესენი ნანახი არ ჰქონდესო, — ამბობს და სევდა ეძალება. ბავშვებს, მეგრელ ბავშვებს ესიყვარულებოდა განსაკუთრებით. გაოცებული შეჰფოფინებდა, რამდენი ცისფერთვალა და ქერათმიანი ბავშვია, ნამდვილად აქ არის ძირძველი ქართული გენი. ღმერთო, ღმერთოო... — და ჩუმად, თავისთვის, გულში ამთავრებდა სიტყვას თუ ვედრებას. ჭყვიშში რომ შევედით, გალაკტიონის სახლთან, მოშორებით გამაჩერებინა მანქანა. რიონის ჭალებს შეჰყურებდა აციმციმებული თვალებით. უხაროდა: ჩამოჰგავსო ჩემი ივრის ჭალებს.

გალაკტიონის ოდა-სახლის აივანზე რომ ავიდა, გაქვავდა. ხმაამოუღებლად შესცქეროდა იქვე ახლოს მდებარე ძველ სასაფლაოს. ჩემკენ ზურგით იდგა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დღეს რომ ვიხსენებ, მგონი, ტიროდა. რაღაც დაბნეულები დავეძებდით ოთახებში ვასიკოს, გალაკტიონის ძმისწულს. რეზო ხმადაბლა იმეორებდა: „ერთი დღეც არ გქონიათ მშვიდი, უსატკივარო“... თვითონ ცხოვრება ყოველთვის მძიმე ჰქონდა: 37 წელი, მამისა და ახლობლების დახვრეტა-გადასახლება, მუდმივი ხელმოკლეობა, ბავშვობიდანვე დღენიადაგ ოჯახზე ზრუნვა, მერე — უმცროსი ძმის ნაადრევი სიკვდილი. უნივერსიტეტი თანატოლებზე 7-8 წლით გვიან დაამთავრა, მაგრამ რეზოს სევდა არ იყო პირადული, ის უფრო ღრმა იყო, უფრო ფართო... დეკემბერ-იანვრის ტრაგედია არ გაუგია. მაშინ უკვე ღონე წართმეული ჰქონდა. 1991 წლის ბოლო დღეს მივაბარეთ დიდუბის მიწას. ქართველებისათვის უჩვეულოდ მცირერიცხოვან პროცესიაში ერთი-ორი მწერალიც ერია“.

მანამდე კი რევაზ ინანიშვილი წერდა: „თქვენ შეგიძლიათ, თვით ჩემი თანდასწრებით ლანძღოთ ქართველი ხალხი იმის გამო, რომ იგი მარცხენა ხელით მუშაობას არის მიჩვეული და მომხვეჭველობაზე დახარბებულს გაჭუჭყიანებული აქვს სული, მაგრამ მე უფლებას არ მოგცემთ, იგივე გაიმეოროთ ერზე, ქართველ ერზე... ერი... მთლიანობაა ხალხისა და დროისა, რომელიც საუკუნეებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ“.

მწერალ **თეიმურაზ მალლაფერიძის** *მოგონებებში ამოიკითხავთ:* „იდგა დეკემბრის თვე, დასაწყისი დეკემბრის თვე 1991 წლისა, როცა ბედკრულ საქართველოში ძმისმკვლელი კაენის სული კიდევ ერთხელ (მერამდენედ?) აღზევდა და სისხლის ტბები დააყენა. ქუხდნენ ქვემეხები, კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, იწვოდა და ინგრეოდა ქალაქი, იუფეოდნენ რჩეულ-რჩეული ბიჭები. ერმა დაკარგა არსებობის საზრისი, შუაზე გაიპო, ვის რა უნდოდა, ვინ რას აკეთებდა, თვით მამა-უფალიც ვერ მიხვდებოდა. სწორდებოდა მიწასთან თაობების ოფლით ნაგებ-ნამუშაკევი. ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათი ჩუმად კვნესოდა ცოდვიან უგუნურთა მიერ ათას ადგილას დაჭრილ-დაფლეთილი. ვინ იყო მტყუანი? ვინ მართალი? არავინ იცოდა, საქართველო რომ უფსკრულისაკენ მიექანებოდა, ამას ყველა გრძნობდა. აი, ასეთ დროს კვდებოდა რეზო ინანიშვილი, ამბობენ, სიკვდილის წინ ყველა ადამიანს რაღაც ახალზე თავისი, საკუთარი, პიროვნული ეზმანებაო. ალბათ, მართალია. და თუ მართალია, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ რეზოს სიკვდილის წინა ზმანება, სწორედ ისეთი იყო, როგორც ერთ მოთხრობაში აქვს აღწერილი: „თვალები დავხუჭე... აი, ამ ყოფაში შემოვიდა რაღაც საამო, რაღაც ნათელი. გავიხედე და დამბლა დამეცა: იმ თოვლში, იმ ბნელ ბურუსში, მკვრივი, არაამქვეყნიერი ნათელი მოდის, მოჰყვება შარავანდედად წვრილ-წვრილი ჩიტებისა და პეპლების მგალობელი გუნდი. ვუყურებ ამ ნათელს და ვარჩევ — ქალს! მთლად ოქროსფერს, თმის ოქროსფერ ნაკადებში გახვეულს. მოდის, ახლოვდება, მოანათებს თმებით, თვალებით, ყველაფრით, ჟინიანად მოადგამს შიშველ, ოქროსფერ ფეხებს, ზეიმით მოაქვს პატარა, შეკუმშული, თავმსხვილი ძუძუები, უკანაც თმა მისთრევს, თმაა თუ შუქია ადევნებული. წინ მიუძღვის ჩრდილისფერი, გრძლადაძაგრული ორი ვეება მგელი, ნაბიჯი ნაბიჯთან აქვს შეწყობილი, ჩემკენ შემობრუნებული თვალები ყურადღებით აქვთ სავსე, მოანათებენ თეთრ ლოჯებს. ქალი ესევე, სიარულშივე მოიხედავს ჩემკენ... რა სიხარულის ცისფერი სინათლე ედგა თვალებში, რა სიკეთის ღიმილით ეღიმებოდა აქეთ-იქით ოდნავ მაღლა აზიდული ტუჩებით! წავიდა ისევე გაბრწყინებული, გაუძვრნენ წინ ნაბიჯშეწყობილი მგლები, გაჰყვნენ მგალობლები, ჩიტები თუ ოქროსფერი პეპლები“. წავიდნენ და თან წაიყოლეს რეზო ინანიშვილის ნათელი, გამჭვირვალე სული. დასაფლავების დღეს, 31 დეკემბერს მსუსხავი ქარი უბერავდა და ხოროში თოვლი აყრიდა. განუწყვეტლად ისმოდა ჭურვების ბათქი და ტყვიების თარსი წუილი. რეზო იწვა მშვიდად, ოდნავ იღიმოდა“.

რეჟისორი **რეზო ესაძე:** „...მე და რეზო კვესელავა რამდენჯერაც შევდივართ, და ხშირად შევდივართ, დიდუბის პანთეონში, არ არსებობს, რეზოს ყვავილები არ დავუდოთ. ძალიან მომწონს მისი უბრალო საფლავი და ისიც, რომ ყოველთვის ჩიტების სკინტლითაა იქაურობა მოფენილი. მისი მეუღლე ძალიან განიცდის ამ ამბავს, მე კი უზარმაზარ ჰარმონიას ვგრძნობ რეზოსა და ამ ჩიტების კავშირში“...

P.S. ის ამბობდა: „ჩემს წიგნის კარადაში ჩამწყვდეულია ასეულობით ადამიანის სული. მე კი ხელები ზურგს უკან მაქვს წამოწყობილი და ციხის ზედამხედველივით ვცემ ბოლთას მათ წინ“. და წერდა გოგო-ბიჭებისთვის, დედებისთვის, მამებისთვის, ბებია-ბაბუებისთვის, ვინც „დღიურ საქმეს სიბნელით ართმევდა თავს“, ნაშრომ-ნაჯაფი და დაღლილი ჩამოჯდებოდა, გადაშლიდა წიგნს და გმირებთან ერთად, ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

■

ჟურნალმა „საბავშვო კარუსელმა“ პატარებს მორიგი სიურპრიზი მოუწყო: საყვარელ ჟურნალთან ერთად, ამიერიდან ბავშვებს ზღაპრების წიგნების შეძენაც შეუძლიათ. პროექტის — „ჩემი საყვარელი ზღაპრები“ — პრეზენტაცია ბევრი ტკბილეულის, მუსიკის, ფერადი ბუშტებისა და, რაღა თქმა უნდა, ზღაპრების გმირების თანხლებით, საბავშვო ცენტრ „მაცაცერაში“ გაიმართა.

ეთო ყორღანაშვილი

ზეიმის დასაწყისში მსახიობმა რამაზ იოსელიანმა პატარებს უამბო ლამაზი ზღაპარი ჯადოსნური მედიასახლის შესახებ, რომელშიც სერიოზული ადამიანები ჟურნალ-გაზეთებზე მუშაობენ, მაგრამ არც ბავშვებზე ზრუნვა ავიწყდებათ — სიურპრიზებით სავსე ფერადი „კარუსელი“

ხომ სწორედ პატარებისთვისაა განკუთვნილი! რეალობად ქცეული ზღაპრის მოსმენის შემდეგ, ბავშვებმა ბევრი იცეკვეს, იმხიარულეს. რამდენიმე მათგანმა სახალისო კონკურსებში გამარჯვებაც მოახერხა. ერთ-ერთმა მათგანმა საიამაყით აღნიშნა: ყველაზე მეტი კეგლი იმიტომ წავაქციე, რომ ამ თამაშს მამა „ბავშვობაში“ მასწავლიდაო... ზეიმითა და „კარუსელის“ ახალი პროექტით გამარჯვებულის დედა — ქალბატონი მანანაც კმაყოფილი გახლდათ:

— შეიძლება ითქვას, რომ „პალიტრა L“-ის თითქმის ყველა გამოცემას ვყიდულობთ. „საბავშვო კარუსელის“ ახალ პროექტს რაც შეეხება, სასიამოვნო და მისასალმებელია: პატარები ზღაპრებს კითხულობენ, მხიარულობენ... მსგავსი პროექტები რაც უფრო ხშირად განხორციელდება, უკეთესი იქნება!

ხატია არაბული, *4 წლის:*

— ბურთით ვითამაშე და ბევრ ბავშვს ვაჯობე. ყველაზე სწრაფი ვარ და ამიტომ გავიმარჯვე. ბომბორას პარკის სასაჩუქრე ბარათი და ჟურ-

„ჩემი საყვარელი ზღაპრები“ — „საბავშვო კარუსელის“ წიგნები პატარებისთვის

ნალი „კარუსელი“ (თავისი წიგნით) მოვიგე!

— **კითხვა იცი?**

— არა, ზღაპრებს ელა მამიდა, დედა და მამა წამიკითხავენ. მეც მინდა, რომ კითხვა ვისწავლო... ყველაზე მეტად, „ნაცარქექია“, „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ მიყვარს! ზეიმზე ფიფქიას შევხვდი. მითხრა: კარგი გოგო ხარო!

სანდრო ლაზარაშვილი, *7 წლის:*

— ზღაპრების ყველაზე მეტი პერსონაჟი დავასახელე და კონკურსში გავიმარჯვე. ზღაპრებს რომ მიყვებიან, ვიმახსოვრებ. თავდაპირველად, ცოტათი მიჭირდა, მაგრამ ახლა — არა.

— **თავად თუ კითხულობ?**

— კი, მეც ვკითხულობ.

— **განსაკუთრებით, რომელი ზღაპარი მოგწონს?**

საუბარში სანდროს პატარა დაიკო — ირინა ჩაგვერთო, რომელმაც ძმიკოს ნაცვლად მიპასუხა:

— ჩვენი საყვარელი ზღაპარი „წითელქუდაა“, რადგან წითელქუდას ლამაზი კაბა აცვია და წითელი ქუდი ახურავს. ლამაზი კაბები, ფეხსაცმელები და „ელასტიკები“ ძალიან მიყვარს!

— **გეტყობა, არაჩვეულებრივად გამოიყურები!**

— კაბა ნათლიამ მაჩუქა...

— **სანდრო, პატარა დაიკოს ზღაპრებს უკითხავ ხოლმე?**

— კი, „წითელქუდა“ მე წავუკითხე.

ირინა:

— მე ნამდვილ კარუსელზე ტრიალი და ჟურნალ „კარუსელის“ გაფერადება მომწონს! მალე ბომბორას პარკში მივალთ და გავერთობით... დღევანდელ ზეიმზე გოჭუნას შევხვდი. ძალიან გამიხარდა! ძმიკოსთან ერთად ვეთამაშე...

გიგი გეგეჭკორი, *8 წლის:*

— აქაურობა ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით საკონკურსო კითხვებმა გამამხიარულა. „კარუსელის“ ყოველ ნომერს სიამოვნებით ვკითხულობ. გამიხარდა, რომ ჟურნალთან ერთად, ახლა წიგნების შეძენაც შემიძლია. კითხვა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით — ზღაპრების. ჩემი საყვარელი ზღაპარი „წითელქუდაა“, რადგან მასში სიკეთე ბოროტებას ამარცხებს. სხვათა შორის, წეღან წითელქუდას ველაპარაკე და გამაცინა.

— **ასეთი რა გითხრა?**

— მკითხა — რატომ არ თამაშობო?

— **მერე, რატომ არ თამაშობ?**

— თამაშის ცქერა უფრო სახალისოა. ზღაპრებთან დაკავშირებული ყველა კითხვის პასუხი ვიცი.

წითელქუდა, ნუკი მჭედლიშვილი:

— „კარუსელმა“ საინტერესო პროექტი წამოიწყო. „მაცაცერას სახლში“ პატარები გვესტუმრნენ. კარგი ზეიმი გამოგვივიდა. ბავშვებთან ერთად მეც ვიმხიარულე — წითელქუდა ყველას უყვარს!

პრეზენტაციაზე პრიზების გარეშე არც უფროსები დარჩნენ.

ხათუნა წერეთელი:

— პრიზები გადმომცეს, რადგან „საბავშვო კარუსელის“ ერთგული, კარგი მკითხველი ვარ. 3 შვილი მყავს, ჟურნალი სამივეს ძალიან უყვარს: ერთი კროსვორდს ავსებს, მეორე ზღაპარს კითხულობს, მესამე ნახატს აფერადებს... „კარუსელის“ ყოველ ახალ ნომერს მოუთმენლად ელიან. წიგნებიც გამოწერილი მაქვს... კარგი პროექტია.

ლელა მოდებაძე, *„საბავშვო კარუსელის“ მთავარი რედაქტორი:*

— ჟურნალი „კარუსელი“ ყოველთვის ცდილობს, ბავშვებს ახალ-ახალი სიურპრიზი შესთავაზოს. პატარებს ყოველ ნომერში სხვადასხვა საჩუქარს ვუკეთებთ: საღეჭ რეზინს, ბუშტს, ფერად მაგნიტებს... რადგან ახლა ზაფხულია და ბავშვებს წიგნების წასაკითხად ბევრი დრო აქვთ, ახალი პროექტი — „ჩემი საყვარელი ზღაპრები“ წამოვიწყეთ. „პალიტრა L-“თან ერთად, მსოფლიოს ხალხთა ზღა-

პრების ფერადად დასურათებული, მაგარყდიანი წიგნების სერია შევქმენით. ყოველი ახალი წიგნი „კარუსელის“ ახალ ნომერთან ერთად გამოვა. პირველი წიგნი — „ქართული ხალხური ზღაპრები“ უკვე გამოვიდა. შემდეგ — შარლ პეროს, ძმები გრიმების, ანდერსენის და სხვა მწერლების ზღაპრებსაც გამოვცემთ.

— ზღაპრების შერჩევისას, პატარების გემოვნება გაითვალისწინეთ?

— რა თქმა უნდა. პროექტის დაწყებამდე ჟურნალში კუპონი ჩავდეთ, რომლის საშუალებითაც შევიტყვეთ, ბავშვებს წიგნებში რომელი ზღაპრების ხილვა სურდათ.

— დღევანდელი ზეიმი როგორ დაიგეგმა?

— ღონისძიება ძალიან მოკლე ხანში დავგეგმეთ. გვინდოდა, ბავშვებისთვის პროექტი თვალსაჩინოდ წარგვედგინა. რადგან პატარებს ზღაპრები, გართობა უყვართ, ზეიმის მოსაწყობად, საბავშვო ცენტრი „მაცაცერა“ ავირჩიეთ, სადაც ბატონმა რამაზ იოსელიანმა პროექტი ზღაპრად წარმოადგინა.

— ზღაპარი ვის ეკუთვნის?

— ზღაპარი ჩემია. ის პატარებისთვის რეალობად ვაქციეთ. ბავშვებმა სტენდზე თავიანთი საყვარელი ზღაპრების სათაურები დაგვიწერეს. მათ სურვილებს აუცილებლად გავითვალისწინებთ. გვყავს არაჩვეულებრივი მხატვრები, რომლებიც წიგნების დასურათებაზე ზრუნავენ. სპონსორებს დიდ მადლობას ვუხდი: პრეზენტაციაზე კონკურსები გაიმართა. ბავშვები მთაწმინდის პარკის ფასიანი, „დელტაკლუბის“, „ლაზერლენდის“ კუპონებით დაჯილდოვდნენ. ზეიმზე მშობლების შეჯიბრებაც მოვაწყვეთ. გამარჯვებულებს მაღაზიათა ქსელმა „ბიბლუსმა“ 20-ლარიანი სასაჩუქრე ბარათები გადასცა. „ტკბილი ქვეყანა“, „სანდორა“ და „ბარამბო“ კი პატარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდა.

■

ქართველი გიტარისტის ფანტასტიკური კონცერტი ნიუ-იორკში და ნიუ-იორკის შემდეგ

მსოფლიოში აღიარებული ქართველი გიტარისტი — თემურ ყვითელაშვილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებიდან პირველი გიტარისტი გახლავთ, ვისაც ნიუ-იორკში, „კარნეგი ჰოლის“ ცნობილ დარბაზში კონცერტის გამართვის ბედნიერება ხვდა წილად... ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებულმა მუსიკოსმა 4 დღეში საკონცერტო პროგრამა მოამზადა და დედაქალაქში ქართველი მსმენელისთვის კიდევ ერთი დაუვიწყარი კონცერტი — „კარნეგი ჰოლის შემდეგ“ გამართა. როგორც ხელოვან ადამიანებს სჩვევიათ, ბატონ თემურს სამომავლოდ კიდევ ბევრი საინტერესო გეგმა აქვს.

ეთო ყორღანაშვილი



— ახლახან ჩემი სოლო კონცერტი გაიმართა, სახელწოდებით — „კარნეგი ჰოლის შემდეგ“. შეიძლება, ითქვას, უპრეცედენტო ფაქტი მოხდა: ამერიკიდან დავბრუნდი და 4 დღეში მოვამზადე კონცერტი. რეკლამაც ვერ მოვასწარი, მაგრამ მაინც უამრავი ხალხი მოვიდა. მიმაჩნია, რომ შეუძლებელი შევძელი, რადგან თბილისში ადამიანები კონცერტებზე ასე იოლად არ დადიან. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა. რამდენჯერმე „ბისზე“ გამომიძახეს. ძალიან ამაღლებული, დასამახსოვრებელი და სასიამოვნო დღე იყო!

— რა პროგრამა წარმოადგინეთ?

— თითქმის ის კომპოზიციები შევასრულე, რაც — ნიუ-იორკში. რადგან კონცერტს „კარნეგი ჰოლის შემდეგ“ ერქვა, ვალდებული ვიყავი, ჩემი მსმენელისთვის ის ნაწარმოებები წარმედგინა, რომლებიც ნიუ-იორკში, „კარნეგი ჰოლის“ დარბაზში შევასრულე.

— „კარნეგი ჰოლის“ დარბაზში თქვენ კონცერტი როგორ დაიგეგმა?

— ამ დარბაზში შემთხვევით არ ხვდებიან: მანამდე ჩატარებული წარმატებული კონცერტების შემდეგ, „კარნეგი ჰოლიდან“ მიწვევა მივიღე, რაც დიდი მიღწევა, გამარჯვებაა! ნიუ-იორკში მეოცედ გახლდით ჩასული. მანამდეც ძალიან პრესტიჟულ დარბაზებში გამოვსულვარ. „კარნეგი ჰოლში“ ჩემი ქვეყნის სახელით გამოვედი და ამით ძალიან ვამაყობ! ნიუ-იორკში კონცერტამდე 3 კვირით ადრე გავემგზავრე, მოსამზადებელი პერიოდი გავიარე. მადლობა ღმერთს, ნერვიულობასა და ფიქრს ფუჭად არ ჩაუვლია — კონცერტმა ფანტასტიკურად ჩაიარა! აღფრთოვანებული ხალხი ტაშს უკრავდა, სცენიდან არ მიშვებდა. მსურდა, ეს ფაქტი არ „გაციებულიყო“ და „კარნეგი ჰოლის“ შემდეგ, კონცერტი თბილისშიც ჩამეტარებინა. ამისთვის სხვა ნაწარმოებებზე მომიხდა მუშაობაც, რადგან როცა შენს ქალაქში უკრავ, მსმენელები მათთვის საყვარელი კომპოზიციების შესრულებას ელიან. შრომატევადი საქმე იყო, მაგრამ ყველაფერი მოკლე პერიოდში მოვასწარი.

— თქვენს შემოქმედებას ქართველი მსმენელი უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობა, თუ — უცხოელი?

— დღეს ის დროა, როცა მსმენელს იოლად ვერ მოატყუებ. ხალხი მაქსიმალურად ინფორმირებულია. ის არც საკუთარ ქვეყანაში გაპატიებს შეცდომას და არც — სხვაგან. ადამიანები ყველგან თანაბარი აღფრთოვანებით, ემოციებით მხვდებიან, რაც ჩემთვის ძალზე დიდი პატივია. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, როცა ხალხს საკუთარ ქვეყანაში უყვარხარ და გაფასებს. ვამაყობ, რომ საქართველში ჩემი რვავე კონცერტი ერთნაირი წარმატებით დაგვირგვინდა.

— ბატონო თემურ, „კარნეგი ჰოლში“ თქვენს კონცერტს ალბათ, ბევრი ცნობილი ადამიანი ესწრებოდა. თქვენ მიერ შესრულებული კომპოზიციებით აღფრთოვანებას როგორ გამოხატავდნენ?

— ისტორიას თუ გადავხედავთ, „კარნეგი ჰოლში“ ყველაზე ცნობილი არ-

ტისტები გამოდიან. კონცერტს ვინ ეს-წრებოდა, ამას შეგნებულად არ ვამბობ, რადგან ჩემთან მოსული ნებისმიერი მსმენელი თანაბარ პატივისცემას იმსახურებს. დამსწრე საზოგადოების დიდ ნაწილს ამერიკელები შეადგენდნენ. იყვნენ ასევე ქართველები, რუსები... ჩემთვის ყველა კონცერტი საპასუხისმგებლოა. როცა მაყურებლები „ბრავოს“ და „ბისს“ ყვირიან, ეს იმას ნიშნავს, რომ არტისტმა თავისი მისია შეასრულა, საზოგადოებას თავისი ოსტატობა უჩვენა, კიდევ ერთი საინტერესო დღე აჩუქა... როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი (თუმცა თავს ახლაც ახალგაზრდად მივიჩნევ), ყოველთვის ვამბობდი, — „კარნეგი ჰოლის“ ლეგენდარულ დარბაზში კონცერტის ჩატარება რა დიდი ბედნიერებაა-მეთქი! საბჭოთა კავშირის პერიოდში დავიბადე. მაშინ ყველაფერი „დახურული ფარდასავით“ იყო: მსოფლიოს პრესტიჟულ დარბაზებში კონცერტების გამართვაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა... ალბათ ჩემი ნიჭით, ცხოვრების წესით, ერთგულებით, წარმატება დავიმსახურე. ბედნიერი ვარ, რომ რაზეც ვიოცნებე, აბსოლუტურად ყველაფერი ამიხდა. ჩემი ცხოვრება გიტარას შევწირე. შრომა დამიფასდა და სანაცვლოდ წარმატება მივიღე.

— ამჟამად რაზე ოცნებობთ?

— რა თქმა უნდა, ხელოვანი არ უნდა გაჩერდეს, უამრავი ახალი რამ უნდა გააკეთოს. საკუთარი თავიც ხელოვნად მიმაჩნია, ჩემს საქმეს ნამდვილად, ერთგულად ვემსახურები და უამრავი გეგმა მაქვს. სავარაუდოდ, შემოდგომისთვის ჩემი ახალი ალბომი გამოვა — „ცოცხალი“ კონცერტის ვიდეო და აუდიოვერსია. წლის ბოლოსთვის კი სრულიად განსხვავებული — ვოკალურ-ინსტრუმენტული ალბომის გამოშვებას ვაპირებ.

— ალბომების გამოშვების გარდა, რა გეგმები გაქვთ?

— ბალტიისპირეთში საერთაშორისო ჯაზფესტივალი იხსნება, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით ვარ მიწვეული. 5 დღის განმავლობაში (დღეში რამდენჯერმე) ახალგაზრდა (და არა მარტო) გიტარისტებისთვის მასტერ-კლასს ჩავატარებ. ასევე, სომხეთში გავემგზავრები საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც ადგილობრივი წამყვანი მუსიკოსები გამიწევენ თანხლებას. ფესტივალის თითოეული დღე სხვადასხვა მუსიკალური ჟანრს დაეთმობა...

— მასტერ-კლასებზე გიტარისტები რა კითხვებს გისვამენ ხოლმე, უმეტესად რა აინტერესებთ?

— ძირითადად პროფესიონალი თუ დამწყები გიტარისტი ისეთი მუსიკოსის მოსასმენად მოდის, რომელსაც საკუთარი ხელწერა აქვს. მათ ამა თუ იმ მუსიკალურ საკითხთან ჩემი დამოკიდებულება აინტერესებთ, ტექნიკურ შეკითხვებს მისვამენ. ყველაზე მთავარი — პედაგოგია, რომელიც მათ ინდივიდუალურობას „გახსნის“.

— ბატონო თემურ, რამდენ ქვეყანაში ხართ ნამყოფი?

— შემიძლია ვთქვა, რომ ყველა იმ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, რომლის ნახვაც მსურდა. ასეთი ძალიან ბევრია. ბედნიერი ვარ, რომ სხვადასხვა კულტურას გავეცანი, საინტერესო ადამიანებს შევხვდი — ეს ცხოვრების სკოლაა! ბევრი რაღაცით აღფრთოვანებული დავრჩი ან პირიქით — წარმოდგენა წამიხდა. მაგალითად, ზოგჯერ წარმატებული ადამიანის გაცნობის შემდეგ ხვდები, რომ ცხოვრებაში ის „პატარა კაცი“ ყოფილა.

— ალბათ, მათი ვინაობის დასახელება არაეთიკური იქნება, მაგრამ იქნებ იმ ცნობილი ადამიანების შესახებ გვითხრათ, რომლებზეც შექმნილი დადებითი შთაბეჭდილება მათი გაცნობის შემდეგაც არ შეგცვლიათ?

— მაგალითად, ინგლისელი გიტარისტი (რომელიც ამერიკაში ცხოვრობს) — ალან ჰოლსვორდი, რომლის შემოქმედებაზეც მთელი ცხოვრება ვგიჟდებოდი! მან ჰოლივუდში წარმატებულ გიტარისტად დამასახელა. როცა გავიცანი, აღმოჩნდა, რომ ისეთივე კარგი ადამიანია, როგორიც მისი შემოქმედება. იგივე შემიძლია ვთქვა სკოტ ჰენდერსონზე, ჯორჯ ბენსონზე...

— დაძაბული სამუშაო გრაფიკი გაქვთ. ოჯახისთვის საკმარისი დრო გრჩებათ?

— არავის გავამართლებ იმის გამო, რომ ის ნიჭიერია და რაღაც ეპატიება. ადამიანები ვართ და ყველას ერთნაირად მოგვეთხოვება პასუხი. თემური არ ვიქნებოდი, თუ გიტარაზე კარგად დავუკრავდი, ჩემი ოჯახის წევრებს კი

ჩემგან საკმარისი კონტროლი და ყურადღება არ ექნებოდათ. საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი ვარ და ოჯახის წევრებისგანაც იმავეს მოვითხოვ. ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს და საკუთარი საქმე აკეთოს. ძალიან მოკლედ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ლაპარაკი მიყვარს!

— თქვენს შვილებზე რას გვეტყვით? მუსიკა მათაც იტაცებს?

— ჩემი ქალიშვილი „ჯავახიშვილის“ მესამე კურსის სტუდენტია — იურიდიული ფაკულტეტი აირჩია, ბიჭი კი მეშვიდე კლასის მოსწავლეა, გიტარით დაინტერესებულია. 20 იანვარს ფილარმონიაშიც გამოვიდა და ახლახან — კონსერვატორიაშიც, დაბადების დღე მომილოცა. ფალიაშვილის „საცეკვაო“ (რომელიც მე 15 წლის ასაკში შევასრულე) დაუკრა. ქება-დიდება არ მიყვარს, მაგრამ მგონი, ჩემი შვილები თავიანთ საქმეს კარგად აკეთებენ... ჩემს მეუღლეს რაც შეეხება, ის ყოფილი ბალერინა გახლავთ. ოპერისა და ბალეტის თეატრში ყველაზე ახალგაზრდა სოლისტი იყო. როცა დავოჯახდით, ბალეტისთვის თავი დავანებებინე. არ ვამბობ, რომ ყველასთვის ასე ჯობია, მაგრამ მე ასე გადავწყვიტე. ჩემმა მეუღლემ თავის დროზე იცეკვა, ოპერის დასთან ერთად გასტროლებზეც იყო... ახლა კეთილი უნდა ინებოს და შინ იყოს, საქმეს მიხედოს (*იღიმის*)...

— დასასრულს, რამის თქმა ხომ არ გსურთ?

— ბატონი ბიძინა კვერნაძის გარდაცვალებას მთელ საქართველოს ვუსამძიმრებ. ის არაჩვეულებრივი პიროვნება და კომპოზიტორი გახლდათ. მისი მუსიკა თაობებს დარჩება. ალბათ მრავალი წელი გავა, მაგრამ ბატონი ბიძინას შემოქმედება ხალხის გულებში, მეხსიერებაში დარჩება. მინდა, მის ხსოვნას პატივი მივაგო. ბიძინა კვერნაძის განუმეორებელი სიმღერა — „შემოდგომის ყვავილებს“ — „კარნეგი ჰოლშიც“ შევასრულე. ბატონი ბიძინა ფანტასტიკური პიროვნება იყო. მასზე წარსულ დროში საუბარი ძალიან მიჭირს... ■

ნიკო გომელაურის „უბრალოდ ნათქვამი“ და სიყვარულის ლეგენდა

„...ვინ იქნება მუდამ ახლოს,/ მაშინაც კი, შორს თუ სახლობს,/ ვინ იქნება? — ვინ და, დედა/ 12 ივლისს დამებედა...“ — წერდა ერთ-ერთ ლექსში ნიკო გომელაური. 12 ივლისს მსახიობსა და პოეტს 40 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღეს „თავისუფალ თეატრში“ ტრადიციად ქცეულიყო კოლეგებისა და ახლობლების შეკრება და დასის ჭეშმარიტი ლიდერის მოფერება. წლეულს პირველად, ნიკო გომელაურს დაუსწრებლად ეფერებოდნენ... სწორედ აქ გამოიტანა პირველად საზოგადოების სამსჯავროზე მისმა მეუღლემ ნიკოს „უბრალოდ ნათქვამი“ — წიგნი, რომლის ფურცლებიდანაც ეს არაორდინარული შემოქმედი ძალზე ბევრ საინტერესო აზრს გვიზიარებს... იყო სევდიანი და ხალისიანი მოგონებები, ცრემლნარევი სიცილი... შემდეგ, უკვე შოთა რუსთაველის თეატრში მაყურებელმა იხილა ფილმი, რომელიც პოეტზე მისმა მოძღვარმა გადაიღო. როგორი იყო ცხოვრება ნიკოსთან ერთად და როგორ გრძელდება ნიკოს გარეშე — ამ ყველაფერზე მისი ნინ (ნინა ჩოდრიშვილი) მოგვითხრობს.

თამუნა კვინიკაძე

— ქალბატონო ნინა, 12 ივლისს თავად ნიკო როგორ აღნიშნავდა?

— ეს დღე უყვარდა. საჩუქრები პატარა ბავშვივით ახარებდა. ზოგჯერ დაურეკავდნენ და ეტყოდნენ: ნიკო, ხელცარიელი მოვდივარო. — არ გრცხვენია? რაზე მელაპარაკებიო?!. — ამას ზრდილობის გულისთვის უფრო ამბობდა... საღამოს, როცა ყველა წავიდოდა, — რა ცოტა საჩუქარი მაქვსო!.. — გულდაწყვეტილი ჩაილაპარაკებდა ხოლმე.

— ყველაზე მეტად როგორი საჩუქრები ახარებდა?

— სულერთი იყო, ყველანაირ საჩუქარს დიდი სიხარულით იღებდა. უმეტესად სასმისებს ჩუქნიდნენ. მე ვეხუმრებოდი, — შენს ფანებს მეტი ფანტაზია არა აქვთ-მეთქი.

— თავად, ამ დღეს რას მიართმევდით?

— იმას, რაც ვიცოდი, რომ სჭირდებოდა.

— ნიკოს თაყვანისმცემლები 12 ივლისს განსაკუთრებით ხომ არ აქტიურდებოდნენ?

— მას შემდეგ, რაც ნიკოს ავადმყოფობის შესახებ ხმა გავრცელდა, ყველა ხატს ჩუქნიდა. სახლიდან 1 საათით რომ გასულიყო, შინ 10 ხატით ხელში ბრუნდებოდა. ფაქტობრივად, ყოველ ნახევარ საათში ახსენებდნენ, რომ ცუდად იყო... მართალია, სითბო და ყურადღება ახარებდა, მაგრამ რომ დაფიქრდებოდა, ამბობდა, — როგორც ჩანს, ვკვდები, — ყველა ხატს რატომ მჩუქნისო?..

— 12 ივლისს „თავისუფალ თეატრში“ „უბრალოდ ნათქვამის“ პრეზენტაცია შედგა. ამ წიგნზე რას გვეტყვით?

— მოგეხსენებათ, 1999 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ნიკოს სხვადასხვა გამოცემისთვის არაერთი ინტერვიუ მიუცია. ამა თუ იმ სტატიის წაკითხვის დროს ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას, უმეტესად, საკუთარ თავზე ბრაზობდა: „ეს რამ მათქმევინა?!“ „სათქმელს თავი ვერ მოვუყარე“, „გუშინ „ბუსოი“ ვიყავი, ინტერვიუ მივეცი და ნეტავ, რას დაწერს?..“

— ეი. საკუთარ ინტერვიუებს ყოველთვის ეცნობოდა?

— თითოეული სტატიის გამოქვეყნებას გულის ფანცქალით ელოდებოდა, სულ ეშინოდა, რაიმე ცუდად არ ყოფილიყო ნათქვამი ან დაწერილი. ჟურნალისტებთან შეხვედრა ხომ უმეტესად, რეპეტიციისა თუ სპექტაკლის შემდეგ, ან შესვენების დროს უხდებოდა... ნიკოს გარდაცვალების შემდეგ იყო მცდელობები, მისი გამონათქვამები და ინტერვიუები გამოეცათ, რაც მე აღვკვეთე: არ შემეძლო, გულგრილად მეყურებინა იმისთვის, თუ როგორ ამზეურებდნენ ნიკოსგან დაწუნებულ და მიუღებელ მასალებს. აუცილებელი გახდა, თავად მემოქმედა. იმ დღეებში ჩემთან ოჯახის ახლობელი, ბატონი ზურაბ აბაშიძე მოვიდა და მომაწოდა იდეა, ნიკოს ინტერვიუები მონოლოგის სახით გამეკეთებინა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი. იმ პერიოდში ძალიან დაკავებული ვიყავი და დროის გამონახვა ვერ შევძელი. წიგნზე მუშაობის დაწყება ერთმა ინციდენტმა დამაჩქარებინა. „საქპატენტში“ მივიდა გოგონა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, დაეპატენტებინა ის მასალა, რომელზეც მე და ბატონმა ზურაბმა მოვილაპარაკეთ. ამ ამბავმა ჩემამდე შემთხვევით მოაღწია. ბუნებრივია, იმ გოგონას დავუკავშირდი და ავუხსენი, რომ მისი მხრიდან ეს ამორალური საქციელი იყო... მიხვდა, რომ მართალი არ იყო და ჩემთან ჭიდილში ვერ გაიმარჯვებდა. ამის შემდეგ ჩამოვაყალიბე ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელმაც მასალაზე მუშაობა დაიწყო. ინტერვიუებს ბოლოს წასაკითხად მე მაძლევდნენ და იმ მონაკვეთებს ვიღებდი, რომლებიც ნიკოსთვის მიუღებელი იქნებოდა. მაგალითად, ასეთი იყო ეპიზოდი მისი ბოლო ინტერვიუდან, რომელიც ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა. ამ სტატიამ ნიკო ძალიან გააღი-

ზიანა: იქ საუბარია მამასთან ურთიერთობაზე და თითქოს ნიკო ამბობს: „ზოგჯერ მამასთან ერთადაც ვსადილობდი“... გამოდის, მამასთან კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდა — ეს კი მტკნარი სიცრუეა. ნიკო მამას ეთაყვანებოდა, ისინი მეგობრობდნენ, მამა მისთვის ეტალონი იყო!

— ნიკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი წიგნები მაღაზიების თაროებიდან გაქრა; შემდეგ ორმაგ ფასად ყიდდნენ. კრებული, რომელშიც თავად, 10 ლარი გადავიხადე, ჩემმა ახლობელმა 18 ლარად შეიძინა. იმედია, „უბრალოდ ნათქვამის“ შემთხვევაში მსგავსი რამ არ მოხდება.

— მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ასე არ მოხდეს. ეს თავად ნიკოს სურვილიც იყო: წიგნი ძვირი არ უნდა ღირდესო, — ამბობდა.

— ნიკოზე მისმა მოძღვარმა ფილმი გადაიღო. მეუფე ნიკოლოზს როგორ დაუახლოვდა?

— მეუფე ნიკოლოზი სამცხე-ჯავახეთის ეპარქიას წინამძღოლობს. ამ რთულ რეგიონში ძალზე საჭირო და აუცილებელ, ქართულ საქმეს აკეთებს — ეს საკუთარი თვალით ვნახე. მეუფეს გახსნილი აქვს სკოლა, სადაც ბავშვებს სხვა საგნებთან ერთად, ფილმების გადაღებას, მონტაჟსაც ასწავლის. როცა ნიკო ავად გახდა, ვცდილობდი, წამალი, ექიმი და ა.შ. — რაც საჭირო იყო — ყველაფერი გამეკეთებინა, მაგრამ მის სულიერ მდგომარეობას ვერ მივხედე. სიმართლე გითხრათ, დიდად ეკლესიური არც ერთი არ ვიყავით... როცა ნიკოს „უბის ლექსების“ პრეზენტაცია დაიგეგმა, წინადღეს ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა: მეუფე ნიკოლოზს ნიკოს ლექსები რადიოთი მოუსმენია და საღამოზე მოსვლა სურსო. მეც და ნიკოც ამან ძალიან გაგვახარა. მეუფემ პრეზენტაცია ფირზე გადაიღო, დაამონტაჟა და ფილმი შექმნა. საბოლოო ჯამში, კარგი ნამუშევარი გამოვიდა. მეუფე და ნიკო დამეგობრდნენ. ნიკო მასთან ახალქალაქშიც ჩავიდა... გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, მეუფე ჩვენთან ოჯახში მოვიდა. ნიკო ცუდად იყო. მახსოვს, ასეთი სიტყვები უთხრა: მამაო, არაფრის მეშინია, ვიცი, იქ უფრო კარგია, ვიდრე აქო... ნიკო იმ ქვეყნად შიშის გარეშე წავიდა — ეს მეუფე ნიკოლოზის დამსახურებაა.

ნინას ნიკოზე საუბარი ცრემლების გარეშე არ შეუძლია. ამბობს, რომ ის უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო. სხვებზე მეტად შეეძლო სიყვარული, თავგანწირვა, განცდების გადმოცემა. მის მოხიბვლას ყოველდღე ახერხებდა. მისი ცხოვრებაც ამ ხიბლით იყო სავსე. ნიკო მისთვის სამაგალითო ადამიანია; უნდა, რომ თავადაც და შვილებიც მას ჰგავდნენ. არ იცის, ამას რამდენად შეძლებს...

ქალბატონ ნინას ვთხოვე, ჩემთვის ნიკოს „რჩეული“ გამოეტანა. ოთახში თვალცრემლიანი დაბრუნდა, ხელში ოქროს ბეჭედი ეჭირა:

— ეს ნიკოს საქორწინო რგოლია. დაკარგული მეგონა და ვიპოვე — ამ წიგნში ყოფილა ჩადებული...

ლექსი, რომელიც კრებულის იმ გვერდზეა დაბეჭდილი, სადაც საქორწინო რგოლი იდო, ნინას ეძღვნება: „ვეტრფი ნოემბერს,/ რიცხვი ოცდარვა/ მე რომ მომენდე,/ ღმერთმა მომართვა.../ ეს სიყვარული ისე ვრცელია.../ გავახალისებ, მიიღე ცნობად,/ უნდა დაგშორდე, უეჭველია,/ რომ კიდევ ერთხელ შეგირთო ცოლად“.

ნინა:

— როცა ერთად ცხოვრება დავიწყეთ, მთხოვა, ჯვარი დავიწეროთო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარდა, უარი ვუთხარი. ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი არსებობდა. სახლიც კი არ გვქონდა, მაშინ ნიკოსაც დიდად არავინ იცნობდა... თხოვნა რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამიმეორა, თან დააყოლა, — ნუ გეშინია, ჩვენს სიყვარულზე ლეგენდებს მოჰყვებიანო. მაშინ მის სიტყვებზე გამეცინა. მოგვიანებით, ჯვარიც დავიწერეთ. მერე ეს დანაპირები — „ლეგენდა“ თან სდევდა ჩვენს ურთიერთობას. როცა რამეზე ვიკამათებდით, ერთმანეთს გავაბრაზებდით, პერიოდულად ვეუბნებოდი: „ლეგენდაზე“ როგორა ხარ-მეთქი?.. მოიბუზებოდა ხოლმე... ახლახან ეკლესიაში უცნობი ქალბატონი მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: რა მშვენიერი ქალბატონი ბრძანდებითო! გამიკვირდა: თქვენ რა იცით-მეთქი? — რას ამბობთ, თქვენს სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებიანო. ამ დროს ჩემ ზურგს უკან ნიკოს მეგობარი იდგა. მორწმუნე ბიჭია. იმ ქალბატონის ნათქვამი რომ გაიგონა, მითხრა, — ეს ადამიანი ნიკომ გამოგიგზავნაო...

— კამათი და გაბრაზება ახსენეთ. ეს რა შემთხვევაში ხდებოდა?

— წვრილმანებზე. ნიკო სულ თავისი „ნაშების“ მოგერიებაში იყო („ვიგერიებო“ — ამ სიტყვას თავად ამბობდა). რა ვქნა, ნინ (ასე მომმართავდა), მეუბნებიან, — მიყვარხარ, ქუჩაში რომ შეგხვდები, ისე ჩაგეხუტები, შენს თავს ხელიდან ვერავინ წამართმევსო... მათ რა ვუპასუხო? ვუთხრა, ცოლი გამიბრაზდება-მეთქი?.. ერთ ლექსში ამბობს: „მე შენ ვერ გამოგელევი, ცოტა თუ სხვისიც ვიქნები“.

— ამაზე თქვენი რეაქცია როგორი იყო?

— ვეუბნებოდი, 100 წელი არ მჭირდები, თუ სხვას არ მოეწონები; ასე უნდა იყოს, აბა, რა-მეთქი!

— თქვენი მისამართით ნათქვამი ქათინაურის მოსმენა მშვიდად შეეძლო?

— ეჭვიანობის საბაბი არასდროს მიმიცია. ერთხელ მეგობრებმა ბაქოში დაგვპატიჟეს. სახლიდან რომ გავედით, ერთმა „პოეტმა“ გოგომ ნიკოს ტელეფონზე მესიჯების წერა, ზარის გამოშვება რომ დაიწყო, აღარ გაჩერდა. ამან ხასიათი გამიფუჭა. ბაქოში რომ ჩავედით, წვეულებაზე ერთ-ერთი სტუმარი გამომელაპარაკა. იცოდა, რომ გვერდით ქმარი მყავდა, წესით, სხვა თვალით არ უნდა შემოეხედა, ამიტომ თავისუფლად ველაპარაკებოდი. ნიკომ დაასკვნა, რომ ის კაცი მეპრანჭებოდა. მერე საცეკვაოდ გამიწვია. გომელაური გაგიჟდა, გამხეცდა. ხელი რომ მომკიდა, მთელი საღამო აღარ გაუშვია. ჩვენს სუფრას

რუსეთში კარგად ცნობილი, ვილი გუსმანი თამადობდა. ის ჩვენი მეგობრების მეგობარია. მორიგი სადღეგრძელოს თქმის დროს ფეხზე წამოდგა, ჩვენი მაგიდისკენ მობრუნდა და თქვა, — მინდა, ეს ადამიანები ვადღეგრძელო; ამ სუფრასთან ზის ყველაზე ლამაზი ქალბატონი — ამ რესტორანში და ყველაზე ქერა — მთელ ამიერკავკასიაშიო. ნიკოს რეაქცია ძალიან სასაცილო იყო, — რა ხდება, ვერ გავიგე, ალყაში ვარო?! ამ სადღეგრძელოს შემდეგ კიდევ უფრო მაგრად ჩამჭიდა ხელი. რა გჭირს, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე-მეთქი?! — ვხალისობდი მის რეაქციაზე. ბოლოს მითხრა, — ის გოგო მესიჯებს რომ

მწერდა, ამის გამო ხარ გაბრაზებული და მაეჭვიანებო... მის ეჭვიანობაზე კიდევ ერთი ამბავი მახსენდება. ერთ დღეს რადიო „უცნობში“ მოვისმინე სიმღერა, რომელიც იმდენად მომეწონა, ძიება დავიწყე, შემსრულებელი ვინ იყო? ვისაც კი შეიძლებოდა სცოდნოდა, ყველასთან დავრეკე. ბუნებრივია, ეს ნიკომაც გაიგო. თითქოს არ ესიამოვნა: რისთვის ეძებ? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ასრულებსო?! — მითხრა. 2-3 დღის შემდეგ „კორკოტას დილაში“ სტუმრად იყო მიწვეული. კორკოტასთვის უთქვამს, — ცუდ დღეში ვარ, ჩემი ცოლი შეყვარებულია, სანამ ამა და ამ სიმღერის შემსრულებლის ვინაობას არ გავუგებ, ალბათ ხმასაც არ გამცემსო. მოკლედ, ნიკომ იმ დღეს მომღერლის ვინაობა დამიდგინა. 1 კვირის შემდეგ მეგობარმა დამირეკა და მითხრა, — რესტორანში ვარ და მოდი, შენ რომ ძალიან მოგწონს, ის მომღერალი მღერისო. ნიკოს ვთხოვე, წავალმეთქი. — რატომ, იქ ის კაცი არისო? — მიხვდა. იმ საღამოს ნიკოს ტემპერატურამ აუწია და აღარ წავედი. აი, სულ ესაა, რაც ნიკოს ეჭვიანობაზე მახსენდება.

— ნიკოსთან ბოლო ინტერვიუ შარშან დეკემბერში ჩავწერე. ვკითხე, — შენს მუზას როგორ დაახასიათებ-მეთქი? — თავხედიაო, — მიპასუხა. როგორი იყო თავად, როცა მუზა მოაკითხავდა?

— ზუსტად ვიცოდი, რომ წერდა: ამ დროს „შუშის“ თვალებით იყურებოდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ვერ გაიგებდა. თითქოს აქ არც იყო.

— პირველად თქვენ გიკითხავდათ?

— ყოველთვის. ზოგჯერ ისეთ ლექსებს მიკითხავდა, რომლებიც ზუსტად ვიცოდი, ვის ეკუთვნოდა ან რატომ იყო დაწერილი და მეუბნებოდა, შენ გეძღვნებაო.

— მოკლედ გვითხარით, როგორი იყო ცხოვრება ნიკოსთან ერთად და როგორია — ნიკოს გარეშე?

— დღესასწაული დამთავრდა, ახლა უდაბნოში ვარ. ერთ ინტერვიუში ნიკოს ჰკითხეს, — მილიონი რომ გქონდეთ, რაში დახარჯავდითო? — ზუსტად ვიცი, ნინას ჯიპს ვუყიდდიო... იცოდა, რომ ძალიან მინდოდა. ცოტა ხნის წინ ჯიპი ჩემმა დეიდაშვილმა მაჩუქა; მხოლოდ ნახევარი საათით გამიხარდა...

— თავად რაზე ოცნებობდა?

— ბოლო დროს ხშირად ამბობდა, — სამწუხაროა, დროის ფასი რომ არ ვიცით; რა არის საოცნებო, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელი იყო, შვილები კარგად გყავდეს, სამსახური გქონდეს და რამდენიც გეკუთვნის, იმდენს გიხდიდნენო... თუ დავფიქრდებით, საოცნებო მეტი არც არაფერია...

■

აფხაზი დედის წერილი ქართველ მეომარს

„ჩვენი შტოს წარმომადგენელი სულ 10 კაცი დარჩა“...

„გამარჯობა, შვილო... მე იმ ბიჭის დედა ვარ, რომელსაც თქვენ საკუთარი ჯანმრთელობის ფასად, სიცოცხლე აჩუქეთ. ჩემი მეორე შვილი ქართულ-აფხაზურ ომს შეეწირა. ნეტავ, იმ ომში წასულ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთისთვის ეკითხათ გვარები — იქნებ, ეს სისხლისმღვრელი ომი არ დაწყებულიყო... ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში მივხვდი, რომ ქართველებთან არ უნდა გვეომა. მაშინ ბიჭვინთის ერთ-ერთ სკოლაში ვმუშაობდი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და როცა ჩემი აზრი პირველად ვთქვი, კოლეგებმა უხეშად მითხრეს, — ამას იმიტომ ამბობ, რომ ქართველმა შვილი გადაგირჩინა, მაგრამ ნახე, რამდენი გამწარებული დედაა აფხაზეთში, ხომ არ დაგავიწყდა, როგორ ხოცავდნენ ჩვენს ბიჭებსო?! შორს რისთვის წავიდე — ქმარი, 4 წლის გოგონა და ძმები დამიხოცეს ქართველებმა, მაგრამ ბევრი კარგიც მახსოვს-მეთქი. ამის გამო სამსახურიდან გამათავისუფლეს... თქვენმა საქციელმა ყველაფერი სხვაგვარად დამანახვა.... ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო და ერთმანეთს პატიება ვთხოვოთ საკუთარი ცოდვების გამო. ამ წერილის ტექსტს ლათინური ასოებით, დიდი რისკისა და იმედის ფასად გწერთ. იმედი მაქვს, თქვენამდე მოაღწევს, შვილო. მუდამ თქვენზე მლოცველი, მარინა ახუბა“, — ეს იყო პირველი წერილი, რომელიც აფხაზმა ქალბატონმა ქართველ ბიჭს 1997 წლის იანვარში მისწერა. კონვერტს ლათინური ასოებით, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი მისამართი ეწერა, — ქ. თბილისი და იმ სამხედრო ნაწილის დასახელება, რომელშიც ჩვენი რესპონდენტი მსახურობდა. ამიტომაც მან ადრესატამდე წლისა და 5 თვის შემდეგ მიაღწია. ადრესატი კი ასე იხსენებს ყველაფერს:

ლალი პაპასკირი

— ძმაკაცები შევიკრიბეთ და აფხაზეთის ომში გავიპარეთ. სკოლა იმ წელს მქონდა დამთავრებული. ოჯახში რომ გვეთქვა, ამის უფლებას არც მოგვცემდნენ, ჩვენ კი ბრძოლის ჟინი გვკლავდა და „გავიქაჩეთ“. ერთმანეთს ვასწრებდით, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ მივქარეთ. რამდენიმე დღეში 2 ბავშვობის მეგობარი თვალწინ მომიკლეს და ეს ჯერ კიდევ არაფერია... ახლა, როცა 2008 წლისა და 1990-იანი წლების ომებს ერთმანეთს ადარებენ, ამბობენ, მაშინ ჯარი კი არა, ლაშქარი გვყავდა, მაგრამ მოტივაცია უფრო მაღალი იყოო. არ იყო ასე, მაშინდელი ბრძოლის მოტივი უცოდინარობით იყო გამოწვეული — არ ვიცოდით, სად მივდიოდით. ერთ სოფელში გახურებული ბრძოლები იყო, რამდენიმე კილომეტრის იქით, მეორე სოფელში კი ბიჭები ქეიფის ხასიათზეც იყვნენ და საკბილოს ეძებდნენ.

— რას ნიშნავს, საკბილოს ეძებდნენ?

— იმას, რომ მაშინ ერთი მიზნისთვის არ ვიბრძოდით. „დუხზე“ ვიყავით მოსული, მაგრამ ყველას თავისი ინტერესი ჰქონდა, — ზოგს ანგარებიანი, ზოგსაც — უანგარო, მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია და ვინ რისთვის იბრძოდა, ძნელი გასარკვევი გახდა. იმათ, ვინც მართლა, სამშობლოს სიყვარულით იბრძოდა, არც საჭმელი ჰქონდათ, არც ჩასაცმელი და აღარც ტყვია-წამალი. სხვისთვის წართმევა არ შეგეძლო, ნაწილში კი იარაღს თუ მოგცემდნენ, ამისთვისაც მადლობა უნდა გეთქვა. ვერ ვიტყვი, უცოდველი კრავი ვიყავი-მეთქი. როცა ადამიანს ხელში იარაღს მისცემ და მერე მის კონტროლს ვერ შეძლებ, ის აუცილებლად რაღაც ბოროტებას ჩაიდენს; ძალიან მაღალი მორალი უნდა გქონდეს, რომ ასე არ მოიქცე... ომში წასვლამდე სულ რამდენჯერმე მქონდა იარაღი ნანახი. გადატენა და სროლაც კი არ ვიცოდი. ომში კი პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე მოვხვდი და მეთაურმა მკითხა, — იარაღი გაქვსო? — არა-მეთქი. მას სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. მხრებზე გადაკიდებული „კალაშნიკოვებიდან“ ერთ-ერთი მოიხსნა და გადმომიგდო. მახსოვს, რამდენიმე წუთი დაუმიზნებლად ვისროდი, მერე ვიღაცამ მხარზე ხელი წამომარტყა. თავი რომ ავწიე, ვიღაც ბიჭი სიცილით კვდებოდა, — მაგარ მუღამში ხარ შესული, მაგრამ უკან უნდა დავიხიოთო. „მუღამში“ კი არა, შიშმა და თავდაცვის ინსტინქტმა გამაკეთებინა... იმ დღესვე მასწავლეს იარაღის გადატენაც და დამიზნებაც... ომის ტაქტიკის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ აფხაზეთში რა საშინელებაც ტრიალებდა, ამას პირველკლასელიც კი მიხვდებოდა. დიდხანს ვკითხულობდი, რაღასთვის გადავდიოდით შეტევაზე, თუკი რამდენიმე მეომრის დაღუპვის შემდეგ ისევ უკან დავიხევდით?.. ეს კითხვა აფხაზეთის ომის ვეტერანებს დღემდე გვაწუხებს, მაგრამ რაღა დროს?!. ერთხელაც, ადგილობრივმა ქართველმა ჩაიდნით ცხელი თურქული ყავა მოგვიტანა და ერთჯერად ჭიქებში ჩამოგვისხა. ცხელი სითხისთვის თვეების განმავლობაში არ

დაგვიკარებია პირი და დავეწაფეთ. ამ დროს ბიჭებმა ამბავი მოიტანეს, აფხაზი ტყვეები გვყავს და წამოდითო. რამდენიმე ბიჭი გავქანდით... გაგრის რომელიღაც სოფლის ტყეში ვიყავით, სახელი არ მახსოვს. შუადღე გადასული იყო. საოცარი სიჩუმე იდგა. თითქმის დაცარიელებულ სოფელში მხოლოდ ძაღლების ყეფა ისმოდა. იმ სოფელში აფხაზები მხოლოდ რამდენჯერმე იყვნენ გავლით ნამყოფი, მაგრამ ჩვენებიც არ აკლებდნენ ხელს და იქაურობა მაინც გაპარტახებული და დაცლილი იყო... ერთი სიტყვით, ბანაკში რომ მივედით, მხოლოდ ერთი ბიჭი დამხვდა, გვარიანად ნაცემი იყო; დანარჩენები უკვე „გადაანაწილესო“. ის ჩვენ უნდა წამოგვეყვანა და სავარაუდოდ, დაღუპულ ქართველებზე გაგვეცვალა. ბიჭი ჩემი ტოლი იქნებოდა. დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. ეტყობოდა, რამდენიმე დღის აყვანილი ჰყავდათ ჩვენს ბიჭებს. შეშინებული არ იყო. ზიზღით მიყურებდა... უეცრად ბანაკში სროლა ატყდა. მივხვდით, რომ ჩვენს თავს კარგი არაფერი ხდებოდა და ავირიეთ. ვისაც ჩემზე მეტი გამოცდილება ჰქონდა, სროლის ხმას „გაჰყვა“, მე კი მიბრძანეს, — ტყვესთან დარჩი და თვალი არ მოაცილოო. „მაკაროვი“ ფეხზე შევაყენე, — გაქცევის შანსი არა გაქვს-მეთქი. ის მიწაზე დაჯდა. სულ მეუბნებოდნენ, ტყვეს დაჯდომის უფლება არ მისცეო, მაგრამ რატომღაც უარი ვერ ვუთხარი. სროლები შეწყდა. მომაწევნეო, — მთხოვა. სადაური ხარ-მეთქი? — ვკითხე. — ბიჭვინთელიო... თქვენებმა ოჯახი ამომიწყვიტეს, 4 წლის და მომიკლესო... ორივე მხარის სისასტიკეზე მოსმენილი მქონდა და მისი სიტყვები აინუნშიაც არ ჩამიგდია. ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე, — რა გვარი ხარ-მეთქი? როცა მიპასუხა, ვიგრძენი, როგორ დამიბუჟდა ხელები: ეს ბიჭი, ჩემი მოსისხლე მტერი, რომელიც ჩემ წინ იჯდა და თვალებით მჭამდა, ჩემი მოგვარე აღმოჩნდა... არადა, ძალიან იშვიათი გვარი გვაქვს. ჩვენი გენეალოგია მამაჩემს დაზეპირებული ჰქონდა და ჩვენც დაგვაზეპირებინა. მისგანვე ვიცოდი, რომ ჩვენი გვარი თამარ მეფის დროიდან მოდის; მასვე უბოძებია თავადობა ჩვენი წინაპრისთვის. ზოგი ჩოლოყაშვილთან ერთად იბრძოდა და იმ წლებში დახვრიტეს, შემდეგ კი, სტალინის დროს, ნახევარზე მეტი „განაკულაკეს“ და შუა აზიაში გადაასახლეს. მამაჩემი ამბობდა, 1950-იანი წლების ბოლოსთვის ჩვენი შტოს წარმომადგენელი სულ 10 კაცი დარჩა და ისინი მაშინდელ პატრიარქს ჩუმად დაულოცავსო... არ ვიცი, რომელი „დინების“ ტალღამ წაიყვანა ჩემი ტყვის წინაპარი აფხაზეთში. მამა თავის მოგვარეებს ყველგან ეძებდა, მაგრამ აფხაზეთი არასდროს უხსენებია... ასე, ელდანაცემი ვიდექი რამდენიმე წუთი, მერე კი, როგორც იქნა, ამოვიღე ხმა და ვუთხარი, — მოგვარეები ვართ-მეთქი. გაფითრებული ბიჭი კიდევ უფრო გაფითრდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი გვარი ძე-ზე ბოლოვდება...

— ვიცი, რომ მაშინ ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და მეომრებს სამხედრო ფორმებიც არ ჰქონდათ. თქვენ თუ გქონდათ ფორმა და სამკერდეზე ხომ არ გეწერათ გვარი?

— კარგი, რა, სად გვქონდა ფორმა, მით უმეტეს წარწერიანი?!. აფხაზეთში შავი მაისურით წავედი და ჭრილობის მიღებამდე ის მეცვა... ამასობაში ჩვენი ბიჭები მოვიდნენ და ჩემი ტყვე „ვილისში“ ჩასვეს. მეც მათ გავყევი. მთელი გზა ხმას ვერ ვიღებდი. დაჭრილი ხომ არა ხარო? — მკითხეს. — არა, უძილო ვარ-მეთქი. მივხვდი, რომ ეს ბიჭი ისეთ ადგილას მიჰყავდათ, სადაც ზუსტად ვიცოდი, რომ ცოცხალს არ დატოვებდნენ... ვიგრძენი, იმწუთას როგორ შემეცვალა აზროვნება, ვეღარ ვხვდებოდი, ვინ მტერი იყო და ვინ — მოყვარე, მე ვინ ვიყავი, იქ რა მინდოდა და რისთვის ვხოცავდით ერთმანეთს. გამახსენდა, რომ „პერესტრელკების“ შემდეგ, ბიჭები ერთმანეთთან სალაპარაკოდ გადადიოდნენ და რამდენიმე საათის შემდეგ ისევ სისხლისმღვრელი ომი იწყებოდა. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა „ომობანას“, რომელსაც უბანში ბიჭები ვთამაშობდით, მორიგი შეტევის დასრულების შემდეგ, ერთმანეთს „გრეხებს“ ვუხსენებდით და მერე ისევ თამაშს ვაგრძელებდით. ოღონდ იქ, წაგების შემთხვევაში, საქმე ცხვირ-პირის დამტვრევამდე მიდიოდა, აქ კი — სიკვდილამდე... უეცრად ერთ-ერთმა თქვა, — შევჩერდეთ, ბიჭები უნდა მოვიდნენო. მანქანიდან გადავიდნენ და შორიახლოს გაჩერდნენ, ისეთ ადგილას, სადაც გაჩერება სახიფათო იყო: ვინმეს ერთი ტყვია რომ ესროლა, მანქანიანად ჰაერში აგვწევდა. მე არ გადავსულვარ და როგორც კი ისინი თვალს მიეფარნენ, ამას ვუთხარი, — წადი აქედან-მეთქი.

სანამ გონს მოვიდოდა, წიხლი ვკარი და მანქანიდან ჩავაგდე. ერთი კი შემომხედა გაოცებულმა და დაღმართზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა... მაშინვე ორი ტყვია მივადევნე — ერთი ჰაერში ვისროლე, მეორე კი ხელისგულზე დავიხალე (*ჩემი რესპონდენტი ტყვიისგან გაგლეჯილ და უსწორმასწოროდ შეხორცებულ კიდურს მიჩვენებს. — ავტ.*)... რამდენიმე წუთში მოცვივდნენ ბიჭები. ფანჯრიდან გავიხედე თუ არა, დრო იხელთა და ჩემკენ გამოიწია-მეთქი; ისიც ვუთხარი, — ერთი ტყვია მივაყოლე და შორს ვერ წავიდოდა-მეთქი... ახლანდელი ომი რომ ყოფილიყო, საყვედურებით ამავსებდნენ, დაჭრილი და ნაცემი კაცი როგორ გაგექცაო, და სიმართლეც იქნებოდა. მაგრამ მაშინ ქართული ჯარი ჩემნაირი მოხალისეებით იყო სავსე... თუმცა ცოტა ხნის შემდეგ, ერთმა ბიჭმა მითხრა, — იქვე ვიდექი და ვნახე, როგორ გადმოყავი ხელი და ჰაერში ისროლე იარაღი, პალმის ტოტი ჩამოწყდა და ჩემ წინ დაეცა; ის ბიჭი გაშვებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე გაქცეულსო.

— მიხვდა?

— დიახ, მაგრამ არ შეიმჩნია... ომის დამთავრებამდე მასზე აღარც გვისაუბრია. ერთხელაც კი დავთვერი და ყველაფერი ვუამბე. უსიტყვოდ მისმინა, მერე კი მკითხა, — მას შემდეგ არ შეგხმიანებიაო?!

— ეს შეკითხვა მეც გამიჩნდა...

— კი, დედამისმა მომძებნა, ოღონდ ნუ მომაყოლებთ — როგორ და ვისი დახმარებით. ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა გვაქვს.

— მოგვარე აფხაზის გაცნობამდე ტყვეებთან ურთიერთობა გქონიათ?

— კი, რამდენჯერმე. მაგრამ რუსული ცუდად ვიცოდი, ისინი კი, რომც სცოდნოდათ ქართული, იქვე რომ დაგეხვრიტა, მაინც არ დაგელაპარაკებოდნენ. ისე კი, ცოდვა გამხელილი ჯობს და, როცა ერთი-ორს წამოარტყამდნენ, ამისგან არც მე ვიკავებდი თავს... ომი კანონებს არ ცნობს. ისინიც ისე ექცეოდნენ ჩვენებს. იქ სხვანაირი ხდები, — ხან ძლიერი ხარ, ხან სასტიკი და დაუნდობელი, მაგრამ ხშირად — ფინია ძაღლივით მშიშარა და თავის მოკვლაზეც კი ფიქრობ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ეს კოშმარი. თუმცა ვიღაცის თუ რაღაცის შიშით ვერ ბედავ ამის გაკეთებას... ბიჭების წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და სოხუმის დაცემამდე იქიდან ფეხი არ მომიცვლია. 23 აგვისტოს კი სკოლის შენობა დაბომბეს და იქიდან პირდაპირ თბილისის მორგში მოვხვდი. დედამ მკვდრებში მიპოვა და სასწაულებრივად გადამარჩინეს. განახევრებული ჯანმრთელობითა და ფსიქიკით შემოვრჩი ამ ცხოვრებას...

ჩემი რესპონდენტის დახმარებით, მის მიერ გადარჩენილ აფხაზ მეომართან დაკავშირება ვცადე, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ვინაიდან იქაური უშიშროება სატელეფონო საუბარს მკაცრად აკონტროლებს. ქართველის ტყვიას გადარჩენილი აფხაზი კი ინტერნეტით არ სარგებლობს, რადგან ენგურს მიღმა ინტერნეტი ჯერ კიდევ ფუფუნების საგნად რჩება.

■

რის გამო უჩივიან სკოლას ეროვნულ გამოცდებზე გასული ახალგაზრდები

და რატომ უჭირავთ თვალი უცხოეთზე

ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდი, ნერვიულობასთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში წიგნებით ხელში რეპეტიტორებთან ნარბენი აბიტურიენტებისთვის ერთგვარი შვების მომტანიც არის... სანერვიულო აბიტურიენტების მშობლებსაც საკმაოდ აქვთ, რომელთა უმრავლესობასაც მატერიალურად არ ულხინს, მაგრამ შვილების სათანადო დონეზე მოსამზადებლად, სახსრები მაინც არ დაუშურებია, რათა შვილებს ჯეროვანი განათლების მიღების შესაძლებლობა მიეცეთ...

წლების განმავლობაში არსებული პრობლემა კი ისევ აქტუალური რჩება: სკოლაში მიღებული ცოდნით ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი ერთიან ეროვნულ გამოცდებთან „შეჭიდებას“ ვერ ბედავს ან ბედავს, მაგრამ — წარუმატებლობის მოლოდინით.

ეთო ყორღანაშვილი

ქეთი ხულუზაური, *18 წლის:*

— წლის განმავლობაში მხოლოდ 2 მასწავლებელთან ვემზადებოდი. ასე რომ, ძალიან დატვირთული გრაფიკი არ მქონია.

— რომელ საგნებში ემზადებოდი?

— ქართულსა და უნარებში. უცხო ენაში მანამდე ვემზადებოდი, რაც შეეხება ისტორიას, ამ საგანს სკოლაში არაჩვეულებრივი სპეციალისტი გვასწავლიდა და მეც „მივყვებოდი“ — კარგად ვსწავლობდი... პირველი გამოცდის ძალიან მეშინოდა. ახლაც განვიცდი, ვნერვიულობ. მინდა, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მოვხვდე და სახელმწიფო დაფინანსებაც მოვიპოვო.

— რატომ გინდა, საერთაშორისო ურთიერთობების მცოდნე გახდე?

— მიმაჩნია, რომ საინტერესო სფეროა. ვიცი, კარგად „მივხედავ“ და არასდროს ვინანებ, — ეს ფაკულტეტი რატომ ავირჩიე-მეთქი.

— როგორ ფიქრობ — სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სამსახურის პოვნა იოლი იქნება?

— თუკი სწავლის პროცესში აქტიური ვიქნები — კი. ყველაფერი ჩემს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

— მიგაჩნია, რომ კარგი განათლება მუშაობის დასაწყებად საკმარისია?

— ალბათ, გავლენიანი ნაცნობის ყოლაც აუცილებელია, მაგრამ თუ ძალიან მოინდომებ, შეძლებ საკუთარი ცოდნით გაიტანო თავი.

— შენი ვარაუდით, უნივერსიტეტში კარგ განათლებას მიიღებ?

— რატომღაც მგონია, რომ — ვერა.

— აბა, გამოცდებს რატომ აბარებ?

— საწყისი ეტაპისათვის: საქართველოში მუშაობის პრინციპს გავეცნობი (შემდეგ აქ მუშაობა რომ გამიადვილდეს), მაგისტრატურას კი უცხოეთში დავამთავრებ.

— ქეთი, შენს კლასელებს შორის ისეთები თუ იყვნენ, რომლებსაც რეპეტიტორებთან მომზადების ფინანსური საშუალება არ ჰქონდათ და გამოცდებისთვის დამოუკიდებლად ემზადებოდნენ?

— კი, ერთი ასეთი ნამდვილად იყო, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ეროვნული გამოცდები არ ჩაებარებინა. სკოლაში კარგად სწავლობდა, ამიტომ ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღო, არ ვიცი.

— იქნებ იმიტომ, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა ამ გამოცდების დასაძლევად საკმარისი არ არის?

— ალბათ, საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა, თორემ სკოლაში სწავლის ისეთი დონე მაინც არის, რომ ეროვნულ გამოცდებზე ბარიერი გადაელახა და რომელიმე სასწავლებელში მოხვედრილიყო, თუმცა სახელმწიფო დაფინანსებას ვერ მოიპოვებდა.

— აბა, გამოცდებზე გასვლის მცდელობას რა აზრი ჰქონდა? თუკი რეპეტიტორებთან მომზადებისთვის საჭირო ფინანსები არ ჰქონდა, უნივერსიტეტში სწავლის საფასურს მით უმეტეს, ვერ გადაიხდიდა.

— შეიძლება, სწავლის საფასური მერე თავად გადაეხადა — მუშაობას დაიწყებდა და...

გურამ ლაკიბა, *17 წლის:*

— გამოცდის წინ ძალიან არ ვღელავდი. ტესტები რთული არ იყო. რეპეტიტორებთან მთელი წელი ვემზადებოდი, მაგრამ ბოლო თვეს სწავლა გავაძლიერე — დღეში 4 მასწავლებელთან დავდიოდი.

— სად გინდა სწავლის გაგრძელება?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტი ავირჩიე.

— რატომ?

— რა ვიცი, ისე.

— რას ნიშნავს „ისე“?

— ჯერ მართლა არ ვიცი, რა მინდა.

— მოსაფიქრებლად საკმარისი დრო არ გქონდა?

— ფიქრით თავს დიდად არ ვიწუხებდი. უბრალოდ, ბოლო წელს რეპეტიტორებთან ვემზადებოდი და ვიცოდი, რომ სტუდენტი უნდა გავმხდარიყავი. გამოცდაზეც ამიტომ გავედი. ჯერ ეროვნულ გამოცდებს ჩავაბარებ და პროფესიას მერე ავირჩევ: ჰუმანიტარულ ფაკულტეტს ბევრი განხრა აქვს.

— სახელმწიფო დაფინანსების იმედი გაქვს?

— როგორც ვსწავლობდი, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 50%-იანი დაფინანსების იმედი მაქვს.

— რატომ?

— ვზარმაცობდი და იმიტომ.

— მერე ის ფინანსები არ გენანებოდა, რომელიც შენს მოსამზადებლად, მშობლებმა რეპეტიტორებზე დახარჯეს?

— ჰოდა, ბოლო დროს სწავლას მაგიტომაც მოვუმატე — დავფიქრდი!

ხატია მაისურაძე, *19 წლის:*

— სკოლაში საგნებს ძალიან კარგად გვასწავლიდნენ. მაგალითად, ქართულის ისეთი მასწავლებელი გვყავდა, კლასში ერთი ბავშვიც რომ მჯდარიყო, გაკვეთილს მაინც ჩაატარებდა. მათემატიკას თავად სკოლის დირექტორი გვასწავლიდა... გამოცდებზე გასვლის მაინც მეშინოდა. ამიტომ

გაგრძელება იხ. გვ. 89

„ლუკოილ ჯორჯია“ მოწოდების სიმაღლეზე

„ვინც ერთხელ ისარგებლებს ჩვენი სერვისით, საფუძველი არ ექნება, მეორედ სხვა არჩევანი გააკეთოს“

საწვავი ის პირველადი მოხმარების პროდუქტია, რომელზე მოთხოვნაც მაღალია და შესაბამისად, მისი მოხმარებაც. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საზოგადოებას ხშირად აინტერესებს, რამდენად სწრაფად მოქმედებს მსოფლიო ფასები ადგილობრივ ბაზარზე, არსებობს თუ არა ჩვენში საწვავის ხარისხის კონტროლი და რამდენად კონკურენტულ გარემოში უხდება მომხმარებელს არჩევანის გაკეთება. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ, კომპანია „ლუკოილ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, შავლეგ მიშველაძეს მივმართეთ.

ლუკოილი

შავლეგ მიშველაძე:

— ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, გვქონდეს საკუთარი ნავთობი და შესაბამისად, იმპორტირებული საწვავი, რომლის შემოტანაც რამდენიმე კომპანიის მიერ სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ხორციელდება, სრულად განსაზღვრავს საქართველოში არსებულ საწვავის ფასს. ტონა საწვავზე ნავთობპროდუქტების ფასი ამ რეგიონისათვის, ყოველდღიურ რეჟიმში, უქმეების გარდა, განისაზღვრება გენუის platts-ის მიხედვით. კომპანიები, რომლებიც საწვავის იმპორტირებას ევროპიდან ახდენენ და მათ შორის, უპირველესად, „ლუკოილ ჯორჯია“, ლოჯისტიკური გეგმისა და გრაფიკის შესაბამისად, ყოველთვიურად ახდენენ იმპორტის ოდენობის განსაზღვრას. საზოგადოდ, ყველა კომპანიას აქვს ინდივიდუალური ხელშეკრულება ქარხანა-მწარმოებელთან და ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობების შესაბამისად ხდება ადგილზე ნავთობპროდუქტების საწყისი ფასის განსაზღვრა. საბოლოო ფასის ჩამოსაყალიბებლად, ამას ემატება სხვადასხვა სახის სატრანსპორტო ხარჯი, ყველა ის საბაჟო-საგადასახადო პროცედურა და გადასახადი, რაც გათვალისწინებულია ქვეყნის კანონმდებლობით, და შიდა ლოჯისტიკური ხარჯები: ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გადაზიდვა, კომპანიის სხვადასხვა სახის სახელფასო, საინვესტიციო თუ ინფრასტრუქტურის შენახვა-განვითარებისათვის საჭირო ხარჯი.

„ლუკოილ ჯორჯია“, საქართველოში მისი არსებობის დღიდან, ბულგარეთში, ქალაქ ბურგასში არსებული და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო, „ლუკოილის“ კუთვნილი, „ევრო 5-ის“ უმაღლესი სტანდარტით აღჭურვილი ქარხნიდან მარაგდება. ეს ნიშნავს არა მხოლოდ პროდუქციის გარანტირებულ ხარისხს, არამედ უფრო გამარტივებულ და სტაბილურ ურთიერთობას საკუთარ ქარხანა-მწარმოებელთან, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, გარკვეულ პროდუქტებზე სისტემატურად შევინარჩუნოთ დაბალი ფასი.

— რამდენ ხანში აისახება მსოფლიოს ბირჟაზე ნავთობპროდუქტების გაძვირება ან გაიაფება ადგილობრივ საცალო ქსელში?

— გარწმუნებთ, რომ platts-ის ყოველდღიური რყევა ადგილობრივ ბაზარზე მყისიერ გავლენას არ ახდენს. მაგალითად, 2010 წლის განმავლობაში, ჩვენს ქსელში ფასების კორექტირება, მატებისა თუ კლების თვალსაზრისით, 7-ჯერ მოვახდინეთ. მიზეზთა შორის უმთავრესი კი ის არის, რომ მსხვილ იმპორტიორ კომპანიას ყოველთვის აქვთ საწვავის გარკვეული მარაგი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, მომხმარებელს გავუხანგრძლივოთ ბაზარზე იაფი საწვავის არსებობის პერიოდი.

— იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ 100%-ით, იმპორტირებულ საწვავს მოვიხმართ, ნავთობპროდუქტები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ალბათ მაინც ძალიან ძვირია, არა?

— ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ეკონომიკური პოტენციალი აქვს თურქეთს, მაგრამ იქ საწვავი სულ მცირე, ორჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე საქართველოში. ასე რომ, შეფასებისას — ძვირია თუ არა საწვავი საქართველოში — რაღაც ათვლის წერტილი უნდა არსებობდეს. ჩვენთან საწვავი უფრო ძვირია, ვიდრე აზერბაიჯანში ან დუბაიში, მაგრამ იაფია თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით.

— რამდენად მწვავეა კონკურენცია ბიზნესის ამ სეგმენტში და რით უწევს კონკურენციას „ლუკოილ ჯორჯია“ სხვა ნავთობიმპორტიორებს?

— კონკურენცია ბაზარზე ნამდვილად დიდია და ეს ერთი შეხედვითაც ჩანს. „ლუკოილი“ არა მხოლოდ ქართული ბაზრის, არამედ მსოფლიოში აღიარებული ბრენდია, რაც კომპანიის მიმართ ნდობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს. „ლუკოილ ჯორჯია“ ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც საქართველოში ევროპული საწვავის იმპორტი დაიწყო. ჩვენ საქართველოში ვახორციელებთ იმავე ხარისხის საწვავის იმპორტს, რაც აღნიშნული ქარხნიდან იგზავნება ევროკავშირის ქვეყნებში. იმისათვის, რომ მუდმივად ვაწარმოოთ ხარისხის კონტროლი, შევიძინეთ ლაბორატორია, სადაც შერჩევითობის პრინციპით, ყოველდღიურ რეჟიმში შედის სინჯები და მოწმდება ყველა შესაძლო პარამეტრით. ასე რომ, ვინც ერთხელ ისარგებლებს „ლუკოილის“ სერვისით, საფუძველი არ ექნება, რომ მეორედ სხვა არჩევანი გააკეთოს.

P.S. „ლუკოილ ჯორჯიას“ დაბადების დღე ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ემთხვევა. წელს კომპანიამ თავად მოუწყო სასიამოვნო სიურპრიზი ყველა მომხმარებელს და 8 წლის იუბილე უპრეცედენტო ფასდაკლების აქციით აღნიშნა — ერთი დღის განმავლობაში ყველა სახის საწვავი 15 თეთრით გააიაფა, თითოეული გაყიდული ლიტრიდან კი ერთი თეთრი თბილისისა და საგურამოს ბავშვთა სახლებს გადაურიცხა. ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის დროს „ლუკოილ ჯორჯიამ“ ესპანეთის ფან-კლუბი წარმოგვიდგინა და მხოლოდ ის დაგვრჩენია, ქომაგი გუნდის ჩემპიონობა მივულოცოთ. 24 ივლისს კი „ლუკოილ ჯორჯია“ „ვარდების მოედანზე“ „მედიარალის“ აწყობს და მონაწილეობის ყველა მსურველს ეპატიჟება.

სახე

„ფერადი“ ოჯახის შვილებმა საქორწინო სტარტი აიღეს და სპორტსმენები დაატყვევეს

ლამაზმან მარი ასათიანს ერთი წლით უფროსი და ჰყავს, რომელსაც მარისგან განსხვავებით, შავი თმა აქვს. გავიგე, რომ დებს ქერა ძმა ჰყავთ. გადავწყვიტე, დები რუბრიკაში — „დედმამიშვილები“ ჩამეწერა და „ფერადი“ დედმამიშვილობის ამბები გამომეკითხა. ერთხელ დაგეგმილი ინტერვიუ გადაიდო. ამის მიზეზი — მარის დის გათხოვება იყო. მაგრამ დებთან შეხვედრა მალევე მოვახერხე. ალბათ ყველას გახსოვთ, რომ ცოტა ხნის წინ მარი კალათბურთელ ბექა წივწივაძეს გაჰყვა ცოლად. როგორც გავიგე, მარის სიძეც სპორტსმენია.

მერი კოტიაშვილი

ხელოვანი ხალხი ვართ

— ანი, პირველ რიგში, გაბედნიერებას გილოცავ! შენი რჩეული ვინ არის?

— ფეხბურთელი ზურა არზიანი. ზურა რუსეთის გუნდის — „ანჟის“ მცველია.

— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— შვებულება ჰქონდა და საქართველოში ჩამოვიდა. ჩემი მეგობრის ახლობელი აღმოჩნდა. გავიცანი და მალევე დაიწყო ჩვენი სასიყვარულო ამბავი. დაახლოებით ორ თვეში ეს ურთიერთობა დაქორწინებით დამთავრდა.

— მოკლედ, ოჯახში ფეხბურთელი და კალათბურთელი სიძეები გყავთ. შეიძლება ითქვას, სპორტსმენები შეიკრიბნენ.

მარი:

— თან, ძალიან მოკლე დროში ორი ქალიშვილის გათხოვება მშობლებისთვის ადვილი არ იყო.

ორივეს ძალიან გვიყვარს ჩვენი რჩეულები

— მშობლები რას ამბობენ, ასეთ პატარა ასაკში რომ გათხოვდით?

— ხედავენ, რომ ორივეს ძალიან გვიყვარს ჩვენი რჩეულები. თვითონაც 17-18 წლის ასაკში შექმნეს ოჯახები და შესაბამისად, არც ჩვენი გადაწყვეტილება გაჰკვირვებიათ. ძალიან უყვართ სიძეები. გვყავს პატარა ძმა, რომელიც 10 წლისაა. ის ფაქტობრივად, ჩვენი გაზრდილია: როცა დაიბადა, 7-8 წლის ვიყავით. სულ ჩვენ ვასეირნებდით. ხშირად დაგვიძინებია კიდეც. მოკლედ, მასზე დიდი ამაგი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ენახულობ, მაინც ძალიან მენატრება ხოლმე. ისიც ძალიან განიცდის, რომ დები ასე მალე გავუთხოვდით და თან, მოკლე დროში. თვითონ ცოლს ჯერ ვერ მოიყვანს, ძალიან პატარაა. თუმცა დედა ეუბნება, — მოიყვანეო და ერთად გავზარდოთ, პრობლემა არ არის; მთავარია, რომ სპორტსმენი გოგო მოიყვანო: ერთი სიძე კალათბურთელია, მეორე — ფეხბურთელი, შენ კი ჩოგბურთელი ცოლი მოიყვანეო...

— თქვენ არ მისდევთ სპორტის რომელიმე სახეობას?

— არა, არც გვქონია ამის სურვილი. ხელოვანი ხალხი ვართ (*იცინის*).

— ზურა კალათბურთს, ხოლო ბექა — ფეხბურთს — თამაშობენ ხოლმე?

— მოყვარულის დონეზე თამაშობენ. ერთმანეთს არ შესჯიბრებიან, მაგრამ ფეხბურთში ალბათ ზურა მოუგებს, კალათბურთში კი — ბექა.

— რა გეგმები გაქვთ? დაოჯახების შემდეგ სად იცხოვრებთ?

ანი:

— მე ზურასთან ერთად, რუსეთში წავალ საცხოვრებლად. მაგრამ მომავალში შეიძლება, ევროპაში გააგრძელოს საქმიანობა და მაშინ იქ გადავალთ საცხოვრებლად. რა თქმა უნდა, თბილისშიც ჩამოვალთ ხოლმე.

მარი:

— წასვლას ჩვენც ვაპირებთ. ბექა სავარაუდოდ, ისრაელში წავა. მეც გავყვები და სამოდელო სფეროში ჩემს ადგილს ვიპოვი. სახლში არ დავჯდები.

— გული არ დაგწყდება, საქართველოში რომ მიატოვებ საქმიანობას?

— მგონია, რომ უცხოეთში უფრო წარმატებული ვიქნები, ვიდრე საქართველოში. ჩვენში ეს სფერო ისე არ არის განვითარებული, რომ მწვერვალები დავიპყრო. საზღვარგარეთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის უფრო მეტი საშუალებაა.

— ანი, შენ რას საქმიანობ?

— ამ მომენტში, აბიტურიენტი ვარ. „ბიზნესის მართვაზე“ ვაბარებ. გათხოვე-

ბამ ცოტა ხელი შემიშალა, მაგრამ აუცილებლად ჩავაბარებ. სერიოზულად ვაპირებ სწავლას. მინდა, ჩემი ბიზნესი მქონდეს.

— ბავშვობის ამბები გაიხსენეთ.

მარი:

— ჩვენ შორის სხვაობა მხოლოდ ერთი წელია. სკოლაში ერთად შევედით, ერთი სამეგობრო წრე გვაქვს, ვოკალის მასწავლებელთანაც ერთად დავდიოდით.

ანი:

— ჩემი და რაც გათხოვდა, ცოტა დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ ეს ბუნებრივია. ისე, ერთად ყოფნასაც ხშირად ვახერხებთ.

მარი:

— ჩვენს მეუღლეებს სხვადასხვა სამეგობრო წრე აქვთ. მაგრამ ერთმანეთთანაც უკვე მეგობრობენ. საზღვარგარეთ რომ წავალთ, ძალიან გაგვიჭირდება უერთმანეთოდ, მაგრამ ვეცდებით, დასვენების დროს სადმე ერთად წავიდეთ. რა თქმა უნდა, მარტო ანი კი არა, ჩემი ოჯახის სხვა წევრებიც მომენატრებიან. ჩემს ქმართან რომ გადავედი საცხოვრებლად, ვცდილობ, ყოველდღე ცოტა ხნით მაინც ვნახო ოჯახის წევრები. ძნელია, მაგრამ ასე ხდება: გოგო უნდა გათხოვდეს. იმის გულისთვის, რომ დედა და მამა ენატრება, შინაბერა არ უნდა დარჩეს (*იცინიან*).

— ანი, მარიმ თქვა, ვოკალის პედაგოგთან ერთად დავდოდითო, ეი. შენც მღერი. რატომღაც, მარი უფრო აქტიურია აღმოჩნდა ამ მხრივ, „ჯეოსტარშიც“ მონაწილეობდა...

— მარი უფრო გახსნილი და უკომპლექსო ბავშვი იყო ყოველთვის. მე ვნერვიულობ ხოლმე, როცა ბევრი მსმენელი მყავს და ამის გამო შეიძლება, ვერ გამოვამჟღავნო ჩემი შესაძლებლობები.

მარი:

— ანი სახლში ძალიან კარგად მღერის, მაგრამ მაყურებლის წინ ნერვიულობისგან შეიძლება, ხმა აუკანკალდეს. ეს კი უკვე ხარვეზია — ვინმე იფიქრებს, ცუდად მღერისო.

ზურა რუსეთის გუნდის — „ანეის“ მცველია

— მარი, შენს ქორწილში დებმა დუეტი არ იმღერეთ?

— ჩემს ქორწილში მომღერლები მყავდა ძალიან კარგი და აღარ დაგვჭირდა. ანის ქორწილში აუცილებლად ვიმღერებთ ერთად.

ანი:

— გადაწყვეტილი მაქვს, რომ ქორწილისთვის ჩემი ფეხბურთელი ქმარი და კალათბურთელი სიძეც ვამღერო.

მარი:

— მე და ბექამ ჩემს ქორწილში ერთად ვიმღერეთ. არ მოველოდი — ძალიან კარგი სმენა და ხმა აქვს. ამ საკითხზე საკუთარ თავზე არასდროს უმუშავია. ვუუბნები, ბავშვობიდან რომ მისულიყავი მუსიკის პედაგოგთან, ახლა კარგი მომღერალი იქნებოდი-მეთქი... ჩვენს ბავშვობას დავუბრუნდები. მე ძალიან წყნარი ვიყავი, ანი კი — ყოველთვის „გიჟი“ და აქტიური იყო. ეზოშიც, უხეშად რომ ვთქვათ, „პალაჟენია“ მიჰყავდა (*იცინიან*).

ანი:

— სულ ბიჭებთან ვმეგობრობდი. ფეხბურთის თამაში მერჩივნა თოჯინებით თამაშს.

მარი:

— ანის შეეძლო, ბოძზეც კი ამძვრალიყო. მე ამას ვერასდროს ვახერხებდი. რომ გავიზარდეთ, ცოტათი დავჭკვიანდით. მართალია, ანი ჩემზე უფროსია, მაგრამ დაჭკვიანებას ვერ დაიკვეხნის.

— რომელი უფრო კარგად სწავლობდით?

— სულ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სწავლაში და კარგად ვსწავლობდით.

— გარეგნულად ერთმანეთს ჰგავხართო, მაგრამ შენ „რიჟა“ ხარ, შენი და — შავთმიანი და, როგორც ვიცი, ძმა ქერაა...

— რატომღაც, ძალიან „ფერადი“ ოჯახი ვართ. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. მე და ანის დედასაც გვამსგავსებენ და მამასაც. „რიჟა“ არც ერთი არ არის. არ ვიცი, ამ მხრივ ვის ვგავარ. ქერა წინაპარიც გვყავს, მაგრამ „რიჟა“ არავინ გვყოლია.

ანი:

— ძალიან ბევრი გვეუბნება, — ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავხართო. ბევრ უცხოს კი უკითხავს, შენ მარი ასათიანის და ხომ არა ხარო?

— ორივეს თმა ერთ ფრად რომ შეგეღებათ, ამაზე არ გიფიქრიათ?

— ერთხელ ვცადე, მაგრამ ზუსტად მარისნაირი ფერის თმა არ გამოვიდა.

მარი:

— მე კი ასეთი მცდელობა არც მქონია, არ მიფიქრია, თმა შავად შემღება. ჩემი თმის ფერით ძალიან კმაყოფილი ვარ.

ანი:

— ბავშვობაში მარის ყველა „რიჟიკას“ და ხუჭუჭას ეძახდა, მე ამაზე ძალიან ვმწარდებოდი. ერთხელ სანთებელა, ავიღე და თმაზე მოვუკიდე (*იცინის*). ამის გამო ძალიან დავისაჯე.

— მარი, როგორ გადაურჩი დის გაჩალიჩებულ ოინს?

— დებილი ბავშვი ვიყავი — ხმაც არ ამომიღია. რაც ყველაზე საოცარია, მინდოდა, შავი თმა მქონოდა და ვტიროდი, — რატომ მაქვს „რიჟა“ თმა-მეთქი?!. მაწყნარებდნენ და მეუბნებოდნენ, — „რიჟები“ ჭკვიანები არიან და უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი ხარო.

— მოკლედ, ანი ძალიან გჩაგრავდა, როგორც მივხვდი...

— კი. სამაგიეროდ, მშობლები ანის

მარი უფრო გახსნილი და უკომპლექსო ბავშვი იყო

ჩაგრავდნენ: იცოდნენ, რომ მე არასდროს ვიქნებოდი დამნაშავე. არადა, მისთვის რომ მოგესმინათ, ყველაფერს მე გადმომაბრალებდა. მაგრამ კარგად იცოდნენ მისი „ტარტაროზობის“ ამბავი და ყველა მე მამართლებდა. არც ახლა ვარ კონფლიქტური.

— ანი, მოდელობა არ გიცდია?

— მცდელობები მქონდა, მაგრამ ალბათ უფრო ფოტომოდელი ვიქნები, ჩემი მონაცემებიდან გამომდინარე. პოდიუმზე რომ გამოვიდე, საჭიროა, უფრო მაღალი ვიყო.

— დებს რაიმე ერთობლივი გეგმა ხომ არ გაქვთ?

მარი:

— ბექამ და ზურამ გადაწყვიტეს, რომ ბინები მეზობლად იყიდონ. კარგი იქნება, თუ მეზობლები ვიქნებით. ეს უფრო ჩვენი მეუღლეების იდეა იყო და ჩვენც მოგვწონა. მართალია, ჯერ საზღვარგარეთ ვაპირებთ წასვლას, მაგრამ მერე ხომ მოგვიწევს საქართველოში დაბრუნება.

— პატარას ხომ არ ელოდებით რომელიმე?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ მინდა.

ანი:

— მე კი გადავწყვიტე, ერთი წელი მაინც შვილი არ მყავდეს. ■

პირველი ვიცე-სპიკერის ქონება და ჯანსაღი ცხოვრების სტილი

ბაბუის ნაქონი ბინა, სახლი ჭორვილაში, აგარაკი ტაბახმელაში...

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის, მიხეილ მაჭავარიანის ქონებრივი დეკლარაცია „სიუხვით“ არ გამოირჩევა: მის სახელზე არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები და სამეწარმეო საქმიანობა არ ფიქსირდება, მოცემულია მხოლოდ საბანკო ანგარიშები, მისი მეუღლის — სოფო ჟღენტის საკუთრებაში არსებული თანხა (5.900 ლარი) და ცოლ-ქმრის ხელფასები. რუსთაველზე გაზრდილი თანამდებობის პირი ახლაც ბაბუის დროინდელ სახლში ცხოვრობს და ფულის საკითხში, მუშნი ზარანდიას პრინციპს ეყრდნობა, რადგან „დიდ ფულს დიდი თავის ტკივილი და პრობლემები აქვს“.

თამთა დადეშელი

— ბატონო მიხეილ, თქვენი ქონებრივი დეკლარაცია ძალზე მწირი, თითქმის ცარიელია...

— დიდ ქონებას არ ვფლობ, ასე რომ, რაც არა მაქვს, იმას ვერ ჩავწერდი. ბაბუაჩემის დროინდელი (ვანო მდინარაძე) სახლი გვაქვს რუსთაველზე. ის მუშად მუშაობდა თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში, კარგი თანამშრომელი იყო და 1939 წელს 2 ოთახი და ავტომობილი აჩუქეს, რაც მაშინ იშვიათობა იყო. 1941 წელს ფრონტზე წავიდა და იქიდან აღარ დაბრუნებულა. ამ 2 ოთახში ვიზრდებოდით, მერე კი ნელ-ნელა გავფართოვდით და 1980-იანი წლების ბოლოს კიდევ 1 ოთახი შემოვიმატეთ. როცა ცოლი მოვიყვანე, მისი ბინა გავყიდეთ და კვლავ გავფართოვდით. ძალიან კარგი ეზო გვქონდა — ქართულ ლაპარაკსაც გაიგონებდი, სომხურსაც და ქურთულსაც. ტრადიციული თბილისური ეზო იყო (არა — „იტალიური“), სადაც საერთო აივანზე ნარდსაც თამაშობდნენ, დომინოსაც, ქეიფობდნენ კიდეც და ა.შ. ახლა ეს ტრადიცია ცოტა დაიკარგა, ზოგი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. ასევე გვაქვს ბებიაჩემის მამის დატოვებული სახლი ცხრა ძმის ქუჩაზე, რომელიც გვინდა, გავყიდოთ და თანხა ახალი ბინის სამშენებლოდ შევიტანოთ. ეს გეგმაში გვაქვს და ალბათ, წლის განმავლობაში განვახორციელებთ.

— როგორი ავეჯითაა გაწყობილი თქვენი სახლი — ძველებურით თუ თანამედროვეთი?

— ალბათ, ორივე-ნაირით. ბაბუაჩემის ნაქონი მაგიდა და ჭურჭლის კარადა გვაქვს. მე და ჩემმა მეუღლემ რესტავრაცია გავუკეთეთ, რაღაც ახალი ნივთებიც შევიძინეთ. მე და სოფოს ნამდვილად არა გვაქვს ცუდი ხელფასი და შეგვიძლია, პერიოდულად, ძალიან მაგარი — არა, მაგრამ საშუალო დონის ნივთები ვიყიდოთ. ვფიქრობ, რა შემოსავალიც გვაქვს, ნამდვილად, შეესაბამება იმ ქონებას, რომელსაც ვფლობთ. ფასიანი ქაღალდები არ გამაჩნია. რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, მაქვს სადეპოზიტო.

— რაიმე ძვირფასი საოჯახო ნივთი თუ გაქვთ?

— ამ წლების განმავლობაში დაგროვდა რაღაც ნივთები. მათგან რომელიმეს განსაკუთრებით ვერ გამოვყოფ, მაგრამ არის ნივთები, რომლებიც ბებია-ბაბუებისგან დამრჩა. ვერ ვიტყვი, ძვირფასებია-მეთქი, მაგრამ ჩემთვისაა ძვირფასი. ბებიაჩემის ნაჩუქარი პიანინო გვაქვს. ჯერჯერობით, ჩემი ქალიშვილი ერთობა მასზე, ვითომ უკრავს.

— თავად თუ გეხერხებათ სიმღერა ან რაიმე ინსტრუმენტზე დაკვრა?

— დაკვრა არ მეხერხება და როცა ცოტა ნასვამი ვიყავი, მეგობრებთან ერთად ვმღეროდი ხოლმე. ახლა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 4 წელია, აღარ ვსვამ.

— სპორტის რომელიმე სახეობაზე თუ დადიოდით ბავშვობაში?

— კი, თუკი რამეზე შეიძლებოდა სიარული, ყველგან მატარა დედაჩემმა, — ცურვაზე, წყალბურთზე, ფრენბურთზე, კალათბურთზე... ერთადერთი — ფეხბურთზე არ მივლია. ძალიან მიყვარს და მეგობრებთან ერთად სისტემატურად ვთამაშობ ფეხბურთს, როგორც წესი — კვირაში ერთხელ. ახლა ზაფხულია და ცოტა მოვუხშირებთ. დილაობით კი ვსეირნობ ხოლმე, ფუნიკულორზე დავდივარ ფეხით.

— თქვენს შვილებზე რას გვეტყვით?

— ვადო 9 წლისაა, ბარბარე კი — ოთხის. ვადო „ბაკურ სულაკაურის საავტორო სკოლაში“ სწავლობს. ბავშვების აღზრდის საკითხში, მთლიანად ჩემს მეუღლეს ვენდობი. მოვიტყუები, რომ ვთქვა, არ გამიხარდებოდა, პირველ სკოლაში რომ მისულიყვნენ-მეთქი, მაგრამ არ შევეწინააღმდეგე: იქ სწავლის განსხვავებული მეთოდია და მომწონს. 4 საათამდე სკოლაში არიან და გაკვეთილების ნაწილსაც იქვე ამზადებენ.

— რაიმე დანაზოგი თუ გაქვთ?

— ჩემმა ძმამ, როცა მადნეულის კომპანიაში მუშაობდა, ჩემს შვილებს საბანკო ანგარიშები გაუხსნა — თითოეულს 10.000 დოლარი და მე და ჩემი მეუღლე შევთანხმდით, რომ ამ თანხას ბავშვებს სწავლისთვის შევუნახავთ. როცა წლის განმავლობაში მივლინებიდან თანხების დაზოგვას ვახერხებ, იმასაც ვინახავ. დეკლარაციაში ყველა მათგანია მითითებული, წყაროებიც კი — რა საიდან მაქვს. ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ჩემთვის ისაა, რომ ჩემს შვილებს მივცე კარგი განათლება, თბილისშიც და თუ საჭირო გახდება — უცხოეთშიც.

— ზაფხულში სად ისვენებთ ხოლმე? აგარაკი გაქვთ?

— ჩემთვის ყველაზე კარგი დასასვენებელი ადგილი, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს, ჩემი სოფელია. თბილისიდან 175 კილომეტრის დაშორებითაა — საჩხერის რაიონის სოფელი ჭორვილა. კარგი სახლი გვაქვს; მე და ჩემმა ძმამ ცოტა ხელი შევავლეთ და გავაკეთეთ; ლამაზი ეზო გვაქვს, ვენახი — პატარაა, მაგრამ კარგი მოსავლის დროს, 300 ლიტრი ღვინო იწურება, ისე კი — 100-150

მაინც, ასე რომ, იმერული ღვინო ყოველთვის გვაქვს ოჯახში. ასე რომ, ადგილი, სადაც ყველაზე კარგად ვისვენებ, ჩემი სოფელია. ვცდილობ, თვეში 2-ჯერ, 3-ჯერ იქ ჩავიდე და ყოველთვის კარგად დასვენებული ვბრუნდები. მიწის ნაკვეთი მაქვს დიღმის მეურნეობაში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობისას მივიღე (და არა როგორც დეპუტატმა). ჩემი მეუღლის მამას ტაბახმელაში აქვს აგარაკი და ზაფხულის ნაწილს იქ ვატარებთ ხოლმე. მერე კი — ბათუმი და სოფელი. ბავშვები არდადეგების დაწყებისთანავე მიგვყავს იქ და დიდი ჟრიამული აქვთ ხოლმე.

— თბილისში სად დადიხართ მეგობრებთან ერთად? სად ერთობით?

— მეგობრების ოჯახებში, ან ისინი მოდიან ჩვენთან. რესტორნებსა და მენიუებს ძირითადად, მხოლოდ მაშინ ვეცნობი, როცა უცხოელ სტუმრებს ვეპატიჟებით. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, რომ ოჯახთან ერთად ვიარო რესტორნებში, დრო არ მყოფნის. თუ რაიმე კარგი კონცერტია, მივდივართ. თუ კარგი მატჩია, ფეხბურთს ვუყურებ ტელევიზორში. ჯერჯერობით შანსი არ მქონია, მსოფლიოს ან სხვა რომელიმე ჩემპიონატის მატჩებს სტადიონზე დავსწრებოდი. ამ მიზანსაც თუ დავისახავ, აუცილებლად მივაღწევ. სამხრეთ აფრიკაში წასვლას არ ვაპირებ, შორია და მეზარება. ევროპაში თუ იქნება, უკრაინაში ან პოლონეთში, ვეცდები, იქ მოვხვდე. ეს 2012 წელს იქნება.

— პროფესიიდან გამომდინარე ალბათ, ბევრს მოგზაურობთ. რომელ ქვეყანას გამოარჩევდით?

— სამსახურის გამო მიწევს გამგზავრება ამა თუ იმ ქვეყანაში. სტრასბურგში მიწევს ხშირად ჩასვლა, ვინაიდან იქ საპარლამენტო ასამბლეა ტარდება. გერმანია-საფრანგეთის მოსაზღვრეა და რეისი თუ შაბათ-კვირას ემთხვევა, ზურა ჭიაბერაშვილის დახმარებით დავდივარ ხოლმე და ძალიან ლამაზ ადგილებს ვათვალიერებ. სტამბოლშიც ხშირად ჩავდივარ: შავი ზღვის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ვარ, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი და ადრე ვიცე-პრეზიდენტიც ვიყავი. 12 ქვეყანაა გაერთიანებული და რუსეთის გარდა, ყველგან შემიძლია წასვლა. წელს სტამბოლში ვიყავი, მაგრამ სერბეთში ვერ წავედი, რადგან სტრასბურგს დაემთხვა. ეგვიპტეში ვარ ნამყოფი. ჩინეთი მაინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ვანო (ჩემი ძმა) ელჩი იყო იაპონიაში, იქაც ვერ მოვხვდი... ბევრი დრო რომ მექნება, სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაშიც წავალ სიამოვნებით. ამერიკის კონტინენტზე მხოლოდ აშშ-ში ვარ ნამყოფი. ვერ ვიტყვი, რომ ბევრს ვმოგზაურობ. მხოლოდ სამსახურის გამო მიწევს. ბოლოს, დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ვიყავი აშშ-ში. ესპანეთი მომეწონა ძალიან, თანაც — 1989 წელს ვიყავი, სტუდენტური გაცვლა იყო და კარგად დამამახსოვრდა ეს ქვეყანა.

— სუვენირები თუ ჩამოგაქვთ ხოლმე?

— პატარა თეფშები. ადრე დედაჩემი ინახავდა ხოლმე და ვინაიდან ახლა ერთი და იმავე ქვეყნებში დავდივარ, აზრი აღარ აქვს ჩამოტანას, — ერთნაირებს ხომ არ შევაგროვებ?

— რაიმე კოლექცია ხომ არ გაქვთ?

— ადრე ვისკისა და კონიაკის ნიმუშებს ვაგროვებდი. ახლაც მაქვს, მაგრამ სმას თავი რომ დავანებე, აღარ ვყიდულობ. 150-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ვისკი, კონიაკი და სხვა სასმელები მაქვს. პორტუგალიაში რომ ვიყავი, იქაური ღვინო წამოვიღე; მაქვს შოტლანდიური, ირლანდიური, თურქული — რაკიო და ა.შ. ეგზოტიკური რაღაცებიც მაქვს — საერთო ჯამში, კარგი კოლექციაა.

— მეუღლისთვის რა საჩუქრები ჩამოგაქვთ?

— ყოველთვის ჩამომაქვს რაიმე, ძირითადად — სუნამო. ყურადღება ჩემთვის ყველაზე მთავარია. შვილებსაც ძალიან უხარიათ ხოლმე, განსაკუთრებით — გოგონას.

— ტანსაცმელს სად ყიდულობთ?

— აი, ეს საკითხი ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს — დიდი ხნის განმავლობაში შემიძლია მეცვას ერთი და იგივე. არ მაქვს რაიმე ბრენდი ამოჩემებული, რაც შემხვდება, იმას ვყიდულობ, ისიც — იშვიათად. თუ რაღაც მოვირგე და მომეწონა, სანამ არ გავცვეთ, მანამდე მაცვია. ფეხსაცმელს მეტ ყურადღებას ვუთმობ, რადგან პრობლემური ფეხი მაქვს და თუ კარგად არ მოვირგე, მტკენს.



თუ რაღაც მოვირგე და მომეწონა, სანამ არ გავცვეთ, მანამდე მაცვია

— სპორტული სტილი მოგწონთ?

— კი, შაბათ-კვირას ყოველთვის ამ სტილისას ვიცვამ.

— რა აქსესუარებს ხმარობთ?

— საათს, რომელიც დიდი ხნის წინ ჩემმა სიმამრმა მაჩუქა. სხვებიც მაქვს, მაგრამ ეს ამოვიჩემე. საქორწინო ბეჭედს ვატარებ და ჩემი მეუღლე სულ მეუბნება, არ დაკარგოო, იმიტომ, რომ თამაში მიყვარს თითებით... ჰალსტუხი დიდად არ მიყვარს, 3 ცალი მაქვს ამოჩემებული — წითელი, ლურჯი, ცისფერი ელემენტებით და ვარდისფრით.

— რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონთ?

— ჭამის მხრივ, ძალიან ადვილი შესანახი ვარ, პრეტენზიული არ გახლავართ. რძის პროდუქტები მიყვარს, წიწიბურა — შეგნებულად არ გეუბნებით მის რუსულ სახელწოდებას... ლობიო, განსაკუთრებით — ჩემს სოფელში გაკეთებული. ჩემი მეუღლე გემრიელ საჭმელებს აკეთებს ხოლმე, თავისი ფანტაზიით, ძალიან მომწონს. მანამდე, დედაჩემიც მანებივრებდა. ყველაფერს მირჩევნია იმერული უბრალო სუფრა — მჭადი, დატეხილი ყველი, ხაჭაპური, ლობიო, მწნილი და ა.შ. ბრაზილიური სამზარეულო გამისინჯავს, სტრასბურგშია და ძალიან მიყვარს. დელეგაციას ტრადიციად გვაქვს იქ მისვლა. ინდურიც მომწონს, ჩინურიც, უკრაინულიც და ა.შ.

— რა მარკის ავტომობილი გაქვთ?

— ადრე რაც გვყავდა, გავყიდეთ, იმ თანხით ახალი მანქანა გამოვიყვანეთ განვადებით და თვეში გარკვეულ თანხას ვიხდით. ჯიპია და უფრო მოსახერხებელია ჩემთვისაც და სოფოსთვისაც.

— თქვენი მეუღლე სად მუშაობს?

— სოფო 2 ადგილას მუშაობს — „აიეტიში“ და ტურისტულ სააგენტოში, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერია. არც ერთ ადგილზე მოწყობაში არ დავხმარებივარ, თვითონ მიაღწია ყველაფერს.

— დიდ თანხას თუ ინატრებდით და რაში დახარჯავდით?

— ღმერთის წყალობით, რაც მაქვს, იმის კმაყოფილი ვარ. მაინც, მუშნი ზარანდიას პრინციპის მომხრე ვარ — კაცი უნდა „ეყო“ ხელფასს, რადგან ის არასოდეს გეყოფა... ერთ რამეს ვისურვებდი — რომ შემოსავალი, რომელიც ჩემს ოჯახს აქვს, იმ ადამიანებსაც ჰქონდეს, ვისაც უჭირს. დიდ ფულს დიდი თავის ტკივილი და პრობლემები ახლავს. იმასაც სწორად უნდა დახარჯვა. ბევრ კარგ ადამიანს ვიცნობ, ვინც კეთილ საქმეებში ხარჯავს დიდ ფულს. სამწუხაროდ, სხვანაირებიც არიან... ■

მოსკოვური კონცერტებით დაწყებული კარიერა და პრესტიჟული თანამდებობა

ნინა წკრიალაშვილმა **სასიმღერო კარიერა საკმაოდ ადრეულ ასაკში დაიწყო. უამრავი კონცერტი, გასტროლი, წარმატება ისედაც თამამ და ცელქ ბავშვს ალბათ, კიდევ უფრო მატებდა თავდაჯერებულობას. 25 წლის ასაკში ჩაწერილმა სიმღერამ — „მატირე“ — სექსუალური იმიჯის მქონე გოგონას ეკრანზე გამოჩენისთანავე პოპულარობა მოუტანა. გავიდა ხანი და კულტურის სამინისტროში თანამდებობაზე ნინას დანიშვნას ხალხი არაერთგვაროვნად შეხვდა... ბევრიც იჭორავეს... მაგრამ ნინა მაინც აქტიურად განაგრძობს საყვარელი საქმის კეთებას და ცდილობს, დაკისრებულ მოვალეობას შეძლებისდაგვარად კარგად გაართვას თავი...**

თამთა დადეშელი

— საერთოდ, ძალიან აქტიური ადამიანი ვარ. ბაღშიც ძალიან მოუსვენარი ვიყავი. სკოლაში, გასაუბრების შედეგად, 5 წლის ასაკში მიმიღეს. ყველაფერი ვიცოდი, რაც პირველ-მეორე კლასელს უნდა სცოდნოდა და ამ ყველაფერს როდის ვითვისებდი, არც კი მახსოვს. ყველაზე ცელქი ვიყავი და ფანტასტიკურად ვსწავლობდი. მშობელთა კრებებზე აღნიშნავდნენ თურმე, — წკრიალაშვილი საშინლად კი იქცევა, მაგრამ კარგად სწავლობს და ეპატიებაო. თურმე ბიჭებს ვცემდი ხოლმე, არ ვიცი, რატომ. უსამართლობას ვერ ვიტანდი და, ჩემი ჭკუით, საქმეებს ვაგვარებდი, ვინმე რომ არ დაჩაგრულიყო. მუხლებზე დღემდე მეტყობა ნაიარევი, სულ გადატყავებული რომ დავდიოდი (*იცინის*).

— მუსიკალურ სასწავლებელში დადიოდით?

— ძალიან მეზარებოდა მუსიკაზე სიარული, მაგრამ ადვილად ვითვისებდი და ძალით „დამათრევდნენ“. ასევე, ვმღეროდი ანსამბლში — „აი ია“ და იმდენად დაკავებული ვიყავი, საერთოდ არ მქონდა თავისუფალი დრო. ბავშვობა ჩემთვის, ყველაფერ კარგთან ასოცირდება. კარგად რადგან ვსწავლობდი, ყველა სურვილს მისრულებდნენ, თუ ცუდ ნიშანს მივიღებდი, მსჯიდნენ — 1 კვირა სათამაშოდ გარეთ აღარ მიშვებდნენ. თუმცა საერთოდ, ბავშვობა ჩემთვის, ასოცირდება მყუდრო და თბილ ოჯახთან, სადაც 3 ბავშვი ვიზრდებოდით; ძალიან „ვარდისფერი“ პერიოდი იყო...

— რა პროფესიის არიან თქვენი მშობლები?

— დედა ბიოლოგია (ახლა აღარ მუშაობს), მამა კი პროფესიით ღვინის ტექნოლოგია; ქარხანა აქვს, ოღონდ არა ღვინის, არამედ ხილის გადამამუშავებელი... ჩემი და 3 წლით უმცროსია ჩემზე, ძმა კი — 7-ით. ორივენი იურისტები არიან. 2 ძმისშვილი და 1 დისშვილი მყავს.

— სკოლაში სწავლის პერიოდში კონცერტებში მონაწილეობდით?

— 8 წლიდან აქტიურად ვიყავი ჩაბმული ამ საქმეში. გასტროლები არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, არამედ საზღვარგარეთაც გვქონდა. საქართველოს მასშტაბით კი ბევრ ცნობილ ანსამბლთან ერთად გამოვდიოდით ხოლმე — „მზიურთან“, „ლახტთან“, „ნერგებთან“, „ჩიორასთან“. ხშირად ვმონაწილეობდით საახალწლო თუ საბავშვო ტელეგადაცემებში. მოკლედ, ბავშვობიდანვე ახლობელი იყო ეს სფერო ჩემთვის. მოსკოვის ტელევიზიაში იყო გადაცემა — „შირე კრუგ“. გრანდიოზული კონცერტები იმართებოდა, ალა პუგაჩოვა, ანჟელიკა ვარუმი, იგორ ნიკოლაევი, მთელი შოუბიზნესის ვარსკვლავები გამოდიოდნენ, ჩვენ კი, პატარები, რანაირად ვხვდებოდით იქ, არ ვიცი, თანაც — 3 წელი... მაშინ არ მიჩნდებოდა ეს კითხვა.

— ალბათ კარგი მენეჯერი გყავდათ...

— ალბათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენც ვამართლებდით, იმიტომ, რომ იქ ცუდებს არ მიიღებდნენ.

— რა პროფესიის ხართ?

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ძალიან მინდოდა, თეატრალურში ჩამებარებინა, მაგრამ ჩემი ოჯახი სასტიკი წინააღმდეგი იყო, ვერ ვხვდები — რატომ. ბოლოს ისე მოხდა, რომ მაინც სცენაზე მომიწია გასვლამ. მაშინ არეულობა იყო; დაახლოებით, 1993-94 წლები, და უნივერსიტეტში, უცხო ენების ფაკულტეტზე ჩავაბარე — ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ვარ. მაგისტრატურაც დავამთავრე, რაღაც თემაც დავწერე და იქაც სტუდენტად ვითვლებოდი, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ეს ის არ იყო, რაც მინდოდა. ვერასდროს ვიქნებოდი პედაგოგი. მნიშვნელოვანი პროფესიაა და ვფიქრობ, ეს ადამიანები „გაფუფუნებული“ უნდა გვყავდნენ ქვეყანაში, მაგრამ მე არა ვარ მოწოდებით მასწავლებელი, ნერვები არ მეყოფა...

— საკმაოდ ადრეულ ასაკში გათხოვდით. როგორ უთავსებდით ერთიმეორეს, სწავლასა და ოჯახს?

— 17 წლის ასაკში რამ გამათხოვა, დღემდე ვერ ვხვდები, მაგრამ რომ წარმოვიდგინე, ლამაზი თეთრი კაბა უნდა მცმოდა, საერთოდ გადავირიე... ამ ქორწინებიდან ფანტასტიკური შვილი მყავს, რომელიც მაშინვე არ გამიჩენია, 20 წლის ვიყავი, როცა შემეძინა: ვხვდებოდი, რომ მანამდე დედობისთვის მზად არ ვიყავი... სანდრო ახლა 12 წლისაა და უკვე ჩამოყალიბებული ადამიანია, კარგად სწავლობს, დღითი დღე ვითარდება და მიხარია, რომ ასეთი მონდომებულია. საერთოდ, ძალიან მომწონს ახალი თაობა, ზედმეტად პრობლემებს არ იქმნიან, იმას აკეთებენ, რაც უნდათ, მონდომებულები არიან, ცდილობენ, ყველაფერზე ბევრი ინფორმაცია ჰქონდეთ, რაც შემდგომში მათ არჩევანის გაკეთების საშუალებას გაუადვილებს. ჩვენ ამ მხრივ ცოტა ცუდად გვქონდა საქმე. ზოგადი განათლება მათ უკეთესი აქვთ. ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ გარკვეული დოზით საუბარი.

— სანდროც ხომ არ მღერის?

— არა... მას ხალხური სიმღერა, ფოლკლორი ურჩევნია და ზუსტად ვიცი, რომ საესტრადოს არასდროს იმღერებს. საგალობლები იზიდავს. თურმე ისე დადიოდა სკოლის გუნდში, რომ არც ვიცოდი. ცურვაზეც დადის. ფეხბურთელობა უნდოდა, მაგრამ მერე რატომღაც, გადაიფიქრა. არჩევანის გაკეთებასთან დაკავშირებით, აბსოლუ-

ტურ თავისუფლებას ვაძლევ, რომ მერე მე არ დამაბრალოს რამე.

— თქვენი პირველი კლიპი იყო — „მატირე“, რომლითაც სასიმღერო ასპარეზზე დაბრუნდით და ცნობილი გახდით... მაშინ უკვე 25 წლის იყავით...

— ყველაფერი — ბედისწერაა... იმ პერიოდში აღარც ვფიქრობდი, სიმღერა გამეგრძელებინა. შემთხვევით, ჩემი ბავშვობის მეგობარი — ლევან ლაზარიშვილი რომელიღაც საახალწლო საღამოზე შემხვდა რესტორანში. გამოიარეო, — მითხრა. მეც, „სანო სტუდიაში“ გავუარე და ასე, სასხვათაშორისოდ ჩავწერეთ ეს სიმღერა. მოგვწონა, კლიპი გავაკეთეთ და შემდეგ თავისთავად მოხდა ყველაფერი.

— როგორ ფიქრობთ — მაშინ გარეგნობამ და იმიჯმა ითამაშა როლი თქვენს გაპოპულარებაში?

— ვერ გეტყვით. რატომღაც ჰგონიათ, რომ მარტო მე მაქვს თამამი იმიჯი. ვფიქრობ, თუ ადამიანი სცენაზე დგას და პოპმუსიკას მიჰყვება, თამამადაც უნდა ეცვას, მოვლილიც იყოს, კარგად გამოიყურებოდეს. არ არის აუცილებელი, ლამაზი იყო; გემოვნებას უნდა აკმაყოფილებდე და ა.შ. მოხარული ვარ, რომ დღეს კონცერტებზე, მეტ-ნაკლებად, სათანადოდ არიან ჩაცმულნი; ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, მათ ვგულისხმობ, ვისაც პროფესიონალად მივიჩნევ.

— იმიჯმეიკერი თუ გყოლიათ?

— არა, არასდროს მიფიქრია ამაზე, ალბათ, სერიოზულად არ ვუდგებოდი ამ ყველაფერს. არც მენეჯერი მყოლია ოდესმე და არც პროდიუსერი, ჩემით, ნელ-ნელა რაღაცას ვაკეთებდი.

— რამდენი სიმღერა გაქვთ ჩაწერილი?

— ამას წინათ ვითვლიდი და 15-16 ვიპოვე... 7-8 სიმღერა არა მაქვს შენახული — უყურადღებო ვარ და სად მივკარგე, არც ვიცი. ბავშვობის დროინდელი რამდენიმე ალბომი და ფირფიტაც კი დავკარგე, რომელზეც ძალიან მწყდება გული. დედაჩემმა ჩამაბარა და ძლივს მოინელა, რომ დავკარგე, 2 წელი მლანძღავდა (*იცინის*). რა ვქნა, გამოჩნდება ალბათ...

— თქვენ მიერ შესრულებული სიმღერებიდან, უფრო მეტად რომელი მოგწონთ?

— მე მომწონს ჩემი „ტანგო“, რომელიც რადიოში არ ტრიალებს, ამ ბოლო დროს კონცერტებზე ვმღერი ხოლმე; ასევე, ახალი სიმღერა — „ილუზია“, რომლის პრემიერაც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში შედგა; „მატირეც“ ძალიან მომწონს, მიუხედავად იმისა, რომ ძველია; ერთ-ერთი ძველი სიმღერა — „მუზა“ ახლებურად მინდა გავაკეთო. მაია კაჭკაჭიშვილის დაწერილი, ფანტასტიკური სიმღერაა, მაგრამ ცუდი ნამღერია და არ ვიცი, რატომ დავტოვეთ ის ვარიანტი. არის სიმღერები, რომლებიც მე თვითონ მანიჭებს სიამოვნებას, და არის ისეთები, რომლებიც ქუჩის კონცერტებზე, მასაზეა გათვლილი. რაც შეეხება კლიპებს — დიდი ხანია, არ გადამიღია და თუ გადავიღებ, მინდა, ძალიან კარგი ხარისხის იყოს, რაც ძვირი ჯდება და, როგორ გავქაჩავ, ჯერჯერობით არ ვიცი.

— სიმღერის კონკურსებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— ვერ ვიტან კონკურსებს, მძულს. იმხელა სტრესს იღებ და ისე ნერვიულობ, რომ ამად არ ღირს. თუნდაც გაიმარჯვო, რა მოგემატება?! ძალიან კარგია, რომ გვასახელა ამა თუ იმ მომღერალმა, მაგრამ მე ეს არ შემიძლია. ერთადერთხელ გავედი კონკურსზე, ლიტვაში, და მესამე ადგილიც დავიკავე, მაგრამ „ნინა“ რომ გამოაცხადეს, საერთოდ ველარ ვიგებდი, რა განზომილებაში ვიყავი, ძალიან ვინერვიულე. არც ერთი ადგილი არ მიღირს ამად და არასდროს აღარ გავალ.

— კულტურის სამინისტროში თქვენს საქმიანობაზეც გვიამბეთ...

— მეორე წელია, აქ ვმუშაობ. უკვე ჩემი ცხოვრების წესია — დილის 10-ზე მოვდივარ და საღამოს 7-მდე აქ ვარ, ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც. ძალიან კარგია, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ. ბევრი საინტერესო პროექტი ხორციელდება. მიმდინარე ღონისძიებების სამმართველოს უფროსი ვარ. არის კიდევ რეგიონებთან კოორდინაციის სამმართველო. ორივე მათგანი ერთ დეპარტამენტში შედის, რომლის უფროსიც ქალბატონი მარინა ბერიძეა. ჩვენ გვევალება, მთელი საქართველოს მასშტაბით ღონისძიებების დაგეგმვა, შემოტანილი პროექტების განხილვა და საუკეთესო პროექტის დამტკიცება, შემდეგ კი ამ ღონისძიებების მოფიქრება, დადგმა, განხორციელება. მე თბილისის ღონისძიებები მეხება, თუმცაღა, ორივე სამმართველო ერთმანეთს ვეხმარებით.

— სამსახურის პარალელურად, კონცერტებში მონაწილეობასაც როგორ ახერხებთ?

— ბევრი კონცერტია, რაზეც უარი მითქვამს, თუ იმ დროს სამსახურში ვარ საჭირო. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომელიმე კონკრეტულ კონცერტში მონაწილეობის სურვილი მქონია, მითხოვია და უარი არ უთქვამთ. თუ ურთიერთგაგება და მეგობრობა არ არსებობს, შეუძლებელია, რაიმე შედეგს მიაღწიო.

— როგორი უფროსია მარინა ბერიძე?

— მარინა თავისი საქმის პროფესიონალია და ყოველთვის მომთხოვნია. ბუნებრივია, რომ მოითხოვს, პასუხისმგებლობით მიუდგე შენს საქმეს. უმიზეზოდ არასოდესაა უკმაყოფილო. მეგობრულია. მივესალმები ყველა კარგ ადამიანს, რომელიც ჯანსაღად აზროვნებს. ვფიქრობ, დათო ოქიტაშვილის შემდეგ, აბსოლუტურად გამართლებული იყო მარინა ბერიძის დანიშვნა, რადგან მასზე არანაკლები პროფესიონალი უნდა ყოფილიყო.

— თქვენ თუ გაძლევთ შენიშვნებს, როცა რაიმე არ მოეწონება?

— შენიშვნას ძირითადად, იმის გამო მაძლევს, — მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ნუ დადიხარ სამსახურშიო (*იცინის*). საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ დაბლებზე და კედებზე ვერ დავდივარ, არ შემიძლია.

— საზაფხულოდ რა გეგმები გაქვთ? სად აპირებთ დასვენებას?

— არ ვიცი, ისეთი არეულ-დარეული ვარ, ჯერჯერობით არაფერი დამიგეგმავს. ერთი რამ ზუსტად ვიცი — ჯაზფესტივალზე აუცილებლად წავალ. მერე, ჩემს შვილთან ერთად რომ არ წავიდე სადმე 1 კვირით, გამორიცხულია. შეიძლება, ევროპაშიც გავემგზავროთ მე და ჩემი მეგობრები, შვილებთან ერთად.

— გარუჯვა კი მოგისწრიათ უკვე...

— სოლარიუმში შევირბენ ხოლმე 10 წუთით და სულ ეს არის. იმის დროც არა მაქვს, რომ სადმე აუზზე წავიდე და დავწვე თუნდაც 1-2 საათი. 10-დან 7-მდე სამსახურში ხარ, მერე მზე არ არის, შაბათ-კვირას კი სხვა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

— ბევრს საუბრობენ სოლარიუმის მავნებლობაზე...

— ყოველთვის წინასწარ ვიღებ ანალიზებს: თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ მაქვს, ჩვეულებრივად დავდივარ. ახლა კვირაში ერთხელ ვსტუმრობ სოლარიუმს, რომ ფერი არ გადამივიდეს. მერე ალბათ, ზღვაზეც მოვხვდები და ამით დამთავრდება — აგვისტოს შემდეგ აღარ ვირუჯები ხოლმე.

— მსმენელს რა სიახლეს სთავაზობთ უახლოეს პერიოდში?

— ყოველთვის ვცდილობ, ახალ-ახალი რაღაცები გავაკეთო. ისეთი ტემპით ვერ ვახერხებ, როგორც ადრე, მაგრამ ამ ზაფხულს 4-5 სიმღერას ჩავწერ. 3 მათგანზე უკვე დაწყებული მაქვს მუშაობა და მირჩევნია, ზაფხულში გამოვნახო ამისთვის დრო.

— რა სიმღერები იქნება? როგორი სტილის?

— სხვადასხვა სტილია. 5 სიმღერიდან 1-2 კლუბურიც იქნება, 1 — დიმა თეიმურაზოვის ახალი სიმღერაა, კიდევ — ბორიკო შხიანის; რუსაც დამიწერს... ხუთიდან 3 მაინც გამოვა კარგი. საერთოდ, ბევრი უნდა ჩაწერო და იქიდან აარჩევ. თანაც, ზუსტად უნდა იცოდე, თუ რა სიმღერა მოგიხდება. სწორად შერჩეული სიმღერა დიდად განსაზღვრავს მომღერლის წარმატებას. როცა შოუბიზნესში ხარ, ყველაფერი ჭკვიანურად უნდა გათვალო. ■

„სახლში ვენტილატორისა და „ბარგალკის“ აკომპანემენტის თანხლებით ვისვენებ“

ახალი სერიალის — „აქ ცხოვრობენ გუნცაძეები“ — ეთერში გასვლიდან სულ ცოტა ხანში, მსახიობი ხვიჩა მაღლაკელიძე უმალ პოპულარული გახდა. და როგორც ჩვეულებრივ ასეთ დროს ხდება, მის შესახებ ყველაფერი უფრო და უფრო მეტ ადამიანს აინტერესებს. მსახიობთან შეხვედრისას ამჯერად, სეზონურ თემებზე შევაჩერეთ ყურადღება: როგორ ატარებს ზაფხულს, როგორ ისვენებს დატვირთული სამუშაო საათების შემდეგ...

ელენე გასილიძე

— ჩემს ცხოვრებაში ბევრი სიახლეა. ამ ერთწლიანმა რემონტმა, როგორც იქნა, გამოიღო შედეგი... ოჯახის წევრები „სილიოტკებივით“ ერთმანეთზე რომ ვიწექით, ქე „შემომეფეხმძიმა“ ცოლი და ნოემბერში კიდევ ერთი პატარა გაგვიჩნდება (*იცინის*).

— სქესი უკვე იცით?

— ბიჭია! „ექოზე“ სამჯერ მყავდა ცოლი წაყვანილი: პირველზე — არაფერი და მეორედ რომ მივიყვანე, ფეხმძიმედაო, მითხრეს. „მალადეც“-მეთქი! — ვუპასუხე... მესამე კონსულტაციაზე, როგორც იქნა, დაადგინეს სქესი (*იღიმის*). ახლა კიდევ ერთი ბინა მაქვს საყიდელი — 2 ბიჭს ხომ უნდა, ნენა, პატრონი (*იცინის*)! ყველა შვილს ცალკე უნდა ჰქონდეს ბინა, აბა, რძალს სახლში რავა შემოვაკივლებ?!

— ახლახან ახალ ამპლუაშიც მოსინჯე ძალები და ტელესერიალის პერსონაჟად მოგვევლინე...

— დედა, ხომ შემაღონეს ამ ერთი როლით, კაცო: იმდენ დროს ვატარებ გადასაღებ მოედანზე, ხანდახან სახლშიც ვერ გამოვდივარ როლიდან (*იცინის*)!.. მე და ჩემი პერსონაჟი კი ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ოჯახში ისეთი სიტუაცია არა მაქვს, სადილი რომ მენატრებოდეს. თუ არ გჯერა, გადი სამზარეულოში და შეამოწმე, ჩემი მეუღლე ბორშჩს აკეთებს (*იცინის*)!.. რამდენჯერაც ვეცადე, მეთამაშა, იმდენჯერ არ გამომივიდა და ლიფონავამ მითხრა: — იყავი ის, რაც ხარო. ჩემს ბათუმელ მეგობარს, მერაბ ბოლქვაძეს ვბაძავ — გამოხედვა, ჩაღიმება და მოქმედებები მისი მაქვს. ამას წინათ, დავურეკე და ვუთხარი, — სერიალში შენ გთამაშობ-მეთქი. — ჰონორარის გაყოფა არ დაგავიწყდესო! — მიპასუხა. წილში არ „ჩამიჯდა“ (*იცინის*)?! საერთოდ, ჩემთან სულ ზარს უშვებს და მე ვურეკავ. ერთხელაც, მეუბნება, — ბიჯო, სულ შენ რომ მირეკავ, ძალიან მერიდება და ჩამირთე ერთი 5 ლარი, მეც რომ დაგირეკო ხოლმეო (*იცინის*)... როლში თავისუფლად ვგრძნობ თავს, ხანდახან პატარ-პატარა იმპროვიზაციასაც „ვურტყამ“... სხვათა შორის, ამ სერიალის რუსულ ვერსიას ვერ ვიტან! ჩემი შვილი უყურებს და სულ იმას ვეჩხუბები, ტვინს ნუ ინაგვიანებ, გამორთე-მეთქი! ახლა, ისე მოხდა, რომ გენა ბუკინის გადმოქართულებული „სახე გავხდი“. ბავშვებს ძალიან მოსწონთ ჩემი გმირი. საიტ „ოდნოკლასნიკებზე“ „დაბომბილი“ აქვთ ჩემი გვერდი პატარებს. არა მგონია, ამ სერიალს დიასახლისები უყურებდნენ. მათ ისეთი სერიალები იზიდავს, ცალი თვალიდან ხახვის, ცალიდან კი — სერიალის გულსაკლავი შინაარსის გამო რომ სდით ცრემლები (*იცინის*).

მერაბ ბოლქვაძეს ვბაძავ — გამოხედვა, ჩაღიმება და მოქმედებები მისი მაქვს

— ჩვენი საუბრის თემა დასვენებაა, მაგრამ ამ რემონტის გადამკიდე, დასვენებას როგორ მოახერხებ?

— უჰ, მაგრად „ვისვენებ“: გაჯიანი და ცემენტიანი სადილების ჭამას უკვე დიდი ხანია, მივეჩვიე. „ბეტეკი“ თუ აკლია საჭმელს, ვამატებ... ის კი არა და, თუ ვერ ვიპოვე საჭმელში რაიმე „ისეთი“, ვჩხუბობ, — ეს რა არის, რანაირი სადილი მოგიმზადებიათ-მეთქი?! მთელი აგვისტო

ნოსტალგია საშინელი ავადმყოფობა ყოფილა, ფიზიკურ ტკივილს იწვევს...

თავისუფალი მაქვს; რამდენიმე დღით ბათუმში გავიპარები, მერე ისრაელში ვაპირებთ წასვლას — ასე ვთქვათ, კომერციული გასვლა გვაქვს ისრაელში (*იღიმის*), კონცერტები გვექნება. სახლში ვენტილატორისა და „ბარგალკის“ აკომპანემენტით ვისვენებ. ძალიან მენატრება ჩემი ბათუმი და ზღვა. სულ აჭარის ტელევიზია მაქვს ჩართული და შევცქერი ბათუმის ხედებს... ჟურნალისტები რომ გამოვლენ და ჰყვებიან, — ამა და ამ ქუჩაზე კანალიზაციამ ამოხეთქაო, — გახარებული ვკივი, — დეედა, ეს ქუჩა ჩემს ქუჩასთან ახლოსაა-მეთქი (*იცინის*)!.. ნოსტალგია საშინელი ავადმყოფობა ყოფილა, ფიზიკურ ტკივილს იწვევს... ბათუმელი კაცი აქ რომ ვარ „დაბმული“, რა დღეში ვიქნები?! მეთექვსმეტე სართულზე ვცხოვრობთ, ჩვენ და სატელევიზიო ანძა ერთ სიმაღლეზე ვართ. ბუზი და კოღო აქამდე ვერ აღწევს — იღლება (*იცინის*). მტვერიც არ შემოდის გარედან; ჩვენი მტვერი გვაქვს თავზე საყრელად, მაგრამ მაინც ბათუმში მინდა.

— სავარაუდოდ, ყველაზე გემრიელად ბათუმში ისვენებ, ხომ?

— კი. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ არ არსებობს ქალაქი, სადაც იმაზე კარგ დროს გავატარებ, ვიდრე ბათუმში. ლონდონში სასტუმრო „ჰილტონში“ ვიყავით. საწოლის კიდეზე „მივიკუნჭე“ და ისე დავიძინე. მეზიზღება სხვაგან ღამის გათევა. ბათუმის ნებისმიერი ჩაჟანგებული ქუჩა მირჩევნია „ძაან ფეშენ“ კურორტებსა და ადგილებს. ადრე ნერვე-

ხვიჩა მაღლაკელიძე შვილთან ერთად

ბი მეშლებოდა დამსვენებლებზე — რა ნახეს ამ „აქოთებულ“ ზღვაში, რა უნდათ, რას ჩამოდიან-მეთქი?! რაც ჩემი ქალაქიდან წამოვედი, ისე მენატრება იქაურობა, ლამის აბაზანა ავავსო და მარილი ჩავყარო შიგ. თურმე რა ყოფილა ჩემი ზღვა! რომ ჩავალ, სულ ბორშჩივით უნდა ვხვრიპო (*იცინის*). არაჩვეულებრივი წლები მაქვს იქ გატარებული. ერთ-ერთ რესტორანში მუსიკოსად ვმუშაობდი და სულ მანქანით დავდიოდი. რესტორნიდან ვინ გამოსულა ფხიზელი, მე რომ გამოვსულიყავი?! ჰოდა, ღამით ინსპექტორები დამიჭერდნენ, — ე, ჭოვ, მაღლაკელიძე, გააჩერე მანქანა, მთვრალი ხარ, ხომ, კიდევ? გადმოი მანქანიდან! კაი, ახლა, ნუ ძალაობ, გადმოი, გადმოიო!.. — წამართმევდნენ მანქანას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ინსპექტორის შვილი ჩემი მოსწავლე იყო და მშვენივრად ვიცნობდი მათ, მაინც ასე „სადისტურად“ მექცეოდნენ... მეორე დღეს მივიდოდი გიტარით, ჩავატარებდი პატარა კონცერტს, წამიყვანდნენ სახაშეში და გამომატანდნენ მანქანას (*იცინის*). უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იმ სკოლაში გამანაწილეს მასწავლებლად, რომლის დირექტორიც მამაჩემი იყო. მაშინ ბლანჟეთი, გრძელი თმით, ჩიბუხითა და ფრენჩით დავდიოდი. ერთ დღესაც, მამაჩემი დამესწრო გაკვეთილზე. ბავშვებს ვეკითხები, — აბა, ბავშვებო, რამდენი დროა გრამატიკაში-მეთქი? ერთმა მიპასუხა, — 4 დროა, მასწავლებელო: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარიო (*იცინის*)... მამაჩემმა მითხრა, გააგრძელე გიტარის დაკვრაო, და ჩემი მასწავლებლობა იმ დღის შემდეგ დამთავრდა (*იცინის*).

— ახლა ბათუმში როგორ ისვენებ ხოლმე?

— ოოო... იქ ერთი კაფეა ბულვარში, რომელსაც „სამურაბე“ დავარქვი. გარეთ ყავა დუღდება ქვიშაზე, ხეზე გირჩებს ჭამს ციყვი... ერთი მასაჟორიანი სკამი დგას — ჩააგდებ 1 ლარს და ზურგის მასაჟს გაგიკეთებს... ბათუმში, ჩემს აივანზეც არაჩვეულებრივად ვისვენებ. ვაზი მეოთხე სართულამდეა ასული და ყოველ შემოდგომას ადესას ვნურავ. სექტემბერში მთელი ოჯახი მივიპარებით ბათუმში, ვწურავთ ყურძენს და მერე ჩამოვდივართ. ეს ოჯახური რიტუალი და ტრადიციაა... ეჰ, კარგი ახლა, ნულარ მახსენებ, თორემ ავტირდები, საცაა.

— მოდი, ახლა საზღვარგარეთ პირველი მოგზაურობა გაიხსენე...

— პირველად, 1995 წელს, თურქეთში წავედი... წაგვიყვანა ვიღაც აფერისტმა ცინცაძემ, რომელიც პროდიუსერობას დაგვპირდა. მოგვატყუა, „გადაგვაგდო“ და რამდენიმე მუსიკოსი შუაგულ ანკარაში მიგვატოვა. საქართველოდან ანტიკვარი ნივთები წამოუღია, რომელიც იქ უნდა გაეყიდა და გარკვეული დროის განმავლობაში, იმ ფულით თავი უნდა გაგვეტანა. თურმე ანტიკვარი კი არა, ნაგავი წამოუღია (*იცინის*). ორთვე-ნახევარი ვცხოვრობდით უფანჯრო სასტუმროში, სადაც ღამე დაახლოებით 20 კაცი 1 დოლარი ღირდა (*იცინის*). სახლშიც ვერ ვრეკავდი: ჩემებმა იცოდნენ, რომ ფულის საკეთებლად ვიყავით წასულები და როგორ მეთქვა, — მშიერი ვკვდები და ფული გამომიგზავნეთ-მეთქი?! ვიმუშავეთ, ვიწვალეთ და ცოტა ფულიც ჩამოვიტანეთ... იყო დრო, როცა მოსკოვში ვმუშაობდი. მოსკოვში დიდი საშუალებაა იმის, რომ საკუთარი თავის რეალიზება მოახდინო. საქართველოში მამა ბიზნესმენი და დედა ბოზი უნდა გყავდეს ან — პირიქით, რომ რამეს მიაღწიო (*იცინის*)... ერთ ამბავს მოგიყვები: ისრაელის აეროპორტში ვიყავით, საქართველოში ვბრუნდებოდით. ვხედავ, რომ ზურია, ჩემი ძმაკაცი ფეხშიშველი დგას და მის ფეხსაცმელებს იქაური ჯარისკაცების არმია არტყია გარს; ლამის გამნალმველები გამოეძახათ... როგორც მერე გაირკვა, არც ერთ ებრაელ ჯარისკაცს არ ენახა ქუთაისის შეკერილი ფეხსაცმელი, რომელსაც ქუსლი ლურსმნით აქვს მიჭედებული, ამიტომ ეგონათ, ქუსლის ქვეშ ასაფეთქებელი იყო ჩადებული... ინგლისური ვიცი და წავიდა კითხვები: ბოლოს როდის ნახა თავისი ფეხსაცმელი? რა მდგომარეობაში იყო? სასტუმროს დერეფანში, ნომრის კართან ხომ არ დაუდვია გასაწმენდად?.. თან, — შენ არ გვიპასუხო, ჰკითხე მას და ისე გვითხარი პასუხიო, — მეუბნებოდნენ... ვეკითხები: — ზურია, შე სასიკვტილე, როის ნახე ფეხსაცმელები? — რა ვიცი, რა ფეხსაცმელებიმეთქი?.. რას ვჭამ, იგი არ მახსოვს და ესენი ნორმალურები არიანო?!. ძლივს გამოვაღწიეთ იქიდან. საერთოდ, ძალიან მიჭირს საკუთარი თავის მოვლა. მარი (მეუღლე) რომ არა, რა მეშველებოდა, არ ვიცი. ყოველდღე ერთი ამბავი მაქვს: „ნასკი“ სადაა, შარვალი სა შეტენე?.. — პატარა ბავშვივით ხარო, — მეუბნება.

— რომელი ქვეყანა დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად?

— გერმანია! ჩემი და გერმანელზეა გათხოვილი და ერთი პერიოდი მეც იქ ვცხოვრობდი. კერძო სახლი ჰქონდათ და ეზოში ბლის ხე ედგათ. ავძვერი ხეზე ბლის საჭმელად და მეზობელმა ქალმა რომ დამინახა, პოლიცია გამოიძახა: იფიქრა, ჩემს დას უცხოეთიდან ემიგრანტი ჰყავდა ჩამოყვანილი და მამუშავებდა (*იცინის*)... მოვიდა პოლიცია, „სასწრაფო დახმარება“ და სახანძრო სამსახური — ერთად (*იცინის*)!.. 8 საათის შემდეგ გიტარის დაკვრა ამიკრძალეს; გაზონის საკრეჭი მანქანის ჩართვა მხოლოდ შაბათ დღეს, 2 საათამდე შეიძლებოდა — მერე გერმანელები ისვენებენ... ჩემი სიძე მეუბნებოდა, — სანამ გერმანელ ჯარისკაცს შამპანურსა და ძეხვეულს არ მიუტანდნენ, იარაღს ხელს არ ჰკიდებდა და გერმანიამ ომი ამიტომ წააგო საბჭოთა კავშირთანო... ჩვენთან — „ზა სტაალინა, ზა روووميينوو!“ — დაიღრიალებდნენ და ხელ-ფეხის გარეშე გარბოდნენ ომში (*იცინის*).

— თბილისში თუ ახერხებ დასვენებასა და განტვირთვას?

— აქ ჩემი საქმიანობის დროს ვისვენებ. ერთი თვისება გამოვიმუშავე: რაც მეტი საქმე მაქვს, მით უფრო ვგრძნობ, რომ ეს სირბილი და დაღლილობა მასვენებს.

ერთმანეთზე რომ ვიწექით, ქე „შემომეფეხმძიმა“ ცოლი და ნოემბერში კიდევ ერთი პატარა გაგვიჩნდება

— საცნებო ადგილი თუ გაქვს, სადაც ძალიან გინდა წასვლა?

— ჩინეთი! ჩინური კერძების დიდი მოყვარული ვარ და ისევ და ისევ „კუჭიდან გამომდინარე“ მინდა იქ წასვლა (*იცინის*). ისე კი, ანტალიაში რომ „მიერეკებიან“ ქართველები, საქართველოს ულამაზესი ადგილები არა აქვთ ნანახი. წამოვიდნენ აჭარაში, ბეშუმი, ღორჯომი, ქედა, შუახევი, ხულო ნახონ — სასწაული ბუნებაა! ანტალია რაა მათთან შედარებით?!. ■

„უთანასწორო“ ქორწინებები

გასულ გაზაფხულს მსოფლიოს ქორწილების მორიგმა ტალღამ გადაუარა და ახლა ჟურნალისტები სენსაციათა მოსავალს იმკიან. თითქმის ყველა მილიარდერმა, რომელმაც განმარტოებით ცხოვრებაზე უარის თქმა გაბედა, თითქმის არასრულწლოვანი გოგონა მოიყვანა ცოლად.

მდიდარ და ცნობილ ადამიანთა ცხოვრება ისედაც პრესის მუდმივი ყურადღების ცენტრში ექცევა, მაგრამ როდესაც კერპები პრესას უთანასწორო ქორწინების შესახებ მითქმა-მოთქმის საბაბს აძლევენ, ჟურნალისტებს გასაქანი ეძლევათ და ისინიც გაუთავებლად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ზოგი თავის მეუღლეს დედად ეკუთვნის, ზოგი — მამად... საბედნიეროდ, ზოგიერთი ვარსკვლავური ოჯახი ყველანაირი პროგნოზის „ჯინაზე“, ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას აგრძელებს და „უთანასწორო“ კავშირის უპირატესობის მაგალითს გვიჩვენებს.

მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი

...მაიკლ დუგლასი ახალგაზრდა მსახიობი გოგონას წინაშე მთელი საღამო თავს იმართლებდა და არწმუნებდა, ყოველთვის ასე ცუდად არ გამოვიყურებიო... ამერიკული კინოს ფესტივალზე კეტრინ ზეტა-ჯონსი ფილმის — „ზოროს ნიღაბი“ — პრემიერაზე ჩავიდა, მაიკლ დუგლასმა კი „იდეალური მკვლელობა“ წარმოადგინა. გოგონამ პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალის როლი სულ მცირე ხნით ადრე მოირგო, დუგლასი კი სურათში — „ვუნდერკინდები“ — როლის სათამაშოდ ემზადებოდა და ჰამბურგერებისა და პიცის მეშვეობით წონის მომატებას თავგამოდებით ცდილობდა. წყვილმა ერთმანეთი საერთო ნაცნობების წყალობით შემთხვევით გაიცნო, მაგრამ იმ დღის შემდეგ განუყრელია.



ისინი სექტემბრის ერთსა და იმავე დღეს დაიბადნენ, ოღონდ მათ შორის 25-წლიანი სხვაობაა! ქალბატონ ზეტა-ჯონსს არასდროს დაუმალავს, რომ ხანდაზმულ მამაკაცებს ანიჭებდა უპირატესობას. დუგლასთან დაქორწინებამდე მსახიობი 57 წლის ბრიტანელ ტელევარსკვლავს, ჯონ ლესლის და 60 წლის პროდიუსერ, იონ პეტერსს ხვდებოდა.

ბედნიერების რეცეპტი: ზოგ ადამიანს მასზე უფროსი პარტნიორის ღირსების დაფასების ნიჭი აქვს. „უფროსი ასაკის მამაკაცებს ლამაზი სიყვარული შეუძლიათ. ისინი უფრო გამოცდილები არიან და ცხოვრების შესახებ მეტი იციან. ახალგაზრდა „ხვადები“ კი ზედმეტ ყურადღებას აქცევენ საკუთარ გარეგნობას. პლაჟზე იმ მამაკაცთან უფრო მივალ, რომელიც ქოლგის ქვეშ ზის და წიგნს კითხულობს, ვიდრე ახალგაზრდა „ულაყთან“, კუნთების თამაშით რომ იწონებს თავს“, — განაცხადა კეტრინმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

ვუდი ალენი და სუნ ი

ექსცენტრიკული რეჟისორი ცხოვრების განმავლობაში არაერთხელ მოხვედრილა პიკანტურ სიტუაციაში. ვუდი ალენი მეუღლესთან, მია ფეროუსთან ერთად შვილობილს — ჩუმ, მოკრძალებულ კორეელ გოგონას, სუნ ი-ს ზრდიდა, მაგრამ ერთხელ მიამ შეიტყო, რომ ქმარი ღალატობდა, თანაც — ვისთან?.. მართალია, არა ღვიძლ, მაგრამ მაინც — შვილთან!.. ვუდი ალენის ღალატს მართლაც რომ საშინელი სკანდალი მოჰყვა. პრესა რეჟისორს ამორალობაში სდებდა ბრალს, ღვიძლი შვილები მამასთან შეხვედრაზე უარს ამბობდნენ, მია ფეროუს ყოფილი ქმარი ფრენკ სინატრა კი ფეხების მომტვრევით ემუქრებოდა.

მისთვის ჩვეული, ეჭვნარევი სიმშვიდით აღჭურვილი ალენი საკუთარი ქმედების შესახებ არანაირ კომენტარს არ აკეთებდა. ამის ნაცვლად, შვილობილს, რომელიც ამ დროს 19 წლის გახდა, დაქორწინება შესთავაზა. მიამ ყოფილ მეუღლეს დანარჩენ 2 შვილზე მამობის უფლება ჩამოართვა. ახალდაქორწინებულებმა კი 2 ბავშვი იშვილეს. ცოლ-ქმარს შორის 35 წლის სხვაობა იყო, ამიტომ მათ ქორწინებას სწრაფ დასასრულს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გამხდარი, ტანდაბალი ვუდი ალენი და მინიატიურული კორეელი სუნ ი დღესაც ერთად არიან.

ბედნიერების რეცეპტი: „ასაკობრივი სხვაობა ურთიერთობას ხელს არ უშლის. პირიქით, ამის წყალობით, ოჯახში მრავალი პრობლემა უბრალოდ, თავისთავად მოხსნილია. ყველაფერი ძალზე მარტივადაა: ის, ვინც უფროსია, სადავო საკითხებს გულმოწყალედ უნდა მოეკიდოს, უმცროსმა კი უფროსის გადაწყვეტილებებს პატივი უნდა სცეს“, — ამბობს დიდი რეჟისორი.

ჰიუ ჯეკმანი და დებორა ლი ფურნესი

ფილმ „კორელის“ გადასაღებ მოედანზე ნამდვილი ვნებები ბობოქრობდა. იმ დროს ყველასათვის უცნობი ჰიუ ჯეკმანი ფსიქოპათი მკვლელის როლს თამაშობდა, დებორა ლი ფურნესი კი ფსიქოლოგს განასახიერებდა, რომელსაც, სცენარის მიხედვით, ერთ მშვენიერ დღეს პაციენტი შეუყვარდება. ბობოქარი ეკრანული ვნებების აფეთქებიდან 5 თვის შემდეგ მსახიობებმა დაქორ-

— გადასაღებ მოედანზე გაიცნეს. ბარტი სურათის რეჟისორი იყო, ჯულიანა კი — მთავარი როლის შემსრულებელი. მიუხედავად იმისა, რომ ორი უიღბლო ქორწინებით დამძიმებულ ჯულიანას საჯაროდ ჰქონდა დადებული პირობა, რომ აღარასოდეს გათხოვდებოდა, ქორწინების შესახებ განცხადება გადაღებების დასრულებისთანავე გაკეთდა. უფრო მეტიც — ასაკის მიუხედავად, ჯულიანამ ჯერ ერთი ბავშვის გაჩენა გაბედა, შემდეგ მეორეც მიაყოლა.

ბედნიერების რეცეპტი: წყვილი უკვე 14 წელია, ერთად არის და ჯულიანა მური დარწმუნებულია, რომ ასაკობრივი სხვაობა ურთიერთობაში დიდ როლს არ თამაშობს, ოღონდ ერთი პირობით: „თუ მეუღლის გვერდით პატარა გოგონად გრძნობთ თავს, ისიც იგრძნობს, რომ თქვენთვის ზრდასრული, მზრუნველი თანამგზავრია; ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი წლით ხართ მეუღლეზე უფროსი“.

ანდრეი კონჩალოვსკი და იულია ვისოცკაია

ახალგაზრდა მსახიობი ქალის გაცნობისთანავე მისთვის პაემნის დანიშვნა ანდრეი კონჩალოვსკისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ცნობილ რეჟისორს პასპორტში ჩარტყმული შტამპი სრულიად არ აღელვებს.

ანდრეიმ და დამწყებმა მსახიობმა, იულია ვისოცკაიამ ერთმანეთი სოჭის კინოფესტივალზე გაიცნეს. საზოგადოების მახვილ მზერას არ გამოჰპარვია, რომ წყვილი ფესტივალის დასრულებისთანავე თურქეთში გაემგზავრა. მათი ურთიერთობა — ნამდვილი „ადიულტერი“ იყო, რომელსაც ბედნიერ დასასრულს არავინ უწინასწარმეტყველებდა. მიუხედავად ამისა, ანდრეი ცოლს გაეყარა, იულიასთან ერთად დაბინავდა და მაღალ საზოგადოებაში გავრცელებული ჭორებისა და 36-წლიანი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მალე დაქორწინდა კიდეც.

ბედნიერების რეცეპტი: „საოცრად გამიმართლა — ბედმა იმ ადამიანს შემახვედრა, რომელიც პიგმალიონის მსგავსად, საკუთარი თავის რეალიზებაში დამეხმარა და ამასთან, ერთდროულად — ჩემი ქმარი, მასწავლებელი, ძმა, მამა და შვილი გახდა“, — ამბობს იულია, რომელსაც მიაჩნია, რომ „უთანასწორო“ ქორწინების წარმატების უმთავრესი პირობა — უფროსი პარტნიორის თამაშის წესების მიღებაა. ასაკით უფროსი პარტნიორი ჩვევებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას არასდროს უღალატებს, ამიტომ ახალგაზრდა დათმობაზე უნდა წავიდეს!

■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

წინების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთეს... დებორა ლი ფურნესი დაბადების თარიღს არ ამხელს. ზოგიერთი მონაცემით, ის მეუღლეზე 8 წლით უფროსია, სხვები კი ირწმუნებიან, რომ ცოლ-ქმარს შორის ასაკობრივი სხვაობა — 13 წელია!

ბედნიერების რეცეპტი: ჯეკმანი ხშირად იმეორებს, რომ დებორას გარეშე სამსახიობო წარმატებას ვერ მიაღწევდა: ასაკით ბევრად უფროს პარტნიორთან ყოველდღიური კონტაქტი ხომ პროფესიონალური წინსვლისა და ცხოვრებისეული გამოცდილების დასაგროვებლად, საუკეთესო საშუალებაა! „ჩემზე უფროს ქალს ალბათ შეგნებულად ვეძებდი — ისეთი ქალი მჭირდებოდა, რომლის გვერდით ყოფნის წყალობით, ოდნავ მაინც გავიზრდებოდი“.

ჯულიანა მური და ბარტ ფრეინდლიხი

როდესაც ჯულიანა მური მის საყვარელ რეჟისორს, ბარტ ფრეინდლიხს გაჰყვა ცოლად, იგი 40 წლის იყო, ბარტი კი 30-ის. უკლებლივ ყველა ირწმუნებოდა, რომ ეს ყველაზე უხერხული ასაკობრივი სხვაობა და ყველაზე მოჩვენებითი ვნება იყო. „პირმოთნე ადამიანებს არ დაუჯეროთ; რომანტიკულ ფილმებში გაცილებით მეტი სიმართლეა, ვიდრე ამას ყბადაღებული ცხოვრებისეული გამოცდილება გვკარნახობს“, — ასე იგერიებდა ჯულიანა საზოგადოებრივი აზრის შემოტევებს.

ერთმანეთი ფილმის — „მითი თითების ანაბეჭდების შესახებ“

„მაზავშიკობა“ — აზარტული თამაში თუ გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე

რისთვის ისჯება გიორგი დემეტრაძე

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიმართ ცხადია, საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდი იყო, მაგრამ თითოეულ მატჩს განსაკუთრებული ემოციით ტოტალიზატორში შეკრებილი აზარტული ადამიანები ადევნებდნენ თვალ-ყურს, რომლებსაც ამა თუ იმ გუნდზე ფსონი ჰქონდათ დადებული. მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშეებს იმედები ხშირად უცრუვდებათ, ვინაიდან თამაშის შედეგის წინასწარ განსაზღვრა იოლი არ არის, ფარხმალს მაინც არ ყრიან და იმ იმედით, რომ მორიგი მატჩისას გაუმართლებთ, თამაშს აგრძელებენ.

ნათია ჟვიტიძე
თეა ხურცილავა

აღსანიშნავია, რომ ბევრ მოთამაშეს ტოტალიზატორში დასადები ფულიც არა აქვს და აქედან გამომდინარე, ასეთი გამოსავალი იპოვეს — „პოსლეზე“ თამაშობენ. პირობა ასეთია: მოქალაქე ე.წ. „მაზავშიკთან“ სიტყვიერ გარიგებას დებს ანუ სასურველ გუნდზე სასურველ ფსონს „ჩამოდის“. მოგების შემთხვევაში „მაზავშიკი“ ვალდებულია, მას თანხა გადაუხადოს, ხოლო წაგების შემთხვევაში მოთამაშემ დადებული პირობა უნდა შეასრულოს და წაგებული თანხა გადაიხადოს. თუ „მაზავშიკი“ ვერ გენდობა, არ გათამაშებს, ამიტომ ხშირად, თურმე, ადამიანები „მაზს“ შუამავლების მეშვეობით დებენ. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბუნებრივია, პასუხისმგებლობა შუამავალს ეკისრება.

თუ რატომ გაიზარდა „მაზავშიკების“ რიცხვი და რით სჯობია ხელზე „გამაზვა“ ტოტალიზატორში თამაშს, ამის შესახებ ერთ-ერთი ტოტალიზატორის მეწილე გვესაუბრება, რომელმაც ბოლო დროს ფინანსური პოლიციისა და შს სამინისტროს თანამშრომლების ტოტალიზატორებით დაინტერესების გამო, საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

გიორგი, *43 წლის:*

— ყველასთვის ცნობილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების დროს ნებისმიერი ფეხბურთის მოყვარული ადამიანი ტოტალიზატორს სტუმრობს, აზარტული მოთამაშეები კი ამ დროს განსაკუთრებით აქტიურდებიან. ე.წ. „მაზავშიკები“ საქართველოში მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც, ყოველთვის იყვნენ. ვერც ერთი ტოტალიზატორის წარმომადგენელი ვერ იტყვის, რომ მათთან მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, თუმცა მერწმუნეთ, ყველანი ვცდილობთ, „მაზაობაში“ შემჩნეული ადამიანები ტოტალიზატორის ტერიტორიიდან გავიყვანოთ. სამწუხაროდ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის „მაზავშიკების“ რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და ამას ხელი თავად ფინანსურმა პოლიციამ შეუწყო. ყველასთვის ცნობილია, რომ ბევრი თამაში „გატყდა“ ანუ რამდენიმე მატჩისას ფავორიტმა გუნდებმა ვერ მოიგეს და თამაში ტოტალიზატორებისთვის სასარგებლო შედეგით დასრულდა. რა თქმა უნდა, ამით სათამაშო ობიექტებმა დიდი მოგება ნახეს და ამიტომაც, ფინანსურმა პოლიციამ აბსოლუტურად ყველა ტოტალიზატორში ერთდროულად სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ორ-ორი თანამშრომელი შეუშვა, რომლებიც დარბაზში ისხდნენ და ხელით იწერდნენ ყველა დადებულ თანხას. ტოტალიზატორის წარმომადგენლებმა ეს შენიშნეს და კუშები დაწიეს, აზარტულ ადამიანებს კი დაბალ კუშებზე თამაში არ უღირდათ, ამიტომ „მაზაობის“ ხერხს მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ტოტალიზატორი რამდენიმეათასიან ფსონს არ იღებდა, კუშების დაწევამ მოთამაშეების რიცხვი მაინც, საგრძნობლად შეამცირა. ამ ამბის შემდეგ ფინანსური პოლიცია უკვე ყველა ტოტალიზატორში ოფიციალურად შევიდა და მათი შემოწმება დაიწყო...

მართლაც, სიტყვიერად დადებული ფსონები ტოტალიზატორში დადებულ ფსონებთან შედარებით დიდია და სწორედ მეტი თანხის მოგების იმედით, სამწუხაროდ, ადამიანები უპირატესობას „მაზავშიკებთან“ თამაშს ანიჭებენ და ხშირად, ძალიან

დიდ თანხასაც აგებენ. ვინაიდან სიტყვის შესრულება აუცილებელია, ხშირად, წაგებულს უწევს მანქანის, სახლის გაყიდვა. თუმცა, ზოგიერთი იმხელა თანხაზე თამაშობს, რომ წაგებულის ასანაზღაურებლად ბინისა და მანქანის გაყიდვაც არაა საკმარისი, ამას კი ცხადია, ქუჩური გარჩევები მოსდევს. ძალოვანთა მტკიცებით, მსგავს გარიგებებს უმეტესად, ზიანი მოაქვს. ადამიანებს თანხის გადახდა უჭირთ და იძულებულნი ხდებიან, ფულის საშოვნელად სხვადასხვა გზას მიმართონ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პერიოდში საგრძნობლად იმატა ქურდობამ, ქუჩურმა გარჩევებმა, სხეულის დაზიანებებმა და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ხშირად, სიცოცხლეს თვითმკვლელობითაც ასრულებენ. ჩავლილი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სუიციდის ოთხი ფაქტის შესახებ შევიტყვეთ. რასაკვირველია, გარდაცვლილების ოჯახებს ამ ამბავთან დაკავშირებით ლაპარაკი არ სურთ, ამიტომაც, ინტერვიუსთვის მათ მეგობრებს მივმართეთ.

ნიკა, *28 წლის:*

— გლდანში ვცხოვრობ. ნოდარი ჩემი მეგობარი იყო. პირადად მე, ტოტალიზატორით არასოდეს დავინტერესებულვარ და ერთ ლარზეც კი არ მითამაშია. რაც შეეხება ნოდარს, ის წლების განმავლობაში თამაშობდა, თუმცა ზუსტად ვიცი, ბევრი არასოდეს წაუგია. 28 წლის სიმპათიური ბიჭი იყო, კარგი სამსახური ჰქონდა და არც გოგონების ყურადღება აკლდა. ცოლის მოყვანას არ ჩქარობდა. ამბობდა, — ვიდრე დრო მაქვს, გავერთობი, ცოლ-შვილს კი მერეც მოვესწრებიო. მას უზარმაზარი კერძო სახლი ჰქონდა, რომელიც 250 ათას დოლარად იყო შეფასებული. ერთადერთი გათხოვილი და ჰყავდა და შესაბამისად, მშობლების მთელი ქონება მისი იყო. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა, რომ „ხელზე გაემაზა“. თურმე, გერმანია-არგენტინის თამაშზე, ფსონი არგენტინის სასარგებლოდ გააკეთა და წაგების შემთხვევაში, „მაზავშიკს“ მთელ თავის ქონებას დაჰპირდა. სიმართლე გითხრათ, ისიც არ ვიცი, ვის დაენაძლევა, რადგან ამ წრეში არავის ვიცნობ. თამაში „გატყდა“ და გერმანიამ არგენტინას 4:0 მოუგო, ე.ი. ნოდარმა მთელი ქონება წააგო. იმ დღეებში არ დამკონტაქტებია და არც მისი ასავალ-დასავალი ვიცოდი. მერე მითხრეს, რომ მაღალსართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა და მხოლოდ ამ ფაქტის მერე გახდა ჩემთვის ცნობილი, თუ რატომ მოიკლა თავი. ოჯახის წევრები და მეგობრები შოკში ვართ. ნოდარს ისე უყვარდა სიცოცხლე, ისეთი ლაღი და მხიარული ადამიანი იყო, ვერც კი წარმოვიდგენდი, ცხოვრებას თვითმკვლელობით თუ დაასრულებდა...

საგრძნობლად იმატა ქურდობამ, ქუჩურმა გარჩევებმა, სხეულის დაზიანებებმა და გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები ხშირად, სიცოცხლეს თვითმკვლელობითაც ასრულებენ

არჩილი, *22 წლის:*

— გიო ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. ბაღშიც ერთად დავდიოდით, სკოლაშიც და მერე ინსტიტუტშიც ერთ ფაკულტეტზე მოვეწყვეთ. მართლა განუყრელი მეგობრები ვიყავით. სპორტი ორივეს ბავშვობიდანვე გვიყვარდა, უპირატესობას კი ფეხბურთს ვანიჭებდით. ტოტალიზატორში როგორ არ ვთამაშობდით, მაგრამ 10 ლარზე მეტი არასდროს დაგვიდია. განსაკუთრებით, ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ვაქტიურობდით. უსაქმურები ნამდვილად არ ვიყავით. მართალია, სტაბილური სამსახური არ გვქონდა, მაგრამ ვცდილობდით, პატარა ბიზნესი წამოგვეწყო — ბოლო პერიოდში ამ საქმიანობით ვიყავით დაკავებულები, საღამოობით კი ჯერ რომელიმე ტოტალიზატორში შევიდოდით, ფსონს ვაკეთებდით, მერე ბარში ვსხდებოდით და ფეხბურთს დიდ ეკრანზე ვუყურებდით. ერთი-ორჯერ 100 ლარამდე მოვიგეთ კიდეც. გიო იტალიელების გულშემატკივარი იყო. წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიამ რომ გაიმარჯვა, სიხარულით ჭკუაზე აღარ იყო, მე კი გერმანიას ვქომაგობდი. ჯგუფურ ეტაპზე, იტალია-სლოვაკეთის თამაშისას, ოჯახში პატარა პრობლემა მქონდა და გიო ტოტალიზატორში სხვა მეგობართან ერთად წავიდა. არ ვიცი, იქ რა მოხდა ან რატომ გადაწყვიტა, რომ „ხელზე გაემაზა“. როგორც მითხრეს, თურმე, ვიღაც ტიპები ეუბნებოდნენ, — ეგ შენი იტალია ჯგუფიდან გავარდებაო. გიოს მათთვის შეუთავაზებია: ნახევარ მილიონზე „გავმაზოთო“. თამაში „გატყდა“ და ანგარიშით — 2:3 დასრულდა... მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში გიოს ველარ ვცნობდი, ისეთ ცუდ ხასიათზე იყო. თავდაპირველად, ამის მიზეზს არ მიმხელდა, მერე კი ყველაფერი მიამბო. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა საგონებელში ჩამაგდო, თუმცა მეგობარს ვუთხარი, — არ ინერვიულო, პრობლემას მოვაგვარებთ, ფულს როგორმე ვიშოვით-მეთქი. მართალია, გიო შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ მის მშობლებს ნახევარი მილიონის ვიღაცისთვის ჩუქება ნამდვილად არ შეეძლოთ. მოგებულ მხარესთან შეხვედრა ვითავე და ფულის ჩასაბარებლად ერთი თვის ვადა ვითხოვე, მაგრამ მითხრეს, — თანხა სამ კვირაში უნდა მოიტანოთო! აღარ ვიცოდი, რა მექნა. ყველა მეგობარი შევაწუხე და ფულის შეგროვება დავიწყე, გიო კი ამ ყველაფერში არ მონაწილეობდა, შინ გამოიკეტა. ერთ დღეს კი ჩვენმა უბნელმა დამირეკა და მითხრა, გიოს თავი მოუკლავსო. თურმე, ავტომანქანით ქალაქის გარეუბანში გასულა და თავი იარაღით მოუკლავს. გიოს იარაღი არ ჰქონდა და ჯერ გაურკვეველია, სად იშოვა. ამ ფაქტმა

წაგების შემთხვევაში, „მაზავშიკს“ მთელ თავის ქონებას დაჰპირდა

შემაძრწუნა. არათუ ტოტალიზატორს აღარ გავეკარები, ფეხბურთის არც ერთ მატჩსაც აღარ ვუყურებ... გიო პატარა ბიჭი იყო და შეიძლება, სუსტი ნებისყოფა ჰქონდა, მაგრამ ახლა კიდევ ერთი მსგავსი ფაქტის შესახებ შევიტყვე: ერთ-ერთი ჩვენი უბნელი, 42 წლის კაცი, რომელიც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თურმე ძალიან აზარტული ყოფილა. მას ჩვენს უბანში ბინა გაუყიდია, რათა სახლი უკეთეს უბანში შეეძინა, მაგრამ ცდუნებას ვერ გაუძლო, მთელი ფული „გამაზა" და წააგო. გამწარებულს ჯერ ორი ბოთლი არაყი დაულევია, მერე კი თურმე, ქამარზე ლიმონკა დაიკიდა და თავი აიფეთქა. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ახლა ისიც შევიტყვე, რომ თურმე, ყველა ტოტალიზატორში ფინანსური პოლიციაა შესული და ყველაფერს ამოწმებს. ძალიან გამიხარდება, თუ ამ დაწესებულებებს დახურავენ და ხალხს თამაშის საშუალებას აღარ მისცემენ...

ციალა, *54 წლის:*

— ნიკუშა ჩემი მეგობრის შვილი იყო და შესაბამისად, ჩვენი შვილებიც მეგობრობდნენ. ორივე დედამ ვიცოდით, რომ ბიჭები ტოტალიზატორში დიდ თანხაზე თამაშობდნენ, მოგვიანებით კი „მაზაობაც" დაიწყეს. ამის გამო, გაწამებულები ვიყავით და ოჯახში რაც კი ღირებული რამ გვქონდა, ყველაფერი გავყიდეთ. ბოლოს ნიკუშას 300 ათასი ლარი წაუგია. ბიჭს უკვე იმდენი ვალი ჰქონდა, რომ ამ თანხის შოვნას ვერ შეძლებდა და თავისი ჭკუით, მარტივი გამოსავალი იპოვა — თავი ჩამოიხრჩო. ჩემმა შვილმაც წააგო 100 ათასი დოლარი და უკვე მეშინია, მანაც რაიმე არ აუტეხოს საკუთარ თავს. დავპირდი, — კრედიტს გამოვიტან და გადაგიხდი-მეთქი, მაგრამ არ ვიცი, ამხელა კრედიტს რომელი ბანკი მომცემს. ალბათ, ბინის ჩადება მომიწევს... ჩემი აზრით, ჟურნალისტებმა ის ხალხი უნდა მოძებნოთ, ვინც ახალგაზრდებს ამ ბინძურ თამაშში ითრევს, რადგან მათ გამო ზოგმა თავი მოიკლა, ზოგმა ოჯახი დაანგრია, ზოგი კი ციხეში მოხვდა... თვითმკვლელობაზე ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ ამას ისევ ჩემი შვილის გამო ვერ ვაკეთებ — პატრონი ხომ სჭირდება? ეს ერთადერთი შვილი მყავს და უპატრონოდ ხომ არ დავტოვებ?!. ხელისუფლებას ვთხოვ, როგორც კაზინოები დახურა, ისევე დაიხუროს ტოტალიზატორებიც. ახალგაზრდა ბიჭები ვიღაცის ჯიბის გასქელების გამო რატომ უნდა იღუპებოდნენ?!

იმის გასარკვევად, თუ რამდენი „მაზავშიკი" მუშაობს ერთ ტოტალიზატორში, 7 სათამაშო ობიექტი მოვიარე. როცა იქ მომუშავე პერსონალი იგებდა, რომ ჟურნალისტი ვიყავი, მეუბნებოდნენ, — ჩვენთან „მაზავშიკები" ნამდვილად არ არიან, ამას დაცვის მეშვეობით მკაცრად ვაკონტროლებთ და თუ შევნიშნავთ, რომ ვიღაც „ჩალიჩობს", ტოტალიზატორიდან ვაძევებთო. მხოლოდ ერთ-ერთი სათამაშო ობიექტის ოპერატორი, ***გოგა ესიაშვილი*** *დამთანხმდა ბლიც-ინტერვიუზე.*

— სიმართლე გითხრათ, „მაზავშიკების" არსებობის შესახებ მხოლოდ ამ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების შემდეგ გავიგე და ტელევიზიის მეშვეობითაც ვნახე, რომ რამდენიმე „მაზავშიკი" დააპატიმრეს. არა მგონია, რომელიმე ტოტალიზატორს ასეთი ადამიანების მათ ტერიტორიაზე ყოფნა აწყობდეს. ჩვენ გვყავს კლიენტები, რომლებიც ფსონებს ჩვენთან აკეთებენ და მერწმუნეთ, დარბაზში არც ერთი „მაზავშიკი" არ იმყოფება.

„მაზავშიკების" ქმედებას ძალოვნები უკანონო ფულად გარიგებად აფასებენ

— თქვენს ტოტალიზატორში მოსულ კლიენტს მაქსიმუმ, რა თანხის დადება შეუძლია?

— მინიმალური ფსონი 25 თეთრს შეადგენს, მაქსიმალური კი ამა თუ იმ თამაშიდან გამომდინარე და მასზე არსებული კუშების მეშვეობით დგინდება.

— თქვენს ტოტალიზატორში რამდენიმე ათასი ლარის დადება შესაძლებელია?

— არა, ამხელა ფსონების მიღება არ შეგვიძლია, რადგან ეს დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

— თუ იცით, რომ ხშირად, „მაზავშიკები" წაგებული თანხის გამო თავს იკლავენ?

— რა თქმა უნდა, მსგავსი ინფორმაციაც ტელევიზიის მეშვეობით მოვისმინე. საბედნიეროდ, ჩვენი კლიენტები თავს არ მოიკლავენ, რადგან აქ დიდ თანხას ვერ წააგებენ...

ე.წ. „მაზავშიკების" ქმედებას ძალოვნები უკანონო ფულად გარიგებად აფასებენ, რაც დასჯადია. კანონით, ეს მუხლი 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. რამდენიმე დღის წინ შს სამინისტროს იმერეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სამტრედიაში მცხოვრები 7 პირი სწორედ ამ მუხლით დააკავეს. უკანონო ფულად გარიგებაში მხილებულებს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ. გამოძიების მტკიცებით, ზაზა მიქელაძე, გელა შანიძე, სოსო ზაქარეიშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი, დავით კიკვაძე, ვასილ კრავეიშვილი და ოთარ საღინაშვილი 2010 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის თამაშების მიმდინარეობისას მოქალაქეებთან უკანონო ფულად გარიგებებს დებდნენ. დაკავებულთა საცხოვრებელი სახლების, მანქანებისა და პირადი ჩხრეკისას დიდი ოდენობის თანხაა ამოღებული. იმის დასამტკიცებლად, რომ დაკავებულები მართლაც, „მაზავშიკები" იყვნენ, გამოძიებამ ჩხრეკის შედეგად ჩანაწერებიც ამოიღო, სადაც ყველა გარიგება ანუ დადებული ფსონია ასახული. ძალოვანთა მტკიცებით, ასევე ამოღებულია 7.193 დოლარი და 9.708 ლარი. ფაქტს არც დაკავებული პირები უარყოფენ. უკანონო ფულადი გარიგების გამო მათ 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ამ დაკავებას, რამდენიმე დღეში, კიდევ ერთი ხმაურიანი ამბავი მოჰყვა — ამჯერად, ძალოვანთა „კლანჭებში" ცნობილი ფეხბურთელი, გიორგი დემეტრაძე აღმოჩნდა. მასთან ერთად კიდევ ორი პირი — დავით გაგნიძე და ყოფილი ძალოვანი, კახა მისირელი დააკავეს. ძებნა გამოცხადდა ვატო ყიფიანზე, რომელსაც სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. ძებნაშია კიდევ ერთი პირი, დავით ფეიქრიშვილი.

გამოძიების მტკიცებით, ამჟამად ძებნილ დავით ფეიქრიშვილს სწორედ „მაზის" წყალობით, 140 ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული. ბუნებრივია, მის მოვალეს ამხელა თანხის გადახდა გაუჭირდა და გამოსავლის ძებნა დაიწყო. გამოძიების მტკიცებით, მან

დახმარებისთვის ქურდული ტრადიციების მიმდევარ ვახტანგ (ვატო) ყიფიანს მიმართა. თავის მხრივ, უკრაინაში მყოფი ვატო ყიფიანი თბილისში, დავით ფეიქრიშვილს დაუკავშირდა. ძალოვნებს ხელთ აქვთ ყიფიანისა და ფეიქრიშვილის საუბრის ჩანაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ მათ შორის ლაპარაკი ფულზე იყო. მეტიც, ყიფიანი მას საჩუქარსაც სთხოვს და იმასაც ახსენებს, — ხომ იცი, ქურდული წესებით, ასეთ დროს მოგებული თანხის 20% სად უნდა წავიდესო?! ამ დეტალებში გაურკვეველი არც ფეიქრიშვილი აღმოჩნდა და მან ყიფიანს შეახსენა: ეს წესები აღარ არსებობსო. ძალოვნებმა ყიფიანისა და გაგნიძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერებიც გაავრცელეს. ყიფიანი გაგნიძეს ეუბნება, რომ „ის“ გადასცეს „იმ“ პიროვნებას, თუმცა არ აკონკრეტებს, რის გადაცემაზეა ლაპარაკი. არც გაგნიძისა და ფეხბურთელ დემეტრაძის საუბრიდან იკვეთება რაიმე, მხოლოდ ერთი რამაა ცხადი — დემეტრაძე ვიღაცას უნდა შეხვედროდა. მართლაც, ძალოვნებმა გიორგი დემეტრაძე, დავით გაგნიძე და კახა მისირელი ჭავჭავაძის ჩიხში, საღამოს 7 სააათზე დააკავეს მაშინ, როცა სავარაუდოდ, ფეიქრიშვილს ელოდებოდნენ, რათა მისთვის თანხა გადაეცათ. დაკავებულებისგან 40.700 დოლარია ამოღებული და ეს თანხა, გამოძიების მტკიცებით, ფეიქრიშვილს ეკუთვნოდა. ვატო ყიფიანს კი დამატებით, ფეიქრიშვილის მოგებული თანხა, 30 ათასი დოლარი უკრაინაში ჰქონდა ამოღებული. გამოძიების თქმით, კახა მისირელის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია „გლოკის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ბინის ჩხრეკისას „მაუზერის“ და „იერიხოს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა, საბრძოლო ვაზნები, ხოლო დავით გაგნიძეს პირადი ჩხრეკისას იარაღი და ვაზნები აღმოაჩნდა. გაგნიძეს, დემეტრაძეს და ძებნაში მყოფ ყიფიანს ადვოკატები — მარიკა ფხალაძე და გიგი ზირაქიშვილი იცავენ. რაც შეეხება ყოფილ ძალოვანს, მას სხვა ადვოკატი იცავს. კახა მისირელი თურმე, წლების მანძილზე ძალოვანთა სისტემაში, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა. ბრალდების მტკიცებით, ვატო ყიფიანმა ფეიქრიშვილთან საუბრით წაგებული თანხის განახევრებას მიაღწია — მოვალეს ფეიქრიშვილისთვის 140 ათასი დოლარის ნაცვლად, 70 ათასი დოლარი უნდა გადაეცა და ამ თანხიდან სწორედ 40 ათასი დოლარის მიტანა სთხოვა ყიფიანმა გაგნიძეს. დაკავებული პირები წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობენ და დუმილის უფლებას იყენებენ. ჯერჯერობით, ადვოკატებიც ვერ ამბობენ, ამოღებული თანხა მართლაც, „მაზის“ იყო თუ არა. „ვერ გეტყვით, ეს რეალურად წაგებული თანხაა თუ არა, რადგანაც დაკავებულებს ჩვენება არ მიუციათ. დემეტრაძემ და გაგნიძემ არ იცოდნენ, ეს რა თანხა იყო. უბრალოდ, ვატოს თხოვნით, ვიღაცისთვის უნდა მიეტანათ. ვიდრე დანიშნულ ადგილას წავიდოდნენ, ბიჭები ეზოში „ჯოკერს“ თამაშობდნენ. დემეტრაძემ თავის მეზობელს, კახა მისირელს ჰკითხა, — ხომ არ იცი, ესა და ეს ქუჩა სად მდებარეობსო? მისირელმა უპასუხა, რომ იცოდა და ის უბრალოდ, დემეტრაძესა და გაგნიძეს მანქანაში ჩაუჯდა. მისირელმა არ იცოდა, იმ ქუჩაზე რისთვის მიდიოდნენ. იგი ყოფილი ძალოვანია და სასაცილოა, ქურდული სამყაროს წევრობას რომ ედავებიან. მან თქვა, — ხალხნო, ძალიანაც რომ მნდომოდა, ქურდების გვერდით ვინ გამაჭაჭანებდაო? ეს აბსურდია! და კიდევ, გაგნიძე და მისირელი ერთმანეთს არ იცნობენ. ბრალდებულებს ჩვენება არ მიუციათ, დუმილის უფლებას იყენებენ და წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობენ. არაფერი იციან იმ სატელეფონო საუბრების ჩანაწერების შესახებაც. მხოლოდ ის მითხრეს, — ჩვენ შორის საუბარი წილებთან, თანხასთან დაკავშირებით არ ყოფილაო“, — აცხადებს ადვოკატი მარიკა ფხალაძე. მისივე თქმით, დაკავებულებისთვის ორთვიანი პატიმრობის შეფარდებაც ოპერატიულად მოხდა. ის ჯერჯერობით, მის დასაცავ ვატო ყიფიანს არ გასაუბრებია. ყიფიანის ოჯახის წევრებმა საღამოს 11-ის ნახევარზე მიიღეს უწყება, რომ მეორე დილით, 11 საათზე წყდებოდა ყიფიანის ბედი. „კარგად იცოდნენ, რომ ყიფიანი თბილისში არ იყო და მეორე დილით, 11 საათზე, ამის დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, პროცესზე ვერანაირად ვერ გამოცხადდებოდა. არადა, პირს მინიმუმ, 24-საათიანი ვადა მაინც ხომ უნდა მისცე, რომ გამოცხადდეს?“ — დასძინა ადვოკატმა ფხალაძემ. მისი მტკიცებით, მომხდარით გაოგნებულია ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე, რომელიც ქურდულ სამყაროსთან ყოველგვარ კავშირს კატეგორიულად უარყოფს. „გიორგი დემეტრაძე გადარეულია. ამბობს, არანაირი შეხების წერტილი ქურდულ სამყაროსთან არ მაქვსო. არც ყიფიანია კანონიერი ქურდი. ოთხივეს ქურდული სამყაროს წევრობას ედავებიან, მაგრამ რომელი ქურდის სამყაროს წევრები არიან, ეს მაინც ხომ უნდა იყოს ცნობილი?!“

ისმის კითხვა, მაშინ ვის დასჭირდა ფეხბურთელის დადანაშაულება და რატომ? — ამაზე ადვოკატ მარიკა ფხალაძეს ასეთი პასუხი აქვს: „დემეტრაძის თემა სპეციალურად აგორდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იციან, ვატო ყიფიანი კიევში, დემეტრაძის ბინაში ცხოვრობს. გიორგი ამბობს, — ყიფიანი ჩემი ბავშვობის მეგობარია და ის ფაქტი, რომ ჩემს სახლში ცხოვრობს, არ ნიშნავს იმას, რომ მე ქურდული სამყაროს წევრი ვარ ან ვინმეს მითითებას ვასრულებ და რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩავდივარო. არ ყოფილა ფაქტი, რომ მათ ვინმესთვის რაიმე გამოეძალოთ. ქურდული სამყაროს წევრობას რომ აბრალებ, უნდა არსებობდეს ქურდი, რომლის მითითებასაც ეს ბიჭები ასრულებდნენ, ასეთი რამ კი არსადაა მითითებული“.

— ქალბატონო მარიკა, ჩვენ ყიფიანისა და ფეიქრიშვილის სატელეფონო საუბრები მოვისმინეთ. ეს არ არის მტკიცებულება?

— ჯერჯერობით, ვატო ყიფიანთან დაკავშირება ვერ შევძელით და ვერ გეტყვით, ის, რაც მოისმინეთ, რეალობას შეესაბამება თუ არა. ბრალდების მტკიცებულებებს რომ გავეცნობით, მერე უფრო შევძლებთ კომენტარის გაკეთებას... აღმკვეთი ღონისძიების დროს მათი გათავისუფლება მოვითხოვეთ. მიგვაჩნია, რომ პატიმრობის გამოყენების საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება „მაზავშიკობას“, ამასთან კავშირს არ ედავებიან. ვერც ის გავიგე, ვატო ყიფიანის წარსულზე რატომ ხდება ასეთი აპელირება?.. ყიფიანი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა და საქართველოდან წავიდა. მას 6 წელი ჰქონდა მისჯილი და სასჯელის ნახევარზე მეტი მოიხადა. თავის დროზე ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, თითქოს, ვატო მკვლელია, მისი მისამართით ათასი უსაფუძვლო ბრალდება ისმოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, არც ერთი არ დადასტურდა. მას ჯაფარიძის მკვლელობაში ადანაშაულებდნენ, მაგრამ ეს საქმე შეწყდა, შემდეგ კი ნარკოტიკის, იარაღის შენახვა-შეძენის გამო დააკავეს და სწორედ ამ დაკავებისას განაახლეს ჯაფარიძის საქმე, მაგრამ გამამართლებელი განაჩენი დადგა როგორც მკვლელობის ბრალდების, ასევე ნარკოტიკებისა და იარაღის შენახვა-შეძენის ბრალდების ნაწილში. თუმცა, ამ საქმის გამოძიებისას სოფელ ღვანკითიდან დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს, რომელიც იქ თურმე, ჯერ კიდევ 1994-95 წლებში, სარდაფში იყო შენახული. ერთ-ერთმა მოწმემ თქვა: როცა ყიფიანმა იქ მიიტანა, მაშინ 15-16 წლის იყოო. მოწმესთან და-

პირისპირებისას ფაქტი ვერ დადასტურდა, მაგრამ ამ ეპიზოდისთვის ბრალი მაინც წაუყენეს და ცეცხლსასროლი იარაღის გადაზიდვა-შენახვის ბრალდებით 6 წელი მიუსაჯეს.

— გიორგი დემეტრაძე გამოძიებას ჩვენებას არ მისცემს?

— გაგნიძე და დემეტრაძე მასალების გაცნობის შემდეგ აუცილებლად მისცემენ ჩვენებას. ძალიან გვაინტერესებს, ამ აბსურდული ბრალდების ირგვლივ გამოძიებას რა მტკიცებულებები აქვს. ფაქტია, დემეტრაძე მსხვერპლია და იმის გამო ისჯება, რომ ყიფიანი მის სახლში ცხოვრობს... ან როგორ შეიძლება, ქურდული სამყაროს წევრობა პოლიციელს დააბრალო?!.

არ ვიცით, ამ საქმეში ვის რა ბრალი მიუძღვის, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ქართველები ძალზე აზარტულები, რისკიანები ვართ, რაზეც „მაზავშიკების“ მსხვერპლთა რაოდენობაც მიუთითებს.

დაბოლოს, საერთოდ, რა არის აზარტი და რატომ ეწირებიან მას ადამიანები? — ამ კითხვაზე პასუხს ფსიქოლოგი ***ნანა ჯინჭარაძე*** *გაგვცემს:*

— აზარტი, მეტ-ნაკლებად, ყველა ქართველისთვის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ზედმეტად აზარტულიც კია ანუ მის ხასიათში ეს თვისება ჭარბადაა. ის ახალგაზრდები, ვინც ტოტალიზატორში თამაშობენ, მოგვიანებით „მაზაობის“ გემოსაც იგებენ, მერე კი ნელ-ნელა, თავისდაუნებურად, თამაშზე დამოკიდებულნი ხდებიან — ეს იგივეა, რაც ნარკოტიკზე დამოკიდებულება. ასეთ ადამიანებს, როგორც ავადმყოფებს, ისე უნდა შევხედოთ და მხარში ამოვუდგეთ. სამწუხაროდ, ქართველი ახალგაზრდების უმეტესობა ფსიქოლოგთან ვიზიტზე უარს ამბობს, არადა, თამაშზე დამოკიდებული ადამიანის „განკურნების“ ერთადერთი შანსი სწორედ ფსიქოლოგიური კონსულტაციაა...

■

ჟაკ-ივ კუსტო

ადამიანი, რომელმაც თავი ზღვას მიუძღვნა

ამ კაცზე ამბობდნენ, რომ მას ადამიანებსა და ხმელეთზე მეტად, ზღვა და თევზები აინტერესებდა. მართლაც, ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მან თავისი შემოქმედებით ადამიანებსაც მიაქცია ყურადღება: ანტარქტიდის ნაპირებთან კვლევების ჩატარებისას, მისი გემი აისბერგს შეეჯახა და მაგელანის სრუტეში, პუანტა-არენასის პორტში იძულებით რემონტზე დადგა. უსაქმურობისგან გაბეზრებულმა კუსტომ გადაწყვიტა, ცეცხლოვანი მიწის (ანტარქტიდასა და სამხრეთ ამერიკას შორის მდებარე 40 ათასი კუნძულისგან შემდგარი არქიპელაგი) აბორიგენი მოსახლეობის შესახებ ფილმი გადაეღო; თუმცა, ამ ფილმში დასმული პრობლემატკაც მისთვის „მშობლიური“ იყო — თუკი წიგნებისა და ტელევიზიის დახმარებით გადაშენების პირას მყოფი თევზების დაცვა შეიძლებოდა, გადაშენების პირას მყოფმა ტომებმა რაღა დააშავეს?!.

ზვიად გურული

ეს იყო და ეს — არც მანამდე და არც მას შემდეგ, დიდ ფრანგ ზღვაოსანსა და კინოდოკუმენტალისტ ჟაკ-ივ კუსტოს, ზღვის ბინადართა გარდა, აღარაფრისთვის მიუქცევია ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირა ქალაქში დაბადებულმა ცურვა ბავშვობაშივე ისწავლა, ამ საქმეში დიდ სპეციალისტად ვერ ჩაითვლებოდა — 26 წლის კუსტო ჩვეულებრივი კროლის დახვეწაზეც ბევრს მუშაობდა. სწორედ ამ ასაკში ანუ 1936 წელს, სანაპიროს გასწვრივ ხანგრძლივი ცურვისას, მარილიანმა წყალმა კუსტოს თვალები გაუღიზიანა და საღამოს შინ დაბრუნებულმა შექმნა პირველი უმარტივესი წყლის სათვალე, რომელიც მეორე დილასვე დაამზადა და გამოსცადა — სათვალიდან დანახულმა სამყარომ იმწამსვე „დააავადა“, ეს გამოგონება შემდგომი დიდი აღმოჩენების პიონერად იქცა.



კუსტოს მეუღლე — სიმონა უსმოდ იგანდა ყველა სიძნელეს

დასაწყისი კი, თუმცა ზღვასთან დაკავშირებული, მაგრამ სრულიად განსხვავებული იყო...

იგი საფრანგეთში, ბორდოსთან ახლოს, ზღვისპირა პატარა ქალაქ სენ ანდრე-დე-კუბზაკში, 1910 წლის 11 ივნისს დაიბადა. მართალია, ამ ქალაქში (რომელზეც შემდეგ ხუმრობდა — უფრო პატარა იყო, ვიდრე მისი სახელწოდებაო) ყოველთვის ბრუნდებოდა, მაგრამ მის ოჯახს ხშირად და თანაც, დიდი ხნით უწევდა ხოლმე სხვაგან ცხოვრება.

მამა კომერსანტი იყო და საქმეების გამო ბევრს მოგზაურობდა: იქვე, ფრანგული ელზასიდან დაწყებული და ნიუ-იორკით დამთავრებული. ცხადია, ასეთ ცხოვრებას დისკომფორტიც ახლდა, სამაგიეროდ, პატარა ჟაკმა ელზასში გერმანული, ხოლო ნიუ-იორკში ინგლისური ისწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაც დაამთავრა და შესაბამისი ატესტატიც მიიღო, დედამისი მიიჩნევდა (მამა ამ დროისთვის უკვე გარდაცვლილი იყო), რომ ბევრი სკოლის გამოცვლის გამო მას უსისტემო განათლება ჰქონდა და როდესაც ჟაკმა საფრანგეთის სამხედრო საზღვაო აკადემიაში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, მისი იქ მიღება დიდად არ ეიმედებოდა, მაგრამ ახალგაზრდა კუსტომ ათასი კანდიდატიდან ოცდამეორე პოზიცია მოი-

პოვა და შესაბამისად, ოცდაათ პირველკურსელს შორის აღმოჩნდა. აკადემიაში მთავარი აქცენტი პრაქტიკაზე იყო გადატანილი და სტუდენტთა სასწავლო აუდიტორიებიც სამხედრო გემ „ჟანა დ'არკზე“ გახლდათ მოწყობილი, რომლითაც კუსტომ მთელი მსოფლიო მოიარა. თუმცა, ეს ჩვეულებრივი სტუდენტური რუტინა იყო და მაშინ მოგზაურის პროფესიაზე არც უფიქრია. აკადემიის დამთავრების შემდეგ ჩინეთში, შანხაის სამხედრო საზღვაო ბაზაზე მიავლინეს. მოუსვენარმა ახალგაზრდამ ერთ ადგილას დიდხანს ვერ გაძლო — ავიაციით დაინტერესდა, თუმცა ზღვასთან კავშირის განყვეტაც არ უნდოდა და საზღვაო-საავიაციო აკადემიაში მოახერხა მოწყობა. სამწუხაროდ, იქ სწავლა აღარ დასცალდა — ავტოკატასტროფაში მარჯვენა ხელი მოიტეხა, ხოლო მარცხენაზე ე.წ. „სხივური ნერვი“ დაიზიანა და ამ ხელში მგრძნობელობა საერთოდ დაკარგა. რამდენი რამ არის დამოკიდებული უბრალო შემთხვევაზეო, — ამბობდა შემდგომში. — იმ მანქანის წინ ქათამს რომ არ გადაერბინა, ხელებს არ ვიტკენდი, ხელი რომ არ მტკენოდა, ექიმები კატეგორიულად არ მომთხოვდნენ მარცხენა ხელის ამპუტაციას, მე რომ უარი არ მეთქვა ამპუტაციაზე და საავადმყოფოდან არ გამოვპარულიყავი, არასოდეს ვიმკურნალებდი სხვა ექიმთან, რომელმაც ხელის ფუნქციის აღსადგენად მუდმივი ვარჯიში დამინიშნა... სწორედ ამ ვარჯიშების ნაწილი იყო ცურვა, რომელსაც იგი ფლოტზე არტილერისტად დაბრუნებული (ავიაციაზე ოცნებას აზრი აღარ ჰქონდა) ყოველდღე მიმართავდა და რომლის დროსაც პირველი სათვალით პირველად იხილა წყალქვეშა საოცრებანი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც ადამიანმა ჯერ გამოიგონა „რაღაც“ და შემდეგ გახდა იმ საქმის სპეციალისტი, რაშიც ეს „რაღაც“ გამოადგებოდა.

ოცდაათი წელი დასჭირდა წყალქვეშა ამუნიციის დახვეწასა და იმას, რომ იგი იოლად მოსახმარი, უსაფრთხო ყოფილიყო, მაგრამ თავიდან, როდესაც კუსტო მიხვდა, რომ იმ დროისთვის არსებული მყვინთავის კოსტიუმი უხეში, არაპრაქტიკული იყო და სპეციალური აპარატის საჭიროება დაინახა, მის მიერ შექმნილი პირველი მოდელი სხვა არაფერი იყო, თუ არა მოტოციკლის საბურავის კამერისა და აირწინაღის ერთობლიობა, რომლის ბალონიც ნახშირორჟანგის ქიმიური მშთანთქავით გაავსო და ამ ექსპერიმენტმა ლამის შეიწირა კიდეც. კიდევ არაერთი უიღბლო ცდის შემდეგ კუსტომ მეგობრის, პროფესიით ინჟინერი ემილ განიანის დახმარებით შექმნა „წყალქვეშა ფილტვი“ — ახლა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი აკვალანგი, რომელიც ცხადია, მომავალში უფრო დაიხვეწა.

„კალიფსო, ტულონი“ – გემის სახელი კუსტომ ჰომეროსის „ოდისეის“ ნიმფისგან ისესხა

კუსტოს ამ გატაცებას საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელები დიდად უწყობდნენ ხელს, რადგანაც ახალგაზრდა ოფიცრის მუშაობაში პრაქტიკულ მარცვალს ხედავდნენ, მაგრამ 1940 წლის მაისში ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა — გერმანელებმა საფრანგეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს; თუმცა ტულონი და მის პორტში ბაზირებული ფლოტი არაოკუპირებულ ნაწილში დარჩა, მას ქალაქ ვიშში განლაგებული საფრანგეთის მთავრობა (ე.წ. ვიშის მთავრობა) მართავდა. ასე რომ, „ვიშის თავისუფალი ზონის“ ოკუპაციამდე კუსტო მეგობრებთან ერთად, თავის წყალქვეშა საქმიანობას კვლავ განაგრძობდა, მაგრამ 1942 წლის ნოემბერში ტულონი გერმანელთა მოკავშირე იტალიელმა ფაშისტებმა დაიკავეს. ფრანგმა მეზღვაურებმა წინასწარ გაანადგურეს საკუთარი ფლოტი, რათა მტერს არ ჩავარდნოდა ხელში და კუსტომ, თანამოაზრეებთან ერთად, სწორედ მაშინ გადაწყვიტა გადაეღო ფილმი ჩაძირულ გემებზე — მათ უკვე ჰქონდათ წყალქვეშა გადაღებების გარკვეული გამოცდილება. პრობლემა სწორედ იტალიელებმა შეუქმნეს — მიუხედავად იმისა, რომ კუსტომ „ხმელთაშუა ზღვის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის“ თავმჯდომარის, იტალიელი გენერლის სარეკომენდაციო წერილიც კი მოიპოვა, საქმეს არც ამან უშველა. სამაგიეროდ, 1943 წელს იტალიელების გერმანელებით ჩანაცვლებამ კუსტოს და მის თანამოაზრეებს ხელი გაუხსნა — გერმანიის საზღვაო სამინისტროც ინტენსიურად მუშაობდა წყალქვეშა აღჭურვილობის შექმნა-დახვეწაზე, რომლის გამოცდას სწორედ ტულონის სანაპიროსთან ახდენდა. გერმანელებმა კუსტოს ჯგუფს პარალელურად მუშაობის უფლება სიამოვნებით მისცეს. ალბათ ფიქრობდნენ, რომ მერე მის მიღწევებს მიისაკუთრებდნენ, მაგრამ საბოლოოდ, გერმანელებს ამისათვის აღარ ეცალათ. სამაგიეროდ, კუსტომ გადაიღო თავისი პირველი წყალქვეშა ფილმი — „ჩაძირული ხომალდები“, რომელიც დეოკუპაციის შემდეგ ფრანგულ კინოთეატრებში ყველაზე პოპულარულ ფილმად იქცა.

ტექნიკის სრულყოფისა და ფსკერის კვლევის გარდა, ჯგუფმა სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო დავალებაც შეასრულა

თუმცა, ფრანგული სამხედრო საზღვაო დაზვერვის ოფიცერი ჟაკ-ივ კუსტო ომის დროს მხოლოდ „მედუზების კინოგადაღებით“ არ იყო დაკავებული. მან და მისმა ჯგუფმა რამდენიმე სახიფათო ოპერაცია, მათ შორის, მოწინააღმდეგის შტაბიდან უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გატაცება განახორციელა და ომის შემდეგ სწორედ სამხედრო დამსახურებისათვის ჩააბარეს წყნარი, უპრობლემო თანამდებობა — მარსელში, სამშობლოში დაბრუნებულ მეზღვაურთა შემკრები პუნქტის უფროსად დანიშნეს, მაგრამ მოუსვენარმა მკვლევარმა იქ დიდხანს ვერ გაძლო; მან არც ცოლის — სიმონას თხოვნას დაუგდო ყური და არც ის გაითვალისწინა, რომ მცირეწლოვანი შვილები ჰყავდა, წაიღო თავისი ფილმი და პარიზში, ადმირალ ანდრე ლემონიეს მიაკითხა. ფილმმა ადმირალზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა (ის ეკრანებზე ჯერ კიდევ არ იყო ნაჩვენები), რომ კუსტომ სანუკვარი ნებართვა მიიღო — მისცეს მცურავი ბაზა (პატარა გემი) „ალბატროსი“, რომელსაც თავისი დაღუპული მეგობრის სახელი — „ელი მონიე“ დაარქვა და ზღვაში გავიდა. ექსპედიციაში ძირითადად, მეცნიერები იყვნენ. კუსტო ტექნიკას ხვეწდა, მაგრამ მანამდე მხოლოდ გამომგონებელმა და ტექნიკოსმა, სწორედ იქ შეკრებილი სხვადასხვა პროფილის მეცნიერისგან შეითვისა ბიოლოგიის, ვულკანოლოგიის, ოკეანოლოგიისა და ჰიდროფიზიკის პირველი გაკვეთილები.

ექსპედიცია საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა — ტექნიკის სრულყოფისა და ფსკერის კვლევის გარდა, ჯგუფმა სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო დავალებაც შეასრულა, მაგრამ კუსტოსთვის ეს ცოტა იყო. ექსპედიციის დასრულების შემდეგ, უფრო დიდი მიზნები დაისახა — იგი მიხვდა, რომ მთავარი ოკეანის შელფის, ფსკერის სიღრმის კვლევა იყო და ამისათვის საკუთარი გამოგონება (აკვალანგი) უკვე ბავშვურ სათამაშოდ ეჩვენებოდა; მისი მთავარი მიზანი უკვე საკუთარი გემი, ნამდვილი მცურავი სამეცნიერო-ლაბორატორია გახდა. საფრანგეთში დაბრუნებულმა სწორედ ამ თხოვნით მიმართა სამხედრო საზღვაო ძალების კადრების უფროსს, მაგრამ ადმირალ ლემონიესგან განსხვავებით, ამ უკანასკნელმა კუსტოს რომანტიკული და ამავე დროს პრაქტიკული მიზნების მნიშვნელობა ვერ გაიგო: „17 წელი გიმსახურიათ ფლოტში, ყოჩაღ! შემიძლია უკეთესი რამ შემოგთავაზოთ — შტაბში გაგიხერხებთ წყნარ სამსახურს“. კუსტომ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ თუკი ფლოტი ფულს არ დახარჯავდა და გემს თვითონ იშოვიდა, ექსპედიციის უფლებას და ეკიპაჟის დაფინანსებას მისცემდნენ, მაგრამ კადრების უფროსმა ისიც დასძინა, — ასე კარიერას გაიფუჭებო...

კუსტო „ინტერნაციონალიზმის“ მომხრე გახლდათ და „კალიფსოზე“ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მუშაობდა

ვინაიდან ფული არ ჰქონდა, მეგობრებთან ერთად სპონსორის ძებნა დაიწყო: საოჯახო სამისამართო წიგნში ვინმე ბატონი „L“-ს კოორდინატები აღმოაჩინეს, რომელიც ოდესღაც რესტორანში გაიცნეს და ამ კაცმა მათ უთხრა: თუკი გაგიჭირდეთ, მომმართეთო. მართლაც, ზღაპარივით გამოვიდა — იმ კაცს არც მაშინ ნდომებია თავისი ვინაობის გამჟღავნება და დღემდე ბატონ „L“-ად დარჩა ადამიანი, რომელმაც ფაქტობრივად, კუსტოს მთელი მომავალი კარიერა და შესაბამისად, მსოფლიოს ოკეანის კვლევის სულ ცოტა, 50-წლიანი პროგრესი უზრუნველყო.

ერთი სიტყვით, „L“-მა, ინგლისელ პარტნიორთან ერთად, კუსტოს 1942 წელს ამერიკაში, ინგლისის ფლოტისთვის აგებული და უკვე ჩამოწერილი მომცრო (140 ფუტის — 45 მეტრამდე და 360 ტონა წყალწყვის) გემი უყიდა, გადააირაღა კიდეც და ტულონის ნავსადგურში დაუყენა. სწორედ მაშინ შეიცვალა გემის სახელი და წარწერა, რომელიც დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ტელემაყურებლისთვის ნაცნობია: „კალიფსო, ტულონი“ — გემის სახელი კუსტომ ჰომეროსის „ოდისეის“ ნიმფისგან ისესხა. რაც შეეხება ფრანგულ სამხედრო-საზღვაო უწყებას, მას ერთი ფრანკიც კი არ დაუხარჯავს და მიუხედავად დაპირებისა, კუსტოს არა მივლინების, არამედ სამწლიანი შვებულების გაფორმება მოუხდა (თუმცა, ეს მაინც ჩაუწერეს: „შვებულება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის(?)“) და ზღვაში გავიდა.

ექსპედიციამ ჯერ წითელი, ხმელთაშუა და შავი ზღვები მოიარა, შემდეგ კი მსოფლიო ოკეანეებსაც „შეჰბედა“. მალე ამ მოგზაურობის შედეგად შექმნილი წიგნები თუ ფილმები მსოფლიოს ბესტსელერებად იქცა.

ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის ეთერში რვა სეზონის განმავლობაში გადიოდა კუსტოს მიერ გადაღებული კადრებით შექმნილი საოცარი დოკუმენტური ფილმები

გემის პერსონალური შემადგენლობა უნიკალური იყო: კუსტოს წყალქვეშა კვლევების ის ორი პიონერიც ახლდა, რომლებთან ერთადაც ამ საქმის სათავეებთან ჯერ კიდევ ომამდე იდგა — ფრედერიკ დიუმა და ფილიპ ტაიე; კუსტო „ინტერნაციონალიზმის“ მომხრე გახლდათ და „კალიფსოზე“ ამერიკელების — ჟურნალისტ ჯეიმს დაგენისა და ზღვაოსან ბელ გროუვნეს ყოფნაც ამის დასტურია; გეოლოგების ჯგუფს ჰარუნ თაზიევი ხელმძღვანელობდა (პოლონეთში დაბადებული, ეროვნებით ლეკი და საფრანგეთის მოქალაქე. ამ მეცნიერის უცნაური ცხოვრება ცალკე საუბრის თემაა და შესაძლოა, ოდესმე დავუბრუნდეთ კიდეც); აქ იყვნენ ჰიდროლოგებიც, კლოდ ფრანსის ბეფის ხელმძღვანელობით; ბიოლოგი პიერ დრაშა, ინჟინერ-ოპტიკოსები და სხვა ბევრი თავისი საქმის სპეციალისტი. თუმცა მათ — მეცნიერებსაც და მეზღვაურებსაც ერთი რამ აერთიანებდათ: ისინი მორიგეობით, უბრალო მეზღვაურებივით ხეხავდნენ გემბანს და ღამით მესაჭის ბოგურაზე მორიგეობაც მათი მოვალეობა იყო; კიდევ ერთი, რაც ყველას აერთიანებდა, ეს გახლდათ გემბანზე დამონტაჟებული, უჟანგავი ლითონისაგან დამზადებული, ღვინით სავსე 1000-ლიტრიანი ცისტერნა, საიდანაც ნებისმიერს, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რაოდენობით შეეძლო მირთმევა! ეს კუსტოს გემზე, როგორც თავადვე ამბობდა, დემოკრატიის მთავარი გამოვლინება გახლდათ, თუმცა არასოდეს მოხდარა ისეთი რამ, რომ ამ „დემოკრატიით“ ვინმეს ბოროტად ესარგებლოს (არადა, ვულკანოლოგების ჯგუფში რუსი ვლადიმერ ნესტეროვიც იყო).

გემის შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით შექმნილი ფილმებისა თუ პუბლიკაციების პოპულარობის გამო, მათ უკვე საფრანგეთის განათლების სამინიტრო და ფრანგული კინოს სახელმწიფო სამმართველოც აფინანსებდა, სამხედრო-საზღვაო უწყებამაც გაიკრა ჯიბეზე ხელი, ეს მაინც, არასაკმარისი იყო და ზემოთ ნახსენები ამერიკელებიც არა მხოლოდ კუსტოს „ინტერნაციონალური მისწრაფებების“ გამო იყვნენ გემზე: ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიის ეთერში რვა სეზონის განმავლობაში გადიოდა კუსტოს მიერ გადაღებული კადრებით შექმნილი საოცარი დოკუმენტური ფილმები.

იყო „ნატურალური გადახდებიც“. მაგალითად, ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის პრეზიდენტმა, კუსტოს წიგნის („უტყვი სამყარო“) წაკითხვის შემდეგ, „კალიფსოს“ უახლესი ჰიდროლოკაციური აპარატურა აჩუქა.

არც კერძო შეკვეთებზე ამბობდნენ უარს — პირველად ასეთი შეკვეთა ფრანგული ნავთობმომპოვებელი კომპანია „დარსისგან“ მიიღეს, რომლის დავალებითაც, აბუ-დაბის აკვატორია შემოწმდა. სამაგიეროდ, ამ ოპერაციის საფასურად, „კალიფსოს“ კორპუსის ძირზე სპეციალური „ჭა“ მოეწყო, რომლის საშუალებითაც, ცუდ ამინდში მყვინთავებს უშუა-

ნელ-ნელა, გზადაგზა იძენდა „კალიფსო“ იმ სახეს, რომლითაც მას ყველანი ვიცნობთ...

ბაგისკაფი

ლოდ გემის ძირიდან შეეძლოთ ხომალდზე დაბრუნება; კიჩოზე წყალქვეშა დაკვირვებისთვის სპეციალური ობსერვატორია მოეწყო, კაპიტნის ბოგურის ზემოთ კი კიდევ ერთი, უფრო მაღალი სადამკვირვებლო ბოგურა; სწორედ ამ პერიოდში დამონტაჟდა ღვინის ცისტერნაც... ასე ნელ-ნელა, გზადაგზა იძენდა „კალიფსო“ იმ სახეს, რომლითაც მას ყველანი ვიცნობთ...

კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც კუსტოს არა მხოლოდ ამ პირველ დიდ ექსპედიციაში, არამედ შემდეგაც მუდმივად თან ახლდა, მისი მეუღლე — სიმონა გახლდათ, რომელიც უხმოდ იტანდა მოგზაურობის ყველა სიძნელეს. მას არასოდეს უთქვამს საყვედური გადატანილი შიშისა თუ გაჭირვების გამო, მხოლოდ ერთხელ დაკარგა გონება შიშისგან, როდესაც დაინახა, თუ როგორ შეწყდა კუსტოსა და დიუმას აკვალანგებიდან წყლის ზედაპირზე გაჩენილი ბუშტუკების ნაკადი. აღმოჩნდა, რომ წყალქვეშა გამოქვაბულის კვლევისას, ბატისკაფში გემზე მიმაგრებული შლანგიდან, ჰაერის ნაცვლად, ნამწვი გაზი მოხვდა. კუსტომ და დიუმამ ეს დროზე შეამჩნიეს და ვიდრე ზედაპირზე ამოვიდოდნენ, სუნთქვა შეიკავეს, სიმონას კი ისინი უკვე დაღუპულები ეგონა. ქალბატონი კუსტო თვითონაც ყვინთავდა ხოლმე, ქმართან ერთად, მაგრამ არცთუ დიდი ხალისით. სამაგიეროდ, ვერ დაუშალა ვაჟების — ჟან-მიშელისა და ფილიპის „გადაბირება“, რომლებიც კუსტომ 1945 წლის ზაფხულში (მაშინ უფროსი 7 წლის იყო, ხოლო უმცროსი — 5-ის) პირველად გაიყვანა ღია ზღვაში და მის სიღრმეებს აზიარა; 9 წლის ასაკში ფილიპი უკვე ჩვეულებრივი ჩანგლით ხოცავდა ზღვის ზღარბებს და გემის სამზარეულოს ამარაგებდა (ფილიპი 1979 წელს, ჰიდროთვითმფრინავით ზღვის ზედაპირზე დაშვებისას, პორტუგალიის სანაპიროსთან დაიღუპა, რამაც მამამისი ღრმა დეპრესიაში ჩააგდო. მან 2 წლის შემდეგ მოახერხა მდგომარეობიდან გამოსვლა და „კალიფსოზე“ დაბრუნება).

...კუსტო თავის მთავარ საქმიანობასაც მუდმივად განაგრძობდა — წყალქვეშა კვლევების ფრანგული ცენტრის დახმარებით ე.წ. „მყვინთავი თეფში“ შექმნა (ასე უკვე აქტუალური „მფრინავი თეფშების“ გამო უწოდეს), რომელსაც „დენიზი“ დაარქვა — ეს იყო ორკაციანი ბატისკაფი, რომელიც წყალქვეშ რამდენიმე ასეულ მეტრზე ჩადიოდა და ყველაფერი „პრეკონტინენტის“ გამოგონებით დაგვირგვინდა — 5 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი, გადაადგილებადი წყალქვეშა სადგური იმ ტექნიკის კომპლექტის ბოლო ნაწილი იყო, რომლითაც ფანტასტიკური ფილმის გადაღება შეიძლებოდა და ასეც მოხდა — მთელ მსოფლიოში ფურორი მოახდინა კუსტოს პირველმა ფერადმა წყალქვეშა ფილმმა, რომელიც წითელ ზღვაში, 150 ფუტის სიღრმეზე გადაიღო. მაყურებელი შოკში ჩააგდო არა მხოლოდ წყალქვეშა სამყაროს სილამაზემ და მრავალფეროვნებამ, არამედ კუსტოს ახალმა ტექნიკამაც — ყველამ დაინახა, რომ ამ კაცის მიერ შექმნილი „წყლის ფილტვებით“ ნებისმიერს შეეძლო ენით აუწერელ სილამაზესთან ზიარება. ამის გამო ყველა თანამედროვე დაივერი (ეს სპორტი თუ ჰობი ხომ ძალზედ პოპულარულია დღეს) კუსტოს მადლიერი უნდა იყოს.

კუსტო ფილმებში განსაკუთრებულ ყურადღებას გადაშენების პირას მყოფი სახეობების პრობლემებს უთმობდა, თუმცა

კუსტო თითქმის ცხოვრების ბოლომდე აქტიურ ზღვაოსნად დარჩა

არც წყალქვეშა არქეოლოგიას ივიწყებდა — პირველად 1952 წელს, მარსელთან მდებარე კუნძულ მერის ნაპირთან, ძვ.წ.აღ. საუკუნის ბერძნული ხომალდის ნაშთები იპოვა, უამრავი ნივთი და მათ შორის, ღვინით სავსე ამფორები ამოიღო. ეკიპაჟმა მაშინვე დააგემოვნა უძველესი სასმელი და სასწრაფოდ, უკანვე გადმოაფურთხა, იუმორით ცნობილმა კუსტომ კი ერთი ყლუპი მაინც გააკეთა და დინჯად წარმოთქვა: „ეტყობა, იმ წელს მოსავალი არ ვარგოდა“ (ცხადია, ღვინოში ალკოჰოლის ნატამალიც აღარ იქნებოდა)... სხვათა შორის, ასეთივე იუმორითაა გაჯერებული მისი წიგნებიც, რომელთა დაბეჭდვაზეც, რატომღაც, ქართველ გამომცემლებს არ უფიქრიათ.

60-იანი წლების დასაწყისში, კუსტო,

60-იანი წლების დასაწყისში, კუსტო, როგორც უკვე აღიარებული ოკეანოლოგი, მონაკოს ოკეანოგრაფიის მუზეუმის დირექტორად მიიწვიეს

როგორც უკვე აღიარებული ოკეანოლოგი, მონაკოს ოკეანოგრაფიის მუზეუმის დირექტორად მიიწვიეს. მართალია, ის ამ წინადადებას დათანხმდა, მაგრამ ნაპირზე დიდხანს ვერ გაძლო და კარგიც ქნა — „კალიფსო“ კვლავ ზღვაში გავიდა და ასე შეიქმნა 1966 წელს საყოველთაოდ ცნობილი ფილმი — „ჟაკივ კუსტოს სამყარო“...

კუსტო 1997 წელს გარდაიცვალა და თითქმის ცხოვრების ბოლომდე აქტიურ ზღვაოსნად დარჩა. შეიძლებოდა გვესაუბრა მის მიერ დაარსებულ მყვინთავთა სკოლაზე, „საფრანგეთის წყალქვეშა ცენტრზე“ ან კიდევ, ზღვის ფსკერზე ჩადგმულ, მის მიერ შექმნილ „ვარსკვლავისებურ“ და „სფეროსებურ“ სახლებზე, მაგრამ ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბებია, ჩვენს რუბრიკაში კი, მოგეხსენებათ, პოპულარულ ადამიანთა ცხოვრებიდან ისეთ საინტერესო ფაქტებსა თუ დეტალებს გთავაზობთ, რომლებიც მათ „გაპოპულარულებამდე“ მოხდა... ■

სამყარო

„ცხოვრების გზა ის „პოდიუმია“, რომელზეც თავაწეულმა, ლამაზი ნაბიჯებით უნდა იარო“...

სამოდელო სააგენტო „შარმი“ 12 წლის წინ სამმა მშვენიერმა მოდელმა — ლალი ტოტიკაშვილმა, ლელა ცინცაძემ და სოფო ბურჯანაძემ ჩამოაყალიბეს. წლების მანძილზე ქართული მოდის განვითარების საქმეში სააგენტო აქტიურად იყო ჩაბმული და ტოლს არავის უდებდა. ცოტა ხნის წინ „შარმიდან“ ლალი ტოტიკაშვილი წავიდა და სააგენტო „არტ-ფეისის“ ხელმძღვანელი გახდა. ლელამ და სოფომ კი, ლალის ნაცვლად, ირინა ონაშვილი მიიწვიეს. შემდეგ, „შარმმა“ სახელწოდებაც შეიცვალა და „ფეშენ შარმად“ იწოდება. ახლა სააგენტოს დამფუძნებელთა და დირექტორთა საბჭო ასე გამოიყურება: ლელა ცინცაძე, სოფო ბურჯანაძე, ირინა ონაშვილი. ისინი ახლა ჩვენი სტუმრები არიან.

ლალი ფაცია

— ლალი ტოტიკაშვილის წასვლის შემდეგ, თანამშრომლობა მაინცდამაინც ირინასთან რატომ გადაწყვიტეთ?

სოფო:

— როდესაც მე, ლელამ და ლალიმ „შარმი“ დავაფუძნეთ, ჩვენებებზე ხშირად ვიწვევდით ირინას. ის ერთ-ერთი საუკეთესო მოდელი გახლდათ. მაშინ ირინა პატარა იყო — ასე, 13-14 წლის. სამივეს ძალიან მოგვწონდა... შემდეგ წარმატებებს მიაღწია, „მის საქართველო“ გახდა და გადავწყვიტეთ, სააგენტოში, როგორც პედაგოგი, ისე მოგვეწვია. გოგონებს დეფილეს გაკვეთილებს უტარებდა, საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა. ახლა, როდესაც ლალი წავიდა, გაგვიჩნდა იდეა, სამეულს ჩამოგვეყალიბებინა სამოდელო სააგენტო — „ფეშენ შარმი“.

ირინა:

— სამოდელო სააგენტოში გვყავს როგორც პროფესიონალი მოდელების, ასევე სკოლის ასაკის ბავშვების ჯგუფები. პატარების ჯგუფი იანვარში დავაფუძნეთ, სადაც 3-11 წლის ასაკის გოგონები დადიან, რომელთაც ყოველწლიურად ჩვენებას ვუწყობთ. საქართველოში უკვე არსებობენ ისეთი დიზაინერები, რომლებიც ბავშვებისთვის კოლექციებს ქმნიან. ცოტა ხნის წინ ავთანდილის კოსტიუმების ჩვენება გვქონდა და მასში უმცროსი ასაკის მოდელები მონაწილეობდნენ.

— როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ „მშვიდობის ხიდზე“ ორიგინალური ჩვენება გამართეთ, რომელზეც მოწვეული გყავდათ დიზაინერი ირაკლი ნასიძე.

— ეს ჩვენთვის სერიოზული ღონისძიება იყო. ირაკლი საფრანგეთიდან თავისი ახალი კოლექციით — „2010-2011 შემოდგომა-ზამთარი“ — ჩამოვიდა. ძალიან ნიჭიერი დიზაინერია. ის მკვეთრად გამოხატული, მისთვის დამახასიათებელი სტილით გამოირჩევა; ძალიან ინდივიდუალურია. სანამ ამ ჩვენებას მოვაწყობდით, კომპეტენტური ადამიანების, სპეციალისტების აზრი მოვისმინეთ, თუ ვინ შეიძლებოდა, რომ ამ ღონისძიებაზე მოგვეწვია. ყველამ ირაკლის მოწვევა გვირჩია.

სოფო:

— მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ არ გვყავს ნიჭიერი დიზაინერები. გვყავს და ყველას ძალიან ვაფასებთ, ვთანამშრომლობთ კიდეც მათთან, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ საქართველოში სულ რაღაც ორ თვეში მოდის ორი კვირეული („ჯორჯიან ფეშენ ვიკი“ და „თბილისი ფეშენ ვიკი“) ჩატარდა. ამიტომ ასე მოკლე ხანში ახალი კოლექციის შექმნა იმ დიზაინერებისთვის, ვინც იქ მონაწილეობდა, ცოტა რთული იქნებოდა. ამიტომაც ავირჩიეთ ირაკლი ნასიძე. მას ახალი კოლექცია უკვე შექმნილი ჰქონდა.

ირინა:

— ძალიან ლამაზი, უჩვეულო და არასტანდარტული ღონისძიება გამოგვივიდა. „ერისიონის“ მოცეკვავეებმა „ცოცხალი კედელი“ შექმნეს. ისინი ნაბდებით იყვნენ შემოსილები. ჩვენებამ დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს ჩვენი სერიოზული ნაბიჯი და განაცხადი

იყო. ბევრი შემოთავაზება და წინადადებაც მივიღეთ.

სოფო:

— ჩვენებაზე ბევრი უცხოელი სტუმარი იყო. მოეწონათ და კმაყოფილები დარჩნენ.

— რაკი ჩვენში ცოტა ხნის წინ ჩატარებული ორი „ფეშენ ვიკი“ ახსენეთ, აქვე გკითხავთ — თქვენი სააგენტო ორივე მათგანში მონაწილეობდა?

ლელა:

— დიახ, ორივეში. საერთოდ, სააგენტოები ერთმანეთთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ... ეს ჩვენი მთავარი პრინციპია!

— რომელს რა კონკრეტული ფუნქცია გაქვთ „ფეშენ შარმში“?

სოფო:

— ფუნქციები არ გვაქვს გაყოფილი. სამივე ვაკეთებთ იმას, რასაც საქმე მოითხოვს. ერთობლივი ძალებით ვმუშაობთ.

— თქვენ შორის გამოკვეთილი ლიდერიც არ არის?

ლელა:

— არა.

ირინა:

— როდესაც ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერია, ეს ყოველთვის ღუპავს მას. გუნდური მუშაობა ამართლებს. ვცდილობთ, რომ ყველაფერი დაბალანსებული იყოს.

სოფო:

— ჩვენ შორის ყველაზე ცნობილი სახე ირინაა, რადგანაც მე და ლელა მოდელები დიდი ხნის წინ ვიყავით...

ლელა:

— როცა საქმეში ერთად ვართ და გასაყოფი არაფერი გვაქვს, ასეთ წვრილმანებს მნიშვნელობა არა აქვს...

— „შარმი“ ყოველთვის საკმაოდ ცნობილი სააგენტო იყო. პოპულარობას ხელახალი ჩამოყალიბების შემდეგაც არ კარგავთ. ზოგადად რა განაპირობებს თქვენს პოპულარობას?

სოფო:

— ვინც არ იცის, რა არის პოდიუმი და მასთან შეხება არ ჰქონია, ის მოდელებს ვერაფერს ასწავლის. როგორც უკვე ვთქვი, თვითონ ვიყავით წარსულში მოდელები და ამიტომ საკუთარი გამოცდილების გაზიარება და სხვებისთვის ცოდნის გადაცემა ჩვენთვის სიამოვნებაა.

— ირინა, მოდელობაზე საბოლოოდ უარი თქვი?

— აკრძალვა არავისგან მქონია, მაგრამ ჩემი სამოდელო პარამეტრები — ფორმები ხელს აღარ მიწყობს. 90/60/90 აღარ ვარ. ცოტა მოვიმატე და შემაფერხებელი ფაქტორი ესეც არის.

— აკრძალვა არავისგან მქონიაო, აღნიშნე. მეუღლისგან აკრძალვა მართლა არ გქონია, რადგანაც ლადო ვარძელაშვილი ახლა უკვე მინისტრია და შეიძლება, აღარ უნდოდეს, რომ მისი მეუღლე პოდიუმზე გამოვიდეს?

ირინა:

— (*იღიმება*) არა, რა აკრძალვა?! ჩემი პოდიუმზე გამოუსვლელობის მიზეზი უკვე დავასახელე. ამასთან, პიარის ხელოვნებასაც ვეუფლები; ვსწავლობ და მთლიანად იქითკენ ვარ გადართული.

— მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენში მოდის ორი კვირეული ჩატარდა, მგონია, რომ სამოდელო საქმე არც ისე კარგადაა. რას იტყვით ამაზე?

— მართალია, ერთი პერიოდი სამოდელო სფერო საკმაოდ აქტიური იყო. ვფიქრობ, რომ ახლა ცოტათი ისევ გამოცოცხლდა... პროგნოზების გაკეთება რთულია, მაგრამ მოდის კვირეულებისა და ჩვენებების მოწყობა იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში საქმე დაიძრა და წინ მივდივართ...

— რას ნიშნავს თქვენთვის სამოდელო ბიზნესში საქმიანობა?

— ალბათ იმას, რომ ჩვენთვის სასიამოვნო საქმეს ვემსახურებით, მაგრამ კომერციული თვალსაზრისით, ეს ყველაფერი მომგებიანი არ არის.

სოფო:

— მართალია, სამოდელო ბიზნესში ვმუშაობთ, მაგრამ სხვადასხვა პროფესია გვაქვს. მე ექიმი ვარ, სამედიცინო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, ლელას — უცხო ენების ინსტიტუტი. ირინა იურისტია და ახლა პიარის ფაკულტეტზე სწავლობს.

— თქვენს სფეროში სააგენტოებს შორის კონკურენციაზე რას იტყვით?

ირინა:

— როცა საქმე სამოდელო ბიზნესს ეხება, რთულია საქართველოში კონკურენციაზე საუბარი. ამ შემთხვევაში კონკურენცია ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. ყველა სააგენტოსთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. თუმცა, ამა თუ იმ სააგენტოში მოდელის გადაბირების ფაქტებიც ყოფილა. ჩვენგანაც გადაუბირებიათ, მაგრამ ასეთი რამ ჩვენ ნამდვილად არ გაგვიკეთებია.

— მაინც, რას მიიჩნევთ ამ სფეროს ძირითად ნაკლად?

ირინა:

— ერთადერთი, რაც არ მომწონს, ეს მოდელების საკუთარი საქმის მიმართ არაპროფესიონალური მიდგომაა. მოდელმა სამოდელო სფეროში საქმიანობა პროფესიად უნდა გაიხადოს. არც საზოგადოების დამოკიდებულება მომწონს. მიაჩნიათ, რომ თუ გოგონა მოდელია, ის უინტელექტო და ჩერჩეტია... ამასთან, არაპროფესიონალმა სამოდელო სააგენტო არ უნდა გახსნას, რადგანაც ეს საქმე შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ჩემი პრეტენზიებიც სწორედ ეს გახლავთ. გამიხარდება, თუ მალე ევროპის დონეს მივაღწევთ და მოდელებს მაღალი ანაზღაურება ექნებათ.

ლელა:

— საერთოდ, მოდის ბიზნესი სარეკლამო ბიზნესთანაა კავშირში. ნორმალური ანაზღაურება მოდელს მაშინ აქვს, როდესაც მას რეკლამაში იღებენ. სარეკლამო ბიზნესში კი მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა. ჰოდა, ყველაფერი ერთმანეთზეა მიბმული, რაც პრობლემების მთელ წყებას ქმნის.

— რა არის თქვენი კომპანიის სავიზიტო ბარათი?

ირინა:

— ჩვენს სააგენტოში ბევრ გოგონასთან გვიწევს ურთიერთობა. როდესაც გაკვეთილზე მოდელს მოძრაობებს ვასწავლი, გამოცდილებას ვუზიარებ და ის იმ დროს სადღაც იყურება ან საღეჭ რეზინს იღეჭება, ასე არაფერი გამოვა. საქმეში მთავარი დისციპლინაა. ამას მეც და ჩემი კოლეგებიც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ისიც უკვე ტენდენციასავით დამკვიდრდა, რომ ულამაზესი გოგონები ცოდნის დაგროვებას დიდ დროს უთმობენ.

ლელა:

— ცოდნის დაგროვებაში გოგონებს ჩვენც ვეხმარებით.

— თქვენი სააგენტოსთვის ქუჩიდან თუ აგიყვანიათ გოგონები?

ლელა:

— როგორ არა. შეიძლება ითქვას, რომ მათ ყველგან ვეძებთ. ისე, მშობლებიც აქტიურობენ — შვილები თვითონ მოჰყავთ სააგენტოში.

სოფო:

— გოგონას თუ საინტერესო გარეგნობა აქვს, მაშინვე ვთავაზობთ, რომ ჩვენთან მოვიდეს.

ირინა:

— ხშირია შემთხვევა, რომ მოდელობას დაოჯახებული გოგონები იწყებენ და მათ მეუღლეები გულშემატკივრობენ... ბოლო დროს რაღაც უცხო გარეგნობის გოგონები (წვრილი, გაწელილი თვალებით, საინტერესო ტიპაჟები) მხვდებიან...

ლელა:

— გოგონებს გემოვნებას ვუყალიბებთ, სწორად მეტყველებას ვასწავლით. აერობიკაში, პლასტიკაში, ლათინურამერიკულ ცეკვებში ვარჯიშობენ, ვიზაჟის ხელოვნებას ეუფლებიან. მასტერკლასებს ცნობილი ადამიანები — მსახიობები, მხატვრები, მომღერლები უტარებენ... ვეუბნებით, რომ პოდიუმზე მთელი ცხოვრება ვერ იდგებიან, ერთ მშვენიერ დღეს იქიდან „ჩამოსვლაც“ მოუწევთ. ვასწავლით, რომ ცხოვრების გზა ის „პოდიუმია“, რომელზეც თავაწეულებმა, ლამაზი ნაბიჯებით უნდა იარონ... ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲛᲔᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1. ანწუხი წვეტიანი სარია.

2. „ამქმელი“ და „ბებიაქალი“ სინონიმებია.

3. ველური ძაღლი დინგო არასდროს ყეფს.

4. რუსი სტრელცები საკუთარი ხარჯით იჭურვებოდნენ.

5. ფარენგეიტის სკალის მიხედვით, წყალი 32 გრადუსზე იყინება.

6. მიოლოგია ანატომიის ნაწილია, რომელიც კუნთებს შეისწავლის.

7. ვისი სახელიც არ იცოდა, დოდო აბაშიძე ყველას „მამუკას“ ეძახდა.

8. ბუდულაის როლი ფილმში „ბოშა“ მიხაი ვოლონტირმა შეასრულა.

9. ლაჭანი წნელისგან მოწნული საწოლია, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული.

10. ავტობანები 2,5%-ით დახრილია, რათა მის ზედაპირზე წყალი არ გაჩერდეს.

11. ვეშაპებს 300 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ ჩაყვინთვა, სადაც წნევა 32 ატმოსფეროა.

12. სათეატრო წარმოდგენების, კონცერტების მომწყობ კერძო პირს ანტრეპრენიორი ჰქვია.

13. ალექსანდრეს ლაშქრობამდე სპარსეთის იმპერია მაკედონიაზე 40-ჯერ უფრო დიდი იყო.

14. ძველ არბატზე ფარნების დადგმის შემდეგ მოსკოვში გაჩნდა ხუმრობა: „არბატ აფანარელ“.

15. ვლადიმირ მენშოვის ფილმი — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ — „ოსკარით“ არის დაჯილდოებული.

16. ირლანდიაში გველები არ ბინადრობენ. მათ განდევნას ირლანდიის მფარველს, წმინდა პატრიკს მიაწერენ.

17. გალაკტიონ ტაბიძეს ქუთაისის სასწავლებელში სწავლისას საკუთარი მასწავლებლის შვილი, რაისა ჩიხლაძე უყვარდა.

18. დიმიტრი ყიფიანი პირველი ქართველი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც მთაწმინდაზე დაკრძალეს.

19. ჰიტლერმა „ვალტერის“ მარკის პისტოლეტით მოიკლა თავი. ფიურერმა იარაღი პირში ჩაიდო და ისე მოისწრაფა სიცოცხლე.

20. „კაკ სვინიი ნე ვიდიატ ზვიოზდ, ტაკ კაპიტალისტი ნიკოგდა ნე პოიმუტ ნაშეი სოციალისტიჩესკოი სუშნოსტი“, — ამბობდა ხრუშჩოვი. (მოგ...ნ „სუშნოსტ“-ი, ნიკიტა სერგეევიჩ!)

21. სამხედრო სამსახურის პროპაგანდისას ამერიკელები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ელვის პრესლი არმიაში მსახურობდა.

„ნისანის“ მომავალი კროსოვერი

კომპანია „ნისანმა“ განახლებული კროსოვერის, — X-Trail, — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ამ მანქანის გაყიდვა იაპონურ ბაზარზე მომავალი კვირიდან დაიწყება. ძარას წინა და უკანა ნაწილის მცირედი ცვლილების გარდა, ავტომობილი ახალ მოდიფიკაციას მიიღებს, რომელიც 2.0-ლიტრიანი დიზელის ძრავასა და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიან ავტომატურ კოლოფს ითვალისწინებს. გარეგნულად რესტაილირებული კროსოვერის წინამორბედისაგან განსხვავება ახალი შუქფარებით, შეცვლილი წინა ბამპერითა და რადიატორის ცხაურით, უკანა შუქდიოდური ფარებითა და 17-დუიმიანი, ახალი დიზაინის მქონე, 225/60 ზომის საბურავებითაა შესაძლებელი. მანქანის სალონში განახლდება ხელსაწყოთა პანელი; დაემატება დახვეწილი კომპიუტერი, რომელიც მძღოლს საწვავის ხარჯის შესახებ ინფორმაციას წამიერად მიაწვდის. გარდა ამისა, ავტომობილს დაღმართზე უსაფრთხოდ მოძრაობისთვის საჭირო, ახალი სისტემა დაუმონტაჟდება, რომელიც მხოლოდ „ავტომატით“ მომუშავე, სრული აძვრის მანქანებისთვის იქნება გათვალისწინებული. იაპონურ ბაზარზე განახლებული „ნისანის“ ფასი 25,3 — 35,5 ათასი დოლარი იქნება. ■

იაფფასიანი სედანი „მასერატისგან“

2014 წლიდან კომპანია „მასერატი“ ახალი, საშუალო ზომის სედანის გაყიდვას დაიწყებს, რომელიც თავისი გაბარიტებითა და ღირებულებით ფლაგმანს, — Quattroporte, — ჩამოუვარდება. ავტომობილს V8 ძრავათი აღჭურვავენ. ავტოს ტექნიკური მაჩვენებლებისა და პლატფორმის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. ახალი ავტომობილი ერთ ნიშას დაიკავებს BMW 5-Series-ის, Mercedes-Benz CLS-ის, Jaguar XF-სა და მომავალ Audi A7-ს შორის. იგი ჩვეულებრივ და გაუმჯობესებულ ვერსიებად გამოვა. ამერიკულ ბაზარზე პირველი მათგანის ფასი დაახლოებით 68 ათასი დოლარი იქნება, ხოლო მეორე 20%-ით უფრო ძვირი ეღირება. მიუხედავად იმისა, რომ მანქანა მასობრივ აუდიტორიაზე იქნება გათვლილი, იგი თვალში საცემი გახდება „მასერატის“ ყველა საფირმო ხარისხით — „სპორტული ხასიათით“, გამომხატველი სტილითა და მძლავრი ხმის მქონე ძრავათი. ადრე, საშუალო ზომის იაფფასიანი ავტომობილის გამოშვების შესახებ „მასერატის“ თავკაცმა, ჰაროლდ ვესტერმა განაცხადა. მან იმედი გამოთქვა, რომ სიახლე კომპანიას მსოფლიო პრემიუმ-სეგმენტის 10%-ის დაკავების შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, „მასერატი“ მსოფლიო ბაზარზე საკუთარი წილის გაზრდის მიზნით, აღნიშნული სედანის მოდიფიკაციათა გამის გაფართოებას სრული აძვრის ვერსიების გამოშვების ხარჯზე გეგმავს. ■

„მერსედესის“ ახალი კუპე

ორიოდე დღის წინ ზოგიერთმა უცხოურმა გამოცემამ კუპეს, — Mercedes-Benz CL Class, — პირველი ოფიციალური ფოტოები გაავრცელა. სიახლე ორ მოდიფიკაციად იქნება წარმოდგენილი: CL63 AMG და CL65 AMG. პირველ შემთხვევაში, წინასწარი მონაცემებით, კუპე 544 ცხ. ძალის სიმძლავრის, 5,5 ლიტრიანი ბენზინის ტურბო-ძრავათი აღიჭურვება, რომელიც 6,2-ლიტრიან „რვიანს“ შეცვლის. განახლებული ავტოს დინამიკური მაჩვენებლები ამ ეტაპზე უცნობია. ანალოგიური, 5,5-ლიტრიანი მოტორი სტანდარტული Mercedes-benz CL550 4Matic-ისთვისაცაა გათვალისწინებული. თუმცა, ამ ვერსიისთვის მისი სიმძლავრე 429 ცხ. ძალის ტოლია. ახალი კუპეს ყველაზე მძლავრ ვარიანტს 12-ცილინდრიანი ძრავა დაუმონტაჟდება. მისი მოცულობა 6 ლიტრია, ხოლო სიმძლავრე — 630 ცხ. ძალა. მწარმოებლის ინფორმაციით, სიახლის გაყიდვა მიმდინარე წლის შემოდგომიდან დაიწყება. ■

„შკოდა“ კაბრიოლეტს გამოუშვებს

კომპანია „შკოდა“ საკუთარი სამოდელო ხაზის გაფართოებას კაბრიოლეტ Fabia-ს ხარჯზე აპირებს. ამისათვის ავტომწარმოებელს თავისი მფლობელისგან, — კონცერნ „ფოლკსვაგენისაგან“ — ნებართვის აღება სჭირდება. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ახალ ავტომობილს მომავალი კაბრიოლეტის, — Audi A1, — პლატფორმაზე ააგებენ. ღია ძარას მქონე მანქანა 1,2-ლიტრიანი, 75 ცხ. ძალის სიმძლავრის დიზელის მოტორით აღიჭურვება, რომელიც ამჟამად ჰეჩბეკ „ფაბიაზეა“ გამოყენებული. გარდა ამისა, მომავალში კაბრიოლეტი Fabia RS შეიძლება 1,4-ლიტრიანი, 180 ცხ. ძალის სიმძლავრის მქონე ტურბინირებული ძრავათი გამოჩნდეს. სპეციალისტთა მოსაზრებით, კაბრიოლეტ „ფაბიას“ სერიულ წარმოებაში ჩაშვება არ უწერია, რადგან ასეთი ტიპის ძარათი იგი ევროპაში პოპულარული ვერ გახდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპა ჩეხური ავტომწარმოებლისათვის ძირითადი ბაზარია.

კომპანია „შკოდამ“ თავისი ბოლო კაბრიოლეტი ფრანკფურტის ავტოსალონზე 2005 წელს წარმოადგინა. ეს იყო კონცეპტ-ავტო Yeti, რომელიც ამავე სახელწოდების კროსოვერის ბაზაზეა აგებული. ავტომობილის ძარას უკანა ნაწილში რბილი დასაკეცი სახურავი განთავსდა, ხოლო მგზავრთათვის განკუთვნილ ნაწილში — მყარი სექცია. აღნიშნული მანქანა სერიულ წარმოებაში ჯერაც არ ჩაუშვიათ. ■

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ᲫᲔᲛᲓᲔᲕᲜᲔᲚᲘ ᲝᲛᲛᲣᲠ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

22. „ხაჩუ ია კაკ რანშუ უსლიშატ სლავა ი პაზივნიე რადნიე, „ვნიმანიე, გავარიტ მასკვა! რაბოტაიუტ ვსე ასტალნიე“, — წერს ანდრეი ალიაკინი.

23. ინგლისის დედოფლის, ელისაბედ II-ის დას, პრინცესა მარგარეტს ინგლისელი ოფიცერი, სამეფო კარის მეჯინიბის შვილი უყვარდა.

24. ლადო გუდიაშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მისი დის, სოფიო ბარათაშვილის სახის მიხედვით შექმნა, რადგან დანამდვილებით არავინ იცოდა, თუ როგორ გამოიყურებოდა ქართველი პოეტი. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთადერთი პორტრეტი თავის დროზე ილია ჭავჭავაძეს მიუტანია გასამრავლებლად ფოტოატელიეში და ისიც ხანძრის დროს დამწვარა.



25. ლას-ვეგასის კაზინოებში სათამაშოდ ჩასულ მილიონერებსა და მათ ექსცენტრიკულ ქცევაზე ტელეარხ „დისქავერის“ გადაცემათა მთელი ციკლი აქვს შექმნილი. ამ ამბებიდან ერთ-ერთს ჩვენს მკითხველს ვთავაზობ: „ცოდვის ქალაქში“ დროს სატარებლად ჩასულმა ერთმა მილიონერმა კაზინოში დიდძალი თანხა წააგო და უკმაყოფილო დაბრუნდა სასტუმროს ნომერში, სადაც სადილი და უიშვიათესი ღვინო, 1978 წლის „მონტრაშე“ შეუკვეთა. სასტუმროს მეპატრონეებს ეს ღვინო არ აღმოაჩნდათ. მათ სპეციალურად გაგზავნეს კურიერი, რომელმაც მთელი ქალაქი შემოიარა, მაგრამ ვერაფრით იშოვა. გამწარებულმა ინტერნეტით განაგრძო ძებნა. ბოლოს იპოვა კერძო კოლექციონერი, რომელსაც ეს ღვინო აღმოაჩნდა. კურიერი პაპანაქება სიცხეში ფეხით გაემართა ღვინის საყიდლად. ადგილზე მისული, გაოცებული შეჰყურებდა ოცდახუთმეტრიან მრგვალ კოშკს, რომელიც გარედან ტყვიაგაუმტარი მინის გალავნით იყო დაცული. კოშკის ნიშებში უთვალავი, ძვირად ღირებული ღვინის ბოთლი იყო შენახული. გალავანსა და კოშკს შორის მანძილი 1,5 მეტრს არ აღემატებოდა. სპეციალურმა მომსახურე პერსონალმა, რომელსაც ლას-ვეგასში „ღვინის ანგელოზებს“ ეძახიან, მინის კარი გახსნა და ალპინისტური აღჭურვილობის მეშვეობით, კოშკის ზედა სექციამდე აცოცდა. დიდი სიფრთხილით აიღო სასურველი ღვინის ბოთლი, რომელიც 30.000 დოლარი ღირდა და ძირს დაეშვა. კურიერმა ფული გადაიხადა, სასტუმროში დაბრუნდა და ღვინო შემკვეთს მიართვა. ეს უკანასკნელი ერთხანს უკმაყოფილო სახით დაჰყურებდა ღვინის ბოთლს, შემდეგ მოიქნია, მარმარილოს აბაზანაში ჩაამსხვია და ხელები დაიფერთხა: აი, ახლა კი გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავსო.

როგორ წარმოიშვა აფხაზური სეპარატიზმი

მიხეილ ლაბაძე

აფხაზური სეპარატიზმი, რომელმაც გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში, გარეშე ძალების მანიპულაციების შედეგად, მეტად მწვავედ იჩინა თავი, XIX საუკუნის II ნახევარში ჩაისახა, როცა რუსეთის იმპერიამ ანექსირებული აფხაზეთის სამთავროს ქვეშევრდომთა დიდი ნაწილი ოსმალეთში გაძევა, დარჩენილები კი აიძულა, ანექსიას შეჰგუებოდნენ. 1878 წლიდან ცარიზმის მესვეურებმა ეთნიკური აფხაზები ოფიციალურად „დამნაშავე ერად“ გამოაცხადა. მათ მრავალგვარი აკრძალვა დაუწესდათ. საინტერესოა, რომ აფხაზების რეაბილიტაცია რუსეთმა 1905-1907 წწ. რევოლუციური სიტუაციის დროს მოახდინა, როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო.

რუსთა დამკვიდრებამდე, საქართველოში აფხაზური სეპარატიზმის პრობლემა არც არსებულა — საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთის სამთავრო იმთავითვე ქართული სახელმწიფო იყო. შესაბამისად, მისი ყველა ქვეშევრდომიც, წარმოშობის მიუხედავად, ქართული კულტურის მატარებელი იყო და თავს ქართველად მიიჩნევდა. XIX საუკუნის II ნახევარში, საქართველოში დამკვიდრებულმა რუსებმა, ეთნიკური აფხაზების ეროვნულ გრძნობებზე თამაში იმიტომ დაიწყეს, რომ აფხაზეთი ქართული სამყაროსთვის საბოლოოდ მოეწყვიტათ, შემდეგ კი მისი მოსახლეობის გარუსებაზე ეზრუნათ.

აქედან გამომდინარე, ყველა ის საფუძველი, რასაც აფხაზური სეპარატიზმი დღესაც ეყრდნობა, შემუშავდა არა უშუალოდ აფხაზი ხალხის წიაღში, არამედ — ჩრდილოეთით, ჯერ სანქტ-პეტერბურგში, მერე — მოსკოვში. აღსანიშნავია ისიც, რომ რუს ემისრებს საკმაო მუშაობა დასჭირდათ იმისათვის, რომ აფხაზებს მათ მიერ შექმნილი თეორიები გაეთავისებინათ და ქართველებს დაჰპირისპირებოდნენ. როგორც უკვე ითქვა, აფხაზ მოსახლეობაში სეპარატისტული იდეების აშკარად ქადაგება XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, ხოლო პიკს კი 90-იან წლებში მიაღწია, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და ფაქტობრივად, რუსეთის ფედერაციაც დაშლის პირას აღმოჩნდა.

1905 წლის გაზაფხულზე, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის ჟანდარმერიის საიდუმლო საქმეთა განყოფილების უფროსმა, ვინმე პეტროვმა კავკასიის მეფისნაცვალს, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს წერილობით აცნობა, რომ სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე ქართველმა „სამოსტოინიკებმა“ (დამოუკიდებლობის მომხრეებმა) რამდენიმე საიდუმლო გაერთიანება შექმნეს და საზღვარგარეთ მყოფი თანამოაზრეების დახმარებით, იარაღიც შეიძინეს და აჯანყებასაც გეგმავდნენ, რათა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელისუფლება დაემხოთ. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ეს წერილი, საკუთარი კომენტარებითურთ, სანქტ-პეტერბურგში გადაგზავნა. იქიდანაც პასუხმა არ დააყოვნა: „გიბრძანებთ, ყველა უფლებები აღუდგინოთ აფხაზებს და გამოიყენოთ ისინი ვითარების განმუხტვისათვის!“ — ბრძანებას ხელს თავად იმპერატორი აწერდა.

ვორონცოვ-დაშკოვმა, სანქტ-პეტერბურგიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად, 1905 წლის ივლისში, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორს, ალექსეი სმაგინს გაუგზავნა ბრძანებულება გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, რომლის თანახმად, ეთნიკურ აფხაზებს ეხსნებოდათ ყველა აკრძალვა, რომელიც 1878 წლიდან მოქმედებდა. ამიერიდან ამ ხალხს ზღვის პირას დასახლების, სოხუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე მიწების შეძენა-გაყიდვისა და ნებისმიერ სამთავრობო დაწესებულებაში მუშაობის უფლება ჰქონდათ; გარდა ამისა, საინტერესოა ისიც, რომ ვორონცოვ-დაშკოვი აფხაზებს არც მეტი, არც ნაკლები, კულტურული ორგანიზაციების ჩამოყალიბების ნებასაც რთავდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროს აფხაზური ინტელიგენციაც კი არ არსებობდა (განათლებული აფხაზები თავს ქართულ ინტელიგენციას მიაკუთვნებდნენ) და ამიტომაც ვორონცოვ-დაშკოვის ეს „წყალობა“ აფხაზთათვის ერთგვარად მოულოდნელიც კი იყო; თუმცაღა, ცარიზმის მესვეურებს ყველაფერი ბრწყინვალედ ჰქონდათ გათვლილი — მათ აფხაზთა შორის, საწყის ეტაპზე, კულტურული სეპარატიზმის გაღვივება სურდათ.

სხვათა შორის, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ დროს

აფხაზური სეპარაგიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი ნესტორ ლაკობა

1921 წელს, ბოლშევიკთა მიერ შექმნილი „აფხაზეთის სსრ“-ის გერბი

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა უმრავლესობა სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა, რომ აფხაზებს საქართველოში თავიანთი მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების საშუალება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ რასაკვირველია, არა ქართველთა შევიწროების ხარჯზე, რაც ცარიზმის უპირველესი ამოცანა იყო. ამასთანავე, რუსულ ხელისუფლებას ძლიერ აფიქრებდა ისიც, რომ ოსმალეთიდან აფხაზეთში ყოველწლიურად უამრავი ქართველი (ლაზი) ჩამოდიოდა. ისინი ძირითადად ზღვის სანაპიროზე სახლდებოდნენ და ვაჭრობას მისდევდნენ — აფხაზეთიდან ოსმალეთსა და სხვა ქვეყნებში თხილი და ბზა გაჰქონდათ. განსაკუთრებით ბევრი ლაზი ცხოვრობდა ოჩამჩირეში. ისინი აქ თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ ოჩამჩირელები XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, ქუთაისის გუბერნატორს თხოვნას თხოვნაზე უდგენდნენ, რათა ამ უკანასკნელს ოჩამჩირისათვის ქალაქის სტატუსი მიენიჭებინა, მაგრამ ამაოდ. ოფიციალურად უარის მიზეზი ის იყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი იყო და რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებისაგან თავს იკავებდა; სინამდვილეში კი, სანქტ-პეტერბურგის უმაღლეს მესვეურთ უკვე კარგა ხნის შედგენილი ჰქონდათ დოკუმენტი ოჩამჩირის ტერიტორიაზე კაზაკთა ჯარის ერთ-ერთი „კურენის“, ანუ ქვედანაყოფის დასახლების თაობაზე.

ასე რომ, როდესაც რუსები შეეცადნენ, ქართველებსა და აფხაზებს შორის როგორმე ვითარება დაეძაბათ, „საცდელ პოლიგონად“ სწორედ ოჩამჩირე აირჩიეს. იმ პერიოდში იქ ბევრი აფხაზი დაიარებოდა საშოვარზე; ისინი ძირითადად პორტში, მტვირთავებად და შავ მუშებად მუშაობდნენ. ჟანდარმერიის ემისრებმაც სწორედ ამ ხალხს დაადგეს თვალი და 1905 წლის აგვისტოში პროვოკაციაც მოაწყვეს — აგენტების წაქეზებით, მტვირთავებმა ლაზ გემთმფლო-

ბელს, ვინმე ჰუსეინ საღირ-ოღლის, ჯამაგირის მომატება მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით დაიმუქრნენ. ინციდენტის გამოსაძიებლად ნავსადგურში მალევე მივიდა პოლიცია, რომელმაც ჰუსეინ საღირ-ოღლი დააკავა. მას ბრალი იმპერიის ქვეშევრდომების დისკრიმინაციის მცდელობაში დასდეს და სოლიდური ჯარიმის გადახდის შემდგომ გაათავისუფლეს. ბუნებრივია, ამ ინციდენტმა ოჩამჩირეში მცხოვრებ ლაზებსა და სოფლებიდან საშოვარზე ჩამოსულ აფხაზ გლეხობას შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. ჟანდარმერიის აგენტების მანიპულაციათა წყალობით, ვითარება ისე გამწვავდა, რომ ოჩამჩირეში კაზაკთა რაზმები შემოვიდნენ.

ამავდროულად, სამურზაყანოს მაზრაში (რომლის ცენტრიც იყო მაშინ ოჩამჩირე) მცხოვრებმა აფხაზებმა არალეგალური შეიარაღებული რაზმების შექმნა დაიწყეს, რათა რევოლუციური სიტუაციის გამწვავების პირობებში საკუთარი ინტერესები დაეცვათ. აქვე დავძენთ, რომ იმ პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე „ერთობის ხალხი“, ანუ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიების წევრები მოსახლეობას საერთო-სახალხო აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ და „რევოლუციისადმი ერთგულებაზე“ ფიცს ადებინებდნენ. ვინც ფიცის დადებაზე უარს იტყოდა, თვითმპყრობელობის აგენტებად რაცხდნენ და სჯიდნენ კიდევაც — „ერთობის“ სახელით ტერორისტულ აქტს უწყობდნენ. საინტერესოა, რომ ფიცის დადება საქართველოში მცხოვრები არაქართველებისთვისაც სავალდებულო იყო, რამდენადაც აჯანყების საბოლოო მიზანს სრულიად საქართველოს გათავისუფლება წარმოადგენდა. თუმცა, დაიფიცეს მხოლოდ ქისტებმა, ხოლო სხვებმა კატეგორიული უარი თქვეს.

აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფება „კიარაზის“ წევრები, 1918 წელი

რევოლუციური სიტუაციის გამწვავებამდე ისე ჩანდა, რომ აფხაზები ქართველების მხარდამხარ დადგებოდნენ და ქისტების მაგალითს მიჰბაძავდნენ, მაგრამ მოვლენები მალე სხვაგვარად განვითარდა — აფხაზებმა ფიცის დადებას თავი აარიდეს, თუმცა განაცხადეს, რომ რევოლუციაში მონაწილეობას მიიღებდნენ; ამავდროულად, მათ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე განუკითხავი თარეში წამოიწყეს. ცხადია, სინამდვილეში ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც იმპერიის სპეცსამსახურებს სურდათ — აფხაზეთში კრიმინოგენული ვითარების გამწვავება და აბრაგობის ფაქტების არნახული გახშირება წყალს სწორედ სანქტ-პეტერბურგის წისქვილზე ასხამდა, რადგან ქართველი „სამოსტოინიკები“ აქაურთა დარაზმვას ველარ მოახერხებდნენ. გარდა ამისა, იმპერიის ხელისუფლებასაც მშვენიერი საბაბი ექნებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთში შეიარაღებული ძალები შეეყვანა და მათი მეშვეობით, არა მარტო იქ, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოში ეკონტროლებინა სიტუაცია.

ასევე, იმპერიის მესვეურთა პარალელურად, აფხაზთა შორის აქტიურად მუშაობდნენ „წითლებიც“ — იმხანად „რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის“ უკიდურესად რადიკალი წევრები; საინტერესოა, რომ სწორედ „წითლების“ ინიციატივით გავრცელდა პირველად აფხაზურენოვანი პროკლამაციები, რომლებიც დაწერილი იყო XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსი შოვინისტი მეცნიერის, პეტრე უსლარის მიერ შედგენილი ანბანით. ცხადია, ეს ანბანი რუსულ გრაფიკას ეფუძნებოდა; აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „წითელ“ აქტივისტთა ამ წამოწყებამ ნაკლებად გაამართლა — წერა-კითხვა იმ დროს აფხაზთა მცირე ნაწილს შეეძლო და ისიც, მხოლოდ ქართულად; ამიტომ, ამ პროკლამაციებს ისინი ვერ კითხულობდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, „წითლებიც“ ცდილობდნენ, აფხაზთა ეროვნულ გრძნობებზე თამაშით, რევოლუციაში აქტიურად ჩაერთოთ ისინი.

საბოლოოდ, 1905-1907 წწ. მოვლენები საყოველთაო რევოლუციაში ვერ გადაიზარდა, საქართველოში კი დამოუკიდებლობის მომხრეები თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ამ ფონზე, ცარისტული ხელისუფლება „რატომღაც“ აფხაზებს ძალიან დაუტკბა — 1912 წელს თბილისში აფხაზურ ენაზე გამოიცა სახარება. თარგმანი შესრულებული იყო ბზიფურ კილოზე, რუსული ასოებით. ერთი შეხედვით, თითქოსდა ამაში ანტიქართული არაფერი იყო, მაგრამ მალე ცარიზმის მესვეურებმა აფხაზეთის ყველა მღვდელმსახურს უბრძანეს, წირვა-ლოცვა საეკლესიო სლავურ ენაზე ეწარმოებინათ, ოღონდ სახარება აფხაზურად ეკითხათ. ეს, ვითომდაც აფხაზების მოსაქცევად კეთდებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ქართულ სოფლებშიც, საეკლესიო სლავური ლიტურგია და აფხაზურ ენაზე მხოლოდ სახარების კითხვა, სავალდებულო იყო. ბუნებრივია, ამით რუსი მოხელეები ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირებას ცდილობდნენ და არა აფხაზთა მოქცევას, რაც სხვათა შორის, მალე დადასტურდა — ტაძრებში აფხაზურ ენაზე სახარების კითხვა ნელ-ნელა შეზღუდეს და ბოლოს, სულაც შეწყვიტეს, თანაც ხელი ქართველი სასულიერო პირებისაკენ გაიშვირეს — მაგათ აფხაზების გაქართველება სურთ და, აფხაზურ ენაზე სახარების კითხვას ამიტომაც ეწინააღმდეგებიანო. ეს მართლაც კარგად დაგეგმილი და შორსმჭვრეტელურად გათვლილი პროვოკაცია იყო, რამაც აფხაზებსა და ქართველებს შორის დიდი ბზარი გააჩინა.

ეფრემ ემბა; თვითაღიარებული „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მარკა

1912 წელსვე, ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო დიმიტრი გულიამ — აფხაზურ ენაზე თბილისში მისი ლექსების კრებული დაიბეჭდა. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში არასოდეს დაწერილა იმის თაობაზე, რომ

აფხაზური მწერლობის ფუძემდებელი წარმოშობით ქართველი იყო, დედაც და მეუღლეც ქართველები ჰყავდა და თავის ნაწარმოებებს პირველ ეტაპზე ქართული ასოებით წერდა. ცენზურამ მისი ლექსები შეკვეცილი სახით გამოაქვეყნა და თანაც — რუსული ასოებით, რადგანაც ვორონცოვ-დაშკოვისგან სპეციალურად ჰქონდა ნაბრძანები: „მთიელებისათვის განკუთვნილი ყველა

აფხაზეთის „გაწითლებისადმი“ მიძღვნილი მიტინგი სოხუმში, 1921 წლის 4 მარტი

სახის წიგნი უნდა გამოიცეს მხოლოდ რუსული ასოებით... ამ მიზნით ქართული ასოების გამოყენება სასტიკად იკრძალება!“ ამ ბრძანების დარღვევის შემთხვევაში, წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. ამიტომ დიმიტრი გულიას, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ძმობის გულმხურვალე მომხრე იყო, სხვა გზა აღარ ჰქონდა. მოგვიანებით, მწერალი ამას ქართველ მეგობრებთან პირად საუბრებში ყოველთვის გულისტკივილით აღნიშნავდა.

1917 წლის გადატრიალების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლამ საქართველოში აფხაზური სეპარატიზმის არნახული აღმავლობა გამოიწვია — ვლადიმირ ილიჩ ლენინს საქართველოს „გაწითლება“ გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა და ამ მიზნით, სეპარატისტებს დიდად უწყობდა ხელს. იმხანად ბოლშევიკთა რიგებში იყო ორი ცნობილი აფხაზი აქტივისტი — ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა. აფხაზეთში სეპარატიზმის და საბჭოთა ხელისუფლების აგიტაცია სწორედ მათ დაევალათ. იმავე წლის გაზაფხულზე, სოხუმის ოლქში ჩამოყალიბდა შეიარაღებული დაჯგუფება „კიარაზი“ (აფხაზურად — „გაერთიანება“), რომელმაც საბჭოთა წყობილების დასამყარებლად და აფხაზეთის საქართველოდან ჩამოსაცილებლად ფართომასშტაბიანი ბრძოლა წამოიწყო. მას ხელმძღვანელობდა ნესტორ ლაკობა, რომელიც მხოლოდ ფეხის ხმას აყოლილი, ტიპური მედროვე

იყო — თავის დროზე, ის ბოლშევიკებს მხოლოდ იმიტომ მიეკედლა, რომ საზღვარგარეთ წასვლა სურდა და იმედი ჰქონდა, რომ „პარტიული ამხანაგები“ ამაში დაეხმარებოდნენ. სხვადასხვა მიზეზის გამო, ლაკობამ ოცნება ვერ აისრულა, თუმცაღა ბოლშევიკების დავალებით, აფხაზეთში საბჭოთა წყობილების დასამყარებლად ბრძოლას შეუდგა და ახალი ოცნება გაუჩნდა — „აფხაზი ლენინი“ გავხდებიო. სწორედ ამიტომაც გაიზიარა მან სეპარატისტული იდეები და აფხაზ გლეხთა შორის პროკლამაციების გავრცელება დაიწყო: „აფხაზებო! დროა, აღდგეთ და წითელი დროშის ქვეშ, აფხაზეთის მტერთაგან გასათავისუფლებლად დაირაზმოთ! ძირს ბურჟუაზია, გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!“ — ასეთი ლოზუნგებით გავრცელებული პროკლამაციები 1917-1918 წლებში ხშირად ვრცელდებოდა აფხაზეთში. ისინი შედგენილი იყო აფხაზურ ენაზე, რუსული ასოებით და ჩრდილოეთ კავკასიაში იბეჭდებოდა.

1921 წელს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსიის შემდგომ, აფხაზეთმა კრემლისაგან დაპირებული საჩუქარი — „დამოუკიდებლობა“ მიიღო; ნესტორ ლაკობას კი კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი უწყალობეს. ცხადია, ამ პერიოდიდან აფხაზური სეპარატიზმი ბოლშევიზმს კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა; მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს დამოუკიდებლად განსავითარებლად თითქმის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი, „აფხაზეთის სსრ“-მ ვერ გაამართლა, რადგან აფხაზთა გათავისუფლება ბოლშევიკების მიზანი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის 20-იან წლებში „ნაციონალიზაციის“ პოლიტიკამ, რომელიც კრემლში შემუშავებულ სეპარატისტულ იდეებს ემყარებოდა, აფხაზეთში ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა; ამავდროულად, კრემლის მესვეურების უშუალო კონ-

ტროლით, ამ უძველესი ქართული მხარის ისტორიის გაყალბება დაიწყო.

საინტერესოა, რომ ბოლშევიკებმა აფხაზეთის ისტორიის სრული კურსის დაწერა დიმიტრი გულიას მიანდვეს, რაც მორიგი პროვოკაცია იყო — გულია სეპარატისტულ იდეებს არ იზიარებდა, არც ქართველებს მიიჩნევდა აფხაზეთში გვიან ჩამოსულებად, მაგრამ ოფიციალური იდეოლოგიის უარყოფაც არ შეეძლო და შესაბამისად, ყველაფერი ისე უნდა დაეწერა, როგორც უბრძანებდნენ. კრემლში ვარაუდობდნენ, რომ თუ აფხაზური მწერლობის მამა მათ ბრძანებას ზედმიწევნით შეასრულებდა, მაშინ უბრალო აფხაზებიც მიჰბაძავდნენ მას და აფხაზეთი საბოლოოდ მოსწყდებოდა ქართულ სამყაროს; ამასთან, დიმიტრი გულია ქართველთა თვალში ყოველგვარ პატივისცემას დაჰკარგავდა, რაც აფხაზ-ქართველთა დაპირისპირებისათვის მეტად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ იმხანად დიმიტრი გულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის მიწვევით, აფხაზურ ენაში ლექციებს კითხულობდა.

„აფხაზეთის ისტორია“ დიმიტრი გულიამ სწორედ ისე დაწერა, როგორც „ზემოდან“ იყო ნაბრძანები — 1925 წელს გამოცემულ ამ წიგნში ისტორიული ფაქტები უაღრესად დამახინჯებულია; აფხაზებზე ნათქვამია, რომ მათ მსოფლიოში უძველესი ცივილიზაცია და ანბანი ჰქონდათ, რომელიც დროთა განმავლობაში დაკარგეს. ქართველებთან მათ ნათესაობასა და საერთო წარსულზე თითქმის არაფერია ნათქვამი; სამაგიეროდ, დიმიტრი გულია ცდილობს დაამტკიცოს, რომ აფხაზები წინა აზიის უძველეს მოსახლეთა — ხეთთა შთამომავლები არიან; აფხაზური ლიტერატურის მამა აფხაზებად მიიჩნევს კოლხებსაც.

აღსანიშნავია, რომ 1951 წელს, როცა საბჭოთა კავშირში სტალინის სახელი ქუხდა და „ნაციონალიზაციის“ ავბედითი პოლიტიკა უკვე ისტორიის ჩაჰბარებოდა, დიმიტრი გულიამ გამოსცა პატარა ბროშურა სათაურით: „ჩემი წიგნის — „აფხაზეთის ისტორიას“ — თაობაზე“, რომელშიც განმარტავს, რომ 1925 წელს მან რიგი ისტორიული ფაქტები „ვერ გაითვალისწინა“: „აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და აფხაზები ქართველებთან ერთად იღვწოდნენ მისი ძლიერებისათვის... სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელო, რომელშიც წარსული დაწვრილებით, დოკუმენტებზე დაყრდნობით იქნება აღწერილი. რიგი ფაქტების სრულად გათვალისწინება ვერც მე შევძელი, რის გამოც წიგნი არასრული გამომივიდა და მან სხვა მკვლევრებიც შეცდომაში შეიყვანა“ — წერს დიმიტრი გულია. აღსანიშნავია, რომ მისი გულწრფელი აღიარების მიუხედავად, ამ პატარა ბროშურისთვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. ■

ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მყოფი საქართველოს ეკლესია და აღორძინების ხანა

საქართველოს ეკლესიას ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი მომენტი XIX-XX საუკუნეებში ედგა. ეს იყო პერიოდი, როდესაც უკიდურესად შეავიწროებული და დევნილი, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— ერეკლე მეორის პერიოდში, საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე პირველმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობა გააუქმა. ეს 1811 წელს მოხდა. იმჟამინდელი პატრიარქი, ანტონ II, რუსეთში გადაასახლეს. ამ დროიდან, საქართველოს ეკლესია რუსეთის სინოდს დაექვემდებარა და ეგზარქოსის მეშვეობით იმართებოდა. მხოლოდ პირველი ეგზარქოსი იყო ეროვნებით ქართველი, რუსეთში გაზრდილი ვარლამ ერისთავი. ყველა შემდეგი ეგზარქოსი რუსი იყო.

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართული ეკლესია ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაუქმდა მრავალი ეპარქია: 24-დან სულ 5 დარჩა. ქართული წირვა-ლოცვა და საგალობლები რუსულით შეიცვალა, მრავალი საეკლესიო სიწმინდე იქნა რუსეთში გატანილი. ეგზარქოსები საქართველოს ტაძრების ფრესკებსაც მიადგნენ. „სანიტარიული წესრიგის“ საბაბით, თეთრად ალესვინებდნენ უძველესი ქართული ტაძრების უნიკალურ ფრესკებს. ერთმორწმუნეთა მხრიდან ამგვარმა დამოკიდებულებამ ქართველებს სარწმუნოებრივი სიმტკიცე დააკარგვინა, რაც საუკუნეების მანძილზე გვქონდა. რაც შეეხება ქართველი ერის ზედა ფენებს, ისინი შეგნებულად იყვნენ რუსეთის სამსახურში ჩამდგარნი. მართალია, საქართველოს ეკლესიაში მრევლი შემცირდა, მაგრამ იმ შემცირებულ კრებულს ძალზე მტკიცე ქრისტიანები შეადგენდნენ, რომლებმაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს მოძრაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიამ უამრავი წმინდა მოღვაწე შეიძინა. 1905 წელს, ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილმა, ილია ჭავჭავაძის (შემდგომში, წმინდა ილია მართლად წოდებული) მეთაურობით, თხოვნით მიმართა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი განეხილა. მეფის მთავრობამ სხდომა დანიშნა, სადაც ბევრმა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ სიტყვა წარმოთქვა. მათ დაასაბუთეს, რატომ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მსოფლიო ეკლესიის კრების კანონებს, მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტების მიუხედავად, ამ აქციას ავტოკეფალიის აღდგენა არ მოჰყოლია. რუსეთის იმპერიაში, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქართველმა სამღვდელოებამ არსებული ვითარებით ისარგებლა და სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. ამავე დღეს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში შედგა საეკლესიო კრება, რომელზეც მიიღეს შემდეგი შინაარსის დოკუმენტი: „ამიერიდან, 12 მარტიდან (ძველი სტილით), გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; დროებით, კათალიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი, ლეონიდე; საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები“. 14 მარტს, თბილისში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ კი დაადგინა, რომ სიონის ტაძარში ღვთისმსახურება რუსულის ნაცვლად ქართულად აღვლენილიყო. რუსეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, იმავე წელს საქართველოს ეკლესიამ კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველ პატრიარქად არჩეულ იქნა კირიონ II, რომელიც ერთი წლის შემდეგ მარტყოფის მონასტერში მოკლეს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რა მდგომარეობაში იყო საქართველოს ეკლესია, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც. ქართული ეკლესიის მდგომარეობა კიდევ მეტად დამძიმდა და გაუარესდა კომუნისტების ბატონობის ხანაში, რაც XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო და 80-იან წლებამდე გაგრძელდა. დაიწყო ქრისტიანთა სასტიკი დევნა-შევიწროება. აბუჩად იგდებდნენ სასულიერო პირებსაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ უბრალო ერისკაცებზე. ამ პერიოდში არაერთი ღვთისმსახური აღესრულა მოწამებრივად, ეკლესია-მონასტები დახურეს და დაანგრიეს. საუკუნეთა მანძილზე ნაგროვებ, სასულიერო განძს ძარცვავდნენ და აჩანაგებდნენ. კომუნისტებმა ისიც კი იკადრეს, რომ ქართველ წმინდანთა წმინდა ნეშტები გაეხსნათ და ხალხის თვალწინ თოკებით ეთრიათ. ამგვარი რამ არც ერთ უსჯულო დამპყრობელს არ ჩაუდენია. ამ ნგრევა-განადგურების დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ამბროსი ხელაიამ მიმართვა გაუგზავნა გენუის კონფერენციას, რითაც მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის უბედურების შესახებ. რუსეთის მცდელობით ამას არანაირი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს წევრები რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა, როგორც არსებული წყობილების ბრალმდებლები. უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა საქართველოს მომდევნო პატრიარქებსაც. შესაბამისად, მძიმე ყოფაში იყო საქართველოს ეკლესიაც. მხოლოდ რამდენიმე ეკლესია იყო მოქმედი, სადაც მცირე ოდენობის სასულიერო პირი მოღვაწეობდა. 1919 წელს, როდესაც საქართველოში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, ხმათა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა, რომელიც არ იყო ისეთი ათეისტური, როგორიც ვთქვათ, კომუნისტური პარტია. XX საუკუნის 80-იან წლებიდან საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს არის მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების პერიოდი. სწორედ მისი ღვაწლის წყალობით მოხდა მსოფლიო საპატრიარქოსა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ოფიციალურად ცნობა: 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი გადასცა. 90-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა — საბჭოთა მენტალიტეტისგან გათავისუფლებულმა ადამიანებმა უკვე მასობრივად დაიწყეს ეკლესიური ცხოვრება. საქართველოს პატრიარქის უდიდესი ძალისხმევითა და ავტორიტეტით აღდგა და ამოქმედდა უამრავი ეკლესია-მონასტერი. საგრძნობლად იმატა სასულიერო პირთა რიცხვმა. ქართული ეკლესიის მასობრივი აღორძინების პროცესი განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში შეინიშნება. დავუშვათ, თუ 30 წლის წინ საქართველოში 50 მოქმედი ტაძარი იყო, დღეისათვის მათმა რაოდენობამ ორი ათასს გადააჭარბა. ეკლესიის მსგავსი მასობრივი ხასიათის აღორძინება მსოფლიოში არ მომხდარა. მართლმადიდებლობის მასობრივი ზრდა საერთოდ მთელ მსოფლიოშია დაფიქსირებული, მაგრამ მას ყველაზე მასობრივი სახე საქართველოს ეკლესიაში აქვს. ■

ყველაზე საშიში უდაბნოები

55 მლნ წელია, აფრიკის უდაბნო ნამიბიაში შხაპუნა წვიმა არ მოსულა. წელიწადში მხოლოდ 10 მმ ნალექი მოდის. ადგილობრივების ენაზე „ნამიბია“ ნიშნავს ადგილს, სადაც არაფერი ხარობს. უდაბნოში ყველაზე დიდი, ზოგჯერ 300-მეტრიანი დიუნების ნახვაა შესაძლებელი. აქ ალმასის, ურანისა და ვოლფრამის საბადოებია აღმოჩენილი.

ბოლივიის უდაბნო (იგი 10 ათას კვკმ-ზეა გადაჭიმული) უიუნი მსოფლიოში ყველაზე მარილიანად ითვლება. მარილის მარაგი 10 მლრდ ტონას აღწევს. ოდესღაც, უდაბნოს ადგილზე მლაშე ტბა იყო. დროთა განმავლობაში იგი დაშრა და მიწაზე მარილის სქელი ფენა დატოვა. უიუნის უდაბნო ტურისტების საყვარელი ადგილია. ადგილობრივები მარილის აგურებისგან ქოხებს აგებენ და ტურისტები სიამოვნებით ათენებენ მასში ღამეს.

დედამიწაზე ყველაზე ახალგაზრდა უდაბნოდ უზბეკეთისა და ყაზახეთის საზღვარზე მდებარე არალკუმი ითვლება. ადრე უდაბნოს ტერიტორიაზე ბამბა მოჰყავდათ. მიწაში დარჩენილი პესტიციდებისა და სასუქის გამო არალკუმი ყველაზე შხამიან უდაბნოდაც მიიჩნევა. უცნაურია, მაგრამ ამ მხარისთვის დამახასიათებელი ტოქსიკური ნივთიერებები ანტარქტიდის პინგვინებსაც აღმოაჩნდათ.

ყველაზე პატარა (2,6 კვკმ) უდაბნო კაკროსი კანადაში მდებარეობს. მშრალი კლიმატის მიუხედავად, წვიმა უდაბნოში იშვიათად, მაგრამ მაინც მოდის. 90-იან წლებში ადგილობრივ ხელისუფლებას უდაბნოს ტერიტორიაზე ნაკრძალის გაკეთება უნდოდა, მაგრამ მოსახლეობამ არ დაანება. ახალგაზრდები დიუნებზე სრიალებენ, მოზრდილები უდაბნოს ტერიტორიაზე პიკნიკებს აწყობენ.

ყველაზე დიდი (9 მლნ კვკმ) უდაბნო — საჰარა — ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარეობს. აქ 1922 წელს ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 57,8 გრადუსი იყო დაფიქსირებული. საჰარაში ყოველწლიურად 160 მირაჟი ჩნდება.

ჩილეში მდებარე ატაკამას უდაბნო სიმშრალითაა განთქმული. რამდენიმე ათეული წელია, წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა.

დედამიწის მთავარი პირამიდები

სიტყვა „პირამიდის“ გაგონებისას ყველას ხეოფსის პირამიდა ახსენდება, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ეგვიპტის გარდა, პირამიდები მექსიკაში, ინდონეზიაში, ჩინეთში, კანარის კუნძულებსა და წყალქვეშაც კი მდებარეობს.

გუიმარის პირამიდა (ტენერიფეს კუნძული, კანარის კუნძულები)

პირამიდა, რომელიც ვულკანური წარმოშობის ქვებისგან ასტრონომიული სიზუსტითაა აგებული, 1990 წელს მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა აღმოაჩინა. მეცნიერებს უჭირთ იმის დადგენა, თუ ვინ ააგო პირამიდა. ჰეიერდალის აზრით, პირამიდა გუანჩებს — კუნძულის უძველეს მოსახლეობას უნდა აეგო. სხვათა შორის, ძველად, ტენერეფის კუნძულზე გუანჩების სამეფო მდებარეობდა.

მეროეს პირამიდა (სუდანი)

კუშის მიდამოებში ხალხი ჩვენს ერამდე დაახლოებით 8 ათასი წლის წინ დასახლდა. პირამიდაც ამ პერიოდში უნდა აეშენებინათ. დღესდღეობით სუდანის ტერიტორიაზე 50-მდე პირამიდაა.

აღმოსავლეთის პირამიდა

გიგანტური პირამიდა ჩინეთის პროვინცია ჯილიში, კორეის საზღვართან მდებარეობს. იგი ჩინეთის შუა საუკუნეების მმართველების აკლდამაა. პირამიდის მახლობლად კიდევ ერთი ნაგებობა მდებარეობს, სადაც გადმოცემის თანახმად, ტანგუნას — კორეის პირველი სახელმწიფოს, კოჩოსონის აკლდამა მდებარეობს. პირამიდა თიხის, მიწისა და ქვებისგანაა აგებული. მიუხედავად ასეთი მარტივი მასალისა, პირამიდას დღემდე ფორმა არ დაუკარგავს.



ბრიხადეშვარი (ინდოეთი)

საუკუნეები წინ, მოცეკვავე ღმერთ შივასადმი მიძღვნილ ყველაზე დიდ ტაძარს ორი ფუნქცია ჰქონდა: ტაძრისა და ციხესიმაგრის. მას 25 წლის მანძილზე აგებდნენ. პირამიდების სიმაღლე 58 მეტრია. პირამიდის ფორმის ბრიხადეშვარი აგრეთვე ყველაზე მდიდარ ნაგებობადაა მიჩნეული. ძველად, მდიდარი ინდოელები შივას ტაძარს ყველაზე ძვირფას სამკაულებს სწირავდნენ. განძის ადგილმდებარეობა გასაიდუმლოებულია.

ჩიჩენ-იცა (იუკატას ნახევარკუნძული)

მზის პირამიდად წოდებული ჩიჩენ-იცა, მაიას ტომის მიერ აგებული, ყველაზე კარგად შემონახული პირამიდაა. მას წარსულში საკულტო დანიშნულება ჰქონდა — პირამიდაში მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდებოდა.

წყალქვეშა პირამიდა

ახლახან, ჩინეთში, იუნინანის პროვინციაში, ტბა ფუსიანის ტბაში წყალქვეშა არქეოლოგებმა 19-მეტრიანი პირამიდა აღმოაჩინეს. საინტერესოა, რომ ტბის ფსკერზე მინიმუმ ათი პირამიდა მდებარეობს. არქეოლოგებმა ტბიდან თიხის დოქი ამოიტანეს, რომელიც მეცნიერების აზრით, ჩვენს ერამდე 250-220 წელს, ხანის დინასტიის დროსაა დამზადებული.

წყალქვეშა პირამიდები ადრეც აღმოუჩენიათ.

1968 წელს მფრინავმა ბრაშმა ბაჰამის კუნძულებთან, წყალში ქვის ფილები დაინახა. აკვალანგისტებმა მიდამო გამოიკვლიეს და პირამიდის ფორმის ქვის ნაგებობები აღმოაჩინეს.

1936 წელს, ექიმმა მორგანმა, მერილენდში (აშშ) ტბა როკის ფსკერზე პირამიდა აღმოაჩინა.

1973 წელს წყალქვეშა ნავის მეზღვაურებმა პორტუგალიის წყლებშიც აღმოაჩინეს პირამიდა.

1985 წელს, იაპონიის კუნძულებთან დაივინგის ინსტრუქტორმა წყალში ქვის უჩვეულო მონუმენტს მიაგნო. როგორც გაირკვა, შუმერთა საფეხურიანი პირამიდის მსგავსი ნაგებობა იყო. გარდა ამისა, აკვალანგისტებმა წყალქვეშ მაჩუპიჭუს მსგავს პირამიდასაც მიაკვ-

ლიეს. წყლიდან სხვადასხვა ნივთის გარდა, ადამიანისგამოსახულებიან სკულპტურასაც მიაკვლიეს, რომელსაც ინდიელივით, თავი ბუმბულებით ჰქონდა შემკული. საინტერესოა, აბდების კულტურისთვის დამახასიათებელი ძეგლი როგორ აღმოჩნდა სხვა კონტინენტის წყლებში.

დაბოლოს, 1991 წელს ოკეონოგრაფმა ვერლაგ მეიერმა განაცხადა, რომ „ბერმუდის სამკუთხედის“ გამოკვლევისას, 600 მეტრ სიღრმეში, სპეციალური ხელსაწყოებით, ორი პირამიდა აღმოაჩინეს, რომელიც ხეოფსის პირამიდაზე დიდია.

■

აღმოსავლური ტრადიციები

შეხვედრისას, მიუხედავად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, მამაკაცი ქალს უნდა გაეცნოს, უმცროსი — უფროსს. თუ ერთი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ხალხი შეხვდა ურთიერთს, უცოლო ცოლიანს

უნდა გაეცნოს, გასათხოვარი — გათხოვილს.

შეხვედრისას მამაკაცებმა ერთმანეთს მარჯვენა ხელი უნდა ჩამოართვან. ეს იმის მანიშნებელია, რომ ისინი ერთმანეთს არ მტრობენ და მარჯვენაში ხმალს არ მალავენ.

ნაცნობები გადაეხვევიან და ერთმანეთს ჯერ მარჯვენა ლოყას მიადებენ, მერე — მარცხენას. თუ ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი, კარგად ნაცნობი მეგობრები ხვდებიან, ერთმანეთი სამჯერ უნდა გადაკოცნონ.

ეგვიპტელები ცრუმორწმუნე ხალხია და უამრავ თილისმას ატარებს. ხშირად ფირუზისფერ თიხის ხელისგულს — ფატიმას თვალს — ატარებენ.

შვილის მოკითხვისას დედა აუცილებლად გიპასუხებთ, რომ მისი შვილი ავადაა, არ ჭამს და ცუდად სძინავს, რათა ბავშვი ავი თვალისა და „შაითანისგან“ დაიცვას. გარდა ამისა, შეიძლება გოგო ბიჭივით გამოაწყონ, ბიჭს — კაბა ჩააცვან, საყურე გაუკეთონ. ავი თვალისაგან დასაცავად ეგვიპტელები შვილებს სულელურ სახელებს არქმევენ. მაგალითად, შახატს, რაც მათხოვარს ნიშნავს.

XIX საუკუნის აღმოსავლეთმცოდნეები წერდნენ, რომ ხშირად, ლამაზად და სუფთად ჩაცმული დედა ძონძებში ჩაცმულ, მოთხუპნილ შვილს ასეირნებს, რათა ბოროტებმა ბავშვი არ გათვალონ.

თავხედობაა მოსაუბრისთვის ფეხსაცმლის ლანჩის ჩვენება. თუ გახდისას ფეხსაცმელი ერთმანეთზე ჯვარედინად დაეცა, ოჯახში კონფლიქტი გარდაუვალია. გარდა ამისა, არ შეიძლება თმისა და ფრჩხილების მოჭრა მზის ჩასვლის შემდეგ, აგრეთვე — სახლის დალაგება და კერვა. ■

XXI საუკუნის ყველაზე საშიში ვულკანები

დედამიწის ვულკანოლოგიის საერთაშორისო ასოციაციამ ყველაზე საშიში ვულკანების სია გამოაქვეყნა, რომელთა ამოფრქვევასაც ყოველწუთს უნდა ველოდეთ.

მერაპი (ცენტრალური იავა, ინდონეზია); კორიასკის (კამჩატკა, რუსეთის ფედერაცია); ეტნა (სიცილია, იტალია); საკურაძიმა (კაგოსიმა, იაპონია); ვეზუვი (ნაპოლი, იტალია); კოლიმა (ხალისკო, მექსიკა); გალერასი (ნარინიო, კოლუმბია); მაუნა-ლოა (ჰავაი, აშშ); ნირაგონგო (კონგოს დემოკრატიული ქვეყანა); რეინირი (ვაშინგტონი, აშშ); ტეიდე (ტენერიფე, ესპანეთი); სანტა-მარია (სანტიაგო, გვატემალა); სანტორინი (კიკლადი, საბერძნეთი); ტაალი (ლუსონი, ფილიპინები); ულავუნი (ახალი ბრიტანეთი, პაპუა-ახალი გვინეა); უნზენი (ნაგასაკი, იაპონია). ■

როგორი იქნება თქვენი მომავალი?

მაშ ასე, თანაცხოვრების პირველი წელიწადი მთავრდება. შეიძლება ითქვას, თავისებურ გამოცდას გაუძელით. თქვენ ძველებურად გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ ჰორიზონტზე ძლივს შესამჩნევი ღრუბელი გამოჩნდა. რამდენი წელი მოგიწევთ ერთად ყოფნა და ბედნიერები იქნებით თუ არა, არავინ იცის. და მაინც, რამდენიმე სიგნალი მეტ-ნაკლები სიზუსტით გიკარნახებთ, როგორი იქნება თქვენი მომავალი:

ნდობა

ერთი წლის მანძილზე ურთიერთნდობა დაიმსახურეთ, თუმცა მამაკაცი თავისი ქცევით ადასტურებს, რომ მარტოც მშვენივრად გრძნობდა თავს, ქალი კი ღამღამობით „მკითხაობს“, მას ეკუთვნის თუ არა პარტნიორის გული. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენმა ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ ფაქტია, ერთ-ერთი თქვენგანი (ან შეიძლება ორივე) დისკომფორტს განიცდის.

სისუსტეთა შეცნობა

წყვილთა ურთიერთობაში კრიზისის გამომწვევი, უპირატესად, ერთის დაჟინებული მცდელობაა — გარდაქმნას მეორე. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მშვიდად უნდა შეეგუოთ თქვენი რჩეულის უარყოფით თვისებებს, მაგრამ წყალში ჩაყრილია შრომა, როცა ცდილობთ, მოათვინიეროთ და პედანტად აქციოთ ბუნებით დაუდევარი მამაკაცი; ან თუ პარტნიორად მეოცნებე ნატურის ადამიანი აირჩიეთ, მოგიწევთ შეეგუოთ მის არაკეთილგონივრულ და არაპრაქტიკულ ექსპერიმენტებს. ხოლო იმ მამაკაცმა, ვისაც დაუოკებელი ტემპერამენტის მქონე ქალი ჰყავს გვერდით, უნდა გაითვალისწინოს, რომ მის გულის სწორს ხანდახან „გიჟური“ იდეები შეაწუხებს. დიახ, სიყვარული ცვლის ადამიანს, მაგრამ არა იმდენად, რომ ხელახლა აღზარდოს.

ლაპარაკის და მოსმენის უნარი

იქნებ მიგაჩნიათ, რომ საიდუმლო თქვენ შორის არ არსებობს და უსიტყვოდ უგებთ ერთმანეთს? თუ ასეა, მაშინ ღირს დაფიქრდეთ — ეგებ ერთ-ერთი თქვენგანი სიმართლეს ბოლომდე არ ამხელს ან სულაც, „დუმილის უფლება აქვს არჩეული“?

ურთიერთშევსება

ვუხდებით თუ არა ერთმანეთს? — ეს საკითხი ბევრს აღელვებს. როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, ხასიათის სრული შეწყობა, კავშირის განვითარებისათვის ისეთივე გამოუსადეგარია, როგორიც მკვეთრად გამოხატული აშკარა შეუთავსებლობა. კავშირს ცხოვრებისეულ ძალას სწორედ პარტნიორების ურთიერთშეფასება აძლევს.

ხშირად პარტნიორში ჩვენი „მეს“ ფარულ ნაწილს ვეძებთ და მაშინ, რაციონალურ მამაკაცს ემოციური ქალი უყვარდება; ხოლო ზედმეტად დისციპლინირებული ქალბატონი მოვალეობებისგან თავისუფალ მამაკაცს ირჩევს. ერთიან კავშირში, ურთიერთშევსებით, ორივე პარტნიორი იგებს.

საერთო ინტერესები

განსხვავებული ტემპერამენტის ადამიანები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერთო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამონახონ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას უნდა მისცენ ხმა ან ერთსა და იმავე კერპს ეთაყვანონ — საკმარისია, ერთი მათგანი მეორის მხოლოდ ერთ სერიოზულ გატაცებას იზიარებდეს. საერთო ინტერესები მეგობრობის საუკეთესო ფუნდამენტია. მართალია, მეგობრობა სიყვარულს ვერ შეცვლის, მაგრამ მაინც, მეგობრობაა ის ძალა, რომელიც პარტნიორებს სირთულეს დააძლევინებს.

ვნება და სინაზე

სამწუხაროა, თუ ურთიერთლტოლვა მოწყენილობით ან სიახლოვის დაკარგვით შეიცვლება. ბუნებრივია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარი სექსუალური მოთხოვნილება აქვს. დასაწყისში ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ ხანგრძლივი ურთიერთობისას, პარტნიორებს სექსუალური ცხოვრების რიტმი შეთავსებული უნდა ჰქონდეთ.

სექსუალურობა — ორი ადამიანის კავშირის ბარომეტრია. თუ გსურთ, რომ სიყვარული გაიხანგრძლივოთ, ეცადეთ, დაუოკებელი ვნება ყოველდღიური სექსით შეცვალოთ. ველური ვნების ცეცხლს პარტნიორები დიდხანს ვერ უძლებენ. საჭიროა, იცოდეთ, რომ მოზომილი ურთიერთობები პარტნიორებს ნაზ და ვნებიან სიყვარულს უხანგრძლივებს.

კამათის ხელოვნება

კონფლიქტები ბედნიერ წყვილებს შორისაც იჩენს თავს, მაგრამ კამათის ხელოვნებას სწორედ ისინი ფლობენ. კამათის სიმწვავის ხარისხი კარის მიჯახუნების სიძლიერითა და დამტვრეული თეფშების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ წყვილის ურთიერთობით: ცხარე კამათის შემდეგ, წყვილის ურთიერთობაში რაღაც უნდა გაირკვეს და შეიცვალოს.

საჭიროა სიცილი

არანაკლებ მნიშვნელოვანია, საკუთარ და პარტნიორის შეცდომებს იუმორით შეხედოთ. ეს დაძაბულობის განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა, თუმცა ხანგრძლივი ბედნიერი თანაცხოვრების გარანტიას არ წარმოადგენს.

■

სალათა შებოლილი სულგუნით

მასალად საჭიროა:

300 გ კარტოფილი;
300 გ შებოლილი სულგუნი;
2 კონა მწვანე ხახვი;
100 გ მაიონეზი;
მარილი, შავი პილპილი გემოვნებით.

დამზადების წესი:

მოხარშული კარტოფილი დავჭრათ წვრილად, დავამატოთ ასევე წვრილად დაჭრილი სულგუნი, მწვანე ხახვი და შევანელოთ მარილით, პილპილითა და მაიონეზით.

■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

თრომბოციტოპენიური პურპურა

თრომბოციტოპენია არის მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს თრომბოციტების რაოდენობის კლება 150X109/ლ-ზე მეტად და სისხლ-ჩაქცევებითა და სისხლდენით მიმდინარეობს. პრაქტიკულად, ეს მდგომარეობა შესაძლოა თან ახლდეს სისხლის ნებისმიერ დაავადებას. დამოუკიდებლად დიაგნოსტირდება, როგორც აუტოიმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა ან ვერლჰოფის დაავადება. მისი მთავარი მიზეზი თრომბოციტების პროდუქციის დარღვევა და/ან თრომბოციტების დაშლის ან მისდამი ორგანიზმის მოთხოვნილების მატებაა. ყველაზე ხშირად სწორედ აუტოიმუნური თრომბოციტოპენია გვხვდება.

თრომბოციტოპენიას, რომლის მიზეზიც დაუდგენელია, იდიოპათიურს უწოდებენ. შესაძლო მიზეზებიდან გამოყოფენ: შიდსს, ჰეპატიტს, ჰერპესული ინფექციის გართულებას, ინფექციურ მონონუკლეოზს, მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, გრიპს.

მიმდინარეობა და სიმპტომები

თრომბოციტოპენიური პურპურა ან ვერლჰოფის დაავადება ქვემწვავედ ან მწვავედ გამოხატული ჰემორაგიული

(სისხლდენა) სინდრომით იწყება. დამახასიათებელი ნიშნებია:

სისხლჩაქცევები კანზე — შესაძლოა, თავისთავად, ან სულ მცირე ტრავმების შედეგად გაჩნდეს. სისხლჩაქცევა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: წერტილოვანი, ლაქოვანი, მუქი წითელი, მოლურჯო-მოყვითალო და მწვანეც კი. სისხლჩაქცევები უმტკივნეულოა, განლაგებულია ასიმეტრიულად, დამახასიათებელი ლოკალიზაციის გარეშე. ძალზე იშვიათად ჩნდება ხელისგულებსა და ფეხისგულებზე, თმის ფოლიკულებს კი საერთოდ არ აზიანებს. სისხლჩაქცევა ზოგჯერ თითო-ოროლაა, ზოგჯერ კი იმდენად ბევრი, რომ კანი ლეოპარდის ტყავს ემსგავსება;

სისხლჩაქცევები ლორწოვან გარსებზე — უმეტესად ნუშურა ჯირკვლების, რბილი და მაგარი სასის ლორწოვანზე გვხვდება;

სისხლდენა — ხშირია სისხლდენა ცხვირიდან; ღრძილებიდან სისხლდენა ნაკლებად ინტენსიურია, მაგრამ საშიშია კბილის ამოღებისას. გოგონებს სქესობრივი მომწიფების პერიოდში შეიძლება განუვითარდეთ მძიმე მენსტრუალური და საშვილოსნოსმიერი სისხლდენები. შედარებით იშვიათია სისხლდენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან და საშარდე სისტემის ორგანოებიდან.

აღსანიშნავია, რომ ლორწოვანი გარსებიდან სისხლდენა ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ მძიმე პოსტჰემორაგიული (სისხლდენის შემდგომი) ანემიის მიზეზად იქცევა ხოლმე და ბავშვის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ჰემორაგიული სინდრომის (სისხლდენის) გამოვლენის ხარისხისა და სისხლის მაჩვენებლების მიხედვით, დაავადების სამ პერიოდს განასხვავებენ:

1. ჰემორაგიული კრიზი — ძლიერი სისხლდენები და ლაბორატორიული მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილებები ახასიათებს;

2. კლინიკური რემისია — ამ დროს ჰემორაგიული სინდრომი ქრება. მცირდება სისხლდენის ხანგრძლივობა და ცვლილებები სისხლის შემდედებელ სისტემაში. თრომბოციტოპენია რჩება, თუმცა უფრო სუსტია, ვიდრე ჰემორაგიული კრიზის დროს;

3. კლინიკურ-ჰემატოლოგიური რემისია — ამ დროს სისხლდენებიც წყდება და ლაბორატორიული მაჩვენებლებიც ნორმალიზდება.

მკურნალობა: დროული დიაგნოსტიკა და სწორი მკურნალობა ხანგრძლივი და მყარი რემისიის, შემდგომში კი სრული გამოჯანმრთელების საწინდარია.

დაავადების მკურნალობა კომპლექსურია. მასში ჩართულია ჰორმონული თერაპია, იმუნოდეპრესანტები, პლაზმაფერეზი და სხვადასხვა სიმპტომური თუ პათოგენეტიკური საშუალება. კატეგორიულად იკრძალება ფიზიკური დატვირთვა. აუცილებელია ყოველდღიური აქტიურობის შეზღუდვა.

ვირუსული B ჰეპატიტი

ვირუსული B ჰეპატიტი ღვიძლის ინფექციური დაავადებაა. ის უმთავრესად ზრდასრულ ადამიანებს ემართებათ (ავადობის პიკი 20-დან 49 წლამდე მოდის). რეგულარული ვაქცინაცია ავადობას ამცირებს. B ჰეპატიტი სქესობრივი გზით გადამდები, ერთადერთი ინფექციაა, რომლისგან თავის დაცვაც ვაქცინაციით არის შესაძლებელი.

აცრილი და ჰეპატიტგადატანილი ადამიანი თუ ხელმეორედ დაინფიცირდა (მოხვდა ორგანიზმში B ჰეპატიტის ვირუსი), იგი პრაქტიკულად არ დაავადდება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ინფიცირებისას, B ჰეპატიტის განვითარება გარდაუვალია. B ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებისას უმეტესად მწვავე ჰეპატიტი ვითარდება. პირველადი ქრონიკული ჰეპატიტი იშვიათია. ის, წესისამებრ, იმუნიტეტდაქვეითებულებს და დაბადებისას ინფიცირებულებს აღენიშნებათ.

როგორ ხდება ვირუსის გადაცემა

ვირუსის გადადება დაავადებულის სისხლითა და სხვა ბიოლოგიური სითხეებით ხდება. სწორედ ამიტომ, ინფიცირება ხშირად ნარკოტიკის საერთო შპრიცით შეყვანისას, პირსინგის, ტატუს, მანიკიურისა და პედიკიურის არასათანადოდ გასტერილებული ხელსაწყოების გამოყენებისას ხდება. ინფიცირება შესაძლოა მოხდეს სამედიცინო დაწესებულებაშიც, თუ სამედიცინო ხელსაწყოები არასათანადოდ იქნა სტერილიზებული ან სისხლს გადასხმამდე სათანადო შემოწმება არ ჩაუტარდა.

B ჰეპატიტის რისკ-ჯგუფში შედიან: ადამიანები, რომელთაც ჰყავთ ერთზე მეტი სქესობრივი პარტნიორი — თუ სქესობრივი პარტნიორი ინფიცირებულია, ვირუსის გადაცემის ალბათობა 30%-ია.

ინფიცირების ალბათობა იზრდება, როდესაც ადამიანს ჰყავს მრავალი სქესობრივი პარტნიორი ან ერთი პარტნიორი, რომელსაც, თავის მხრივ, მრავალი პარტნიორი ჰყავს.

გაგრძელება იხ. გვ. 49

ასპირინი – ნაცნობი უცნობი

უნიკალური მედიკამენტის ახალი კლინიკური შესაძლებლობები

შ. ჟუმბურიძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
თერაპიის ეროვნული ცენტრი

ასპირინი (აცეტილ სალიცილის მჟავა) უკვე 111 წელია დევს აფთიაქის თაროზე, მაგრამ მიუხედავად ხანდაზმულობისა თავისი უნიკალური თვისებების გამო იგი მუდმივი კვლევისა და გამოყენების არეალის გაფართოების პროცესშია.

არქეოლოგიური დასკვნები ადასტურებს რომ აცეტილ სალიცილის მჟავას ჯერ კიდევ 10 000 წლის წინათ იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში.

შემონახულია 5000 წლის წინანდელი პაპირუსი, რომელიც 877 რეცეპტს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანი სწორედ აცეტილ სალიცილის მჟავას გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში მედიცინის მამა, ჰიპოკრატე, იყენებდა მას როგორც ტკივილ დამაყუჩებელ და ცხელების საწინააღმდეგო საშუალებას.

პირველად აცეტილ სალიცილის მჟავა სინთეზირებული იქნა ქიმიკოს ფელიქს ჰოფმანის მიერ ბაიერის ლაბორატორიაში 1897 წელს. აღნიშნულმა კომპანიამ 1899 წელს დაიწყო ამ პრეპარატის წარმოება **ასპირინის** სახელწოდებით. მალე იგი იქცა ყველაზე პოპულარულ სიცხისდამწევ, ტკივილგამაყუჩებელ და ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატად მსოფლიოში.

თუმცა **ასპირინის** ისტორია ამით არ დამთავრებულა....

ასპირინის მოქმედების მთელი სპექტრი ბოლომდე არ არის აღმოჩენილი. პრეპარატის უნიკალურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოყენების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოხდა და დღემდე გრძელდება მისი ახალ-ახალი თვისებების აღმოჩენა.

მოსაზრება, რომ **ასპირინის** რეგულარულმა მიღებამ შესაძლოა მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებისა და კორონარული მიზეზით სიკვდილის რისკი შეამციროს, ორმოცდაათიან წლებში გაჩნდა, მაშინ, როდესაც მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს **ასპირინის** „გვერდით მოვლენას“ — გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების მდგომარეობა **ასპირინის** მიღების ფონზე აშკარად უმჯობესდებოდა. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ **ასპირინის** ყოველდღიური გამოყენება თითქმის ორჯერ ამცირებს ინფარქტის, ინსულტისა და ზოგადად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს, ამიტომ 80-იანი წლებიდან **ასპირინის** რეგულარული, ხანგრძლივი მიღება რეკომენდირებულია 40-45 წელს გადაცილებული ყველა ადამიანისათვის, განსაკუთრებით თუ ისინი შედიან მაღალი კარდიო-ვასკულური რისკის ჯგუფში.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მოზრდილი მოსახლეობის 36% ანუ 50 მლნ ადამიანი ყოველწლიურად იყენებს 10 დან 20 მლნ-მდე **ასპირინის** აბს.

ასპირინის ხანგრძლივი მიღების აუცილებლობამ საჭირო გახადა ამ ჯგუფისათვის (ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატები) დამახასიათებელი ისეთი გვერდითი მოვლენის თავიდან აცილების გზების ძიება, როგორიცაა კუჭის ლორწოვანის გაღიზიანება და სისხლდენა. ამ ეფექტის თავიდან ასაცილებლად შემქმნელმა კომპანია ბაიერმა შეიმუშავა უნიკალური მჟავაგამძლე, ნაწლავში ხსნადი გარსი. გარსით დაფარული **ასპირინი (ასპირინი კარდიო)** უცვლელად გაივლის კუჭს და ნაწლავში იხსნება, შესაბამისად კუჭი დაცულია აცეტილსალიცილის მჟავის გამაღიზიანებელი მოქმედებისაგან.

ინტერესი, რომელიც **ასპირინის** გამოჩენამ გამოიწვია მეცნიერთა შორის დღემდე არ შენელებულა. არც ერთ პრეპარატზე არ ჩატარებულა ამდენი კვლევა, რამდენიც ყველასათვის ნაცნობ **ასპირინზე**. 1982 წელს **ასპირინის** მოქმედების მექანიზმის აღმოჩენისათვის ინგლისელმა ფარმაკოლოგმა John R. Vane-მა ნობელის პრემია მიიღო.

თითქმის ყოველწლიურად პრესაში ჩნდება ინფორმაციები **ასპირინის** ახალ-ახალი ეფექტების შესახებ.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ახალმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ასპირინოთერაპია ამცირებს ისეთი სერიოზული დაავადებების განვითარების სიხშირეს, როგორიცაა ალცჰეიმერის დაავადება(1), ლეიკემია (მინესოტის უნივერსიტეტის კიბოს ცენტრის 2007 წლის მონაცემები), მკერდის კიბო(2), პანკრეასის კიბო(3), პროსტატის სიმსივნე და მსხვილი და **სწორი ნაწლავის კიბო. ატლანტის კიბოს ასოციაციის მონაცემებით** ასპირინის 5 წელზე მეტი ხნით გამოყენება თანხლებულია ზოგადად კიბოს სიხშირის 15 %-ით დაქვეითებით.

არსებობს მონაცემები იმასთან დაკავშირებით რომ **ასპირინის** მიღება ხელს უშლის კატარაქტის განვითარებას(4)

31 რანდომიზებული კვლევის (32 0000 ორსული) მეტა ანალიზმა დაადგინა რომ **ასპირინის** მცირე დოზებით გამოყენება ორსულ ქალებში 10%-ით ამცირებს მძიმე ტოკსიკოზების განვითარების რისკს.

დღეს, როდესაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება პრევენციული მედიცინა, რომელიც მიმართულია დაავადების არა მკურნალობისკენ, არამედ პროფილაქტიკისკენ, **ასპირინი** თავისი უნიკალური და მრავალმხრივი მოქმედების გამო შეუცვლელი პრეპარატია მოსახლეობის ნებისმიერი ჯგუფისათვის. ამ პრეპარატის დროული მიღება თავიდან აგვაცილებს მრავალ დაავადებას — **ასპირინის** უკან ხომ უკვე დგას მილიონობით გადარჩენილი სიცოცხლე და მადლიერი პაციენტი.

(1) (The Baltimor Longitudinal Study of Ageing, 1997, The Study of 50 elderly twin (2003))
(2) (Journal of National Cancer Institute, 2008)
(3) (The National Cancer Institute, USA 2007)
(4) (American Optometric Association, 1995)
(5) (Lancet 2007)

ასპირინი ჯარდიო – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა

Bayer HealthCare
Bayer Schering Pharma

ჩვენებები:
არასტაბილური სტენოკარდია;
ინსულტის პროფილაქტიკა;
მიოკარდიუმის მწვავე და განმეორებითი ინფარქტის პროფილაქტიკა;
თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის გარდამავალი მოშლის პროფილაქტიკა;
ღრმა ვენების თრომბოზების და ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიის პროფილაქტიკა;

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

დასაწყისი იხ. გვ. 47

ჰომოსექსუალები;

საინიექციო ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები;

ქრონიკული B ჰეპატიტით დაავადებულთა ოჯახის წევრები;

ინფიცირებული დედების მიერ გაჩენილი ბავშვები — თუ დედას აქვს ვირუსული B ჰეპატიტი, მას შესაძლოა, ინფიცირებული შვილი შეეძინოს. ინფიცირება ხდება ან ორსულობისას, პლაცენტის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში (მაგალითად, ამნიოცენტეზის დროს), ან მშობიარობისას, ბავშვის სამშობიარო გზებში გავლის დროს. ინფიცირებული დედის შვილს აქვს ქრონიკული B ჰეპატიტის განვითარების დიდი ალბათობა და დაავადების არაკეთილსაიმედო პროგნოზი. საინტერესოა, რომ B ჰეპატიტის ვირუსი დედის რძეშიც არის აღმოჩენილი, მაგრამ ძუძუთი კვების დროს ბავშვის ინფიცირების რისკი არ არსებობს.

სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლები;

ჰემოდიალიზზე მყოფი ავადმყოფები; ასევე ავადმყოფები, რომელთაც ხშირად სჭირდებათ სისხლის გადასხმა.

აღსანიშნავია, რომ B ჰეპატიტის ვირუსი აღმოჩენილია ინფიცირებულთა ნერწყვში, ცრემლსა და განავალში. თუ ეს გამონაყოფები ადამიანის დაზიანებულ კანზე ან ლორწოვან გარსზე მოხვდა, ინფიცირება მოსალოდნელია, მაგრამ ალბათობა ძალიან მცირეა. დაუზიანებელი კანიდან და ლორწოვანი გარსიდან ვირუსი ორგანიზმში ვერ აღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ B ჰეპატიტი არ ვრცელდება საყოფაცხოვრებო-კონტაქტური გზით — ხელის ჩამორთმევისას, საუბრისას, საკვების, საერთო ჭურჭლის მეშვეობით. ამიტომ დაავადებული ირგვლივ მყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენს და იზოლაციას არ საჭიროებს.

საეჭვო ნიშნებია: დაღლილობა, უმადობა, სიყვითლე, გულისრევა, მარჯვენა ფერდქვეშა არეში უსიამოვნო შეგრძნება, შარდის გამუქება და განავლის გაბაცება, სახსრების ტკივილი.

თუ მწვავე B ჰეპატიტი მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის ფორმით მიმდინარეობს, ავადმყოფი თავისთავადაც გამოჯანმრთელდება, მაგრამ მდგომარეობის შეფასება მხოლოდ ექიმს შეუძლია. მანვე უნდა მისცეს დაავადებულს რეკომენდაცია ცხოვრების რეჟიმის, კვების თაობაზე (ეს რეკომენდაციები აუცილებლად გაიცემა, თუნდაც მედიკამენტური მკურნალობა საჭირო არ იყოს). თუ დაავადება მძიმედ მიმდინარეობს, სამედიცინო ჩარევის გარეშე შესაძლოა განვითარდეს ფატალური გართულებები — მწვავე ღვიძლისმიერი უკმარისობა, ღვიძლისმიერი კომა, სისხლდენა და სხვა.

ქრონიკული B ჰეპატიტის შემთხვევაში, თუ ღვიძლის ფუნქცია შენარჩუნებულია, მკურნალობა არ ინიშნება. საჭიროა მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობა და პერიოდულად — საკონტროლო გამოკვლევა.

დიაგნოსტირება

უნდა გაკეთდეს სისხლის ანალიზი ვირუსის HBSAG ანტიგენსა და მის ანტისხეულებზე (ანტი-HBs-ზე). თუ ორივე ტიტრი უარყოფითი აღმოჩნდა, ინფიცირების ალბათობა დიდია. HBsAg-ის არსებობა ინფიცირებაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში აუცილებელია შემდგომი გამოკვლევა, ვაქცინაცია კი დაგვიანებულია. საჭიროა ექიმთან ვიზიტი. HBsAg-ის მატარებელი ირგვლივ მყოფთათვის ინფიცირების პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. თუ სისხლში აღმოჩნდა ანტი-HBs-ის მაღალი ტიტრი, მაგრამ HBsAg არ იქნა გამოვლენილი, მაშინ ვაქცინაცია არ არის საჭირო, რადგან ადამიანი ინფიცირებისგან უკვე დაზღვეულია.

მკურნალობა

ჰეპატიტისგან განკურნება შესაძლებელია. იმ პირებში, რომელთაც აქვთ ადეკვატური იმუნური პასუხი, მწვავე B ჰეპატიტი უმეტესად (90%) სრული გამოჯანმრთელებით სრულდება. 15 კვირის შემდეგ ყველა გამოჯანმრთელებულს HBs-ანტისხეულებზე ანალიზი უარყოფითი აქვს. მათი B ჰეპატიტით ინფიცირების საშიშროება აღარ არსებობს. ქრონიკული B ჰეპატიტის შემთხვევაში ვირუსის სპონტანური ელიმინაცია ასიდან 1-2 შემთხვევაში ხდება. ქრონიკული B ჰეპატიტი გაცილებით ძნელი სამკურნალოა. ამ დროს ვირუსის საწინააღმდეგო თერაპია ვირუსის გამრავლებას მნიშვნელოვნად ამცირებს, იძლევა ღვიძლის ფუნქციის აღდგენის, ციროზის ჩამოყალიბების ალბათობის შემცირების საშუალებას, მაგრამ გამოჯანმრთელება (ორგანიზმის ვირუსისგან გათავისუფლება) ასიდან მხოლოდ 10-15 შემთხვევაშია შესაძლებელი.

მწვავე B ჰეპატიტის დროს ინიშნება მხოლოდ შემანარჩუნებელი და დეზინტოქსიკაციური თერაპია, რომლის მიზანიც ტოქსინების ორგანიზმიდან გამოდევნა და ღვიძლის ქსოვილის აღდგენაა. ვირუსის საწინააღმდეგო მკურნალობა არ ტარდება.

ქრონიკული B ჰეპატიტის დროს კომპლექსური მკურნალობა ტარდება, რომელიც ინდივიდუალურად, დაავადების ფორმისა და გამოხატულების ხარისხის შესაბამისად ინიშნება. ქრონიკულ B ჰეპატიტს ალფა-ინტერფერონისა და ნუკლეოზიდების ანალოგების ჯგუფის ვირუსსაწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობენ. ეს პრეპარატები ინიშნება როგორც ცალ-ცალკე, ისე კომბინირებულადაც. მკურნალობის სქემა დაავადების მიმდინარეობისა და სტადიის შესაბამისად შეირჩევა. მკურნალობა შესაძლოა გაგრძელდეს 6 თვიდან რამდენიმე წლამდე.

დიეტა

რეკომენდებულია დიეტა №5, რომელიც აძლიერებს საჭმლის მომნელებელი წვენების სეკრეციას. დიეტის მიზანი უმეტესად ნაღვლის ბუშტის ფუნქციის მოწესრიგებაა, რადგან ღვიძლის ქრონიკულ დაავადებებს ხშირად თან სდევს მისი მუშაობის დარღვევა. ცხოვრების წესის მკვეთრი შეცვლა არ არის საჭირო. იკრძალება ალკოჰოლის მოხმარება. ნებისმიერი პრეპარატის მიღება ექიმთან უნდა იქნეს შეთანხმებული.

დიეტა №5: ავადმყოფი უნდა იკვებებოდეს ნორმალური კალორიულობის, მაგრამ შეზღუდული ცხიმიანობის საკვებით. იზღუდება ქოლესტერინის შემცველი პროდუქტები (ღვიძლი, თირკმლები, ტვინი), კატეგორიულად იკრძალება ცხოველური ცხიმი, ხილი და ბოსტნეული კი ავადმყოფმა დიდი რაოდენობით უნდა მიირთვას.

აკრძალულია: შემწვარი ხორცი და ბოსტნეული, კონსერვები და შაშხი, სუნელები, პარკოსნები, ისპანახი, მჟაუნა, თალგამი, ბოლოკი, ბულიონი, კვერცხის გული, მჟავე და ცხარე ხილი და ბოსტნეული, გაზიანი და ცივი სასმელები, ალკოჰოლი, მათ შორის — ლუდი.

ნებადართულია: დაღერღილი ხორბლის პური, უცხიმო ფქვილის ნაწარმი, ორცხობილა, ბოსტნეულის წვნიანი, რძეზე მომზადებული ბურღულეული და მაკარონი, მჭლე ხორცი და თევზი, კვერცხის ცილის ომლეტი, რძე, ნაკლებცხიმიანი არაჟანი, რძემჟავა პროდუქტები, მოხდილი ყველი, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ცოცხალი ტკბილი ხილი, ბურღულეული და მაკარონი, ნაღების კარაქი და მცენარეული ზეთი, წყალში გაზავებული ბოსტნეულისა და ხილის წვენი, ბაცი ჩაი და რძიანი ყავა.

როგორ მოვიქცეთ, როდესაც ოჯახის წევრი B ჰეპატიტით არის დაავადებული?

თუ ყველა ზედმიწევნით დაიცავს პირადი ჰიგიენის წესებს, ოჯახის წევრების ინფიცირების ალბათობა მცირეა. ინფიცირების მაღალი რისკი მხოლოდ დაავადებულის მეუღლეს აქვს; ამიტომ მისი ვაქცინაცია აუცილებელია. ქრონიკული B ჰეპატიტით დაავადებულის ოჯახის წევრები უნდა იქნენ გამოკვლეულნი და B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილნი. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



ადამიანი

14 წლის ბიჭუნა, რომელიც ოჯახის მძიმე ტვირთს ზიდავს

ილია შემთხვევით გავიცანი: სუპერმარკეტში, სადაც მე ვიმყოფებოდი, ერთი ბიჭი შემოვიდა და მოლარეს ჰკითხა, — დახმარება ხომ არ გნებავთ? ყუთები ხომ არა გაქვთ გადასატანიო? — არა! — უპასუხა მოლარემ „ცივი“ ხმით. ბიჭმა თავი დახარა და მაღაზიიდან გავიდა. უკან გავყევი...

„ზოგჯერ იმის ნახევარსაც არ მიხდიან, რაც მეკუთვნის“

თამუნა კვინიკაძე

— **რა გქვია?**

— ილია.

— **თბილისში ცხოვრობ?**

— არა, გარდაბნიდან ჩამოვედი.

— **სამუშაოს ეძებ, არა?**

— დიახ, იქნებ პურის ფული ვიშოვო...

— **რამდენი წლის ხარ?**

— 14-ის.

— **მშობლები, და-ძმა თუ გყავს?**

— დედა და მამა გაშორებულები არიან. 7 წლის ძმა მყავს და ორი ბიძაშვილი — 4 წლის თამთა და 2 წლის დათუნა. ისინი დედას ძმისშვილები არიან. სამწუხაროდ, ბავშვების მშობლები ციხეში არიან. დედაჩემი უმუშევარია.

— **გამოდის, რომ ოჯახს შენ არჩენ...**

— ასეა! ისე, ამ ყველაფერს რატომ მეკითხები?

— **ჟურნალისტი ვარ. შეიძლება, ჩვენი საუბარი ჟურნალ „გზაში“ რომ დაიბეჭდოს?**

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს!

— **ილია, სკოლაში დადიხარ?**

— არა, მხოლოდ 3 წელი ვიარე, სახლში „ქების სიგელიც“ მაქვს, მაგრამ მერე გამოვედი. ახლა თითქმის ყოველდღე, თბილისში ჩამოვდივარ, მაღაზიებში, ბაზრობებზე დავდივარ და ყველას ვეკითხები, — დახმარება ხომ არ გინდათ-მეთქი? ვცდილობ, იმდენი თანხა გამოვიმუშაო, რომ ოჯახის გამოკვება შევძლო.

— **ყოჩაღ, შექებას ნამდვილად იმსახურებ!**

— (*იღიმის*) მუშაობას არავინ მაიძულებს, მაგრამ... პურის ფულს პატიოსანი შრომით გამოვიმუშავებ.

— **შენი გასამრჯელო დღეში საშუალოდ, რამდენი ლარია?**

— 10-15 ლარი, 30-მდეც ამიღია, მაგრამ ზოგჯერ, 10 დღის მანძილზე 1 ლარიც ვერ „გამიკეთებია“. იცი, ბავშვი რომ ვარ, ჩემს შეთავაზებას სერიოზულად არ აღიქვამენ; ზოგი არ მენდობა, რადგან ქურდი ვგონივარ და მცდის.

— **როგორ?**

— მაგალითად, ერთმა კაცმა 100-ლარიანი მომაწოდა და მთხოვა, ჯიხურიდან სიგარეტი მიმეტანა. თავად მანქანაში იჯდა და ეტყობა, გადმოსვლა დაეზარა. ფული რომ მომცა, თან დააყოლა, — 2 ლარი შენთვის დაიტოვე, დანარჩენი კი მომიტანეო. როგორც მითხრა, ისე მოვიქეცი; მან ფული გადათვალა და 50-ლარიანი მაჩუქა, თავზე ხელიც გადამისვა და შემაქო, — კარგი ბიჭი ხარო.

— **უმეტესად, რა საქმეს აკეთებ?**

— აფთიაქებიდან და მაღაზიებიდან ყუთები გამომაქვს ხოლმე; ე.წ. ელიავას ბაზრობაზე საბურავებს ვალაგებ, „მეშოკებსაც“ ვეზიდები.

— **მერე სიმძიმეების აწევა არ გიჭირს?**

— ძნელია, მაგრამ რა ვქნა?! თან, სიმძიმის აწევა ჩემთვის არც შეიძლება, „გრიჟა“ მაწუხებს.

— **ახლა სად მიდიხარ?**

— არ ვიცი, ქუჩას გავუყვები და იქნებ ვიშოვო რამე. ის საქმე, რასაც მე ვაკეთებ, ზრდასრულმა რომ გააკეთოს, მეტს გადაუხდიან, მე კი ზოგჯერ, იმის ნახევარსაც არ მაძლევენ, რაც მეკუთვნის.

— **რას გულისხმობ?**

— ერთხელ IX სართულზე ცემენტით სავსე ტომრები და ყუთები ავიტანე — სულ 30 ცალი იყო და პატრონმა 2 ლარი გადამიხადა.

— **ერთ ტომარაში?**

— არა, რას ამბობთ, ასე რომ ყოფილიყო, უკმაყოფილო ვიქნებოდი? ყველაფერი 2 ლარად ამატანინა.

— **თანხაზე თავიდან არ შეუთანხმდი?**

— ზოგს ვუთანხმდები, ზოგს — არა... კარგი, ახლა წავალ, თორემ დღე ისე გაილია, არაფერი გამიკეთებია.

ილიას მონათხრობმა დამაფიქრა. მისთვის კიდევ ბევრი რამის კითხვა მინდოდა, მაგრამ მიზეზი, რის გამოც ჩქარობდა, გასაგები იყო და მეც, ხელი ვერ შევუშალე. მის ასაკში მოზარდები უმეტესად, გართობაზე ფიქრობენ, ილიას კი მხრებზე ოჯახის ტვირთი აწევს... ბიჭს ტელეფონის ნომერი გამოვართვი და დავპირდი, რომ აუცილებლად დავუკავშირდებოდი. ილია ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაუყვა, მერე ერთ მაღაზიაში შევიდა, მაგრამ უკან მალევე გამობრუნდა...

ილიას მეორე დღესვე დავურეკე.

ჩემმა ზარმა ცოტათი დააბნია. ვთხოვე, — თუ შეიძლება, შენი ოჯახის წევრები გამაცანი-მეთქი. მიპასუხა: თქვენთან დაკავშირება დედასაც უნდოდა, მაგრამ მობილურის ანგარიშზე თანხა არ გვქონდა და ვერ დაგირეკეთო... ქალბატონ მარინას გარდაბანში ვესტუმრე. ის 4 მცირეწლოვან ბავშვთან ერთად, მეგობრის ბინაში ცხოვრობს. ილია შინ არ დამხვდა.

— დღეს დილით ვუთხარი, — შვილო, ეს ერთი დღე მაინც დაისვენე, სახლში იყავი-მეთქი, მაგრამ მაინც წავიდა... ღამეები არ მძინავს, მის მდგომარეობას ძალიან განვიცდი.

— რამდენი წლის იყო, როცა ოჯახში პირველი „ხელფასი“ შემოიტანა?

— 9 წლის იყო, მუშაობა რომ დაიწყო. თავიდან მანქანების „პროფილაქტიკაში“, დამხმარედ აიყვანეს, მსუბუქ საქმეს აკეთებინებდნენ და დღეში 5 ლარს, ზოგჯერ ცოტა მეტსაც აძლევდნენ.

— გამოდის, რომ ოჯახს 9 წლის ასაკიდან არჩენს.

— ასეა! ილია არაჩვეულებრივი შვილია, მისი აღზრდისთვის ჩემთვის მადლობა არაერთხელ უთქვამთ. ერთი პერიოდი გლდანში მდებარე ერთ-ერთ „პროფილაქტიკაში“ მუშაობდა. მფლობელს მისთვის 20 ლარი მიუცია და უკან ჩუმად გამოჰყოლია — აინტერესებდა, ფულს რაში დახარჯავდა. მოგეხსენებათ, მის ასაკში ზოგი წებოს სუნთქავს, ზოგი ათას სისულელეს აკეთებს. „პროფილაქტიკის“ მფლობელი ილიას რუსთავის „მარშრუტკამდე“ მიჰყოლია და მძღოლისთვის უთქვამს: ამ ბავშვს ყურადღება მიაქციე, მაინტერესებს, სად ჩამოვაო. იმ დღეს ილიას გაჩერებაზე მე დავხვდი და ეს ამბავი იმ მძღოლმა მითხრა... ერთხელ ბავშვის გამოცდის მიზნით ფულის შესანახავი სეიფი ღია დაუტოვებიათ. ილიას ღია სეიფი რომ შეუნიშნავს, პატრონთან მისულა, — დაგრჩენიათ და დაკეტეთო. ძალიან თბილი ბავშვია და ხშირად მეუბნება: დედა, მითხარი, რაც ვარ, ამაზე უკეთესი როგორ გავხდე, რათა ჩემით იამაყო და კარგად მყავდეო.

— ილიას მამაზე რას მეტყვით?

— 4 წელია, რაც ჩემი შვილების მამას დავშორდი. ძალიან ცუდად მექცეოდა, ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებდა, ბოლოს კი ჩვენი საცხოვრებელი ბინაც გაყიდა და ქუჩაში დავრჩით. სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობთ, ჩემი მეგობრისაა და დროებით მან შეგვიფარა. მალე მას საზღვარგარეთ მყოფი და და დედა ჩამოუვლენ, მერე კი აქ ჩვენი ადგილი ნამდვილად აღარ იქნება, არადა, წასასვლელი არსად გვაქვს. მოკლედ, არ ვიცი, რა გვეშველება. ილიაც იმდენს ვერ გამოიმუშავებს, რომ ბინის ქირის გადახდაც შეძლოს და ჩვენი გამოკვებაც... ბავშვი სკოლაშიც არ დადის და მე, როგორც დედა, მის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ილია 3 წელი ფასიან სკოლაში დამყავდა — თვეში 25 ლარს ვიხდიდი, მაგრამ მერე იძულებული გავხდი, გამომეყვანა.

— ხომ შეგეძლოთ საჯარო სკოლაში მიგეყვანათ?

— ერთ-ერთ სკოლაში განცხადება დავწერე, მაგრამ ფასიანი სკოლის დირექტორმა დავალიანების გამო საბუთები არ გამოგვატანა; არადა, მაშინ იმდენად მიჭირდა, რომ 25 ლარი კი არა, ჩემი შვილებისთვის 25-თეთრიან ძველ პურსაც სიმწრით ვყიდულობდი... რამდენიმე დღის წინ 9-სართულიანი სახლის ბუნკერი 6 ლარად ჩავრეცხე; თუ ვინმე გამონაცვალ ტანსაცმელს გვაჩუქებს, ყველაფერს „მეორადებში“ ვაბარებ.

— როგორც ვიცი, შვილების გარდა, ძმისშვილებსაც ზრდით.

— დიახ. ჩემი ძმა და რძალი ციხეში არიან. თათია და დათუნა უპატრონო ბავშვთა სახლში მიჰყავდათ და არ გავატანე, საამისოდ ვერ გავიმეტე. ჰოდა, ბიძაშვილებიც ილიას სარჩენი გახდნენ. დათუნა ყოველ საღამოს ილიას ელოდება, მის მოსვლამდე არ იძინებს, — იქნებ, „კაკა“ მომიტანოსო.

— თქვენი მეუღლე ახლა სად არის?

— რაიონში ცხოვრობს.

— შვილებთან ურთიერთობა აქვს?

— უმცროსი ბიჭი ახლაც მათთანაა. ჩემი ყოფილი დედამთილი არაჩვეულებრივი ქალბატონია და არ შემიძლია, მას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე უარი ვუთხრა.

— სოლარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამაში მოხვედრა არ გიცდიათ?

— რუსთავის გამგეობაში მივედი და ბავშვებიც წავიყვანე. რამდენიმე დღე მატარეს, მერე კი ერთ-ერთმა ქალბატონმა მითხრა, — ბავშვების რჩენის თავი თუ არა გაქვს, გააშვილეო. — თქვენ შვილები გყავთ-მეთქი? — მხოლოდ ეს ვკითხე და წამოვედი.

— თქვენი უმცროსი ბიჭი სკოლაში დადის?

— დიახ, საბა კარგად სწავლობს. მას და ბიძაშვილებს ილია მამასავით ჰპატრონობს... ჩემი შვილისთვის სიმძიმის აწევა არ შეიძლება, თიაქარი აწუხებს. სულ ვეუბნები, — შვილო, რამდენიც არ უნდა გადაგიხადონ, სიმძიმეები არ ასწიო-მეთქი. არაო, — მეუბნება, მაგრამ ამის გაკეთება მაინც უწევს. ცოტა ხნის წინ ცემენტით დასვრილი ტანსაცმლით მოვიდა, ცუდად იყო და მთელი ღამე არ გვიძინია. ხშირად, 10-15 ლარი მოაქვს, ზოგჯერ — 30-იც, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი კვირის მანძილზე 1 ლარიც ვერ უშოვია.

— ასეთ დროს თავი როგორ გაგაქვთ?

— ჩემი მეგობარი — მაია (ის, ვის ბინაშიც ვცხოვრობთ) გვეხმარება. მახსოვს, ერთხელ მე და ჩემს შვილებს საჭმელი რომ არ გვქონდა, დაღამებას დაველოდეთ, მერე ქუჩაში გავედით და მშივრებს რომ არ დაგვეძინა, კარალიოკი დავკრიფეთ... მესამე შვილიც მყავდა, მაგრამ 3 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდამეცვალა. საცოდავი, 21 დღე აპარატზე იყო შეერთებული, ძვირად ღირებული მედიკამენტები სჭირდებოდა და ვინაიდან წამლების შესაძენად ფული არ მქონდა, სისხლს ვაბარებდი... მაინც ვერ გადავარჩინე! იცით, მომაკვდავ შვილს პატიებას ვთხოვდი, რადგან რაც სჭირდებოდა, ვერ გავუკეთე.

— ახლობლები არ გეხმარებოდნენ?

— ჩემს დასთან რომ მივედი და ვუთხარი, — შვილი მიკვდება-მეთქი, 10 ლარი მომცა (*ტირის*)... საავადმყოფოში რომ მივედი, ბავშვი უკვე გარდაცვლილი დამხვდა. ჰოდა, იმ ფულით ტანსაცმელი ვუყიდე და დავკრძალე... მაპატიეთ, ჩემი ტკივილი თავს მოგახვიეთ.

— ახლა რას აპირებთ? აქედან რომ წახვიდეთ, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად სად ან როგორ უნდა იცხოვროთ?

— არ ვიცი და ამაზე ფიქრიც არ მინდა, მაგრამ ეს დღეც ალბათ, მალე დადგება. ერთხელ ილიამ მითხრა: დედა, იცი, როგორ დავიღალეო?!. გულჩათხრობილი ბავშვია. განათლებასაც ვერ ვაძლევ, არადა, მართლა ნიჭიერია. თქვენ წარმოიდგინეთ, 4 წლის ასაკში ნოდარ დუმბაძის ლექსები ზეპირად იცოდა. ახლა კომპიუტერზე ოცნებობს.

გარდაბნიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ილიას კვლავ შევხვდი.

მას და ბიძაშვილებს ილია მამასავით ჰპატრონობს

— **შენ რა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ! გავიგე, მუშაობა 9 წლის ასაკიდან დაგიწყია.**

— დიახ. პროფილაქტიკაში 1 წელი ვმუშაობდი, მერე თბილისში სიარული დავიწყე. პირველად რომ ჩამოვედი, დიდუბის ავტოსადგურში მივედი და „მარშრუტკების“ მძღოლებს ვკითხე, — დახმარება ხომ არ გნებავთ-მეთქი? წყალი მიმატანინეს და 5 ლარი მომცეს. არ მინდა, ვინმე ისე დამეხმაროს, რომ საქმე არ გავუკეთო, მათხოვრობა არ შემიძლია.

— **ილია, თავისუფალი დრო ალბათ, არც გაქვს.**

— არა, სახლიდან დილით გამოვდივარ და ღამე შევდივარ, იშვიათად ვისვენებ. რამდენჯერმე ინტერნეტკაფეშიც შევედი, ვითამაშე, მაგრამ თავს უფლებას არ ვაძლევ, ჩემი ნაშრომი გართობისთვის დავხარჯო.

— **რაზე ოცნებობ?**

— სხვა ბავშვების მსგავსი ოცნებები არა მაქვს. (*პაუზის შემდეგ*) ძალიან მინდა, რუსთავში ჩემი სახლი მქონდეს. შრომა არ მეზარება და დანარჩენს თავად მივხედავ. ბინის შეძენა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება და მეშინია, ქუჩაში არ დავრჩეთ.

— **4 წელია, რაც ასეთი არასტაბილური სამუშაო გაქვს და უამრავ ადამიანთან გიწევს ურთიერთობა. მათგან გამორჩეულად რომელიმე თუ დაგამახსოვრდა?**

— ზოგი ძალიან უხეშია და მეჩხუბება კიდეც, — შენ რისი გაკეთება უნდა შეძლო? მაგრამ ღვთის წყალობით, ყველა ასეთი ნამდვილად არ არის, კეთილი ადამიანებიც არსებობენ.

— **მამაშენმა იცის, რომ მუშაობ?**

— 4 წელია, მამა არ მინახავს და დედამ თუ უთხრა, არ ვიცი (*ჩაფიქრდა*). ერთი ამბავი გამახსენდა: ცოტა ხნის წინ ქუჩაში მივდიოდი, სამუშაოს ვეძებდი. შევნიშნე, რომ სატვირთო მანქანა იდგა და რამდენიმე მუშა ტვირთს ცლიდა. მათ ზედამხედველობას ერთი კაცი უწევდა, რომელიც ძვირად ღირებულ „ჯიპში“ იჯდა. მივედი და შევთავაზე, დამატებით მუშის აყვანა ხომ არ გნებავთ-მეთქი? ხელში 100-დოლარიანების შეკვრა ეჭირა. არა, არ მინდაო, — გამიღიმა. მერე ერთი 100-დოლარიანი გამოაძვრინა, უნდა ეჩუქებინა, მაგრამ გვერდით მჯდომმა ქალმა ხელზე ხელი დაარტყა, არ მოაცემინა. რაღა უნდა მეთქვა? წამოვედი.

— **იმ ქალის მსგავს პიროვნებებს ყურადღება არ უნდა მიაქციო, არ უნდა დაითრგუნო.**

— შეიძლება, ღარიბი რომ ვარ, ვიღაცამ ზემოდან გადმომხედოს, მაგრამ ბოლოს თავისი საქციელისთვის ყველას მოეთხოვება.

— **ილია, შენ შრომისმოყვარე ადამიანი ხარ და მჯერა, ცხოვრებაში წარმატებას აუცილებლად მიაღწევ!**

— დიდი მადლობა, ჩემი ოჯახის გასაჭირი გულთან რომ მიიტანეთ. ■

ქალი, რომელმაც მეგობარს ქმრის მოკვლა შეუკვეთა

გასულ წელს, მთაწმინდაზე, ცხემის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა — გახსნილი, შემკვეთი და თანამზრახველები კი დაკავებულები არიან. ალბათ, სიმართლის გაგება მოკლულის შვილებისთვის ყველაზე მტკივნეული იქნებოდა, რადგანაც გაირკვა, რომ მათი მამის მკვლელობა დედამ დაუკვეთა.

„პილერს 5.000 დოლარი გადასცეს...“

თეა ხურცილავა

შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, გია წულაძე 2009 წლის 29 აპრილს, სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მოკლეს — კილერი მას ჩაუსაფრდა და მსხვერპლს მაშინ ესროლა, როცა წულაძე მანქანიდან გადმოვიდა. აღსანიშნავია, რომ მკვლელმა ერთხელ გაისროლა, მსხვერპლს ტყვია თავში მოახვედრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. საქმე დიდხანს იყო გაუხსნელი, მაგრამ ახლახან მკვლელობის შემკვეთი — მოკლულის მეუღლე, ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილი ამხილეს; მასთან ერთად მისივე მეგობარი, ზვიად საყვარელიძე, მკვლელობის უშუალო შემსრულებელი — ზურაბ სოლომნიშვილი და წულაძეების ოჯახის მოსამსახურე, ელენე თუშიშვილი დააკავეს. სასამართლომ თითოეულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ბრალდების მტკიცებით, 2009 წლის აპრილში ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილმა მეუღლის მკვლელობა ზვიად საყვარელიძეს დაუკვეთა; მეგობარი მას დახმარებას დაჰპირდა და შემსრულებლის მოძებნაც არ გასჭირვებია — ზურაბ სოლომნიშვილმა წულაძე გადაჭრილი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა, რის შემდეგაც მას 5.000 დოლარი გადასცეს. გამოძიების მტკიცებით, ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილსა და ზვიად საყვარელიძეს შორის მოლაპარაკებებს ოჯახის მოსამსახურე, ელენე თუშიშვილი აწარმოებდა. მეუღლის მკვლელობის შემდეგ, ინგა წულაძემ საყვარელიძეს 3.000 ევრო სწორედ ელენე თუშიშვილის დახმარებით გადასცა. რაც შეეხება დაკვეთის შემსრულებელს — ზურაბ სოლომნიშვილს, მისი დაკავებისას პოლიციელებმა „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში დიდი ოდენობით ტყვია აღმოაჩინეს, ასევე ამოღებულია რამდენიმე იარაღი, ნიღაბი, ხელთათმანი.

მკვლელობაში ბრალდებული ზურაბ სოლომნიშვილი დანაშაულს აღიარებს. ძალოვნებმა ის შემთხვევის ადგილზეც გაიყვანეს და მან დეტალურად გაიხსენა მკვლელობის დღის მარშრუტი, ქმედება.

ბრალდებულ **ზურაბ სოლომნიშვილის** ჩვენებიდან (სტილი დაცულია): *„2009 წელს, გაზაფხულზე პიროვნება გავიცანი, რომელმაც მკითხა, ხომ არავის ვიცნობდი ისეთს, რომელიც 5.000 დოლარის სანაცვლოდ გია წულაძეს მოკლავდა. არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი. მერე, დავფიქრდი და ვთქვი, რომ ამას მე თვითონ შევასრულებდი. მეორე დღეს ისევ შემხვდა ეს პიროვნება და დამთანხმდა. სოფელში წავედი, სახლში არაოფიციალურად შეძენილი სანადირო თოფი მქონდა და გადავჭერი. გადაჭრილი სანადირო თოფი მანქანაში მედო. წულაძეს სადღაც 3-4 დღე ვყარაულობდი. მეოთხე დღეს დავინახე, რომ გია წულაძემ თავისი „ბმვ“-ს მარკის მანქანით ამოუხვია. ჩემს მანქანასთან მივედი, გრძელი, მუქი ქურთუკი ჩავიცვი, ქუდი დავიფარე, გადაჭრილი თოფი ავიღე და იმ უბანში წულაძეს ფეხით, ცხემის ჩიხის მიმართულებით გავყევი. როცა მივუახლოვდი, ის მანქანასთან ჩაცუცქული იყო, არ ვიცი, რას აკეთებდა, მგონი „პაკრიშკას“ უყურებდა. არ გავჩერებულვარ, პირდაპირ თავში ვესროლე და გავიქეცი. მერე რუსთაველზე ჩამოვედი, წრე დავარტყი, სადღაც 5 წუთში ისევ იქ ავედი, სადაც ჩემი მანქანა მეყენა. შემდეგ მანქანით ორთაჭალის მიმართულებით წავედი. მტკვარში ქურ-*

მკვლელობის შემკვეთი – მოკლულის მეუღლე, ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილი

თუკი და ქუდი გადავაგდე, იქვე ჩავაგდე გადაჭრილი თოფიც. ამის შემდეგ ერთი საათი ქალაქში ვიარე და მერე სახლში წავედი. მეორე დილით ამ პიროვნებამ თანხა, 5.000 დოლარი ჭავჭავაძის ქუჩის ასახვევთან გადმომცა. ეს თანხა გია წულაძის მკვლელობაში გადამიხადეს“.

ფაქტის აღიარების შემდეგ სოლომნიშვილმა ძალოვნებს ის ადგილიც უჩვენა, სადაც ნივთმტკიცება — მკვლელობის იარაღი და სხვა ნივთები გადაყარა.

ძალოვნებმა მკვლელობის შემკვეთის, **ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილის** აღიარებითი ჩვენების ფრაგმენტიც გაავრცელეს (სტილი დაცულია): *„ზვიადი შემხვდა და მითხრა, ამის მოცილებას არაფერი უნდაო. მეც აბსოლუტურად ხუმრობით ვუთხარი, მიდი-მეთქი. მეორე დღეს ეკამ (იგულისხმება ელენე თუშიშვილი) მითხრა, ზვიადმა თქვა, მაგას მე გავაკეთებო. იმ უბედურ დღეს მართლა მოხდა ეს უბედურება. მეორე დღეს ეკამ მითხრა, იმათ ფული სჭირდებათო. ხომ იცი, სადაც დევს, აიღე-მეთქი...“* არც **ელენე თუშიშვილი** უარყოფს ამ ფაქტს (სტილი დაცულია): *„ინგა წულაძემ ქმრის, გიას მკვლელობა ზვიად საყვარელიძის დახმარებით გადაწყვიტა. მან უთხრა, რომ ისეთ პიროვნებას ნახავდა, რომელიც ამას გააკეთებდა. ნახა კიდეც, რომელმაც 5.000 დოლარი მოითხოვა. დათანხმდნენ. მკვლელობა რომ მოხდა, ინგამ მითხრა, რომ ფული სახლში იყო, პაკეტში. ავიღე, უნდა ყოფილიყო 4.000 ევრო, რომელიც ზვიად საყვარელიძეს გადავუტანე“.*

მოკლულის მამა, ბეჟან წულაძე ამბობს, რომ შვილის მკვლელობაში რძლის მონაწილეობა არ გაჰკვირვებია. *„მას ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია“*, — იხსენებს ჭირისუფალი. ოჯახის წევრების თქმით, ბოლო წლებში ცოლ-ქმარს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რის მიზეზადაც ინგას მძიმე ხასიათს მიიჩნევენ. დეტალების გასარკვევად ცხემის ქუჩაზე მივედით, სადაც საკმაოდ მჭიდრო მოსახლეობა და ვიწრო ჩიხებია — ასე რომ, დამნაშავე მიმალვას უპრობლემოდ შეძლებდა.

როგორც შევიტყვეთ, იტალიური სტილის სახლში ცოლ-ქმარი 8 წლის გოგონასთან ერთად ცხოვრობდა; დღეს ეს სახლი მათ აღარ ეკუთვნით. მეზობლების თქმით, მკვლელობიდან 40 დღის შემდეგ ინგა წულაძე-ჯვარშეიშვილმა ბინა გადაცვალა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა. მეზობლები ამბობენ, რომ წყვილს იქვე ახლოს, მეორე ეზოში პატარა, ერთოთახიანი ბინაც ჰქონდა, რომელიც მოგვიანებით გააქირავეს, მკვლელობის შემდეგ კი ინგა წულაძემ ეს ბინაც გაყიდა ანუ ფაქტობრივად, შემთხვევის ადგილს მოსცილდა. მეზობლების მტკიცებით, მათ ცოლ-ქმრის ჩხუბი არასდროს გაუგონიათ, მათი სახლიდან აყალმაყალის ხმა არასდროს გამოსულა.

ხშირად, შინ ერთად ბრუნდებოდნენ და თურმე, მოსიყვარულე ცოლ-ქმრის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მეზობლები ორივეს დადებითად ახასიათებენ. *„გია საოცრად კარგი, თბილი ადამიანი იყო და თავაზიანი მოკითხვა იცოდა. მისი ჩხუბი არასდროს გაგვიგონია. წლების მანძილზე მერიაში, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. ისევე, როგორც ინგა, პროფესიით გიაც ექიმი იყო... ადრე ინგაც მერიაში მუშაობდა, მაგრამ შემდეგ, მგონი, შემცირებაში მოჰყვა. ისე, ისიც საკმაოდ კონტაქტური ქალი იყო. მათი სახლიდან ხმაური მართლა არასდროს გაგვიგონია. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ქალს ასეთი რამის ჩადენა შეეძლო; მისი ჩვენება ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, ამას ვერც დავიჯერებდი“*, — გვითხრა ერთ-ერთმა მეზობელმა. მისივე თქმით, მკვლელობის შემდეგ ინგა ჩვეულებრივად, სამძიმარს იღებდა და დაკრძალვის დროს მეზობლებისგან შესაწირი არ აუღია. *„გიას და ინგას ორი გოგო ჰყავთ — უფროსი გათხოვილია და შვილიც ჰყავს, მეორე კი 8 წლისაა. ინგას მშობლები და ძმაც გარდაეცვალა, გია წულაძის მშობლები კი საბურთალოზე ცხოვრობენ. მას დაოჯახებული ძმა ჰყავს. როგორც ვიცით, ის ბინა, სადაც წყვილი ცხოვრობდა, ინგასი იყო... ისე, ბოლო დროს გია სვამდა, შემდეგ ცუდად ხდებოდა და რამდენჯერმე, „სასწრაფოს“ გამოძახებაც გახდა საჭირო. თუმცა, მას არც სიმთვრალე ჰქონდა ცუდი, ამ დროსაც თავაზიანად იქცეოდა... სხვის ოჯახში რა ხდება, ამას ვერავინ გაიგებს. გაოგნებული ვარ! დაკრძალვის დღეებში ინგასთვის უჩვეულო არაფერი შეგვიმჩნევია და მასზე ეჭვს ვინ მიიტანდა?.. იმ მოსამსახურე გოგოსაც ვიცნობდით — ბავშვს უვლიდა, წესიერი გოგო ჩანდა. მას შემდეგ, რაც ინგამ ბინა გაყიდა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდნენ, მასთან კონტაქტი არ გვქონია. როგორც ვიცი, მერე ის ბინაც გაყიდა და თურმე, ნაქირავებში ცხოვრობდა. ამბობენ, — ბევრი ვალი ჰქონდაო...“* — დასძინა მეზობელმა.

„გია ძალიან მორიდებული ბიჭი იყო და კარგი სალამი იცოდა“ (მოკლული გია წულაძე)

ჩვენ მეორე ეზოში მცხოვრებ, მის ყოფილ მეზობელსაც გავესაუბრეთ: *„გია ძალიან მორიდებული ბიჭი იყო და კარგი სალამი იცოდა. იაც (მეზობლები ინგას იას ეძახდნენ) კონტაქტური გახლდათ. ეს ბინა ახალი ნაყიდი ჰქონდათ, მაგრამ აქ ვიწროდ იყვნენ და მეორე ბინაში გადავიდნენ... აქ სახლებიდან ხმა გარეთ გამოდის, ყველას ყველაფერი გვესმის, რადგან თხელი კედლებია. მერწმუნეთ, მათი ჩხუბი არასდროს გაგვიგონია. მკვლელობა რომ მოხდა, მეზობლები შემთხვევის ადგილას ავედით — ხალხი ირეოდა, პოლიციაც მოსული იყო; იაც იქ იდგა, აქეთ-იქით დარბოდა, ტიროდა. მოკლედ, ისე იქცეოდა, როგორც ჭირისუფალი. მალე ქალაქის მერი, გიგი უგულავაც მოვიდა და მახსოვს, შესტირა: გიგი, დამეხმარე! რატომ არ მიჰყავთ გია საავადმყოფოში? გამაგებინე, რა ხდებაო. რას წარმოვიდგენდი, თუ... სამძიმარზეც ვიყავი და გასვენებაშიც, მაგრამ იასთვის არაფერი შემინიშნავს. მისი სიტყვების მოსმენის შემდეგ ყველანი გავოგნდით“.*

როგორც ამბობენ, მკვლელობის შემდეგ ძალოვნებმა ბინიდან მოკლულის პირადი დღიური ამოიღეს. ახლობლებისთვის დღიურის შინაარსი უცნობია. გავრცელებული ინფორმაციით, ჩანაწერების დიდი ნაწილი ცოლ-ქმრის ურთიერთობას ეხება. თურმე, საკუთარ ჩანაწერში გია წულაძე წერდა, რომ ინგას უარყოფითი თვისებების მიუხედავად, ის მაინც ძალიან უყვარდა. ალბათ, წულაძე ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ საყვარელი ქალი სასიკვდილოდ გაიმეტებდა. რატომ გადაწყვიტა ინგამ ქმრის მოცილება და რა იყო ცოლ-ქმრის კონფლიქტის მიზეზი? — ამ და სხვა ბევრ საინტერესო კითხვას იმედია, პასუხი გამოძიების პროცესში გაეცემა. ■

როდესაც წამები წყვეტს ყველაფერს ანუ

„ჩემთვის ყველა ჰატარა ჰაციენტი ჩემს შვილთან ასოცირდება...“

ყველა პროფესია თავისებურად საპასუხისმგებლო და საინტერესოა, მაგრამ როდესაც ადამიანის სიცოცხლე შენს ხელშია, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ პროფესიული უფლება და მოვალეობა. მოგეხსენებათ, ექთანები მეტ დროს ატარებენ პაციენტთან, ვიდრე ექიმები, რადგანაც მთელი რიგი სამედიცინო მანიპულაციის ჩატარება სწორედ მათ უხდებათ.

ემა ტუხიაშვილი

სისხლის დანახვა არასდროს მაშინებდა

ტატიანა ანიკეევა, *იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექთანი:*

— დეიდაჩემი პროფესიით ექიმი-გინეკოლოგია და ალბათ, ჩემი პროფესიული არჩევანი გარკვეულწილად, ამანაც განაპირობა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც თავისუფალ დროს დეიდაჩემის სამსახურში, თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი და ქალთა კონსულტაციაში პაციენტების მიღების პროცესს ვესწრებოდი. როცა დეიდა მიხვდა, რომ ეს საქმე მომწონდა, რაღაცებს მავალებდა: მე-7 კლასელი გოგო ხან წნევას ვუზომავდი ორსულებს, ხან მათი ავადმყოფობის ისტორიაში ჩანაწერებს ვეძებდი და ვკითხულობდი. მახსოვს, დეიდა პაციენტის გასინჯვის პროცესში ყველაფერს დეტალურად მიხსნიდა და ისე მესაუბრებოდა, როგორც ზრდასრულ ადამიანს.

— ექთანის პროფესიას სად დეუფლეთ?

— სასწავლებელი კრასნოდარის მხარეში, ქალაქ არმავირში დავამთავრე. აუცილებელი პირობა იყო, რომ სწავლის პარალელურად, ჯერ სანიტრის პრაქტიკა გაგევლო, შემდეგ ზოგადი პრაქტიკა ყველა განყოფილებაში და მხოლოდ მესამე კურსზე შეგეძლო, სპეციალობა აგერჩია. გადავწყვიტე, საოპერაციო ექთანი ვყოფილიყავი — ეს საკამოდ რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. ვფიქრობ, შეუძლებელია საოპერაციო ექთანი გახდე, ადამიანი ამ პროფესიის მსახურად უნდა დაიბადოს. განათლების დონის ამაღლება ყველა სფეროში საჭიროა, მაგრამ საოპერაციო ექთანის სპეციალობა სხვა რაღაცების ცოდნასაც მოითხოვს. მაგალითად, რამდენი ქირურგიც არსებობს, დაახლოებით იმდენივე ოპერაციის თეორიული და პრაქტიკული მეთოდია. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ექიმის ხასიათიც, მისი განწყობილებაც. საოპერაციო ექთანმა უნდა გამოიცნოს, როგორ ხასიათზეა ექიმი, ოპერაციის მსვლელობისას რა დახმარება უნდა აღმოუჩინოს, გართულების შემთხვევაში როგორ მოიქცეს და ა.შ. ექთანზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად, დროულად და სწორად მიაწვდის იმ იარაღს, რომელიც ექიმს სჭირდება. შესაძლოა, გართულების დროს, ნერვიულობის ფონზე ექიმმა ვერ გითხრას, ვერ განიშნოს, რა და როგორ სჭირდება, კარგი ექთანი ამას თავად უნდა მიხვდეს.



შეუძლებელია საოპერაციო ექთანი გახდე, ადამიანი ამ პროფესიის მსახურად უნდა დაიბადოს

— თუ გახსოვთ პირველი ოპერაცია, რომელსაც დაესწარით?

— ეს სტუდენტობის პერიოდში მოხდა — ოპერაციის მსვლელობისას ჩემ გვერდით გამოცდილი ექთანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შევნიშნე, რომ ოპერაციამდე მან ხელი არ დაიბანა. როგორც შემდეგ ამიხსნა, ეს განგებ გააკეთა, რათა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ამეღო. ექიმი კუჭის რეზექციას ატარებდა, ძალიან სერიოზული და ხანგრძლივი ოპერაცია იყო. რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი, მაგრამ ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა.

— ზოგი სისხლის დანახვისას გონებასაც კი კარგავს...

— (*მაწყვეტინებს*) სისხლის დანახვა არასდროს მაშინებდა. ერთადერთი, რაც ძალიან არ მსიამოვნებს, კანის გაჭრის პროცესია. თუ კარგი სკალპელი გაქვს, კანი იოლად იჭრება, მაგრამ თუ იარაღი ცოტა სუსტია, კანზე მოძრაობისას სპეციფიკურ, არასასიამოვნო ხმას გამოსცემს.

— როგორც ვიცი, სხვადასხვა დროს მუშაობდით ჯო ენის სახელობის კარდიოქირურგიულ ცენტრში, ჟვანიას სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში, ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკაში... ბავშვებთან მუშაობა ალბათ, განსაკუთრებით რთულია, არა?

— არასოდეს დამავიწყდება ორი შემთხვევა: ბავშვს კომბინირებული მანკი ჰქონდა, ოპერაცია რთული და ხანგრძლივი იყო. როდესაც წამები წყვეტს ყველაფერს და შენ გამო ეს წამიც არ უნდა დაიკარ-

გოს, ასეთ დროს მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ. საბედნიეროდ, იმ დღეს ყველაფერმა კარგად ჩაიარა; მეორე შემთხვევის დროს, ოპერაციის მსვლელობისას სისხლდენა განვითარდა. ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და დროულად დავეხმარებოდი ექიმს. მახსოვს, ოპერაციის დასრულების შემდეგ ექიმმა მადლობაც კი გადამიხადა... პაციენტთან ურთიერთობისას ექთანზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ექთანი დამხმარე პროფესია არ არის, მას ევალება უზრუნველყოს პაციენტის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის კომფორტი. ექთანს პაციენტის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან მუშაობა ევალება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ავადმყოფის გამოჯანმრთელება არ არის — პაციენტის ოჯახის წევრებს უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ მოუარონ მას სახლში დაბრუნების შემდეგ. პირველი შვილი გარდაცვლილი მყავს და ამიტომაც, ჩემთვის ყველა პატარა პაციენტი ჩემს შვილთან ასოცირდება...

— როგორც ვიცი, ამერიკაში სწავლობდით. ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტში ლიდერი ექთანის კურსები გაიარეთ. საინტერესოა, რამდენად განსხვავდება ქართველი და ამერიკელი ექთანების პროფესიული მომზადების დონე?

— დაავადებათა კონტროლის ცენტრმა მიმიწვია სემინარზე და თბილისში პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ, ტრენინგზე ამერიკაში მიმიწვიეს. იქაურ კლინიკებში არსებულმა პირობებმა, აღჭურვილობამ, ჯანდაცვაში მომსახურებამ სასიამოვნოდ გამაოცა, მაგრამ მერწმუნეთ, ქართველი ექთანების ზოგადი სამედიცინო განათლების დონე უფრო მაღალია... ამერიკაში უკვე ჰყავთ როგორც რეგისტრირებული, ისე პრაქტიკული ექთანები, ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მქონე ექთანები. ამერიკაში ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია, დისერტაცია დაიცვას, მაგრამ — შესაბამისი განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგ... ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორ სამუშაო პირობებს გაუძლეს ქართველმა ექთანებმა წლების წინ. ისინი უშუქობის, უტრანსპორტობის პერიოდში უხელფასოდ მუშაობდნენ, მაგრამ საკუთარი საქმისთვის არ უღალატიათ. მერწმუნეთ, ბევრ ჩემს კოლეგას უმუშავია სანთლის შუქზე და პაციენტი სიკვდილისგან გადაურჩენია. ■

„მის თიკას“ ეროტიკული კლიპი, ცოლისთვის შერჩეული „შეყვარებული“ და „არენბის“ მოყვარული ბებო

„არენბის“ ახალგაზრდა შემსრულებელი — „მის თიკა“ არც ისე დიდი ხანია, რაც ქართველი მსმენელისა თუ მაყურებლის წინაშე ამ ამპლუაში წარდგა, მაგრამ პოპულარობა მალევე მოიპოვა. ეროტიკული სცენებით გაჯერებული მისი ერთ-ერთი კლიპის სცენარისტი თავად თიკას მეუღლე გახლავთ. ცოლ-ქმარი შეხმატკბილებულად ცხოვრობს: როცა საჭიროა, ქმარი სხვა ბიჭს 2 კვირის განმავლობაშიც კი „კერავს“ — ჩემს ცოლს მიეფერეო...

ეთო ყორლანაშვილი

— რამდენიმე თვეა, რაც „არენბის“ სტილში ვმუშაობ. ვიდრე რეპსამყაროში გამოვჩნდებოდი, ჯგუფი „ჯუჯები“ გავიცანი, რომლის წევრებიც ძალიან კარგი ადამიანები არიან. ისინი მხარში ამომიდგნენ, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი. „არ ვემორჩილები წესებს“ — ჩემი პირველი სიმღერა გახლავთ („არენბის“ სტილში), რომელიც მოგეხსენებათ, ჰიტად იქცა. მასზე ლექსსენმა კლიპის გადაღება შემომთავაზა და საბოლოოდ, ვიდეორგოლი ლექსოს მენეჯერმა — გიორგიმ გადაიღო.

— კლიპის გამოსვლის შემდეგ შენი თაყვანისმცემლების რაოდენობა გაიზარდა?

რამდენიმე თვეა, რაც „არენბის“ სტილში ვმუშაობ

— კი, ძალიან! როგორც თინეიჯერებში, ასევე — სხვა ასაკის ადამიანებში უფრო პოპულარული გავხდი. მალე ჯგუფი Goldust (ისიც „არენბის“ სტილში მუშაობს) გავიცანი და დუეტი ჩავწერეთ. ძალიან კარგი სიმღერა გამოვიდა; კლიპიც გადავიღეთ, რომელმაც დიდი წარმატება მოგვიტანა. ჯგუფ Goldust-თან ერთად, სექტემბრიდან მაყურებელს კიდევ ერთ ახალ კლიპს შევთავაზებ. პარალელურად, სოლო კარიერაზეც ვმუშაობ.

— „არენბის“ სტილში სიმღერის სურვილი რატომ გაგიჩნდა?

— საქართველოში ამ სტილის სიმღერებს



კლიპში ჩემი პერსონაჟი იმ ლამაზ წუთებს იხსენებს, რომელიც შეყვარებულთან აკავშირებდა

თითქმის არავინ ასრულებს. მინდა, რაღაც ახალი შემოვიტანო... ჰოდა, „წესებს არ დავემორჩილე“ და სიმღერა დავწერე (*იღიმის*).

— „არენბის“ სტილში ნამღერი მშობლებმა თუ მოგიწონეს?

— 15 წელიწადია, რაც დედაჩემი საბერძნეთშია. შესაძლებლობა მქონდა, კარიერა საბერძნეთში ამეწყო, მაგრამ საქართველოში დარჩენა ვამჯობინე. ოჯახის წევრები ჩემს გემოვნებას ენდობიან. მერე რა, რომ „არენბია“? მთავარია, კარგი მოსასმენი იყოს! მაგალითად, ჩემს ბებუკას ეს სტილი ძალიან უყვარს (*იცინის*)!..

— ოჯახის წევრები შენს ეროტიკულ კლიპსაც დადებითად შეხვდნენ?

— ძალიან მოეწონათ, მაგრამ ამბობდნენ, — ხალხი რას იფიქრებსო? კლიპში ჩემი პერსონაჟი იმ ლამაზ წუთებს იხსენებს, რომელიც შეყვარებულთან აკავშირებდა. „ლოვემ“ მას უღალატა და ჩემი გმირი მარტო რჩება — შეყვარებულს ვერ იბრუნებს.

— რეალურად, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— მეუღლე და ორი შვილი მყავს. ადრე ჩემს მეუღლეს მუსიკალური ჯგუფი ჰქონდა („სახის“ პერიოდში მღეროდა) და როცა შეიტყო, რომ მის უბანში კიდევ ვიღაც მღეროდა, გამიცნო. ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და დავქორწინდით კიდეც... მახსოვს, ერთხელ სტუდიიდან რომ გამოვედით, ბაკურმა მკითხა: რა ნომერ „მარშრუტკას“ მიჰყვებიო? — ექვსს, შენ-მეთქი? — მე რვა ნომრით წავალო. ამასობაში, გამოიარა „მარშრუტკამ“, წარწერით — №68. ჰოდა, ორივენი მასში ჩავსხედით და ერთად წავედით. მერე შევიტყვეთ, რომ მსგავს ამბავს ანეკდოტად ჰყვებიან (*იცინის*).

— კლიპში შენი გმირის შეყვარებულის როლს მეუღლე ასრულებს?

— არა, მეუღლე სცენარისტი გახლდათ. სხვათა შორის, ერთი კვირის განმავლობაში „მკერავდა“, — მერე რა მოხდა, თუ სხვა ბიჭს მიეფერებიო?! ეგ არაფერი, ყველაზე მაგარი ის იყო, რომ ვიღაც ბიჭს „აბამდა“: — ჩემს ცოლს მიეფერეო (*იცინის*)!..

— საზოგადოება „მის თიკას“ სახელით გიცნობს, არადა, დაოჯახებული ყოფილხარ. რატომ „მის“ და არა — „მისის“?

— საბერძნეთში სამოდელო სტუდია გვქონდა, სადაც დიზაინერი ვიყავი (საქართველოშიც ერთ-ერთი სამოდელო სტუდიის დიზაინერი ვარ). იქ ყველა „მის თიკათი“ მომმართავდა, რაც ძალიან მომწონდა. თან, ცოტა არ იყოს, „მისტიკური“ ადამიანი ვარ (*იცინის*)...

— შენი მეუღლე რას საქმიანობს?

— სპორტსმენია — კარატეში, კიოკუშინკაისში საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონი გახლავთ, მოსკოვის ხუთეულშია შესული. ჩემი მეუღლე იმასაც ახერხებს, რომ მხარში ამომიდგეს — შოუბიზნესის საქმეებში ძალიან მეხმარება, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

— შენი შვილები რა ასაკის არიან?

— 6 და 3 წლის.

— დედიკოს შემოქმედება მოსწონთ?

— ძალიან! სხვათა შორის, სიმღერას — „არ ვემორჩილები წესებს“ მთელი უბანი მღერის, ბავშვები „სვეტსკობენ“ ხოლმე (*იცინის*).

— ვიდრე „არენბის“ სტილში მუშაობას დაიწყებდი, რას საქმიანობდი?

— ჯერ სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, შემდეგ კულტურის უნივერსიტეტში ჩავაბარე, მერე გადავწყვიტე, სიმღერისთვის სერიოზულად მიმეხედა. ადრე როკის, პოპის, ჰიპ-ჰოპის სტილში ძალიან ბევრი სიმღერა მქონდა, რომლებმაც გარკვეული დოზით პოპულარობა მომიტანა... ერთხელ კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიასთან მიმიყვანეს. როცა წავიმღერე, ქალბატონმა ნუნუმ თქვა: ამ გოგოს რაღაცის სწავლა რად უნდა? სიმღერის კულტურა იცის — ეს თანდაყოლილი ნიჭიაო! ნუნუ გაბუნიასთან 10 გაკვეთილი მაინც გავიარე. ამ ქალბატონთან ურთიერთობა ძალზე სასიამოვნოა, ეს ადამიანი ძალიან მიყვარს!.. ბავშვობაში მოსწავლეთა სასახლეში დავდიოდი, აკორდეონის ხუთწლედი, სუხიშვილების ცეკვის სტუდია და ფანდურის სტუდია „საუნჯე“ დავამთავრე... ■



„წესებს არ დავემორჩილე“ და სიმღერა დავწერე

ვინ როგორ ემალება თბილისის მზეს

ანუ დედაქალაქში დარჩენილი მოზარდების გულისტკივილი

ვინ სად ისვენებს და როგორ? — ეს თემა მოზარდებში ძალზე აქტუალურია. სამწუხაროდ, თინეიჯერების უმეტესობას, უსახსრობის გამო, დედაქალაქში უწევს დარჩენა. ამ ყველაფერს მათი მშობლებიც ძალიან განიცდიან — წელს ხომ მზე უმოწყალოდ მცხუნვარეა და თბილისსაც საოცარი ბუღი ასდის.

ლიკა ქაჯაია

ნიაკო:

— ამ ზაფხულს მგონი, თბილისში გავატარებ, დასასვენებლად ვერსად წავალ. 5 თვეა, რაც მამაჩემი სამსახურიდან გაათავისუფლეს, შემცირებაში მოყვა და მხოლოდ დედაჩემის ხელფასი — 200 ლარი პურის ფულადაც არ გვყოფნის. სოფელიც კი არა გვაქვს, რომ წავიდეთ და დავისვენოთ. მართალია, მამიდა მეუბნება, — ჩემთან ჩამოდიო, მაგრამ ალბათ, ამასაც ვერ მოვახერხებ. ის ქუთაისში ცხოვრობს და იქ ჩასვლაც ხომ გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სხვა თუ არაფერი, ჯიბის ფული ხომ მინდა? ამხელა გოგო ვარ და ათასი რამ მჭირდება, ყველაფერს მამიდას ხომ ვერ ვთხოვ?..

— აქ, თბილისში როგორ ერთობი?

— ვერთობი კი არა, შეიძლება ითქვას, რომ სულს ვღაფავ, სიცხისგან. ჩემი ერთადერთი ნათელი წერტილი ვერის პარკია, სადაც საღამოობით გამოვდივარ ხოლმე და სულიერად ვისვენებ. აქ კარგი ჰაერია, ცოტათი გრილა. იმ შემთხვევაში, თუ ნიავი არ უბერავს, მაშინ აქვე „მოცეკვავე შადრევანის მოედანია“, სადაც პატარებთან ერთად ვგრილდები. იცი, ერთხელ შეყვარებულის დედამ დაინახა, თუ როგორ ვჭყუმპალაობდი ბავშვებთან ერთად. ისე შემრცხვა, სად დავმალულიყავი არ ვიცოდი, მან კი თვალი ამარიდა... სასაცილო ისაა, რომ მცხუნვარე მზემ ის ქალბატონი 2 წუთში დამავიწყა და მეც, შადრევანთან ერთად კვლავ „ავცეკვდი“ (*იცინის*).

ხათო, *15 წლის:*

— მე ბათუმში უკვე ვიყავი, დედიკოსთან ერთად და როგორც ხედავთ, კარგ „ვიდზეც“ ვარ. ჩემი დაქალები შურის თვალით მიყურებენ, რა მაგარი „ზაგარი“ გაქვსო. ისე, მიუხედავად იმისა, რომ დასასვენებლად მხოლოდ 10 დღით ვიყავი, წელს მართლა კარგად გავირუჯე.

— კიდევ სადმე აპირებ დასასვენებლად წასვლას?

— ჩემი მშობლები თურქეთში აპირებენ წასვლას, საგზური უკვე აქვთ, მე კი დეიდაშვილებთან ერთად, ივლისის ბოლოს სვანეთში წავალ. ძალიან მომწონს სვანეთის მთები და იქაური მოსახლეობაც უზომოდ მიყვარს. სხვათა შორის, შარშან სვანეთში უცხოელი ტურისტები გავიცანი. საბედნიეროდ, ინგლისური კარგად ვიცი და მათთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. ერთი ინგლისელი ძალიან მომეწონა. მართალია, ის 27 წლისაა, მაგრამ მერე რა მოხდა?.. წასვლის წინ ყვავილებისგან დაწნული გვირგვინი ვაჩუქე. შემპირდა, ამას ინგლისში წავიღებ და შევინახავო. იმედი მაქვს, რომ ჯო წელსაც ესტუმრება სვანეთის ამაყ მთებს.

ნინი, *19 წლის:*

— წელს მაგარი „ზაგარი“ მივიღე. ასეთი ფერი კარგა ხანია, არ მქონია.

— სად გაირუჯე?

— თბილისის ზღვაზე (*იცინის*). იცი, ნამზეური ძალიან მიხდება და ამიტომაც, ფერი მალე რომ არ გადამივიდეს, ზოგჯერ, სოლარიუმსაც ვაკითხავ.

— შენი აზრით, რით განსხვავდება თბილისის ზღვა შავი ზღვისგან? რატომ ჯობია მაგალითად, ბათუმური „ზაგარი“ თბილისურს?

— თბილისისა და შავი ზღვის შემადგენლობა განსხვავდება ერთმანეთისგან, თორემ მზე აქაც ისე აცხუნებს, როგორც ბათუმში. სხვათა შორის, გარუჯვისას არც ზეთი გამომიყენებია, არც იოდი და არც — სტაფილოს წვენი, ისედაც კარგი ფერი მაქვს. ისე, ვინც „ზაგარს“ ცუდად იღებს, ვურჩევ, სტაფილო გახეხოს, გაწუროს და მისი რამდენიმე წვეთი გასარუჯ ზეთში შეურიოს. თუ ამ ნარევს გარუჯვამდე წაისვამთ, ძალიან მაგარ „ზაგარს“ მიიღებთ.

— როგორც ჩანს, ბათუმი და შავი ზღვა ძალიან გიყვარს. საინტერესოა, ზღვისპირეთში რატომ ვერ წახვედი?

— ჩემს მშობლებს ამისთვის არ სცხელათ. წელს ჩემი ძმა აბიტურიენტია და მთელი ყურადღება მასზე აქვთ გადატანილი. ეშინიათ, „უფასოზე“ რომ არ მოხვდეს და „კაპიკს-კაპიკზე“ აწებებენ, რათა მას სწავლაში შეუწყონ ხელი.

— სოფელიც არსად გაქვთ?

— ჩვენ — არა. შემიძლია მეგობართან ან ნათესავთან წავიდე, მაგრამ ამის სურვილი არ მაქვს. ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია და მათ მეც ვერ დავაწვები კისერზე... ბევრი ჩემი მეგობარია თბილისში ჩარჩენილი, მაგრამ ამას დიდად არ ვდარდობ — აქაც არის გასართობი ადგილები და „ზაგარიც“ მივიღე, როგორც ხედავ.

სალი, *17 წლის:*

— მე ქობულეთში მივდივარ. ზღვა ძალიან მიყვარს. დედა მეხვეწებოდა, დასასვენებლად ჯერ სოფელში წავსულიყავი, მაგრამ იქ ვერ ვძლებ და რა ვქნა?! სოფელი ახალგაზრდებისგან დაცლილია, მოხუცების გარდა, იქ არავინაა და აბა, მათთან ერთად რა უნდა ვაკეთო, როგორ გავერთო? აი, ქობულეთში კი სულ სხვა პონტია. იქ გარდა იმისა, რომ კარგად ვირუჯები, მშვენივრადაც ვერთობი. ძალიან მომწონს საკურორტო რომანებიც. შარშან ქობულეთში მეგობრებთან ერთად წავედი და „პაკლოც“ „ავაგდე“; მასთან ერთად მთელი ზაფხული მშვენივრად გავატარე, მაგრამ მერე ცხადია, ერთმანეთს დავშორდით. ახლა ერთურთს

თბილისისა და შავი ზღვის შემადგენლობა განსხვავდება ერთმანეთისგან, თორემ მზე აქაც ისე აცხუნებს, როგორც ბათუმში

იშვიათად ვეკონტაქტებით. იმედი მაქვს, წელსაც კარგი თავგადასავალი მელის, შარშანდელზე უკეთესი პონტი „გამეჩითება“.

მარიკა, *17 წლის:*

— ხომ ხედავ, წელს როგორი საზიზღარი ფერი მაქვს? ეს იმიტომ, რომ მამაჩემს ფული გამოელია და ქობულეთში ვერ გამიშვა. ძალიან მწყდება გული, როცა მაგრად „დაზაგრულ“ გოგონებს ვხედავ.

— იქნებ სეზონის დასრულებამდე დასასვენებლად წასვლა მაინც მოახერხო?..

— დასასვენებლად მხოლოდ სოფელში თუ გამიშვებენ, ისიც იმიტომ, რომ გზის ფულის გარდა, იქ არაფერი დამჭირდება — ბიძაჩემი არაფერს მომაკლებს, მაგრამ სოფელში რა მინდა? ერთი საცოდავი მდინარე აქვთ და იქაც ტანსაცმლით შედიან წყალში; თუ ვინმემ გაბედა და საცურაო კოსტიუმი ჩაიცვა, მთელი სოფელი „გადაეკიდება“. მოკლედ, გარუჯვის არანაირი შანსი არ მექნება... ქობულეთში წასვლა „ზაგარის“ გამო უფრო მინდოდა.

— ხომ შეიძლება, „ზაგარი“ ქალაქიდან გაუსვლელად მიიღო? ამბობენ, რომ თბილისის ზღვა საკმაოდ ხალხით...

— ჰო, ეგ მეც გავიგე, მაგრამ იქ არავის მივყავარ: დედას ამისთვის არ სცალია, მამასთან ერთად წასვლას კი აზრი არა აქვს — 5 წუთში სახლში წამომიყვანს; ჩემს დებს შინიდან ვერ დაძრავ — ძალიან ცხელაო, წუწუნებენ, ნათესავები და კლასელები კი თბილისის ზღვას არ კადრულობენ, იქ წასვლას სახლში ჯდომა ან სოლარიუმში ხეტიალი ურჩევნიათ...

— საინტერესოა, ქობულეთში ვინ უნდა გამოგყოლოდა?

— იქ დედაც სიამოვნებით წამოვიდოდა (შვებულებას აიღებდა) და ჩემი დებიც აიკრავდნენ გუდა-ნაბადს. ჰო, ქობულეთში წასვლა არავის ეზარება.

— სოლარიუმში რომ გაირუჯო?

— სოლარიუმის „ზაგარი“ არ მიყვარს. თან მეშინია, კანის სიმსივნე არ „ავიკიდო“. იმასაც ამბობენ, ვინც სოლარიუმში დადის, კანზე ნაოჭები უჩნებაო.

— კანის ფერი ოდნავ შეცვლილი გაქვს. ეს რისი დამსახურებაა?

— ძალიან მოძველებული მეთოდის — მთელი დღეები „კრიშაზე“ ვაგდივარ, სადაც ცივი წყლით ხან გულს ვიგრილებ, ხან — სხეულს... თუმცა, სახურავზეც ვერ ავდივარ — ისე ცხელა, რომ შეიძლება „მზის დარტყმა“ მიიღო და მერე საავადმყოფოში გაგაქანონ. ■

თინეიჯერები გვწერენ

ანი:

„გამარჯობა. ჩემო კარგო, ძალიან დიდი ხანია, „გზის“ მკითხველი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ თინეიჯერი აღარ ვარ, შენი რუბრიკა განსაკუთრებულად მომწონს. იცი, წინა ნომერში დაბეჭდილმა ლუნას რჩევამ გამაღიზიანა: დახმარების ნაცვლად, ადამიანი უფრო დააბნია. ხალხნო, ვიდრე ადამიანს რჩევას მისცემთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ. გკოცნით“.

ანა:

„მოწევა? — ამ თემასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით: რამდენიმე კვირაა, რაც ჩემმა კლასელმა ბიჭმა მოწევა დაიწყო. ეს რომ გავიგე, შევიცხადე, ლოყაც ჩამოვიხოკე, მაგრამ მერე მივხვდი, გლოვას სჯობდა, გამოსავალი მეპოვა და ასეც მოვიქეცი. ჩანთაში ჩუმად, წერილებს ვუდებდი (თორემ მეც ზურიკელა ვაშალომიძე არ ვიყო და ეგ კიდევ, მერი), მინიღლექციებსაც ვუკითხავდი, აგიტაციას ვუტარებდი, ვუმტკიცებდი, — 15 წლის ბავშვს ეგ საშინელება არაფერში სჭირდება-მეთქი და ამხანაგებსაც ვთხოვდი, ჩემთვის მოებაძათ, თუმცა თავს დიდად არავინ იწუხებდა. ბოლოს, მეგობარს დავემუქრე კიდეც: იცოდე, ყველაფერს დედაშენს ვეტყვი-მეთქი. მას კლასელი ბიჭებისთვის უთქვამს: ლამისაა, ანამ სიგარეტი შემაძულოსო!.. შედეგი? დაფიქრდა — მე თუ გულის მანკი ან სიმსივნე დამემართება, ამით ანას რა დააკლდებაო და მიხვდა, რომ მისთვის მხოლოდ კარგი მინდა, ჩემი თანადგომა დააფასა. ჰოდა, ადრე თუ დღეში 7 ღერს ეწეოდა, ახლა მხოლოდ ორს ეწევა. P.S. კლასელო, ხომ იცი, მალე ერთ ღერზე უნდა გადახვიდე :)). დარწმუნებული ვარ, შენ შეძლებ და სიგარეტის მოწევას თავს დაანებებ!“

ეგოისტი:

„ახლა წინ „გზა“ მიდევს და ვკითხულობ რუბრიკას — „ყველა ერთისათვის“. ერთი მეტისმეტად მარტივი რამ ვერ გავიგე: „სამი მუშკეტერი“ წაკითხული თუ არა, ნანახი ხომ მაინც გაქვთ? ჰოდა, იქნებ გაიხსენოთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვებს: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“? მაშ, ამიხსენით, თქვენ რატომ განიკითხავთ ადამიანებს? ამ მესიჯს იმიტომ კი არ გწერთ, რომ ვინმეს რაიმე ვურჩიო ან მით უმეტეს, განვიკითხო, უბრალოდ მინდა, გკითხოთ: არც ერთ თქვენგანს არ მოსვლია თავში აზრად, რომ სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ გაქვთ? მერე რა, რომ ვიღაცას შეყვარებულთან სექსი ჰქონდა, დაიქცა ამით ქვეყანა?..“

კლეოპატრა:

„მესმის, რომ ბევრს არ შეუძლია ადამიანის პრობლემების გულთან მიტანა, რომ ვიღაცისთვის სხვისი გასაჭირი უმნიშვნელოა, მაგრამ დაუნდობლებიც ნუ იქნებით — აქ

საინტერესო და მიმზიდველი მამაკაცი

რა კრიტერიუმების მიხედვით ირჩევენ გოგონები ბიჭებს და რა უფრო მოსწონთ მამაკაცებში? — ამ თემაზე არა მარტო მოზარდები, არამედ უკვე ზრდასრული ადამიანებიც სიამოვნებით ლაპარაკობენ.

ნოსფერატუ:

„ინტელექტი, იუმორი და რომანტიკა“.

ნარნარი:

„მთავარია — ბრტყელი და ერთსახოვანი პიროვნება არ იყოს, ეგეთებთან ვერ ვურთიერთობ“.

LEO WOMAN:

„ჩემთვის საინტერესოა მამაკაცი, რომელიც მხოლოდ სექსზე არ ფიქრობს და მისთვის სხვა რამ არის პრიორიტეტული... უნდა იყოს იუმორით დაჯილდოებული და უდაოდ, რომანტიკული (ნუ, ცოტათი მაინც). ამასთანავე, მამაკაცი უნდა იყოს თბილი და გრძნობების გამოხატვაც შეეძლოს. მასთან თავს თავისუფლად უნდა გრძნობდე და არა — შებოჭილად“.

URBAN GIRL:

„თეთრი პრინცი შავ ცხენზე ან შავი პრინცი თეთრ ცხენზე — სულ ერთია, გემოვნების ამბავია“.

უჩინარი:

„შემოქმედი უნდა იყოს, ბუნებით ლიდერი... ინტელექტის ქონა აუცილებელია. კარგია, თუ ექნება იუმორი და იქნება ყურადღებიანი... უნდა ესმოდეს ქალის ენა და რაც მთავარია, ქალზე „ხიტრი“ უნდა იყოს. მოკლედ, ვისთვის როგორ“.

ROY:

„სულიერება აღარაა მოდაში?“

INANNA:

„თუ კაცმა არ იცის ლაპარაკი, ქალს თავს ვერ შეაყვარებს. ნუ, მოტაცება და ჯიგიტობა მგონი, დამთავრდა, თბილისში მაინც“.

იაზო:

„ლაპარაკი, პოზიციის დაცვა, აზროვნება, შეხების უნარი, პიროვნულობა, უფრო ცივი, მაგრამ ძალიან ნიჭიერად „ტონკი“.

R:

„ძირითადად მომწონს ცოტა უცნაური ადამიანები. მაგალითად, როცა ყველა სიგიჟეს სჩადის, ეს თავისთვისაა, ჩუმად. ცივია, არაკონტაქტური, ჩაფიქრებული, „დაგრუზული“, არ მხიარულობს, მაგარი იუმორის გრძნობა აქვს — ოღონდ იცის, როდის უნდა იხუმროს... სათვალებიანი, კლუბებს რომ ვერ იტანს და მარტოობა უყვარს, ცოტა „დამპალი“ ტიპი, ჯიუტი, სარკაზმით(?) დაჯილდოებული — აი, ისეთი, რომ არ იცი, მეორე წამს რას გააკეთებს. ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველა სფერო აინტერესებს — ფილოსოფიაც და მხატვრობაც, სპორტიც. დიდი ამბიციებიც რომ აქვს და თან, თითქოს, უბრალო ცხოვრებითაც კმაყოფილია, ძალაუფლებაც უყვარს. ჰო, ცოტა საზიზღარი ხასიათი უნდა ჰქონდეს... ჰო, ჰო, მუსიკა უნდა უყვარდეს, ზოგადად ხელოვნება. რაც უფრო მრავალფეროვანია ადამიანის შინაგანი სამყარო, მით მეტად საინტერესოა. ამ ყველაფერს პლიუს ინტელექტი, იუმორის გრძნობა, ამა თუ იმ რთული სიტუაციიდან გამოსავალის პოვნის უნარი და ა.შ. და კიდევ ერთი, ვერაფრით დამაინტერესებს ადამიანი, რომელიც ჩემ მიმართ არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებს“.

SATURNGIRL:

„საინტერესოა კაცი, რომელთანაც საკმაოდ მიმზიდველი ქალი ფლირტაობას იწყებს და უფრო მეტსაც სთავაზობს, ის კი ურთიერთობაზე უარს ეუბნება მხოლოდ იმიტომ, რომ შეყვარებული ან ცოლი ჰყავს“.

ლე როი:

„გარეგნობა, კონტროლის სურვილი თვითამაღლების მიზნით, ჯიბე, ხიფათის განცდა და ადრენალინი“.

GADYA:

„მამაკაცისთვის მთავარია სიმშვიდე და თავდაჯერებულობა. არიან ტიპები, რომლებიც თავდაჯერებულები არიან და თავიანთ „სიმაგრეს“ სხვას ახვევენ თავს, ყველგან და ყოველთვის საკუთარ უპირატესობას უსვამენ ხაზს და პირიქით, არიან მშვიდი ტიპები, რომლებსაც თავდაჯერებულობა არა აქვთ — ჩემთვის კი ეს კომბინაცია ძალიან მიმზიდველია, თუმცა იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელმაც იცის საკუთარი შესაძლებლობები, თავდაჯერებულია, იცის რასაც აკეთებს და თავისი მიღწევების გამო ხალხს თავს არ აბეზრებს — აი, რა მაგარი ვარო!“

■

რჩევას ითხოვენ და არა — განკითხვას. პირადად მე, როცა არ ვიცი, ადამიანს რა უნდა ვურჩიო, მესიჯის მოწერისგან თავს ვიკავებ. არავინ იცის, ხვალ ვინ რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდება“.

სალი:

„ვგიჟდები „გზაზე“. ძალიან მომწონს თქვენი გზა და არჩეული სტილი. თქვენ მართლაც, არც „ყვითლები“ ხართ და არც გაზეთივით „მკვდარ-მკვდარ“ სტატიებს გვთავაზობთ, რაღაც ოქროს შუალედი გაქვთ ნაპოვნი და სწორედ ამისთვის მინდა, მადლობა გადაგიხადოთ. რომ არა თქვენი ჟურნალი, პრესას არც წავიკითხავდი და ვინაიდან ისეთი სამუშაო მაქვს, რომ დღე და ღამე კომპიუტერს ვარ ჩაჭიჭინებული, ალბათ, ჟურნალ-გაზეთებს ხელშიც კი არ ავიღებდი. მადლობა, რომ არსებობთ“.

ნიტა, *16 წლის:*

„თქვენი ჟურნალით დედამ დამაინტერესა. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ის უპირველეს ყოვლისა, „თინეიჯერულ პონტებს“ კითხულობს. რატომ? აინტერესებს, ჩემი თაობის ადამიანები როგორ აზროვნებენ და მერე, ხშირად აკეთებს შედარებას ჩემსა და თქვენს რესპონდენტებს შორის. საბედნიეროდ, მოზარდების უმეტესობა საღად აზროვნებს და ჩემს მშობელს ეს ძალიან ახარებს... მომწონს პროვოკატორიც, რომელიც საოცარ „პროვოკაციებს“ „აცხობს“. ერთადერთი, რასაც „გზაში“ არ ვკითხულობ, „მობილიზაციაა“. ალბათ იმიტომ, რომ იქ ხალხი ერთმანეთს ეკამათება, ეჩხუბება... მომწონს „ერუდიტი“, საიდანაც ბევრ რამეს ვსწავლობ. ჰო, გოჩა დვალის კოლაჟიც მიყვარს. თურმე, მას მამაჩემი იცნობს, მაგრამ ეს კაცი სახლში არასდროს გვწვევია — ალბათ, მამასთან არ ძმაკაცობს. მოკლედ, „გზა“ მიყვარს და მას ბევრი ახალი მკითხველის შეძენას ვუსურვებ!“

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ვინც ამ გოგოს გააცინებს

შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინც მისწვდება – მისია,
ვინც ამ გოგოს გააცინებს,
გოგოს გული მისია...
ეს ცხოვრება ასე არის,
ის ცხოვრება ისეა.
– ეს მანდილი ვისი არი?
– ეს ჩანგური ვისია?
– ეს ხომ ჩემი დისი არი...
– ეს ხომ ჩემი ძმისია!
ვეისეისებდით მალხაზები,
დარდი გვქონდა რისია?!
თურმე დასასრული იყო,
მე ვთქვი – დასაწყისია.

როგორ გაჰქრა
სიყმაწვილე,
ველარ ამომიხსნია.
შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინ გაიგოს, ვისია?
ბალში გოგო დაგოგმანებს,
გოგოა თუ ნისლია?!
ვინც გაიგებს,
ვინც დაიჭერს,
ვინც აეოცებს – მისია.
ეს ცხოვრება ასე არი,
ის ცხოვრება ისეა.

მორის ფოცხიშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

დ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-27

დაბალი არაბ. (ძვ.) — ტყავის გამომყვანი მუშა.
დაბახანა არაბ. სპ. (ძვ.) — ტყავის დასამუშავებელი ქარხანა.
დაბეკილი — დაკონკებული, დაკერებული (ძველი რამ).
დავითნი — საეკლესიო საგალობელთა წიგნი.
დავლა — იგივეა, რაც ნადავლი.
დავლათი (კუთხ.) — 1. ქონება, შეძლება, დოვლათი; 2. ბედი, იღბალი; 3. იგივეა, რაც მადლი.
დავლური — 1. ქართული ცეკვა ქალვაჟისა ერთგვარი; შესავალი ნაწილია ქართულისა (ლეკურისა); 2. (ძვ.) ხმალში გაწვევა, ორთაბრძოლა.
დავრიში სპ. — აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.
დაკაბადონება — გვერდებად შეკვრა (ანაწყობისა); წიგნის, გაზეთის დაკაბადონება.
დაკა-დაკა (საუბ.) — ჩხუბი, ცემა-ტყეპა.
დალალი — გრძელი ნაწნავი.
დალალი (ძვ.) — 1. შუამავალი, შუაკაცი ვაჭრობაში; 2. იგივეა, რაც მაჭანკალი; 3. ფეხზე მოვაჭრე.
დამი (დამში მოიყვანს) — 1. გარკვეული წესით ფლავს ზედმეტ სინოტივეს გამოაცლის; 2. გადატ. (საქმეს) ბოლომდე მიიყვანს.
დამასხი — 1. ქლიავის ჯიში; ისხამს პატარა მუქ ლურჯ ნაყოფს; 2. ამ მცენარის ნაყოფი.
დამპატიჟე (საუბ.) — იტყვიან ისეთ კაცზე, რომელსაც ჩვეულებად აქვს დაუპატიჟებლად მისვლა და დროს ტარება სხვის სუფრაზე.
დამჩაჩული — სიბერისგან დანაოჭებული.
დარაია (ძვ.) — აბრეშუმის ქსოვილი.
დარანი — 1. გამოქვაბული კლდეში ან მიწაში; 2. თევზის სამალავი, — ბოლათი, ჯილე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნოდარ დუმბაძე

„...მთელი მსოფლიო ჩვენ ვიქნებით, მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით“...

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

დაიბადა 1928 წლის 14 ივლისს, ქალაქ თბილისში. მამა — ვლადიმერ დუმბაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი გახლდათ, დედა — ანა ბახტაძე — დიასახლისი. 1937 წლის რეპრესიების პერიოდში მამა დაუპატიმრეს, დედა — გადაუსახლეს. თავდაპირველად თბილისის მე-15 საშუალო სკოლაში სწავლობდა, რომელიც არ დაუმთავრებია, რადგანაც საცხოვრებლად ბებია-ბაბუასთან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში გადავიდა... 1945 წელს ნოდარ დუმბაძემ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლა დაამთავრა და თბილისში სწავლის გასაგრძელებლად დაბრუნდა. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაასრულა. 1956-57 წლებში იუმორისტული მოთხრობების სამი კრებული გამოსცა. 1967-72 წლებში იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორი. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, შემდგომ კი თავმჯდომარე გახლდათ. სხვადასხვა ჟურნალთან თანამშრომლობის პარალელურად კინოსცენარებსაც წერდა. მწერალს აღიარება რომანებმა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა!“ „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“) მოუტანა. ნაწარმოებების ოპტიმიზმმა, ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დუმბაძის თხზულებები თარგმნილია — რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე. დუმბაძეს ეკუთვნის ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებული. მისი ნაწარმოებების მიხედვით სპექტაკლები დაიდგა საქართველოსა და უცხო ქვეყნების სცენებზე. ასევე გადაღებულია კინოფილმები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „გზა მშვიდობისა, ჯაყო“...

გურამ ასათიანი მის შესახებ ამბობდა: „ნოდარ დუმბაძე ადამიანთა იმ იშვიათ მოდგმას ეკუთვნის, რომელთა სულშიც პირადი ტკივილი სხვებისათვის შვების მოტანის ცხოველმყოფელ წყურვილს აღვიძებს“.

მწერალი 1984 წლის 4 სექტემბერს გარდაიცვალა. თავდაპირველად დაკრძალული იყო თბილისში, საბავშვო ქალაქ „მზიურში“, რომლის აშენების იდეა თავადვე ეკუთვნოდა, ხოლო 2009 წლის 14 სექტემბერს მისი ნეშტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

■

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №24

რუსუდან ბერიძე

— ჩემი გვარია ლაფაური... დიახ, დიახ, სწორედ ის ლაფაური... ფული მჭირდებება... თხუთმეტი ათასი დოლარი.

ტელეფონის მეორე ბოლოში ვიღაცამ გაოცებით წაუსტვინა.

— ისე, ოცი აჯობებდა. თქვენთის ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვებას შევძლებ.

— უნდა შევხვდეთ. მისამართი ჩაიწერეთ, — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, ისევ გაისმა ყურმილში ვიღაცის უსიამოვნო ხმა.

ბინა, სადაც ლაშას შეხვედრა დაუთქვეს, ფირმის ოფისს არაფრით ჰგავდა. ლაფაური მიხვდა, რომეს ალბათ, უფრო კონფიდენციალური შეხვედრების ადგილი უნდა ყოფილიყო. კარი დაბალმა მსუქანმა მამაკაცმა გაუღო, რომელსაც ბეც თვალებზე სქელლინზიანი სათვალე დაეკოსებინა, გაცვეთილი კოსტიუმი ეცვა და შეშუპებულ სახეზე ღიმილი ჰქონდა აწებებული. სტუმარს მაშინვე მოკლეთითება ხელი გაუწოდა. მამაკაცს ოფლიანი ხელი ჰქონდა და ლაშას მოეჩვენა, რომ მცირე ხნით ხელში მედუზა ეჭირა. ბინაში შესულმა ლაფაურმა ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედა, თუმცა თვალისთვის საამო ვერაფერი აღმოაჩინა. ერთადერთ ბინძურიატაკიან და გახუნებულშპალერიან ოთახში მხოლოდ მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა, ჭერში კი გვარიანად ჩაშავებული ნათურა ეკიდა.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ. — მამაკაცმა ერთ-ერთი სკამი გამოსწია.

ლაშა მოყანყალებულ სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა. მასპინძელიც მაშინვე მის პირდაპირ მოკალათდა.

— ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ, მე ისიდორე მქვია.

— სასიამოვნოა. ყურადღებით გისმენთ, ბატონო ისიდორე!

— ესე იგი, ფული გჭირდებათ, ხომ? — ისიდორემ ხელები საქმიანად მოიფშვნიტა.

— დიახ და, თანაც, სასწრაფოდ.

— გასაგებია... — ახლა ისიდორე თავის უცნაურ კანტურს მოჰყვა. — მაგრამ მცირე თანხას როდი ითხოვთ. ასეთი ფულის სწრაფად შოვნა კი ადვილი საქმე ნამდვილად არ არის.

ლაშას კარგად ესმოდა, რომ შეხვედრას ფინანსურ სირთულეებზე საწუწუნოდ არავინ დაუნიშნავდა და, ამიტომაც, მოვლენების შემდგომი განვითარების მოლოდინში, შეთქმულივით დადუმდა.

— მაგრამ თქვენს დახმარებას მაინც შევეცდებით, — მცირეოდენი პაუზის შემდეგ, ისიდორე როგორც იქნა, საქმეზე გადავიდა, — როგორც სატელეფონო საუბრისას გვითხარით, ჩვენთვის ნებისმიერი ინფორმაციის მოსაპოვებლად მზად ხართ, ხომ?

— დიახ, ნებისმიერის. თუ, რაღა თქმა უნდა, ის სისხლის სამართალს არ შეეწინააღმდეგება.

— რა თქმა უნდა, არ შეეწინააღმდეგება.

— მაშინ გისმენთ.

— მაშ ასე, — სკამზე მოხერხებულად მოეწყო ისიდორე, — მავანმა და მავანმა კომერციულმა ორგანიზაციამ ერთ ცნობილ ადამიანზე ფილმის გადაღება გადაწყვიტა. ეს ადამიანი უბრალოდ ნიჭიერი მეცნიერი კი არა, მაღალი ტექნოლოგიების სფეროს ერთ-ერთი უბადლო სპეციალისტი, ნამდვილი გენიოსია. მაგრამ ორი წლის წინ ის ფრიად უცნაურ ვითარებაში გაუჩინარდა. თითქოს მიწამ პირი უყოო, ისე უკვალოდ გაქრა და, ცხადია, ფილმიც დაუსრულებელი დარჩა. ერთი სიტყვით, ეს ადამიანი აუცილებლად უნდა მოვძებნოთ. ორგანიზაცია მისი ადგილსამყოფლის დადგენაში არცთუ პატარა ფულს იხდის.

— იქნებ, ის უკვე...

— არა, — ვარაუდის ბოლომდე გამოთქმაც კი არ აცალა ლაშას ისიდორემ, — ჩვენი მონაცემებით, ის ნამდვილად ცოცხალია და საქართველოში იმყოფება. თუმცა კარგა ხანს რუსეთში მოღვაწეობდა და მისი კვალიც იქ დაიკარგა. თქვენთან შეხვედრა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ნამდვილი პროფესიონალი ხართ და კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების დიდი უნარი გაქვთ.

— ამ ადამიანის საქმიანობა გასაიდუმლოებული იყო? — ლაშამ პირდაპირ ჰკითხა.

— რა არის, იცით?..

— ორგანიზაცია, რომელიც მის მოძებნას წარუმატებლად ცდილობს, სახელმწიფო სტრუქტურაა? — ლაშა კითხვების ჯიქურ დასმას განაგრძობდა.

— ვფიქრობ, თქვენთვის ამის ცოდნა აუცილებელი არ არის.

— რა უნდა გავაკეთო, როცა ამ ადამიანს ვიპოვი?

— არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. თქვენ მხოლოდ მეცნიერის პოვნა და მისი ადგილსამყოფლის ჩვენთვის შეტყობინება მოგეთხოვებათ.

— თანხას როდის და როგორ გადამიხდით?

— თავიდან, ავანსის სახით, — ხუთი ათას, სამუშაოს შესრულების შემდეგ კი დანარჩენ ათი ათას დოლარს მიიღებთ. — ისიდორემ ლაშას ეშმაკურად გაუღიმა.

— მე ცოტა სხვაგვარად ვფიქრობ, — ღიმილით უპასუხა ლაშამაც, — ეს საქმე არცთუ უსაფრთხო გასაკეთებელი უნდა იყოს. და თუ მას მთავრობამაც კი ვერ გაართვა თავი, მაშინ მე...

— თქვენ ჟურნალისტი ხართ. ჟურნალისტებს კი ძებნილი დამნაშავეები და თვით ტერორისტებიც კი ხალისით ხვდებიან და ესაუბრებიან.

— გამოდის, რომ ეს მეცნიერი ხელისუფლების წამომადგენლებს ემალება? — ლაშამ ისიდორეს თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

ამის შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი, — მან თავი დანაშაულზე წასწრებულივით ჩაქინდრა.

— ჩემი პირობა ასეთია: ამ საქმეში ოცი ათასი დოლარი უნდა გადამიხადოთ, თანაც თხუთმეტი ახლავე უნდა მომცეთ.

— რას ბრძანებთ?!. — ხელები გაასავსავა ისიდორემ. — ოცი ათასი ნამეტანი მაღალი ჰონორარია, აღარაფერს ვამბობ წინასწარ თხუთმეტი ათასის გადახდაზე... თქვენ ხომ ახლა საერთოდ უფულოდ ხართ... ასე რომ, ჯობს, ჩვენს პირობას დათანხმდეთ.

— ოცი ათასს ცენტიც კი არ მოაკლდება. თხუთმეტს კი წინასწარ გადამიხდით. ეს ჩემი ბოლო სიტყვაა, — ლაშა უკვე ბლეფის ხასიათზე დადგა.

თავიდანვე რომ თუნდაც ორჯერ ნაკლები თანხა დაესახელებინათ, ლაშა მაინც დათანხმდებოდა, მაგრამ ახლა ინტუიცია კარნახობდა, რომ უნდა ევაჭრა და ასეც იქცეოდა.

— ხელმძღვანელობას უნდა მოვეთათბირო, — ისიდორე სკამიდან სწრაფად ჩამოხტა, სამზარეულოში გაცუნცულდა



ვასილ ბარნოვი (ბარნაველი)

„ცოდვათა ჩვენთა სიმრავლე დაჰფარავს მას ჟამითი-ჟამად თვალთაგან ჩვენთა, მაგრამ შევინანებთ და კვლავ გამობრწყინდება იგი ამა მწვერვალზედ. ჯვარიცა წმიდა ჟამითი-ჟამად განერთხმის მიწას ქართველთა ცოდვით შემძიმებული, მაგრამ კვლავ აღზდგება პატიოსანი, ნიშნად საქართველოს მკვდრეთით აღდგომისა“.

რომანი „ტრფობა წამებული“

დაიბადა 1856 წლის 3 ივნისს სოფელ კოდაში (ახლანდელი თეთრიწყაროს რაიონი), სასულიერო მოღვაწის, დეკანოზ ზაქარია ბარნაველის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იქვე მასწავლებლობდა. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა აგრეთვე სენაკსა და თელავშიც. 1882 წელს დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ისტორიის ფაკულტეტი... 1917 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი (კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი). 1880-იანი წლების დამლევს აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოების საქმიანობაში... ბარნოვი ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი გახლავთ. მისთვის ისტორიული მოვლენების ასახვა თვითმიზანი არ იყო, მწერლის ყურადღების ცენტრში ზოგადსაკაცობრიო პრობლემები ექცეოდა. ვასილ ბარნოვის კალამს ეკუთვნის რომანები: „ისნის ცისკარი“, „ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვრევა“, „გიორგი სააკაძე“, „მიმქრალი შარავანდედი“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიჭაბუკისა“... მწერალი ავტორია მოთხრობებისა, რომლებიც მიძღვნილია ფილოსოფიური, სოციალური, პედაგოგიკური და სხვა პრობლემებისადმი. ბარნოვის პროზის რიტმულობა, ხელოვნური სინტაქსური წყობა, ძველი ქართული მწელობისა და ხალხური მეტყველების მარაგით გამდიდრებული ლექსიკა საოცარ ელფერს ანიჭებს მის სამწერლო სტილს. ვასილ ბარნოვმა ამაგი დასდო ქართულ ფოლკლორისტიკასაც; მის ნარკვევებსა და წერილებში გაშუქებულია ქართული მითოლოგიისა და საგმირო ეპოსის საყურადღებო საკითხები. საინტერესოა მისი დაკვირვებები — „ამირანიანზე“, „როსტომიანზე“, „ტარიელიანზე“, „არსენას ლექსზე“. მანვე ფოლკლორული და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების საფუძველზე შეადგინა (1919 წელი) არსენა ოძელაშვილის სრული ბიოგრაფია. აღსანიშნავია, რომ მწერალი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1880-1910-იან წლებში), თუმცა არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა. იმავდროულად, იგი აქტიურად იყო ჩაბმული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად ბრძოლაში (რაც წარმატებით 1917 წელს დაგვირგვინდა). ვასილ ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წელს. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. მისი სახელი მწერლის სიცოცხლეშივე მიენიჭა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. ■

სხედან: ვასილ ბარნოვი, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე; დგანან (მარჯვნიდან): ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი

ხანს კიდევ იყოყმანა და შემდეგ ლაშას მაინც წარუდგა:

— მე მარო ვარ, ტატიაშვილი.

— ძალიან სასიამოვნოა, ქალბატონო მარო. — მთლად დაიშაქრა ლაშა. — პატივს ვერ დამდებთ და რამდენიმე კითხვაზე ხომ ვერ მიპასუხებთ?

ამის შემდეგ მარომ კიდევ უფრო მეტხანს იყოყმანა და ბოლოს დაუპატიჟებელ სტუმარს კარი მაინც გაუღო:

— კარგი, შემოდი, ოღონდ დიდ დროს ვერ დაგითმობ, სახლი მაქვს დასალაგებელი.

— დიდხანს არც მე შეგაწყენთ თავს. — მტკიცე პირობა მისცა ლაშამ, — მით უმეტეს, რომ ალბათ, კიდევ ერთხელ მაშინ შევხვდებით, როცა ბატონი ვახტანგისა და ქალბატონი ელენეს სანახავად მოვალ.

მარომ სტუმარი წინ გაატარა. ლაშა ბინაში შევიდა და ირგვლივ ინტერესით მიმოიხედა. საკმაოდ ფართო სასტუმრო ოთახში მხოლოდ დივანი და ორი სავარძელი იდგა, დანარჩენი ფართობი კი მთლიანად წიგნებს ეკავა. თანაც წიგნები მარტო კედლებზე დაკიდებულ თაროებზე კი არა, იატაკზეც მრავლად ეწყო. იგივე ხდებოდა დანარჩენ ორ ოთახშიც. ლაშამ რამდენიმე სქელტანიან წიგნს სამზარეულოს კარადაში, ჭურჭლის გვერდითაც კი მოჰკრა თვალი.

— მაშ ასე, დავიწყოთ, — მცირე ექსკურსიის შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა ლაშა და სავარძელში მოკალათებულმა ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა, — როგორც უკვე ბრძანეთ, აქ კარგა ხანია, მუშაობთ. რას იტყოდით არეშიძეების ოჯახზე? როგორი ხალხია?

— როგორი და კეთილი და წესიერი. ფულს ყოველთვის დროზე მიხდიან.

— ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავთ?

— აბა, ამისთვის სად სცალიათ? მეცნიერი ხალხია და მთელ დროს სამსახურში ატარებენ. მათ თითქმის ვერ ვხედავ. დილით რომ მოვდივარ, უკვე სამსახურში არიან, სახლს რომ დავულაგებ და ვახშამს მოვუმზადებ, მაშინღა მოდიან და მე კი ამ დროს უკვე ჩემს სახლში, შვილიშვილებთან მიმეჩქარება. იცი, რა კარგი შვილები და შვილიშვილები მყავს...

— არეშიძეებს თუ ჰყავთ შვილები? — ლაშამ სასწრაფოდ ისევ სათავისო ტალღაზე გადმორთო როლში შესული ქალი.

— როგორ არა ჰყავთ. ვახტანგი ჰქვია. ოღონდ ახლა აქ არ არის, — ტუჩები უკმაყოფილოდ დაბრიცა ქალმა, — მგონი, სადღაც, საზღვარგარეთ უნდა იყოს.

— რატომ მაინცდამაინც საზღვარგარეთ?

— იმიტომ, რომ კარგა ხანია, არ გამოჩენილა. ყოველ შემთხვევაში მე, ოთხი წელია, თვალი საერთოდ არ მომიკრავს.

— იქნებ, მასთან უბრალოდ მშობლები არ ურთიერთობენ?

— შეიძლება, ასეცაა. მასთან ურთიერთობას ხომ ყველაფერი სჯობია, ისეთი უხეში და გაუზრდელია. ოღონდ, ეს არ დაწერო!

— კარგი, არ დავწერ, — გაეღიმა ლაშას, — მაგრამ ასეთ ინტელიგენტურ ოჯახში ასეთი უზრდელი და უხეში როგორ გაიზარდა?

— ვინ, ვახუნა? — ისევ უკმაყოფილო სახე მიიღო მარომ. — ის ხომ ამათი შვილი არ არის.

— რაო? — ყურები ცქვიტა ლაშამ.

— ჰო, აყვანილია, — თითქმის ჩურჩულზე გადავიდა მარო, — ვახუნას ნადვილი მამა კი არეშიძეების ბიძაშვილია. საკუთარი შვილები ღმერთმა არ მისცათ და ბატონმა ვახტანგმა და ქალბატონმა ელენემ მისი შვილად აყვანა გადაწყვიტეს.

— ვახტანგის ნამდვილი მშობლები სადღა არიან? დაიღუპნენ?

— არა. მამა საგიჟეშია. ცოლი რომ გაექცა, იმის შემდეგ აურია. ისე, ამბობენ, ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდაო. ჰოდა, ასეთი ქალის დაკარგვის შემდეგ კაცი ჯერ გალოთდა და მერე საგიჟეთშიც ამოყო თავი. ექიმებს ხელი აქვთ ჩაქნეული, ტვინში ისეთი რამე აერია, აღარაფერი ეშველებაო.

— ჰოდა, არეშიძეებმაც ვახტანგი იშვილეს, ხომ?

— მაშინვე არა. თავიდან, მამა რომ გაუგიჟდა, დედამ წაიყვანა თავისთან. შემდეგ ქალი გათხოვდა. ახალ ქმარს თავისი შვილები ჰყავდა, მაგრამ კეთილი კაცი აღმოჩნდა და გერიც კარგად მიიღო. ბოლოს ქალმა არ ივარგა და ერთ დღესაც ახალი ქმრის ძმაკაცს გაეკიდა სადღაც ეშმაკებში, ვახუნა კი მამინაცვალს შეატოვა. ის კიდევ ისევ პირველ ცოლს დაუბრუნდა, რომელმაც ქმრის გერს მაშინვე გარეთ გამოუძახა. ვახუნა ამის შემდეგღა მოხვდა ამ ოჯახში.

— აი, მესმის ისტორია, — თავი გადაქნია გაკვირვებულმა ლაშამ, — ძალიან რთული ბავშობა ჰქონია ბატონ ვახტანგს.

— ჰო, კაი ხანს მართლა ხელიდან ხელში გადადიოდა საწყალი ბავშვი. იმიტომაც გაიზარდა მგლის ლეკვად.

— ადვილი შესაძლებელია. არეშიძეებმა რომ იშვილეს, რამდენი წლის იყო?

— სამის თუ ოთხის.

— მაგრამ ამ ასაკში ხომ ბავშვის ხასიათი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. გამოდის, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, მგლის ლეკვად სწორედ ამ კარგმა და კულტურულმა ადამიანებმა აღზარდეს. ან იქნებ, თავად ისინიც...

— არა, აბა, რას ამბობ! — შეიცხადა ქალმა. — ბატონი ლევანი და ქალბატონი ელენე ნამდვილად კარგი ადამიანები არიან, მაგრამ...

— რა მაგრამ? — ჩაეძია ლაშა.

— უბრალოდ ცოტა მეცნიერებაზე არიან შეშლილები. სხვა არავინ და არაფერი ახსოვთ. სულ რაღაც კონფერენციებსა და სემინარებზე დაიარებიან. სახლშიც მარტო ფიზიკა აბოდებთ. ვახუნასთვის საერთოდ, არ ეცალათ. მაშინ კი არა, ახლაც კვირაობით არ არიან საქართველოში...

— მაშ, ბავშვს ვინ ზრდიდა?

— ხან ვინ ზრდიდა და ხან — ვინ.

— ეგ როგორ?

— ნაირ-ნაირ ძიძას ქირაობდნენ და ისინიც როგორც შეეძლოთ, ისე ზრდიდნენ. აბა, ძიძას რა უნდა მოჰკითხო?

— გასაგებია... შემთხვევით ისიც ხომ არ იცით, ყველაზე დიდხანს რომელი ძიძა ზრდიდა?

— რატომ შემთხვევით? — იწყინა ქალმა. — ძალიან კარგად ვიცი. ანიკო ბალიაშვილმა ვახუნას მთელი ხუთი წელი გაუძლო.

— ქალბატონი ანიკოს მისამართი ალბათ, არ გექნებათ... — ისევ შორიდან მოუარა ლაშამ.

— რატომაც არ მექნება? ანიკოს მეც კარგად ვიცნობ და მასთან სახლშიც ვარ რამდენჯერმე ნამყოფი. ქალბატონი ელენე კიდევ მისთვის დღესასწაულებზე მისალოც ბარათებსაც მე მაგზავნინებს ხოლმე.

— ძალიან კარგი, — კმაყოფილება ვეღარ დამალა ლაშამ და მაროს ნაკარნახევი მისამართი ბლოკნოტში საგანგებოდ ჩაინიშნა, — და რადგანაც არეშიძეების ყველა საიდუმლოში ჩახედული და მათი ყველაზე ერთგული ადამიანიც ხართ, იქნებ ისიც იცით, შემთხვევით, ვახტანგს ამ ბოლო ხანებში მშობლებთან ტელეფონით ხომ არ ულაპარაკია, ან იქნებ, უცხოეთიდან წერილებსაც კი უგზავნის?

— ნამდვილად არ ვიცი, — შეწუხდა როლში საბოლოოდ შესული მარო, — ეგ უკვე ბატონ ლევანს უნდა ჰკითხოთ. მას რაღაც ბლოკნოტი აქვს, სადაც ძალიან მნიშვნელოვან სატელეფონო საუბრებს

ინიშნავს. თუმცა არა მგონია, ვახუნას მისთვის დაერეკა ან რამე მოეწერა.

— ამას საიდანღა ასკვნით?

— არ უყვარს ამ ბიჭს მშობლები და იქიდან. როგორც კი სკოლა დაამთავრა, მაშინვე გაწყვიტა მათთან კავშირი. ხომ გითხარი, გაუზრდელია-მეთქი. შენ კიდევ რა სულ ვახუნაზე მეკითხები? მოდი, ბატონ ლევანზე მოგიყვები რამეს, ანდა...

— სხვა დროს იყოს, — საათზე დაიხედა ლაშამ, — დღეს ისედაც ბევრი დრო დავხარჯე. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

— რომელ გზეთში იქნება თქვენი სტატია? — კიბეზე დააწია ლაშას მარომ, მაგრამ სადარბაზოდან სწრაფი ნაბიჯით გასულ ლაფაურს მისი კითხვა არ გაუგონია.

ანიკო ბალიაშვილი თითქმის 80 წელს მიღწეული, თუმცა თვისი ასაკისთვის ჯერ კიდევ სიმკვირცხლეშენარჩუნებული ქალი აღმოჩნდა. ლაშას ისიც უკმეხად შეხვდა:

— ვინ ჟურნალისტი, რა ჟურნალისტი? მე არაფერი ვიცი!

თუმცა მას შემდეგ, რაც ლაშამ ჯიბიდან ათლარიანი ამოაძვრინა, ქალი მაშინვე მოლბა და ჟურნალისტი სახლში შეუშვა.

— აბა, მე რა უნდა მოგიყვე? ეს ქვეყანა ხომ მარტო უმადური და დაუნახავი ადამინებითაა სავსე. ზრდი, ზრდი ამ სხვის შვილებს და... რისთვის? რას იღებ სამაგიეროდ?.. სანამ უჭირთ, გიყვარდეს, ფეხქვეშ გეგებიან: გვიშველე, ქალბატონო ანიკო, მოგვეხმარეო. ახლა კი ვიღას ვახსენდები...

— მაგრამ არეშიძეებს ხომ ახსოვხართ? — საწუწუნოდ მომართულ ქალს სიტყვა ძლივს ჩაუგდო ლაშამ. — დღესასწაულებზე მისალოც ბარათებსაც კი გიგზავნიან...

— იცი, სად გაიკეთონ ის ბარათები?.. — ამ სიტყვების გამგონე ლაშას ერთი გადახარხარება ყველაფერს ერჩია, მაგრამ ბოლო წუთს მაინც თავი შეიკავა. ახლა მისთვის უკვე ნათელი გახდა, თუ ვინ იყო ვახტანგ არეშიძის „ჭეშმარიტი აღმზრდელი“.

— მაინც რისი გაგება გინდა ვახუნაზე? — დაინტერესდა ანიკო.

— ყველაფრის: როგორ იზრდებოდა, რით იყო გატაცებული. მეგობრები თუ ჰყავდა.

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ქალმა, — როგორც ყველა დედისერთა, ისიც ზედმეტად გათამამებული, უხეში და მუტრუკი იყო. მისგან ერთ ტკბილ სიტყვას ვერასდროს ეღირსებოდი.

— რომელი თამაშები უყვარდა?

— რაღაც არ მახსენდება, ოდესმე რამე ეთამაშა. არც მეგობრები ჰყოლია. უკარება და თავის თავში ჩაკეტილი ბავშვი იყო. ისე, მოსმენა კი უყვარდა. ჰოდა, მეც სულ წიგნებს ვუკითხავდი. როცა კითხვა ისწავლა, უკვე ამაზეც აღარ მაწუხებდა. ის კი არა და, წიგნებს ჭამის დროსაც კი ვერ ვაგდებინებდი ხელიდან.

— რა წიგნები იყო, ზღაპრები?

— რომელი ზღაპრები? მის ჭკუანაღრძობ დედ-მამას ზღაპრები საიდან ექნებოდათ? იმათ წიგნებს ვუკითხავდი, ფიზიკასა თუ ქიმიაზე, ჭირს წაუღია ორივე!..

— რა წიგნებს უკითხავდით? — ყურებს არ დაუჯერა ლაშამ.

— ფიზიკაზე-მეთქი, ხომ გითხარი. აბა, სახლში სხვა წიგნები არ ჰქონდათ და რა მექნა?! რაც იყო, იმას ვუკითხავდი. რა ჰქვია იმას?.. ჰო, რაღაცა ატომებზე და რეაქციებსა და კიდევ ათას აბდაუბდაზე... უკვე აღარ მახსოვს. ვახუნა კი ისეთი ყურადღებით მისმენდა, თითქოს ღამაზ ზღაპრებს ვუყვებოდი.

— კითხვა რამდენი წლისამ ისწავლა?

— ასე, ოთხის იქნებოდა...

— ოთხისო? — გაოცებისგან წაუსტვინა ლაშამ.

„აი, თუმე საიდან მოდის არეშიძის, როგორც მეცნიერის ელვისებურად განვითარებული კარიერა, — გაიფიქრა მან შემდეგ, — ბავშვი თურმე, ზღაპრების ნაცვლად ბირთვულ ფიზიკის ლექციებს ისმენდა“...

— მშობლები როგორღა უყურებდნენ ამ ყველაფერს?

— უყურებდნენო? მათ ვახუნასთვის საერთოდ არ ეცალათ. მთავარი იყო, საჭმელი ეჭამა და ავად არ გამხდარიყო. თუმცა მერე, როცა ვახუნა სკოლაში შევიდა და თავი გამოიჩინა, ძალიანაც ამაყობდნენ. ის ხომ სკოლაში სხვებზე ბევრად ადრე შევიდა და ადრეც დაამთავრა. ამაზე გაზეთებშიც კი წერდნენ.

— ძალიან საინტერესოა. რომელ სკოლაში სწავლობდა?

— აქვე ახლოს. არეშიძეები ადრე ჩემს მეზობლად ცხოვრობდნენ.

ლაშა ანიკო ბალიაშვილს კმაყოფილი გამოემშვიდობა. ახლა მას ვახტანგ არეშიძის ცხოვრების ერთ და საკმაოდ მნიშვნელოვან მონაკვეთზე მაინც ჰქონდა მეტ-ნაკლები წარმოდგენა. ქუჩაში გასული ლაშა მანქანაში ჩაჯდა, ჯიბიდან დიქტოფონი ამოიღო და ფირზე ჩაწერილ საუბარს კიდევ ერთხელ, ყურადღებით მოუსმინა. შემდეგ ძრავა ჩართო და იმ სკოლის საძებნელად წავიდა, რომელშიც მისი ძიების ობიექტი სწავლობდა.

— ვახტანგ არეშიძე? როგორ არ მახსოვს! — სასიამოვნო გარეგნობის ხანში შესულმა ქალმა სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით წმენდა დაუწყო. — ის, ალბათ, ყველა მასწავლებელს ახსოვს. ასეთი ბავშვის დავიწყება შეუძლებელია.

ლაშა მასწავლებლის პირდაპირ, ერთ-ერთ მერხზე იჯდა და მის საუბარს ბეჯითი მოსწავლესავით ყურადღებით უსმენდა.

— მაინც რაზე აპირებთ სტატიის დაწერას? — დაინტერესდა მასწავლებელი.

— იმაზე, თუ თქვენმა სკოლამ ასეთი სახელგანთქმული ადამიანი როგორ აღზარდა.

— საინტერესოა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მასწავლებელმა და სახეზე პატარა გოგონასავით სიწითლემ გადაურბინა, — მასწავლებლების გვარები თუ იფიგურირებს ამ სტატიაში?

— თუ აუცილებლობა მოითხოვს, იმ შემთხვევაში — ლაშამ ორჭოფულად უპასუხა, რომელსაც პედაგოგთა მთელი არმიის ღირსებების შესახებ ვრცელი ლექციის მოსმენის პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავდა.

— მესმის... — ისევ პატარა გოგონასავით დაიმორცხვა მასწავლებელმა. — ჰოდა, იმას გეუბნებოდით, რომ მე ვახტანგის კლასის დამრიგებელი ვიყავი და, ამიტომაც, განსაკუთრებით კარგად მახსოვს ყველაფერი. ძალიან ჭკვიანი ბავშვი იყო, ბეჯითი და ნიჭიერი. სხვა ბავშვებს ყოველთვის ვურჩევდით, მაგალითი მისგან აეღოთ...

— მაპატიეთ, მაგრამ უნდა გაგაწყვეტინოთ... — საუბრის გეზის ისევ სასწრაფოდ შეცვლა გადაწყვიტა ლაშამ. — ჩვენ ამ მეცნიერის შესახებ დოკუმენტური წიგნის გამოცემას ვპირებთ. ეს ცხოვრებისეული წიგნი იქნება. ცხოვრებაში კი, ალბათ დამეთანხმებით, ყოველთვის ყველაფერი ნათელ ფერებში როდი ხდება. არცთუ იშვიათია მუქი და თვით შავი ფერებიც კი. ვახტანგ არეშიძეზე აბსოლუტურად ყველაფრის გაგება მსურს, ყველა წვრილმანის, კარგისაც და ცუდისაც...

— მესმის, რასაც ბრძანებთ, — ქალი ახლა უკვე ისე გაწითლდა, თითქოს რაღაც ძალიან უღირს საქციელში გამოიჭირესო, შემდეგ ერთი მძიმედ ამოიოხრა და დაიწყო: — კარგი... ყველაფერს მოგიყვებით... მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენ ეს არ მოგეწონებათ.

— ჩემს მოწონება-არმოწონებას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. აქ მთავარი სიმართლეა, — კიდევ უფრო წააქეზა ქალი ლაშამ.

— გულახდილად რომ გითხრათ, ვახტანგი სკოლაში არც მასწავლებლებს უყვარდათ და არც თანაკლასელებს, — დაიწყო მასწავლებელმა.

— რატომ? — მაშინვე კითხვა შეაგება ლაშამ.

— იმიტომ, რომ ძალიან უხეში და ქედმაღალი იყო. ცოდვას ვერ ვიტყვი, სწავლით ნამდვილად კარგად სწავლობდა. ყველა საგანში „ფრიადოსანი“ იყო. მაგრამ მისი საქციელი ელემენტარული წესიერების ზღვარსაც კი სცილდებოდა.

— ასეთს მაინც რას აკეთებდა, ხულიგნობდა, ჩხუბობდა?

— არა. უბრალოდ ის ყველა თანაკლასელზე უფრო ჭკვიანი იყო.

— მაგრამ განა ეს უწესობაა? — გაეღიმა ლაშას.

— რა თქმა უნდა, არა. მაგრამ ამის გამო ყველას აშკარადაც ამცირებდა. თანაკლასელებს კრეტინებს, ბრიყვებს და უბრალოდ ვირებს ეძახდა.

— და ამის გამო სამაგიეროს არ უხდიდნენ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. მეტიც, ბავშვებს მისი ცოტა კიდეც ეშინოდათ, რადგან მათზე ზემოქმედება შეეძლო. ნებისმიერ საკონტროლოს ხუთ წუთში ასრულებდა, დანარჩენ დროს კი სხვა წიგნების კითხვას ახმარდა. მარტოსული იყო. მეგობრები საერთოდ არ ჰყავდა. თითქმის ყველა თანაკლასელი სძულდა და ისინიც ჩუმი სიძულვილით პასუხობდნენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სხვა ქალის სურნელი ანუ დაბნეული მამაკაცის დღიური

დიდი ხანია, ჩემს არქივში 12-ფურცლიანი, მწვანეყდიანი რვეული დევს, რომელიც ახალგაზრდა ქალმა გადმომცა და მთხოვა, ყველაფერი გამომექვეყნებინა, რასაც საჭიროდ მივიჩნევდი. თავიდანვე გამიმხილა, რომ დღიური მის ქმარს ეკუთვნოდა. მაშინ ავტორის თანხმობის გარეშე ჩანაწერების გამოქვეყნებისგან თავი შევიკავე, რითაც ქალს გული დავწყვიტე, მაგრამ ახლა მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი. დღიურში ჩანაწერები იქ წყდებოდა, სადაც დღევანდელი „მინირომანის" პირველი ნაწილი მთავრდება. მეორე ნაწილი იმავე ქალბატონმა 2 კვირის წინ გადმომცა და გამოქვეყნებაზე ქმრის თანხმობაც დაურთო. თემა ბანალური გახლავთ — სასიყვარულო სამკუთხედი. დასასრული — ბედნიერი და პოზიტიური.

მარი ჯაფარიძე

I ნაწილი

— ნიი, წავედი.

— მახო, მობილური ხომ არ გრჩება? გასაღები? საბუთები?

— არ მრჩება, კარგად!

როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს? ყოველდღე ერთი და იგივე: „მახო, გასაღები, ტელეფონი, ხელთათმანი, საბუთები, ქუდი დაიხურე, არ შეგცივდეს!" ეშმაკმაც დალახვროს! მომბეზრდა უკვე! ნუთუ ძნელია, გაიგოს, რომ ის პატარა ბიჭი აღარ ვარ, რომელთან ერთად ცხოვრება 14 წლის წინ დაიწყო? ღმერთო ჩემო! უკვე 14 წელია — „გასაღები, ქუდი, საბუთები"... კიდევ კარგი, მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო. ალბათ, გავგიჟდებოდი კიდეც. მალე ალბათ ღამ-ღამობით გამეღვიძება ამ საშინელი სიტყვების გამო: „გასაღები, საბუთები, ქუდი"... ამის გამო სამსახურშიც თავს ისევ სტაჟიორად ვგრძნობ... ნინოს კი ავიწყდება, რომ მისი ქმარი უკვე დიდი ხანია, დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს და პატარა ბიჭი კი არა, დამოუკიდებელი ადამიანი ვარ.

მზია... მზიკუნია... თითქოს ზღაპრიდან გადმოსული ფერიაა... ქერა, თმაკულულა, ლამაზი, ლა-მა-ზიიი!..

ის ჩემს კაბინეტში პრესმდივნის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის დროს, სხვა პრეტენდენტებთან ერთად გამოჩნდა. აუჩქარებელი ნაბიჯით მომიახლოვდა და ლამაზი ხმით მომესალმა: „საღამო მშვიდობისა", — და ჩემი მაგიდის კიდესთან გაჩერდა. მაშინვე გავიფიქრე, როგორ შეიძლებოდა, ამ ნაზ, ლამაზ და ჰაეროვან არსებას პრესმდივნად ემუშავა? ეს ხომ საკმაოდ შრომატევადი საქმეა... მას კი მხოლოდ შეუძლია, თქვას „საღამო მშვიდობისა".

რატომღაც ვცადე, მისი სახელი გამომეცნო... ანა... თეა.. ეკა... ნატო...

ვერ გამოვიცანი...

მზია...

სახელიც ლამაზი ჰქონია...

ის დარჩა. ვერ ვიტყვი, რომ სამსახურში მე ავიყვანე. უბრალოდ, თავისით დარჩა და ეგაა.

— ბატონო მალხაზ, მისაღებში აღარავინაა. ყავა მოგიდუღოთ?

როგორ მიხვდა, რომ ახლა ყავას დიდი სიამოვნებით დავლევდი და სწორედ ამაზე ვფიქრობდი, რომ ერთი ჭიქა ცხელი ყავა გამომაფხიზლებდა? თანაც, ჩემი მდივანი უკვე წასული იყო.

— დიახ, დავლევ, — ძალიან თავაზიანი ვიყავი, — თუმცა ჯერ არ დაგვიწყია... — ფუ, შენი, რა მემართება? — ჯერ არ დაგვიწყია კი არა, ჯერ არ მოგიყოლია შენ შესახებ, — ღმერთო, რაებს ვჩმახავ?

— რა გქვიათ? მზია? მზია, ყავა არ მინდა, ნუ შეწუხდებით, დაბრძანდით. თქვენ შესახებ მომიყევით — რა გიყვართ, მავნე ჩვევები თუ გაქვთ, — მგონი, თავის ხელში აყვანა შევძელი.

ალბათ უკეთესი იქნებოდა, კადრების შერჩევა კადრების განყოფილებისთვის დამევალებინა ან, ბოლოს და ბოლოს, ჩემი მოადგილისთვის, მაგრამ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას ბავშვობიდან ვარ შეჩვეული და სწორედ ამის გამოა, რომ დამლაგებლისა თუ განყოფილების უფროსის კანდიდატურა თავად უნდა შევარჩიო.

ჩვენ ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებით და ბედნიერი ვარ. ბედნიერი ვარ, როდესაც მის ლოყებზე „ნაჩხვლეტს" ვხედავ; როცა ის იღიმის; ბედნიერი ვარ, როცა მის თვალებში საკუთარ გამოსახულებას ვუყურებ; როცა ცდილობს, თავისი „წვიმისფერი" თვალებით გამიღიმოს.

სისულელეა, თუ ვინმეს სჯერა, რომ ქერა ქალები სულელები არიან. ჩემი მზია ჭკვიანია და იუმორის გრძნობაც აქვს... თანაც, რა ლამაზია?!

ბუნდოვნად მახსოვს, როგორ დავახლოვდით. უფრო სწორად, ყველაფერი მახსოვს... ისიც კი, მისი თმის ქერა კულული როგორ იდო ჩემს მხარზე... როგორ ჩამოუცურდა პიჯაკი მარჯვენა მხრიდან... მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს, როგორ აღმოვჩნდით ჩემს კაბინეტში, სწორედ იმ მაგიდასთან, რომლის წინაც ამ რამდენიმე დღის წინ, ასე ლამაზად გაჩერდა და ლამაზი ტუჩებით წარმოთქვა: „საღამო მშვიდობისა". მაგიდიდან ერთიმეორის მიყოლებით გადმოცვივდა ქაღალდები, „სკრეპები", კალმები და ნახევრად სავსე წყლის ჭიქა. კიდევ კარგი, ვერავინ შენიშნა, როგორ გავქრით ჩემი მოადგილის დაბადების დღის სუფრიდან.

— მახო, საყვარელო, კარგი დრო გაატარე? — მკითხა ცოლმა კარის გაღებისთანავე, პალტოს კალთებში ჩამეჭიდა და თბილ ოთახში ლამის ძალით შემიყვანა. — მთვრალი ხარ, სიხარულო? ახლა ასპირინს დაგალევინებ, რომ დილით თავის ტკივილმა არ შეგაწუხოს.

ჰო, ჩემთვის დილიდან თავის ტკივილი არ შეიძლება, რადგან მზია მისაღებში დამხვდება, როგორც ყოველთვის. შუშხუნა ასპირინის მჟავე გემომ მზიას ტკბილი კოცნა გამახსენა.

აი, უკვე 1 თვეა, მე და მზია ოფისის ტერიტორიიდან ჩვენი მანქანებით, ცალ-ცალკე გავდივართ და ერთმანეთს მის სახლთან ვხვდებით. მის პატარა ბინაში მუდმივად წესრიგი და სიმყუდროვეა. მაგიდაზე ყვავილების თაიგულია და 2 სანთელი; ლამაზად ალაგებული საწოლის კუთხეში კი მისი ხალათია მიფენილი. როგორც კი სახლის კარს მივხურავთ, ეს წესრიგი და რომანტიკა მაშინვე ქაოსად გადაიქცევა.

— მახო, ფეხმძიმედ ვარ...

პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ მზია მეხუმრებოდა.

— გესმის? ფეხმძიმედ ვარ, 8 თვის მერე პატარა გვეყოლება... რატომ დუმხარ? არ გესმის?

როგორ არ მესმის... შვილი... პატარა... მე უკვე მყავს შვილი... ჩემი დემეტრე...

თავში უამრავი აზრი აირია... დემეტრე უკვე დიდია — 13 წლისაა და გამიგებს... ცხონებული დედაჩემი ცოცხალი რომ იყოს, გამომლანძღავდა... მაგრამ ჩემი მზია? ბავშვი? ახალგაზრდობას ვუბრუნდები... ნინო... წამის მეასედში მისი თვალები წარმოვიდგინე, გარშემო — სიცილის ნაოჭებით, მაგრამ ეს ნაოჭები ახლა „არ იცინოდნენ".

— ნინო, შენთან სალაპარაკო მაქვს... არ ვიცი, როგორ დავიწყო... დემეტრეს მე თვითონ დაველაპარაკები, ის ხომ უკვე დიდია. ჩემთან, სამსახურში... მოკლედ, მე უნდა წავიდე.

— კარგი, რა, მახო... შენ არავის წინაშე ვალდებული არ ხარ, — რატომ ცდილობს, რომ ყველაფერი ხუმრობაში გააატაროს? მშვენივრად ხვდება, სადაც „ვუკაკუნებ". ასე რატომ მექცევა? თავს სულელად მაჩვენებს თუ უნდა, რომ თავი შემაცოდოს? არა, ის სულელი არაა... ღმერთო, მიშველე!

საძინებელში გავდივარ და ჩემოდნის ჩალაგებას ვიწყებ. ნინო ფეხდაფეხ მომყვება. კარის ზღურბლზე დგას და თვალს მადევნებს. არც ისტერიკა და არც ცრემლები... სიმართლე რომ ვთქვა, ურესს ველოდი.

ესეც ასე... ჩემოდანი დერეფანში დგას,

„გაღიპული“. ნინო კი სამზარეულოში ყავას ადუღებს. ვგრძნობ, რომ სადაცაა, ყავა გადმოვა, მე კი გასასვლელი კარისკენ ვიყურები. ახლა თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს — ნინოსთან სალაპარაკოდ რომ ვემზადებოდი, მხნეობისთვის ნახევარი ბოთლი კონიაკი დავლიე. ახლა საჭესთან ვერ დავჯდები. ტაქსი არ გამოვიძახე. ქუჩაში გავალ და ისე გავაჩერებ.

კარი გაიღო. არც კი გამხსენებია, რომ დემეტრე შინ არ იყო. ბავშვი დაბრუნდა.

— მაა, — ჩემოდანს უყურებს, — სადმე მიემგზავრები?

— ჰო... ჰმ... დაახლოებით... მე უნდა წავიდე, ცოტა ხნით... სამუდამოდ... ჰო... ჰმ... დედას გაუფრთხილდი.

ღმერთო ჩემო, ყველაფერს დავთმობდი ქვეყნად, ოღონდ ეს გამოხედვა არ დამეჭირა! სიძულვილი დავინახე მის თვალებში... ღმერთო! შვილო, გაიზრდები და გაუგებ მამას... ღმერთმა ნუ ქნას, რომ შენც ასეთივე სიტუაციაში აღმოჩნდე.

ნინოს დაუთოებული პერანგის სახელოები ავიკაპიწე, ჩემოდანს ხელი დავავლე და კიბეზე დავეშვი. ლიფტი რომ არსებობდა, დამავიწყდა კიდეც, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არაა.

— ჩემო მზია, ახლა შენთან ვარ, ჩემო ლამაზო. ამის მერე სულ შენთან ვიქნები. მოდი, მოეფერე შენს დათუნიას, რომელმაც შენ გამო ყველა მიატოვა...

მზიამ ჩემი „მზითვი“ ჩამომართვა და შინ შეიტანა.

დილით, საბააზანოდან გამოსულმა შხაპის ხმამ გამაღვიძა. ცხვირში შემწვარი კვერცხის სუნი მიღიტინებდა. თავზე ბალიში წავიფარე და მოთმინებით დაველოდე, როდის გამოვიდოდა ნინო საააბაზანოდან და ცხელ, ქაფქაფა ყავას მომართმევდა. ბალიშს ამაცლიდა, მე თავს მოვიმძინარებდი, ის კი დამემუქრებოდა, რომ თუ არ გავიღვიძებდი, ყავას თავზე დამასხამდა. მოიცა! ნინო? ნინო კი არა, დღეიდან მე ახალი ცხოვრება დავიწყე... ზღაპრული მზია და... თუ ბიჭი გვეყოლება, დავითს დავარქმევთ...

აი, შემოვიდა ჩემი მზეთუნახავი... ისეთი ლამაზია, არც კი ვიცი, როგორ მივმართო... რომელი ალერსიანი სახელი მოვიგონო მისთვის...

— მალხაზ, გაიღვიძე? დილა მშვიდობის, — სველი შემომიწვა ლოგინში...

მორჩა, დილის თათბირზე დამაგვიანდა...

მეორე დღიდან მე უფრო ადრე ვიღვიძებდი, ვიდრე ჩემი წვიმისფერთვალებიანი მზია. მას ხომ გამოძინება და სიმშვიდე ესაჭიროებოდა? უკვე მეორე თვეა, ის მუცლით ჩემს შვილს ატარებს. სალათა, ომლეტი, ნატურალური წვენი (ვნერვიულობ, წვენსაწურის ხმაურმა არ გააღვიძოს).

— კარგი, რა, მახო, მე ხომ მინერალური წყალი გთხოვე? თანაც — ყინულიანი. ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრო? — ისევ კაპრიზობს. მუდამ ასეა, მაგრამ ვპატიობ. არც სამსახურში სიარულს ვაძალებ, მისი საქმეც მე შევითავსე. ვერა და ვერ ვაიძულე, ქალთა კონსულტაციაში მისულიყო და გამოკვლევა ჩაეტარებინა. მახსოვს, ნინო წარამარა დარბოდა ექიმთან. როგორც კი თავს ოდნავ შეუძლოდ იგრძნობდა, მაშინვე ხელს ჩამჭიდებდა და ექიმთან გავრბოდით. თუ ვერ მოვიცლიდი, თვითონ, მარტო გარბოდა... სულელი...

ვიცი, რომ ის კართან, იატაკზე ზის, მუხლებზე ხელები აქვს შემოხვეული და ტირის... ცხვირსა და ცრემლებს საკიდზე ჩამოკონწიალებული დემეტრეს შარფით იწმენდს...

— ნინო, სადარბაზოში ცივა, გავიყინე...

წამოვიდგინე, რომ მის გვერდით დემეტრე დგას და სწორედ ისეთი სიძულვილით სავსე მზერით უყურებს კარს, როგორც მე მიყურებდა მაშინ... მან პატიება ვერ შეძლო. ერთხელაც არ დაუ-

ჩემს სხეულს სხვა ქალის სურნელი ასდიოდა... ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სურნელი...

მზია ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა. როგორც იქნა, აღრიცხვაზე დადგა. ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობს. მხოლოდ ერთ რამეზე ნერვიულობს — ბავშვს კანონიერი მამა სჭირდება. რა თქმა უნდა, ვეთანხმები ჩემს ჭკვიან მზიას, მაგრამ გაყრის პროცესზე ნინოსთვის თვალებში შეხედვის მრცხვენია. რაც მოსახდენია, მოხდეს!

II ნაწილი

— ჰო, ეკა, ყველაფერი კარგადაა, ჰო, ფეხმძიმედ ვარ... ის? არაფერი... წინა კვირას თავის ძროხასთან განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. ჰო, დავქორწინდებით. როდის უნდა გავაჩინო? გეგმის მიხედვით, 1 კვირის შემდეგ მუცელი უნდა მომეშალოს. ექიმს უკვე მოველაპარაკე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა. შემდეგ კი რეაბილიტაციის კურსი უნდა გავიარო. ევროპაში მინდა გამგზავრება. ერთი პატარა და მყუდრო სასტუმრო უკვე შევარჩიე. კარგი, რა�ა... მახო არაა ის ტიპი, რომ ასეთ წვრილმანებს გამოეკიდოს. საიდან უნდა გაიგოს, რომ იქ სამკურნალოდ კი არა, დასასვენებლად მივდივარ? რომ დავბრუნდები, მერე თავისი მოადგილის ადგილს შემომთავაზებს. ვის გადავცე მოკითხვა? ნუ იცინი, ჩემს ქუჩაზე ახლა გაზაფხულია და ნუ გავიწდება... აბა, კარგად, შენც გისურვებ წარმატებებს...

— მზია, მობილური შინ დამრჩა, არ შემახსენე და აგერ, ხედავ? მაგიდაზე დევს... გასაღებიც დამრჩა... და... და... კიდევ კარგი, კარი ღია დარჩენილა... უფრო სწორად, ცუდია, რომ კარი ღია დარჩენილა...

— მახო, შენ სხვანაირად გაიგე ყველაფერი...

— მართალი ხარ, ჩემო ჭკვიანო მზიკუნია, მე თავიდანვე არასწორად გავიგე ყველაფერი...

— ნინო, ნინიკო, ნიიი, შემომიშვი, გთხოვ...

რეკავს ჩემთვის და არც ჩემს ზარებს პასუხობდა...

— საყვარელო, ვიცი, რომ ძალიან გაგაბრაზე, გიღალატე. კარი გამიღე, მეჩხუბე, გამლანძღე, გამთათხე, თუ გინდა, ტაფით მცემე, ოღონდ შინ შემომიშვი. ნუ დუმხარ, გთხოვ...

ვიცი, ვიცი, საყვარელო, რომ შენ თავიდანვე ყველაფერს ხვდებოდი. შინ გვიან ვბრუნდებოდი, ყოველ საღამოს თათბირებს ვიმიზეზებდი, „მივლინებებშიც“ დავდიოდი... ასეთი რამ სხვა დროს არ ხდებოდა... ჩაფიქრებული დავდიოდი და ბედნიერი ღიმილისგან პირი ღამის ყურებამდე მქონდა გახეული. ჩემს სხეულს სხვა ქალის სურნელი ასდიოდა... ახალგაზრდა, ლამაზი ქალის სურნელი... შენ კი დუმდი. თვალებით მუდამ რაღაცას მეკითხებოდი. ასეთ დროს მზერა უსაზღვროდ სევდიანი გიხდებოდა. სად პოულობდი ძალას საიმისოდ, რომ დილით სამსახურში ღიმილით გაგეცილებინე: „მახო, გასაღები მიგაქვს? მობილური?“ მკოცნიდი კიდეც გასვლის წინ... მე კი თვალს გარიდებდი... შენ კი ვითომ ვერაფერს ხვდებოდი.

— ნინო, მე უშენოდ ცხოვრება არ მინდა. დავიღუპები უშენოდ! მორჩა! თავს მოვიკლავ! აი, ახლა ჰალსტუხი კარის სახელურს გამოვაბი და უკან-უკან მივდივარ... მორჩა! ვიხრჩობი!

— სულელო, ეს ხერხი მაშინ გამოგადგა, როცა ჩემთან მოხვედი, ცოლობა რომ გეთხოვა, კი შინ მარტო ვიყავი და კარი არ გაგიღე. გგონია, ახლაც გიშველის? არავითარ შემთხვევაში, ამ ანკესს აღარ წამოვეგები! შემოდი, სულელო, შემოდი, — კარი ოდნავ გამოაღო და ჭრილში ცრემლიანი თვალებით გამოიხედა.

— მიყვარხარ, ჩემო ნინიკელა, — ხელში ავიტაცე ჩემი საყვარელი ქალი.

— მეც მიყვარხარ, — მკლავები კისერზე შემომხვია და ცრემლი ჩემი თეთრი პერანგის მხარზე შეიწმინდა.

■

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“, №14-27

სალიმ ხელები სახეზე აიფარა.

— ჩემი საცოდავი გოგონა! — მარინამ ძმისშვილი გულში ჩაიკრა. — რა უთქმელი ხარ, შვილო... რატომ არაფერი მითხარი? ვაკომ იცის? ღმერთო, როგორ გაუხარდება! აი, ვინ ოცნებობდა ყოველთვის შვილების ყოლაზე!

„შეიძლება, ოცნებობდა კიდეც, მაგრამ არა ჩემგან!“ — დანანებით გაიფიქრა სალიმ, ხმამაღლა კი თქვა.

— არ მინდა, მან ეს ამბავი გაიგოს, მამი... ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ მინდა. — გოგონა რაც შეიძლებოდა, მშვიდად საუბრობდა.

— მაგრამ შენ ვალდებული ხარ, უთხრა, სალომე, ასე როგორ შეიძლება! ბავშვი ხომ არ ხარ, ასეთი რამე დამალო! — დატუქსა მამიდამ. — მას აქვს ამის უფლება. და საერთოდ, რაზე ფიქრობ? მართალია, სულაც არ არის აუცილებელი, ნაჩქარევად მიიღო გათხოვების გადაწყვეტილება, მაგრამ ამ შემთხვევაში დუმილი დანაშაულის ტოლფასია. კარგად ვიცნობ თანამედროვე ახალგაზრდობას, ერთი სული აქვთ, ოღონდ გათხოვდნენ და სხვას არაფერს აქცევენ ყურადღებას, მაგრამ ვაკო ასეთი სულაც არ არის. ის არც ბავშვია და არც იმ ასაკშია, დაუფიქრებლად გადადგას ასეთი სერიოზული ნაბიჯი. თქვენი გადასაწყვეტია, რას იზამთ და როგორ მოიქცევით, მაგრამ ეს არ უნდა დაუმალო. კატეგორიულად მოვითხოვ, ახლავე ჩააყენო საქმის კურსში! დაურეკე და უთხარი, საყვარელო. შენ თავად დარწმუნდები, როგორ გაუხარდება. წარმომიდგენია მისი რეაქცია. ზუსტად ვიცი, ის ყველაზე ბედნიერი მამა იქნება დედამიწის ზურგზე.

— არ გაუხარდება, — თავისთვის ჩაიდუდღუნა სალიმ და მამიდას მზერა აარიდა, — იმან კი არა... შენ უნდა გაიგო ერთი რაღაც... ვიცი, გული გეტკინება, მაგრამ სხვა გზა არ მრჩება, უნდა გითხრა...

— რა მოხდა, სიხარულო? კიდევ არის რამე პრობლემა? დროზე მითხარი, თორემ გამისკდა გული!

— ძალიან გთხოვ, არ ინერვიულო... გემუდარები, რასაც ახლა გეტყვი, გულთან ახლოს ნუ მიიტან... ჩემი აზრით, ახლა როგორც არის, ჯობია, ყველაფერი ისე დარჩეს.

— მითხარი, რა გაქვს სათქმელი, ნუ მაწვალებ! — გაფითრებული ქალი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და მკლავი საზურგეს ჩამოაყრდნო.

— სინამდვილეში მე და ვაკო არ შევრიგებულვართ... უბრალოდ, შენს მოსაჩვენებლად გავითამაშეთ ეს ყველაფერი...

წამით მარინა ადგილზე გაქვავდა, ისედაც ფერმკრთალს, მთლად დაეკარგა ფერი, მიტკალივით გაუხდა სახე. სალომეს შეეშინდა. მიხვდა, რომ ძალიან ბევრი წამოსცდა და ძალიან მოულოდნელად. ის იყო, თავისი სიტყვები უკან უნდა წაეღო, რომ ქალი მხრებში გაიმართა და თავი ამაყად ასწია.

— რა მითხარი?

— უბრალოდ... — გოგონამ საჭირო სიტყვებს დაუწყო ძებნა.

— ესე იგი, თქვენ სპექტაკლი გაითამაშეთ, არა? ჩემს მეტი გასამასხარავებელი ვერავინ ნახეთ? ახლა ყველაფერი გასაგებია. რაღაც-რაღაცები მეც არ მომწონდა, მახსოვს ასეთი მომენტებიც... ვგრძნობდი, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ... რაში დაგჭირდათ ამის გაკეთება?.. იქნებ ამიხსნა, სალო, რატომ ჩაიდინეთ ეს?

სალომე თავდახრილი იჯდა და ხმას არ იღებდა. მარინამ შეამჩნია, როგორ უცახცახებდა ძმისშვილს მხრები. შეეცოდა ობლობაში გაზრდილი გოგონა, თან შეეშინდა, ნერვიულობით მუცელი არ მოეშალოსო და ტონი შეარბილა.

— არა უშავს, ის ყველაფერი წარსულში დარჩა, შვილო. ახლა ეს არ არის მთავარი. დღეს ყველაფერი შეიცვალა ანუ მთავარი ისაა, რომ მოსახდენი მოხდა. ეს არის საუკეთესო, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო. მორჩა, ვაკოს სიჯიუტე დამთავრებულია, მერწმუნე. როცა ის ამ ამბავს გაიგებს, უკან ვეღარ დაიხევს, საყვარელო, გესმის? აი, ნახავ, ყველაფერი რა კარგად იქნება, — მარინამ თავი აუწია გოგონას და თვალებში ჩახედა, — განა შენ არ გიყვარს იგი? მე ვიცი, რომ გიყვარს...

— არ ვიცი... არ ვიცი, მამიდა.

— რა თქმა უნდა, გიყვარს! საკუთარი თვალით მაქვს ეს ნანახი. სახე გქონდა წაშლილი, როცა იჩხუბეთ, ადამიანს არ ჰგავდი.

— ეგ... ეგ მხოლოდ მისი სიტყვების გამო. მან ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა, რომლის ატანა შეუძლებელი იყო. ძალიან ცუდად მომექცა, ამის პატიება? არ ვიცი...

— რას ლაპარაკობ! შეცდომა ვის არ მოსვლია, სიხარულო?! მე, მაგალითად, არც გავამტყუნებდი. შენც იმავეს არ ფიქრობ? მაგრამ მერე? მე ხომ ავუხსენი ყველაფერი, ხომ ვუთხარი, რომ შენ მასზე არაფერი იცოდი? განა მას შემდეგ არ შეიცვალა მისი შენდამი დამოკიდებულება? არ მითხრა ახლა, ისევ ისე მექცევაო! ჩემი აზრით, ახლა აზრი შეიცვალა!

სალომემ თავი გადააქნია.

— სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა, მამიდა, სულ არაფერი. იგი დარწმუნებულია, რომ მე მისი ცოლობა მხოლოდ მისი სიმდიდრის გამო მინდოდა. მისი გადარწმუნება, მგონი, შეუძლებელია. ვერავინ დააჯერებს, რომ ასე არ არის. არადა, მისი ფული მართლა არაფერში მჭირდება... და არც ის მჭირდება არაფერში. ცოლად არავითარ შემთხვევაში არ გავყვები, სულ რომ მუხლებზე დამიჩოქოს. გამორიცხულია!

— და მზად ხარ, შენი ბედნიერება რაღაც სისულელის გამო გაანადგურო?

— ეს სისულელე არ არის.

— რა მნიშვნელობა აქვს, რას დაარქმევ? ახირებას, სისულელეს თუ ვარაუდს? ერთი უბრალო გაუგებრობაა და მეტი არაფერი! — აღშფოთდა მარინა. — რას უპირებ იმ ადამიანს? რას ჰქვია, არ გაჰყვები! შენ აწი აღარავინ შეგეკითხება!

— ეგ უკვე მეტისმეტია, მამი!

— ჯერ მე მომისმინე! მეტისმეტს არასდროს გეტყვი! ვიცი, რასაც ვლაპარაკობ! მხოლოდ შენს თავზე რომ ფიქრობ, იმ ბიჭს რას უპირებ? მას რომ უყვარხარ, ეს თუ იცი? არ გაქვს უფლება, ასე მოექცე! ეს უსამართლობა იქნება, საყვარელო!

— როგორ ცდები, რომ იცოდე... შეიძლება, ადრე ვუყვარდი... ან არ ვუყვარდი, რა ვიცი, მაგრამ ახლა რომ ნამდვილად არ ვუყვარვარ და ვეზიზღები, ამას აშკარად ვხედავ. ბრმა ხომ არ ვარ, ასეთი რამ გამომეპაროს? თვალის დასანახავად ვერ მიტანს.

მარინამ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— ამბობენ, ნამდვილი ბრმა ის არის, ვისაც დანახვა არ სურსო. სალომე, ჩემო ერთადერთო სიხარულო, დამიჯერე, რასაც გეუბნები. მას ძალიან უყვარხარ. შეიძლება, ვერ აცნობიერებს ამას, მაგრამ მე ვგრძნობ. ხომ იცი, კაცი ჩემს თვალებს ვერაფერს გამოაპარებს.

მიუხედავად მამიდის შეგონებისა, სალი მაინც ჯიუტად იდგა თავისაზე. კარგა ხანს იკამათეს, მაგრამ მარინამ მაინც ვერ დაითანხმა ძმისშვილი, ვაკოსთვის ეთქვა თავისი ორსულობის შესახებ. ქალი მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს და მის დათანხმებას მთელი ძალისხმევით ცდილობდა.

— ეს აუცილებელია, დამიჯერე. უნდა უთხრა, გასაგებია? და თუ შენ არ აპირებს ამის თქმას, მე ვეტყვი. გპირდები!

სალომემ ამოიკვნესა.

— არავითარ შემთხვევაში! ამას არ გააკეთებ, მამიდა! შენ არ გაქვს ამის უფლება. ეს ბავშვი მე მეკუთვნის და ჩემი გადასაწყვეტია, ვის ვეტყვი და ვის — არა! არ მინდა, მან ეს ამბავი გაიგოს და ვერც გაიგებს, რადგან ასე მინდა!

მარინა მიხვდა, კამათს აზრი არ ჰქონდა და დანებების ნიშნად ხელები ასწია.

— კარგი, როგორც იტყვი, — მშვიდად წარმოთქვა, — შენ გაიმარჯვე, — და ხმადაბლა დაამატა, — მხოლოდ დროებით.

მაგრამ სალომე რისი სალომე იყო, მამიდის სიტყვები დაეჯერებინა, მით უმეტეს, გულის სიღრმეში თავადაც გრძნობდა, რომ ქალი მართალი იყო. ვაკოს უნდა სცოდნოდა მისი ორსულობის ამბავი, მას მართლა ჰქონდა ამის უფლება. ბოლოს და ბოლოს, ბავშვის მამა იყო, სხვა თუ არაფერი.

ღმერთო, როგორ არ უნდოდა, როგორ არ უნდოდა! რა იმედები ჰქონდა, რა გეგმები! ახლა აზრი დაკარგა მოსკოვში გაქცევის იდეამ. ეს იქამდე უნდა გაეკეთებინა, სანამ მარინა რამეს გაიგებდა. მაგრამ თავადაც რომ გვიან მიხვდა? მშვიდი ორსულობა მაინც ჰქონოდა და ეს ტოქსიკოზი არ დამატებოდა! მაშინ ხომ ვერაფერს გაიგებდა მისი გამზრდელი?

იმ საღამოს, თითქოს გულმა უგრძნო, მოულოდნელად ვაკო გამოჩნდა. თითქოს ვიღაცამ უამბო მათი საუბრის შესახებო, უცნაურად აათვალიერა გოგონა და ცივი სალამი ესროლა, მარინას კი გადაეხვია, გადაკოცნა და თბილადაც მოიკითხა. მისი გამოჩენით გახარებული ქალი აღტაცებით ალაპარაკდა.

— რომ იცოდე, როგორ მასიამოვნე, ვაკო, შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე! სად დაგვეკარგე? სალომემ ძალიან მოიწყინა და მეც. რამდენი დღეა, ერთად არ ყოფილხართ. სამსახურში ხომ მშვიდობაა? რატომ არ ჩანდი?

— მშვიდობაა, მარი, მშვიდობა. უბრალოდ, ვერ მოვიცალე და ეგ იყო. შენ ხომ კარგად ხარ?

— რა მიჭირს, ვარ ძველებურად. ყოველდღე უკეთ და უკეთ ვგრძნობ თავს. აი, ჩემი გოგონა კი რაღაც არ მომწონს ბოლო ხანებში. ისეთი სევდიანია, ისეთი, ისეთი, რომ...

— გეყოფა, მამიდა! სულაც არ ვარ სევდიანი! — გააწყვეტინა სალიმ.

— როგორ არ ხარ, შვილო. ძალიან შეიცვალე. გგონია, ვერ ვხედავ? ვაკო, იქნებ სადმე წაგეყვანა, გენაცვალე, ცოტა ჰაერზე გავიდეს, თორემ მთლად გაუყვითლდა სახე.

— კი ბატონო, რა პრობლემაა, თუკი მოისურვებს... — მამაკაცმა მხრები აიჩეჩა.

— რას მიქვია, მოისურვებს! აბა, რას იზამს! ის კი არა, მეც სიამოვნებით გამოგყვებოდით, რომ არა...

— წამოდი, მარი, შენზე უკეთესს ვის გავასეირნებ, მაგაზე დაგზარდები? — სასიამოვნოდ გაიცინა ვაკომ.

— ვერ მოგართვით, ახალგაზრდებო! დღეს თქვენთვის სწორედ რომ არ მცალია! ამაღამ ისეთი ფილმი გადის მესამე არხზე, რომ არ ვუყურო, გავგიჟდები.

— რა ფილმია ამისთანა?

— „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“... ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი სურათია. რამდენი ხანია, არ უჩვენებიათ. ძლივს მეღირსა. ამის გამოტოვება იქნება?

— ჰოო... როგორ გითხრა... შენ უკეთ იცი, რაც უნდა გააკეთო, მინიშნება მიღებულია, — ეშმაკურად ჩაიღიმა მამაკაცმა, — აბა, რა ვქნათ, სალი? რა ვუყოთ ჩვენს მეთაურს? დავტოვოთ სახლში?

გოგონა ვერ ახერხებდა აფორიაქების დამალვას და ეს ხმაშიც შეეტყო.

— როგორც ყოველთვის, ქალბატონი მეთაური არჩევანის საშუალებას არ გვიტოვებს, — ძლივს წარმოთქვა ნერწყვგამშრალმა.

— ივახშმე უკვე? — ძალიან შინაურულად და რბილად ჰკითხა ვაკომ, რამაც ძალზე გააოცა სალომე. ერთი

წუთის წინ ისეთი მტრული მზერით უყურებდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, ასე უეცრად რომ „გალმობიერდა“.

— ჯერ არა.

— ესე იგი, სავახშმოდ მივდივართ. შენი გაიტანე, მარი და მე ეს მომწონს. ოღონდ იცოდე, თუკი უჩვენოდ მოიწყენ, ჩვენ არ დაგვაბრალო! — საჩვენებელი თითი ხუმრობით აათამაშა მამაკაცმა.

— თქვენ ოღონდ წადით და მე ვიცი, მოვიწყენ თუ მოვილხენ! პირობას

გაძლევთ, საყვედურს არც ერთს არ გეტყვით, — გადაიკისკისა მარინამ და თავი უკან გადახარა.

მანქანაში ჩასხდნენ თუ არა, სალომე უარესად ანერვიულდა. ზუსტად იცოდა, რა პასუხსაც გასცემდა მამაკაცი,

თუკი ფეხმძიმობის ამბავს შეატყობინებდა. ამის გაფიქრებაც კი თავზარს სცემდა. იქნებ მოიცადოს და როცა ვახშამი დასრულდება, მერე უთხრას? წინასწარ რატომ უნდა ჩაიშხამოს საღამო? მაგრამ ასე უარესი რომ აღმოჩნდეს? მერე არ დაუწყოს, რატომ მაშინვე არ მითხარი, გინდოდა, დრო გეტარებინაო? რაც იქნება, იქნება. ჯერ მაინც არ ეტყვის. დილიდან ლუკმა არ ჩასვლია პირში. შიმშილით კვდება, თან გულიც არ ერევა. ამიტომ ჯობია, ჯერ კარგად ივახშმოს და სათქმელი მერე უთხრას. მაინც ცუდად დამთავრდება საღამო და რაღა ახლავე გაიხეთქოს გული? ნერვიულობა მერეც ეყოფა. ამის გაფიქრებაზე ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ... სულ რამდენიმე წუთით, რადგან ვაკომ ისეთი რამ უთხრა, ნამდვილი შოკი მიიღო.

— რატომღაც, რესტორნის ხასიათზე არ ვარ, ამიტომ გადავწყვიტე, სახლში ჩემთან წავიდეთ.

— შენთან? — სალის სუნთქვა შეეკრა.

— ჰო. რა იყო, რამე არ მოგწონს?

რა ჩაიფიქრა? უნდა, რომ ისევ აცდუნოს? ხელები სიმწრით მომუშტა, რაც შეიძლებოდა, ძლიერად ჩააჭირა ფრჩხილები ხელისგულს, მაგრამ მეორე წამს, თითქოს რაღაც მოაფიქრდაო, ნიშნის მოგებით ჩაიღიმა. „არა მგონია, ჩემი შეცდენის ხასიათზე დადგეს, როცა ახალ ამბავს შეიტყობს. სექსის კი არა, ჭამის მადაც დაეკარგება“.

როცა სახლში შევიდნენ, სალომეს გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა. სასტუმრო ოთახში, პატარა მაგიდაზე, ორ ადამიანზე ლამაზი სუფრა იყო გაშლილი. გოგონა მიხვდა, რომ ვაკომ ყველაფერი წინასწარ დაგეგმა და გზაში არ მიუღია აქ ვახშმობის გადაწყვეტილება.

— ეს რას ნიშნავს? — წარბები შეყარა სალომემ.

ვაკომ მხრები აიჩეჩა.

— ეს ჩემი მოსამსახურის პატარა ყურადღების შედეგია. რამდენი დღეა, მარინა მთხოვს, სადმე დაგპატიჟო. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, მრავალფეროვნებისთვის, ამჯერად ჩემს ოჯახში გაგმასპინძლებოდი.

სალომესთვის ძნელი დასაჯერებელი იყო, მამიდას ამგვარი რამ გაეკეთებინა, მით უმეტეს, დილანდელი საუბრის შემდეგ.

— მამიდაჩემი შეშფოთებული იყო, ბოლო დროს ერთმანეთს საერთოდ არ ხვდებით და ეს ერთობ მანერვიულებსო. რატომ მატყუებ? მას არ უხსენებია, რომ შენ დაგირეკა...

ვაკომ ჩაახველა.

— მერე რა უპასუხე?

— რომ ძალიან დაკავებული ხარ და ჩემთვის არ გცალია.

— მაშინ კარგი მიქნია, რომ მოვედი. იმედია, ზედმეტად არ განერვიულდა.

— შენ ჩემს შეკითხვას არ უპასუხე...

— რომელ შეკითხვას?

— გკითხე, რატომ მატყუებ-მეთქი...

— მოდი, ეს შეკითხვა ჯერჯერობით პასუხის გარეშე დავტოვოთ, კარგი? შენ ის მითხარი, მამიდა ზედმეტად ხომ არ განერვიულდა?

— არა მგონია.

— ჰოდა, მშვენიერია. მაშინ, მოდი, ვივახშმოთ, თან მომიყევი, რას საქმიანობდი ბოლო დღეების განმავლობაში, — მან გალანტურად გამოსწია სკამი და როცა გოგონა დაჯდა, ნაზად ჩამოუსვა მკლავებზე თითები.

— არა მგონია, ეს შენ საერთოდ გაინტერესებდეს, — ირონიულად შენიშნა სალომ და იქვე დაამატა, — ჩემთვის ისევე ძნელია შენთან შეხვედრა, როგორც შენთვის.

ყველაზე რთული ის იყო სალომესთვის, საიდან დაეწყო საუბარი ბავშვის შესახებ. იქნებ თავს ძალა დაატანოს და ეგრევე მოხსნას გუდას პირი? მოხდეს, რაც მოსახდენია, რისთვის გააჭიანუროს? ჯანდაბას შიმშილის თავი! ან იქნებ, აჯობებს, შორიდან მოუაროს და მინიშნებებით მივიდეს მთავარ სათქმელამდე?

— გამოდის, შენ ჩვენს შეხვედრებს როგორც მძიმე ვალდებულებას, ისე აღიქვამ? ასე უყურებ ჩვენს ურთიერთობას? — ჰკითხა მამაკაცმა და დაჟინებით ჩააშტერდა თვალებში.

— ჩვენი ურთიერთობაც და შეხვედრებიც შენ გახადე ასეთი.

სალის ასეთმა პასუხმა მასში სინდისის ქენჯნა სულაც არ გამოიწვია.

— ვიმედოვნებ, მარინას თანდასწრებით არ ავლენ ჩემ მიმართ შენს ნამდვილ გრძნობას და ასეთი ტონით არ ლაპარაკობ ჩემზე.

სალიმ ჩაიცინა.

— მამიდას ჰგონია, რომ ჩვენ ვგიჟდებით ერთმანეთზე.

— ჭკვიანი გოგო ხარ, მომწონხარ ასეთი... რას დალევ?

— „კოკა-კოლას“.

— ალკოჰოლიანი არაფერი გინდა? — ვაკოს გაკვირვება გამოესახა სახეზე.

— არა, გმადლობ, მხოლოდ გაზიანი.

— ცოტა კონიაკი?

— მეტი არაფერი მინდა, დიდი მადლობა. თუ არ გაქვს, არც ეგაა პრობლემა, ცივ წყალსაც დავჯერდები.

— მაქვს, დაწყნარდი, — უპასუხა მამაკაცმა, მაცივარი გამოაღო და „კოკა-კოლას“ ბოთლი გამოიღო.

— რატომ არ სვამ? გეშინია, არ დაგათრო და ამით არ ვისარგებლო? — თან „კოკა-კოლას“ უსხამდა, თან ვაკო თვალს არ აშორებდა.

— გინდა მითხრა, რომ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა? — კითხვა შეუბრუნა სალიმ და თვალი თვალში გაუყარა.

დაე, იფიქროს, რომ ამის გამო არ სვამს. კმაყოფილმა ცხელი ხაჭაპური გადაიღო და გემრიელად ჩაკბიჩა. ლუკმა გადაყლაპული არ ჰქონდა, რომ მოულოდნელად ვაკო ალაპარაკდა.

— შენში რაღაც შეიცვალა, სალი. სულ ვცდილობ, მივხვდე, რა, მაგრამ... — მამაკაცი ნელა დაიხარა და ქალს გამომცდელად შეაჩერდა სახეში.

გოგონას გულმა ბაგაბუგი ატეხა. მას მოგვიანებით სურდა ამ თემაზე საუბრის წამოწყება, ცოტა მოგვიანებით და არა ახლა...

— იქნებ თმა გაქვს სხვანაირად? თითქოს უფრო რბილი გაგიხდა, აბრეშუმივით ბზინავს. აი, ლოყები კი ძალიან გაგიფერმკრთალდა...

ეს რა არის, ერთი მკერდი ნახოს ახლა! როგორ გაეზარდა და გაუმაგრდა! იმედია, ეს არ მოხვდება თვალში.

— იმიტომ, რომ გარეთ როცა გავდივარ, ყოველთვის შლაპა მახურ-

ავს და სათვალე მიკეთია. სახეზე მზის სხივი თითქმის არ მხვდება, — იმართლა თავი.

— ჰო, ალბათ ამის ბრალია... — ეჭვნარევი ხმით დაეთანხმა ვაკო და თავადაც გადაიღო ხაჭაპურის მოზრდილი ნაჭერი.

სალომეს, სამწუხაროდ, ჭამის მადა დაეკარგა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ნერვიულობდა.

— არ მოგეწონა ხაჭაპური?

— რა? — გოგონამ შეხედა და დაინახა, რომ მამაკაცი კვლავ გამომცდელად მისჩერებოდა.

— არ მოგეწონა-მეთქი? რატომ შეწყვიტე ჭამა? გინდა, სხვა რამე გავაკეთებინო ქალბატონ ჯულიეტას? არ მოგერიდოს, ის ჯერ აქ არის და...

— არა, არა, რას ამბობ! — შეშფოთდა სალი. — უგემრიელესი ხაჭაპურია.

— აბა, რა ხდება? რაშია საქმე, თუ არა ხაჭაპურში?

— ჩემში, — სიტყვა მისდა უნებურად გაექცა.

— შენში? ეს რას ნიშნავს? — ვაკომაც შეწყვიტა ჭამა, ნაჭერი თეფშზე დადო და თითები ერთმანეთში ჩახლართა, თითქოს მოსასმენად მოემზადაო.

— არ მშია, თანაც, საღამოობით ძალიან ცოტას ვჭამ, მით უმეტეს, ცომეულს ვერიდები, — „გამოასწორა“ შეცდომა.

მამაკაცმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამბობდა, შენი არ მჯერაო.

— რა ხდება, სალი? მთელი საღამო ისე იქცევი, თითქოს ნემსებზე იჯდე!

სალომეს ოფლმა დაასხა. მძიმედ ასწია ქუთუთოები, ჯერ ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც ღამის ბინდი პირქუშად შემოსცქეროდა, მერე მზერა საყვარელ ადამიანზე გადაიტანა. რატომ არ უნდა უთხრას ახლავე? რაღას ელოდება? მაინც ისეთ ხასიათზეა, ღუკმა არ გადაუვა ყელში. რას კარგავს? არც არაფერს...

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა, ჰაერი რაც შეიძლებოდა, ხარბად შეისრუტა და სათქმელად მოემზადა. ვაკო კვლავ დაჟინებით მისჩერებოდა, გამომცდელად, მკაცრად... „მგონი, ხვდება, რაც უნდა ვუთხრა“, — გაიფიქრა სალიმ.

— ორსულად ვარ, — სიტყვები ძალიან ადვილად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოსწყდა მის ბაგეებს, თან ისე ხმამაღლა და ისე გამომწვევად, თავადაც არ მოელოდა.

დაამთავრა თუ არა სათქმელი, სუნთქვა შეიკრა და გარდაუვალი აფეთქების მოლოდინში ერთიანად დაიძაბა... მაგრამ როცა ვაკო ალაპარაკდა, მისი ხმა იმდენად მშვიდი იყო, ძლივს ისმოდა.

— ორსულად ხარ?

— უკვე გითხარი.

— ბავშვს ელოდები?

— ჰო.

— ჩემგან?

— ჰო! — მეორე „ჰო“ პირველს არ ჰგავდა... გოგონამ იგრძნო, როგორ ახტუნავდა გული, თითქოს ბუდიდან გადმოვარდნას ცდილობსო... „ახლა იყვირებს...“ — გაიფიქრა და საშინელების მოლოდინში გაირინდა... დიდხანს დასჭირდა ლოდინი....

— მეძავი ხარ!..

ამის გაგონებაზე სალომე მთელი სხეულით უკან გადაქანდა, თითქოს მუშტი დაარტყესო. მკერდში აუტანელი ტკივილი იგრძნო და ხელები უაზროდ აიქნია ჰაერში, თითქოს შემოტევას იგერიებსო.

ვაკო ისეთი სისწრაფით წამოიჭრა ფეხზე, რომ მისი სკამი საშინელი ხმაურით წაიქცა.

— შენ ეს ყველაფერი ჩემს გასამწარებლად მოაწყვე, აფერისტო! ინტრიგანო! შენ ხომ ქალი არა ხარ! იცოდი, რომ მეტჯერ აღარ გაგიმეორებდი, ცოლად გამომყევი-მეთქი! შენი ეს...

— ნუ ხმაურობ, თუ შეიძლება! — ჩუმად შეაწყვეტინა სალიმ. — სულაც არ ვაპირებდი შენთვის ამის თქმას, თუ ძალიან გაინტერესებს. უბრალოდ, მამიდამ არ მომცა საშველი, გინდა თუ არა, უთხარიო. მან მაიძულა, საქმის კურსში ჩამეყენებინე, თორემ ცხოვრებაში ვერასდროს ვერაფერს გაიგებდი ამ ბავშვის შესახებ, — კბილებშუა გამოცრა გოგონამ და მამაკაცს ზიზღით სავსე მზერა მიაპყრო.

სალისაც უნდოდა, წამომდგარიყო და სილა გაეწნა ამ საზიზღარი კაცისთვის, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. ისე უკანკალებდა სხეული, ოდნავ რომ გარხეულიყო, ვაკოს სკამივით იატაკზე მოადენდა ზღართანს.

მამაკაცს თვალები რისხვით ანთებოდა. იგი მაგიდას ორივე ხელით ჩააფრინდა, მძლავრად დაეყრდნო მკლავებს, გოგონასკენ გადაიხარა და ისე ახლოს მიუტანა სახე სახესთან, რომ სალომეს მისი წამწამების სათითაოდ დათვლაც კი შეეძლო.

— და შენ ელოდები, რომ მე ამას დავიჯერებ? — დამცინავად ესროლა. — გგონია, არ ვიცი, რომ შენ...

— სწორედ ასეთ რეაქციას ველოდი შენგან, — დაღლილი ხმით გააწყვეტინა სალიმ და გამჭოლი მზერა მიაპყრო, — ვიცოდი, რასაც იფიქრებდი. შენი ყველა სიტყვა ძალიან ნაცნობია ჩემთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუსტად ასე დამადანაშაულებდი ამ ყველაფერში. აღტაცებას ვერ ვმალავ! მაღალი დონის წინასწარმეტყველი ყოფილხარ!

— შენ? განა შენ ნაკლები ხარ? — იყვირა ვაკომ, თან ყინულივით ცივი მზერით მისჩერებოდა.

სალომეს მხოლოდ ერთი რამ უნდოდა — რაც შეიძლებოდა, დროზე გასცლოდა იქაურობას. მისი ბრალდებების მოსმენა მეტად აღარ შეეძლო. რადგან მას ჰგონია, რომ სალიმ ყველაფერი წინასწარ გათვალა, მის გადარწმუნებას ვერაფრით შეძლებს, თუნდაც მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება მას მიუძღვნას.

— იცი, რას გეტყვი? არც ისეთი სულელი ვარ, ვიფიქრო ისეთი მამაკაცის „დათრევაზე“, რომელსაც სიმართლე საერთოდ არ აინტერესებს და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოაქვს განაჩენი, — მთელი ხმით იყვირა უეცრად და მისდა გასაოცრად, თავისუფლად წამოიჭრა ფეხზე, — ჩემი ბრალია! ვიცოდი, რომ მამიდაჩემისთვის არ უნდა დამეჯერებინა. ახლავე წამიყვანე სახლში!

— ღრუბლებში ნუ დაფრინავთ, ქალბატონო. სახლში მაშინ წაგიყვანთ, როცა თავად მოვისურვებ ამას და არც ერთი წუთით ადრე!

ესეც შენ, სალომე! ხედავ, რა თბილი შეხვედრა მოგიწყო შენმა სანუკვარმა მამაკაცმა? ამის გაფიქრებაზე გული მოუკვდა. რა თქმა უნდა, ელოდა, რომ მოვლენები ასე განვითარდებოდა, თუმცა ახლა ის უფრო აწუხებდა, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხლა-შემოხლა.

— მაგრამ რაღა უნდა ვაკეთო აქ? შენ ხომ უკვე დააფიქსირე შენი რეაქცია, ხომ ყველაფერი მითხარი, რა საჭირო ვარ?

მამაკაცმა სიძულვილით სავსე თვალებით შეხედა.

— რატომ უნდა დარჩე? არ იცი, რატომ? იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამის გარკვევა მოგვიწევს. ახლა გასაგებია?

— ჩვენ სალაპარაკო არაფერი გვაქვს, ვაკო, — სალიმ გამომწვევად გამოსწია წინ ნიკაპი, მის მზერას თვალი გაუსწორა და გააგრძელა, — მე მოსკოვში ვბრუნდები და შენ არაფერში მჭირდები. ვფიქრობ, შენთვისაც გასაგებია, რაც გითხარი.

— ჯანდაბამდე გზა გქონია! — დაიხრიალა მამაკაცმა, ორი ნახტომით ქალს წინ აესვეტა და ხელები მისი ყელისკენ გაიწვდინა.

სალომე შიშმა აიტანა. თავის თავს არ დაეძებდა, ასეთ ყოფას მართლაც სიკვდილი ერჩივნა, მაგრამ ბავშვი? თუ მას გაგუდავდა ვაკო, ბავშვიც ხომ დაიღუპებოდა?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

ანამ აკანკალებული ხელით აიღო ტესტი და დახედა. შვებით ამოისუნთქა. ცოტა ხნით აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო და დაფიქრდა. შემდეგ თავი გააქნია და კიდევ რამდენიმე ტესტს თავი წაახია. სარკის წინ ჩამოარიგა თანამიმდევრობით, თვითონ სარკის წინ დადგა, დოინჯი შემოირტყა და მოთმინებით დაელოდა, როდის გავიდოდა 3 წუთი. ახლა გაცილებით მშვიდად გამოიყურებოდა. აღარ ღელავდა. საათს დახედა, შემდეგ — ტესტებს და ერთმანეთის მიყოლებით ნაგვის ყუთში ჩაუძახა. „ესეც ასე... არ მიყვარს გაურკვევლობა. ახლა ყველაფერი ნათელია. რადგან ორსულად არ ვარ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩაფიქრებული მქონდა“.

— ანა, შენი მობილური გაგიუდა, ვიღაც გამწარებით რეკავს, — ფიქრი ნინოს ხმამ გააწყვეტინა.

ანა თავის ოთახში გავიდა და მობილურს უპასუხა.

— ვანიკო ვარ, — რაღაცნაირი ხმით უთხრა მამაკაცმა. თითქოს არ იყო დარწმუნებული, რომ ვისთანაც რეკავდა, სწორედ იმასთან მოხვდა.

— გიცანი, როგორ ხარ? რამ გაგახსენა ჩემი თავი? კიდევ ინტერვიუ ხომ არ გინდა?

— არა, საქმე მაქვს და თუ მოახერხებთ, შევხვდეთ, ტელეფონში ვერ გეტყვით.

— კარგი, ხვალ, თავისუფალი დრო დილის საათებში მაქვს.

— ხვალ შესაძლოა, გვიან იყოს, დღეს უნდა შევხვდეთ, — ისეთი ტონით უთხრა ჟურნალისტმა, რომ ანა მაშინვე დათანხმდა.

ციცოს ბუზღუნისთვის ყურადღება არ მიუქცევია, — შინ ერთხელ მოვიდა ადრე და ახლაც სადღაც მიდისო, რომ ჩაილაპარაკა და კარი ისე გაიხურა, არც დაუბარებია, დაბრუნდებოდა თუ არა.

ვანო დათქმულ ადგილზე ელოდა. ანამ ჯერ იფიქრა, იქვე, თავის მანქანაში ელაპარაკათ, მაგრამ მამაკაცმა ანიშნა, გადასულიყო. სკვერში, მერხზე ჩამოსხდნენ.

— შესაძლოა, არ გესიამოვნოთ, რასაც ახლა გეტყვით, — დაიწყო ვანომ.

— მესიამოვნება თუ არა, ალბათ მე მეხება, რაც უნდა მითხრა და ამიტომ, ჯობია, პირდაპირ თქვა.

— ანა... ქალბატონო ანა... 1 კვირის წინ ერთი ადამიანი დამიკავშირდა და იმ სტატიის შესახებ მკითხა, რომელიც თქვენ შესახებ გამოვაქვეყნე.

— მერე? — ანას გული აუფრიალდა, თითქოს შეეშინდა.

— მერე ის, რომ დაწვრილებით გამომკითხა, მაშინ რა ვნახე, რა ურთიერთობა გაქვთ ირაკლისთან, თქვენი წარსულითაც დაინტერესდა. მკითხა, როგორი ურთიერთობა გაქვსო. ვუთხარი, ამ სტატიის გამო კი ვიჩხუბეთ, მაგრამ მერე შევრიგდით და ახლა „ნელთბილად“ ვართმეთქი. იმის შესახებ არაფერი მითქვამს, ლომბარდიდან ჩემი მანქანა რომ დაიხსენით.

— თუ ინტუიცია არ მღალატობს, ეს ადამიანი სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომელი უნდა იყოს, — ანამ ეჭვი ვახო საბლიანზე აიღო.

— დიახ, სწორად მიხვდით.

— კიდევ რა გკითხა?

— ბევრი რამ, მაგრამ მე ისედაც მწირი ინფორმაცია მაქვს თქვენზე, რაც ვიცოდი, ისიც არ მითქვამს. ბოლოს მთხოვა, თუ შეგიძლია, ინფორმაციები მომიგროვე მასზე და გულუხვად დაგასაჩუქრებო. ვკითხე, თქვენი პროფესიის ადამიანს ეგ არ გაუჭირდება და მე რატომ მავალებთ მაგ საქმეს-მეთქი?

— რაო, რა თქვა? — ვერ მოითმინა ანამ.

— ამას შენ უფრო კარგად მოახერხებ, დაუკავშირდი, ვითომ ინტერვიუ გინდა, შეხვდი, რაღაცები გამოჰკითხე, შემდეგ ეცადე, დაუახლოვდე და თუ საჭირო იქნება, უკანაც უნდა აედევნო, უთვალთვალო და ყველაფერი შეიტყოო.

— ჰმ, უყურე შენ! რატომ გადაწყვიტე, ეს ყველაფერი ჩემთვის გეთქვა? ორმაგ თამაშს ხომ არ თამაშობ?

— ხომ გაგიგონიათ, მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო? მე თქვენ მიერ გაკეთებული სიკეთე არ დამვიწყნია. ვიცი, ეგ ფული რომ შემოგთავაზოთ, მაინც არ გამომართმევთ, წინდახედული ქალი ხართ, ანა... ან უბრალოდ, კარგი ინტუიცია გაქვთ და წინასწარ შეგიძლიათ, გათვალოთ მომავალი და თადარიგსაც იჭერთ. ფაქტია, რომ ჩემთვის გაწეული დახმარების საფასურად ახლა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეთ.

— მე ისედაც ვხვდებოდი, რომ ეგ კაცი ასე ბრმად არ მენდობოდა. მისი პროფესიის ადამიანები ეჭვიანები არიან და ინფორმაციის გადამოწმება უყვართ. მით უმეტეს, რომ ჩემ შესახებ არც ისე ბევრი რამ იცის; ჩემი წარსულიც ბუნდოვანია მისთვის.

— მე რა გავაკეთო? უნდა მითხრათ, რა „ზღაპარი“ მოვუყვე.

— ვანო, ხომ იცი, გულდაწყვეტილს არ დაგტოვებ, თუ მართლა ჩემს მხარეზე ხარ. თუ მივხვდი, რომ ორმაგ თამაშს თამაშობ და ორივე მხრიდან გამორჩენას ელი, იცოდე, რომ საქმე ცუდად წაგივა. არაფერს ვამბობ შენს კარიერაზე, რომელიც თავზე დაგენგრევა...

— ანა, მუქარა საჭირო არაა, ჩემი იმედი გქონდეთ... ახლა, მე და თქვენ აქ რომ ვსაუბრობთ, შესაძლოა, ვინმე გვითვალთვალებდეს კიდეც, რადგან ვუთხარი, რომ დღეს საღამოს უნდა შეგხვედროდით. სასურველია, ახლა დიქტოფონი ამოვიღო და თქვენთან ინტერვიუ ჩავწერო.

— არავითარ შემთხვევაში, — მაინც არ ენდო ანა, — უთხარი, რომ ინტერვიუზე ვერ დამითანხმე. ისე, შეგიძლია, მოუყვე ჩემ შესახებ, რომ მყავდა ერთდაერთი ქმარი, კალდერონ ბელტრანი, რომელიც ამერიკელი იყო და მოკლეს. ამის შემდეგ მე გავხდი მისი კანონიერი მემკვიდრე და მისი ბიზნესის ერთპიროვნული მფლობელი და მმართველი. მაქვს ბიზნესი საქართველოშიც, რომელსაც მოკლე ხანში გავაჩუქებ ჩემს დაზე. მე კი, თუ გათხოვება გადავწყვიტე, მხოლოდ და მხოლოდ ვახო საბლიანს გავყვები ცოლად და ვეცდები, მასთან ტკბილი და თბილი ოჯახი შევქმნა. ეს ბოლო წინადადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მისთვის და კარგად დაიმახსოვრე, — თვალი ჩაუკრა ანამ, — მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— ირაკლისთან დაკავშირებით რა ვუთხრა?

— ეგ შენი გაფუჭებული საქმეა. მაშინ რომ ქვეყნისთვის არ მოგედო ჩვენი ურთიერთობის შესახებ, ახლა არც ვახოს გაუჩნდებოდა კითხვები მაგასთან დაკავშირებით. შენ ხომ იცი, რომ ჩემსა და ირაკლის შორის არაფერი ყოფილა? — მზერა გაუსწორა ქალმა.

— კი, ვიცი.

— ჰოდა, ეგ უნდა უთხრა. ირაკლი ბათუმში გავიცანი, მან ჩემი გულის მოგება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მასთან რამდენჯერმე პაემანზე ვიყავი, ეს კი შენ შენი სტატიისთვის გამოიყენე და სკანდალი ატეხე. ხომ ასე იყო?

— კი, ნამდვილად ასე იყო.

— ჰოდა, მგონი, ამოვწურეთ ყველა

საკითხი. წავალ ახლა, გვიანია უკვე. თუ ისეთი რამე გკითხოს, რაზეც პასუხი არ გექნება, უთხარი, მაგას უახლოეს დღეებში დავადგენ-თქო.

— კარგი, — თავი დაუქნია ვანომ.

ანა ჟურნალისტს დაემშვიდობა და ირაკლისთან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა, ჯერ ცარიელ ქალაქში კარგა ხანს იბორიალა. საჭესთან მჯდომი გაცილებით უკეთ ფიქრობდა და აზროვნებდა. მომავალ დღეს გეგმავდა. ვახოსთან შეხვედრაზე ფიქრობდა და გული რაღაცნაირად ეწურებოდა, რადგან ვერ გაეგო, ვახომ იყნოსა თუ არა რამე. ეშინოდა, მამაკაცს მისთვის მახე არ დაეგო და თავისსავე ბადეში თავად არ გაბმულიყო. თუმცა, ერთი წამითაც არ უარუყვია ის აზრი, რომ გოჩას საფლავზე დადებულ ფიცს შეასრულებდა.

„ირკლისთან დავრჩები, ზეგ მიემგზავრება, დღეს გავახარებ, მაგრამ ხვალის რეისზე ბილეთს მეც ავიღებ. იქნებ, ერთადაც კი გავემგზავროთ“, — გაიფიქრა და გეზი აეროპორტისკენ აიღო, რადგან ვერაფრით დაადგინა, რომელიმე ავიასალარო იყო თუ არა ღია ღამის 12 საათზე. ბილეთზე პრობლემა არ შეჰქმნია. რამდენიმე წუთში ყველაფერი მოაგვარა, ბილეთი ჩანთაში საიმედოდ ჩადო და უკან გამობრუნდა.

ირაკლისთან მისულს ჭიშკარი ჩაკეტილი დახვდა. სახლის გასაღები კი ჰქონდა, მაგრამ ჭიშკარს ვერ გააღებდა, რადგან პულტით იღებოდა. ირაკლის მობილური გამორთული იყო, სახლშიც არ პასუხობდა ტელეფონს. ვერა და ვერ დაუკავშირდა და გადაწყვიტა, ღობეზე გადამძვრალიყო. ძლივს აფორთხდა მაღალ კედელზე და ეზოში ჩახტა. სახლის კარი ღია დახვდა. შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. გაახსენდა, ირაკლიმ რომ უთხრა, ამაღამ ჩემი მეგობრები მოვლენ, ცოტას დავლევთ, წასვლამდე ერთმანეთს ჩავეხუტებითო. იფიქრა, რომ შესაძლოა, მთვრალებს ჩაეძინათ. კარი ფრთხილად შეაღო და კიბეს აუყვა. ყველგან შუქი ენთო. მისაღებ ოთახში საშინელი სურათი დახვდა — სისხლში მოსვრილი მამაკაცი იატაკზე პირქვე ეგდო. ანა მივარდა და ამოაბრუნა. ეს ირაკლი არ იყო. მამაკაცს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ოთახი არეული იყო, ყველაფერი ძირს ეყარა. ჰაერი სიგარეტის სუნით იყო გაჟღენთილი და უცნობი მამაკაცის სახეზე შერჩენილი სისხლი ჯერაც არ შედედებულიყო. როგორც ჩანს, ინციდენტი ახალი მომხდარი იყო. მამაკაცი გულაღმა დააწვინა და გულზე ყური დაადო. გული ოდნავ უცემდა. „ცოცხალია“, — გაიფიქრა და სახეზე დააკვირდა. მასში ნაცნობი ვერ შეიცნო. მაშინვე ტელეფონს მივარდა და „სასწრაფოს“ ნომერი აკრიბა.

— ალო, — უპასუხა ქალმა, — ალო. „სასწრაფო“ გისმენთ, ალო, ალო, — ისმოდა ყურმილში, მაგრამ ანა გაშეშებულივით იდგა და იატაკზე ერთ წერტილს დაშტერებოდა. ტელეფონის ყურმილი ადგილზე დააბრუნა და რამდენიმე ნაბიჯით მაგიდასთან გაჩნდა, დაიხარა და იატაკიდან სანთებელა აიღო.

„ვახო... საბლიანო, სანთებელა დაგრჩენია“, — ჩაილაპარაკა და ტუჩი მოიკვნიტა.

სანთებელას თითი ჩამოკრა და ალს თვალი გაუშტერა. თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო, უეცრად გამოფხიზლდა და ისევ ტელეფონს ეცა.

„სასწრაფოს“ მოლოდინში თვითონ სცადა დაზარალებულისთვის დახმარება გაეწია. ცივი წყალი მოიტანა, ჩვარი მოძებნა, მამაკაცს სხეული შეუმოწმა. ამასობაში თვალები და სახე შეუშუშუბდა. დაჭრილი არ იყო. როგორც ჩანს, მაგრად იყო ნაცემი. როგორც კი მამაკაცს თავი წამოუწია, ცხვირიდან და გახეთქილი ტუჩიდან სისხლმა ხელახლა იფეთქა. ანა იატაკზე მუხლებით იდგა და ცდილობდა, ცივი წყლის საშუალებით მოეყვანა გონზე. ამ დროს შემოსასვლელში ხმაური გაისმა და რამდენიმე წამის შემდეგ თავზე ირაკლი წამოადგა.

— რა ხდება? გიგა, გიგა! — ირაკლი მაშინვე ანას გვერდით გაჩნდა. მას 3 მეგობარი შემოჰყვა. შეშფოთებულმა დახედა. — ეს შენ მოაქციე ასე? — ანას მიუბრუნდა.

— რას ამბობ?! — შეიცხადა ანამ.

— რა მოხდა აქ? „სასწრაფოში“ დავრეკოთ!

— აქ ვართ, უკვე მოვედით, — მისაღებში ექიმი და ექთანი შემოვიდნენ.

როგორც იქნა, გიგა მოასულიერეს, საწოლზე გადაიყვანეს, შუბლსა და ცხვირზე ცივი ტილო დაადეს.

ანას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, ვინ იყო ეს კაცი და როგორ მოხვდა ამ „გაუგებრობაში“. ვიდრე ექიმები დაზარალებულს დასტრიალებდნენ, ირაკლი დაიმარტოხელა და ყველაფერი გამოჰკითხა.

— გიგა ჩემი მეგობარია, საღამოს მოვიდა სტუმრად, მე კი სხვა მეგობრების მოსაყვანად გავედი, თან მაღაზიაში უნდა გამევლო. გიგა მარტო დარჩა. 1 საათის წინ გავედი, დაახლოებით, ამ დროში აქ რა მოხდა, ეგ არ ვიცი.

— როგორც ჩანს, ვიღაცას გიგა შენ ეგონე, — უცებ მიხვდა ანა, ის კი აღარ დაყოლა, რომ ის „ვიღაც“ ვახო საბლიანი იყო.

— უკაცრავად, პაციენტი თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, მაგრამ საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ და საპატრულო პოლიცია გამოვიძახოთ, ვალდებულები ვართ, ასე მოვიქცეთ, — ექიმი ანას და ირაკლის მიუახლოვდა და საუბარი შეაწყვეტინა.

— პოლიციას მე თვითონ გამოვიძახებ, თანაც — ახლავე, — ირაკლიმ მობილურით დარეკა და ვიღაცას სთხოვა, მასთან მისულიყო.

ცოტა ხანში პოლიციის ფორმაში გამოწყობილი 2 მამაკაცი მოვიდა და საქმის ვითარებაში გარკვევა სცადა. ექიმმა გიგას საავადმყოფოში გადაყვანა საჭიროდ მიიჩნია, მაგრამ გიგა სასტიკი წინააღმდეგი იყო და ექიმს ხელწერილი დაუწერა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაზე თავისი ნებით ამბობდა უარს. „სასწრაფოს“ ბრიგადა წავიდა, პოლიციელები დარჩნენ. ანა ღელავდა; არ უნდოდა, ირაკლის პრობლემები შეჰქმნოდა და წასვლაში ხელი შეშლოდა, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ პოლიციელები ირაკლის ძმაკაცები იყვნენ, მაშინვე დამშვიდდა.

რაღა თქმა უნდა, არავითარი აქტი და ოქმი არ შემდგარა. ცოტა ხანს საკარაუდო ვერსიებზე ილაპარაკეს და პოლიციელები წავიდნენ. გიგას სიტყვა ვერ დააცდენინეს იმის შესახებ, რა მოხდა მას შემდეგ, რაც მარტო დარჩა. ანა დარწმუნებული იყო, რომ ეს „მშვენიერი“ საღამო ვახოს „დამსახურება“ იყო. თუმცა, ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

გვიან ღამით, როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და გიგასაც ჩაეძინა, ანა ირაკლის მიუჯდა.

— კიდევ კარგი, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

— გაოგნებული ვარ, ვის უნდა გაეკეთებინა? — ირაკლი ჯერ კიდევ შოკში იყო.

— ალბათ გაირკვევა და დამნაშაე დაისჯება. კიდევ კარგი, რომ ზეგ მიდიხარ.

— გული მწყდება, რომ შენ ჩემთან ერთად არ მოდიხარ, — ირაკლიმ თავზე ხელი გადაუსვა.

— მოვდივარ, — ანამ ჩანთიდან ბილეთი ამოიღო და მამაკაცს გაუწოდა.

— მიხარია, ასე რომ გადაწყვიტე. ერთად წასვლა ჯობია, აღარც მომენატრები, აღარც ვინერვიულებ. იმედია, არ გადაიფიქრებ. შენგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი.

— არ გადავიფიქრებ, თუ ყველაფერი კარგად იქნება, აუცილებლად ერთად წავალთ.

— რა უნდა იყოს კარგად? ნუ მაშინებ, ანა...

— იკა, აუცილებლად ერთად წავალთ, ამის პირობას გაძლევ.

— ქორწილს აღარ ელოდები?

— ვერ დაველოდები, მეც უნდა გავიქცე... შენ კი ალბათ ჯობია, რომ აქედან დილითვე წახვიდე და აღარ დაბრუნდე. ეშმაკს არ სძინავს, ხომ ხედავ, გიგა რა დღეში ჩააგდეს?

— მაგაზე მეც ვიფიქრე, ალბათ ხვალ დილით ჩავბარგდები და წავალ, წამო, დავიძინოთ, — მამაკაცი ადგა და ანას ხელი გაუწოდა.

ქალმა თითები მის თითებს ჩასჭიდა და წამოდგა.

დილა ისე გათენდა, ალერსში გართულებს არც გაუგიათ...

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გამოსამშვიდობებელი ალერსი გვქონდა, — ირაკლი საწოლში წამოჯდა და ანას თვალებში ჩახედა.

— ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე, იქნებ, მართლაც ასეა? — ანა დასევდიანდა.

ვახოსთან მოსალოდნელი შეხვედრა

გაახსენდა და გული დაუმძიმდა. ყველაზე უარესისთვისაც მზად იყო.

— იკა, ჩვენი შეხვედრა აქ ალბათ აღარ შედგება, აეროპორტში შევხვდებით, — ანა წამოდგა და ჩაცმა დაიწყო, — მე წავალ, საქმეს მივხედავ, ბევრი რამ მაქვს მოსასწრები...

— ალბათ, ისიც, რასაც მე არ მიმხელ.

— გპირდები, რომ ყველაფერს ოკეანის გაღმა გაიგებ...

რამდენიმე წუთის შემდეგ ანა სახლისკენ მიქროდა. შხაპი მიიღო, ტანისამოსი გამოიცვალა და ისევ გამობრუნდა. ისე ადრიანი დილა იყო, რომ ჯერ კიდევ ყველას ეძინა.

— ასე უთენია რამ მოგიყვანა, ქალო, გაგიჟდი? — გიორგი თვალებს იფშვნეტდა, — მოდი, მოდი, — დაუპატიჟებელ სტუმარს გზა დაუთმო.

— მარტო ხარ? — ანამ ოთახი მოათვალიერა.

— არა, მარტო არ ვარ.

— ვინ გყავს? ქალია?

— ჰო, — თავი დაუქნია მამაკაცმა.

— გაუშვი! — ანა დივანზე დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თითქმის უბრძანა.

— გაგიჟდი?

— გაუშვი, გიო, ისეთი საქმე მაქვს, მხოლოდ მე და შენ რომ უნდა ვილაპარაკოთ. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ სხვა არავინ გვისმენს.

— გიოოო, ვინაა? — გაწელილი ხმით თქვა ქერა ლამაზმანმა და საძინებლიდან ზმორებით გამოვიდა. ანას დანახვაზე შედგა, სახეზე ჯერ გაოცება გამოესახა, შემდეგ დამცინავი ღიმილი, — დაგაგვიანდა, ლამაზო, დაკავებულია ადგილი, — დამცინავი ხმით უთხრა.

ქალმა აინუნშიც არ ჩააგდო მისი ნათქვამი.

— გაუშვი, — მიუბრუნდა გიოს.

— ქეთი, ჩაიცვი და წადი, — გიოს ქალისკენ არც მიუხედავს, ანას თვალს არ აშორებდა.

ქალი უკმაყოფილო სახით შებრუნდა და ცოტა ხანში კარი დემონსტრაციულად გაიჯახუნა.

— ახლა მარტო ვართ, მითხარი, რა გინდა? — გიორგის მოუთმენლობა შეჰყროდა.

— გიო, მე ვიცი, რომ შენი ნდობა შემიძლია. დღეს ერთ საქმეზე მივდივარ. მხოლოდ შენ გეცოდინება, სად ვიქნები. იმედია, ირაკლისთან არ ჩამიშვებ. იმან ამის შესახებ არ უნდა გაიგოს.

— ნუ მაშინებ, თქვი, რა გინდა.

— დღეს ერთ კაცს ვხვდები. შენ ჩემთან ერთად უნდა იყო.

— მე კაცებს არ ვხვდები.

— ხუმრობის გუნებაზე არ ვარ, სავარაუდოდ, შეხვედრის შემდეგ სასტუმროში გავყვები. შენ უკან უნდა აგვეკიდო და რადაც უნდა დაგიჯდეს, უნდა მოახერხო და იმავე სასტუმროში შემოალწიო. უკიდურეს შემთხვევაში, ქვევით უნდა დამელოდო, ისეთ ადგილზე, სადაც კამერები არ დაგაფიქსირებს. თუ შენი დახმარება დამჭირდება, გვერდით უნდა დამიდგე.

— ეგ ამბავი არ მომწონს, ანა, — დაფიქრებით თქვა მამაკაცმა.

— არც მე მომწონს, მაგრამ ეს აუცილებელია.

— სასტუმროში რატომ მიჰყვები? ვინაა? რა უნდა? ან შენ რა გინდა? ირაკლიმ რომ გაიგოს, ღალატს არ გაპატიებს.

— მიზეზს ნუ მეკითხები. მითხარი, შეგიძლია თუ არა, ჩემი გულისთვის ის გააკეთო, რასაც გთხოვ?

— შემიძლია, — თავი დაუქნია გიორგიმ.

— გმადლობ, ვიცოდი, რომ შენი იმედი უნდა მქონოდა.

— იკა ზეგ მიდის, ხომ?

— კი, ზეგ... ზეგ მივდივართ ან იქნებ, მარტოს მოუწიოს წასვლამ... ვნახოთ, ყველაფერს ბედი გადაწყვეტს, — ანა წამოდგა, გიორგის ლოყაზე აკოცა და უსიტყვოდ დატოვა მისი სახლი.

ამასობაში 9 საათი გამხდარიყო. ანამ ნუგზარს დაავალა, ყველა საჭირო საბუთი გაემზადებინა საამისოდ, რომ ნოტარიუსთან ბიზნესის წილის ჩუქება გაეფორმებინა. ნუგზარს დაემშვიდობა და რამაზს მიადგა.

კარი ანამ გაუღო. გოგონა დედას ჩაეხუტა და შინ შეუძღვა.

რამაზი ღიმილით შეეგება.

— მოხვედი? როგორ ხარ?

— ცოტა არეული ვარ, ამ ბოლო დროს მომხდარი მოვლენების გამო. ცოტა ხნით შემოგირბინეთ, ანას ნახვა მინდოდა.

პატარა ანა დედას კალთაში ჩაუჯდა. ქალი მიეფერა, ჩაიხუტა.

— ანა, იცი, მე ზეგ უნდა გავემგზავრო.

— სად მიდიხარ?

— ამერიკაში მივდივარ, სულ მივდივარ, მაგრამ 2 წელიწადში შენც წაგიყვან. ამის გამო ხომ არ გამიწყრები?

— ასე საქმეს სჭირდება? — დიდი ადამიანივით იკითხა გოგონამ.

— ჰო, საქმეს სჭირდება.

— მაშინ არ გაგიწყრები. მამას ქორწილში არ მოხვალ?

— ვერ მოვალ, ან, აუცილებლად უნდა წავიდე. ხომ იცი, ამქვეყნად რომ ყველაზე მეტად მიყვარხარ. ჰოდა, ასე აუცილებელი რომ არ იყოს, არ წავიდოდი.

— რა ხდება, ანა? — რამაზს გაუკვირდა მოულოდნელი ინფორმაციის გაგონება.

— რამაზ, ასეა საჭირო, მაპატიე... იმედია, ნინოც გამიგებს, — ანა მამაკაცს გადაეხვია და ცრემლი ვერ შეიკავა. ცოტა ხანში პატარა ანასაც გამოემშვიდობა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ბოლოჯერ ხედავდა. კარგა ხანს ჰყავდა გულში ჩაკრული და ბუტბუტებდა:

— მშვიდობით, ნახვამდის, ჩემო პატარავ, სწორედ ახლა მივდივარ, როცა შენთან ერთად უნდა გამეხარა. არ ინერვიულო, ერთად ვიქნებით. ლევანს აუცილებლად დაურეკე ხშირად, არ დაივიწყო. მასაც ძალიან უყვარხარ, — ბოლოს ისეთი ტირილი აუვარდა, რომ ძლივს დამშვიდდა. კიდევ ერთხელ დაემშვიდობა მამა-შვილს და წავიდა.

საბლიანი დუმდა. არადა, უკვე შუადღე იყო. გადაწყვიტა, თვითონ დაერეკა და ის მაინც გაეგო, როგორ გუნებაზე იყო მამაკაცი.

— გისმენ, პატარავ, — ძალზე ალერსიანი ხმა ჰქონდა ვახოს.

— როგორ ხარ? რატომ დაიკარგე? ჩემთან შეხვედრა ხომ არ გადაიფიქრე?

— არა, რას ამბობ, საქმეებს ვაგვარებ, იმედი მაქვს, მოვლენები ისე განვითარდება, როგორც მინდა და შენთან ერთად, 3-4 დღით გადაკარგვას ვაპირებ. ამიტომ, ყველაფერი უნდა მოვასწრო.

— მაშასადამე, საღამოს შევხვდებით?

— აუცილებლად. სად წავიდეთ?

— ეგ მერე გადავწყვიტოთ. ეგაა, ცოტა გვიან მოვიცლი და იმედია, ამის გამო არ გაბრაზდები.

— მაინც, რომელი საათისთვის გეგმავ?

— ალბათ 10-ის შემდეგ.

— მეც მაწყობს, მოვილაპარაკეთ. მაშასადამე, 10 საათზე შენს სახლთან დაგელოდები.

— კარგი, შენი მანქანით წავიდეთ.

— ეგ უკვე იმედის მომცემი სიტყვებია. მითხარი, ანა, ველარ ვითმენ, მაბედნიერებ დღეს?

— კი, დღეს ყველაზე ბედნიერი ადამიანი იქნები დედამიწის ზურგზე, თავისუფალი, ჩიტივით მსუბუქი... ისეთი მსუბუქი, რომ მოგეჩვენება, თითქოს დაფრინავ... თითქოს შენი სული სხეულს გაშორდა და ნირვანას განიცდი...

— გენაცვალე, — ჩურჩულით, ვნებით სავსე ხმით უპასუხა მის სიტყვებს მამაკაცმა, — მოუთმენლად ველი, როდის დადგება ეგ დრო.

ანამ საღამომდე უამრავი საქმე მოასწრო — ნოტარიუსთან მისვლა, ლევანის მონახულება, ნატოსაც კი შეუარა, ცოტა ხანს მასაც ეჭორავა. ისეთი გამომშვიდობების სცენა მოაწყო, მეგობარი ლამის ტირილით მოკვდა.

მოგვიანებით შინ შეირბინა.

— ისევ მიდიხარ? — ტრადიციული კითხვა დასვა ციცომ.

— ჰო, დე, — ანა დედას მოეხვია და გულში ჩაიკრა.

— რა გჭირს? როდის აქეთ გახდი ასეთი სენტიმენტალური? — ოთახში ნინო შემოვიდა. უკან ბელა მოჰყვებოდა.

— უნდა წავიდე. ბილეთი უკვე ავიღე, — ანამ ოჯახის წევრებისთვის თვალის გასწორება ვერ შეძლო.

— სად მიდიხარ? — ციცომ დოინჯი შემოირტყა.

— შინ მივდივარ, დე...

— სად — შინ? სვანეთში?

— არა, ამერიკაში მივდივარ, შინ...

— როდის აქეთ გახდა ამერიკა — „შინ“?

— ახლა უნდა დაგემშვიდობოთ, აბა, ჩამეხუტეთ ყველანი! — ანამ მკლავები გაშალა და ყველა სათითაოდ ჩაიხუტა.

— შენ კი გპირდები, რომ 2 წელიწადში ანასთან ერთად, ჩემთან წაგიყვან, მოვილაპარაკეთ? — დაიხარა და ბელას თვალებში შეხედა.

გოგონამ თავი გულდაწყვეტით დაუქნია.

— მაპატიე, დე, — ციცოს ლოყაზე ჩამოუსვა თითი. მერე ნინოს მიუბრუნდა.

— ეს გიორგის მიეცი, — ხელში თავისი მანქანის გასაღები ჩაუდო.

ეზოდან მანქანის სიგნალი მოესმა. როგორც ჩანს, ვახო მოსულიყო. სახლს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი და კარი გაიხურა.

— კი, მაგრამ ბარგი არ მიგაქვს? — მოესმა ზურგს უკან, მაგრამ აღარ შებრუნებულა.

ეზოში ჩასულმა ავტოფარეხის კარი გააღო და სიბნელეში გაუჩინარდა. სინათლე განგებ არ აანთო. მანქანას მიუახლოვდა, კაპოტზე ხელი ისე დაუტყაპუნა, როგორც ბედაურს, გარშემო შემოუარა, ხელისგულით ეხებოდა და გუნებაში მასაც ემშვიდობებოდა. ბოლოს, კარში ჩადგა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი.

საბლიანი გადასარევ გუნებაზე გახლდათ. ღიღინით დაძრა მანქანა და გეზი დასავლეთისკენ აიღო. ანა გვერდითა სარკეში უკან მომავალ მანქანებს დააკვირდა. გიორგის მანქანა იცნო. საიმედო მეგობარი უკან მოჰყვებოდა. გული მოეცა. ვახოს ხუმრობაში აჰყვა. კარგა ხანს „არაფერზე“ ილაპარაკეს.

— როგორც ვხვდები, დღეს ცოლად მომყვები.

— არა, ცოლობას ვერ შეგპირდები.

— აბა?! — მოულოდნელობისგან მამაკაცმა ფეხი მუხრუჭს მიაჭირა.

— ვახო, მგონია, რომ ვჩქარობთ, ცოტა ხანს იქნებ მხოლოდ ვიმეგობროთ, მერე თუ მივხვდებით, რომ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი, ქორწინებას ვინ დაგვიშლის?

— საყვარლობას მთავაზობ? სწორად გავიგე? — ვახო ყურებს არ უჯერებდა.

— ჰო, სწორად გაიგე.

— მოდი, რამდენიმე დღით დავიკარგოთ სადმე და შემდეგ გადავწყვიტოთ, კარგი?

— კარგი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვახომ მანქანა სასტუმროსთან მიაყენა.

— სად მოვედით? — იკითხა ანამ.

მისი გონება იქით იყო მიმართული, როგორ მოეხერხებინა სავარძლის ქვევიდან იარაღის აღება. ან იქ რომ აღარ დახვედროდა, რა უნდა ექნა? თავს ამაზე იმტვრევდა.

— სასტუმროში, საყვარელო, დამელოდე, მოვალ, — ვახო მანქანიდან გადავიდა და შენობაში გაუჩინარდა.

ანამ მაშინვე სავარძლის ქვეშ მოაფათურა ხელი. როგორც კი ცივ რკინას შეეხო, შვებით ამოისუნთქა. პისტოლეტი გამოაძვრინა, მაგრამ მომცრო ხელჩანთაში არ ჩაეტია. სასწრაფოდ მაყუჩი მოხსნა და ცალ-ცალკე ჩაუძახა. ჩანთიდან თავშალი ამოიღო და თავზე მოიხვია, სათვალე გაიკეთა და ორიოდე წუთში ვახოც გამოჩნდა.

— გადმოდი, — თავით ანიშნა ქალს, — რად გინდა ეს სამასკარადო კოსტიუმი? — თავშალსა და სათვალეზე ანიშნა.

— ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს... ბოლო დროს ჟურნალისტებიც დამდევენ და მოსვენებას არ მაძლევენ, — ვითომ გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა და მანქანიდან გადავიდა.

— ვიცი, შურისმაძიებელ ქალს ნიშნავს.

— ჰოდა, ხომ გაინტერესებდა, რატომ მქონდა ასეთი უცნაური ნომერი?

— შევცდი... მეგონა, არ იცოდი, ვინ ვიყავი, — სიმწრით გაეცინა მამაკაცს.

— თურმე, შენც გცოდნია ჩემი ვინაობა.

— კარგად თამაშობდი, ეჭვიც არ შემპარვია, რომ რასაც ამბობდი, სიმართლე იყო. თუმცა, მეგონა, ზუსტად ვიცოდი,

როცა სისხლის აღების ჟამი დგება, უნდა წარმოიდგინო, როგორ კლავს ეს ადამიანი შენს ახლობელს, ძმას, მამას, შვილს თუ ქმარს და გასროლა არ გაგიჭირდება

ჰოლში თავდახრილმა, სწრაფი ნაბიჯებით გაიარა და მამაკაცს ლიფტში შეჰყვა.

ორიოდე წუთში მეექვსე სართულზე, ერთ-ერთ ოთახში განმარტოვდნენ. ვახო მაშინვე „განიარაღდა“. პისტოლეტი, ხელბორკილები და მობილური ტელეფონი ტუმბოზე დადო, თვითონ საწოლზე ჩამოჯდა.

ანა სააბაზანოში შევიდა და ხელჩანთაც შეიყოლა. პისტოლეტი ამოიღო, მაყუჩი მიახრახნა და ზურგზე, ქამარში გაირჭო. გული ისე უცემდა, ეგონა, ქვეყანას ესმოდა. თვალები ჩაუწითლდა და ხელებიც უკანკალებდა. ჰაერი რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და ოთახში გავიდა.

ვახო ისევ ისე იჯდა საწოლზე და ტელევიზორის პულტს აწვალებდა.

— მოდი ჩემთან, — ანას ვნებიანი მზერით გახედა.

ანა მიუახლოვდა და მამაკაცის გაშლილ ფეხებს შორის ჩადგა.

ვახომ მარჯვენა ხელი წვივზე შეახო და ნელ-ნელა ზევით აცურა. მეორე ხელი წელზე დაადო, ქალი თავისკენ მიიზიდა, ლოყით მუცელზე მიეხუტა და თვალები დახუჭა. ანამ ამით ისარგებლა, უცნაური მოძრაობა გააკეთა, ვახოს ხელი ჰკრა, ამასობაში იარაღი ამოიღო და ლოგინზე ზურგით დავარდნილ მამაკაცს ბრტყელად დაჰკრა თავში. ვახომ დაიგმინა და თვალები აატრიალა. გონდაკარგული მამაკაცი ძლივს მოითრია ქალმა და საწოლზე სწორად დააწვინა. ხელები საწოლის თავის რიკულებს შორის გააყოფინა და თავისივე ბორკილები დაადო. ამასობაში ვახოს გონება დაუბრუნდა. მიხვდა, რომ დაბმული იყო. ანა ფეხებზე ეჯდა და ზემოდან დაჰყურებდა.

— რას აკეთებ? — როგორც იქნა, ენა მოაბრუნა.

— გაინტერესებს, რას ნიშნავს ჩემი მანქანის ნომერზე ამოტვიფრული ULTRIX? რას მატყუებდი. მოგიკლავს კაცი ოდესმე? ვერ შეძლებ!

— შევძლებ! როცა სისხლის აღების ჟამი დგება, უნდა წარმოიდგინო, როგორ კლავს ეს ადამიანი შენს ახლობელს, ძმას, მამას, შვილს თუ ქმარს და გასროლა არ გაგიჭირდება, — გოჩას ნათქვამი გაუმეორა ანამ და იარაღი შუბლზე დაადო.

— ახლა გაიხსენე, როგორ გამოჰკარი თითი სასხლეტს მაშინ, როცა გოჩას ესროლე. ალბათ ასე, არა?

ვახომ იარაღს თვალი ააყოლა და მზერა ანას საჩვენებელ თითზე შეაჩერა. სწორედ ამ დროს გამოჰკრა სასხლეტს ანამ. ყრუ ხმა გაისმა. მიჯრით ნასროლი ჭრილობიდან სისხლს არ გაუსხამს. უკვე სუნთქვაშეწყვეტილ მამაკაცს სისხლი საფეთქლებზე ჩამოედინა. ვახო მთელი სხეულით მოეშვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ანამ თავი მოიწესრიგა, იარაღი ჩანთაში ჩააბრუნა და ქუჩაში გავიდა. გარეთ გიორგის მანქანა იდგა. ქალი მისკენ წავიდა. გიორგის ვერ გაეგო, რა უნდა გაეკეთებინა. მხოლოდ ქალის შეშლილ სახეს უყურებდა და კითხვის დასმასაც ვერ ბედავდა...

ანამ მძღოლის მხარეს კარი გამოაღო და თავით ანიშნა, გვერდზე გადადიო. საჭეს თვითონ მიუჯდა. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მანქანა გააჩერა.

— გიორგი, მანქანა მჭირდება, გთხოვ, ტაქსით დაბრუნდი და ნინოს დაურეკე, შენთვის რაღაც მაქვს დატოვებული.

გიორგი უხმოდ გადავიდა, ანამ კი გეზი სვანეთისკენ აიღო. მთელი ღამე იარა. გამთენიისას ეკლესიის ეზოში შევიდა. მოძღვარი შეშას ჩეხდა. ხმაურზე მოიხედა...

— ანა?!

— აღსარება უნდა ჩაგაბარო, მამაო, როგორც შეგპირდი...

დასასრული

მარი ჯაფარიძე

მოგესალმებით „ცხელი“ და „ადუღებული“ თბილისიდან. საქმე ის გახლავთ, რომ კარგა ხანია, შესავალზე ვფიქრობ და თავში მარტო ის აზრები მომდის, რომელიც სიცხესთანაა დაკავშირებული. აღარ მინდა ამის გამო წუწუნი. გამარჯობის მაგივრად ყველა ამას ამბობს — „აუჰ, როგორ ცხელა?“ ჰოდა, მეც ასე ხომ არ მოგესალმებით? ახლა მდინარეში ფეხების ჩაყოფას და ტყიდან მონაბერი ნიავისთვის შუბლის მიშვერას რა ჯობია (ცურვა არ ვიცი და...)? მაგრამ როცა პერსპექტივაში მხოლოდ მტკვარი და აბაზანა არსებობს, სხვა რა გზაა? კომპიუტერთან უნდა დაჯდე, ფეხები ცივი წყლით სავსე ტაშტში ჩაყო, შუბლი ვენტილატორიდან მონაბერ ცხელ ქარს მიუშვირო და „გზავნილები“ წერო. აბა, ვნახოთ, რა გამოვიდა...

„დედიკოს ბიჭი“

მარი, პირველად გწერ და ამიტომ არ მაქვს ილუზია, რომ დამიბეჭდავ. 15 წლის ვიყავი, მე და ზურას ერთმანეთი რომ მოგვეწონა. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით და მშობლები არაფერს გვიშლიდნენ. მალე მოწონება ნამდვილ გრძნობაში გადაიზარდა. ერთად კარგად ვგრძნობდით თავს, სიყვარულიც უამრავჯერ ამიხსნა, მაგრამ ერთი უბედურება მჭირს — არ შემიძლია, ბიჭს ვუთხრა, რომ მიყვარს, თუნდაც ვგიჟდებოდე მასზე. ის მშვიდად იტანდა ჩემს დუმილს. ერთხელ დასასვენებლად ვიყავი, როცა მესიჯი მომივიდა — „ვიცი, გიყვარვარ და თავს რატომ იფასებ?“ ამ სიტყვებმა შემშალა. თან იმ დროს სხვა პრობლემაც მქონდა და ისეთი რამ მივწერე, რასაც დღემდე ვნანობ. პატარა ვიყავი და ვერ განვსაზღვრე, ამას რა მოჰყვებოდა. ის გამებუტა, არ მაპატია. ახლა უკვე 19 წლის ვარ და მწარედ მახსენდება ის დღე, როცა ჩემი პირველი სიყვარული დავკარგე... მას უკვე საცოლე ჰყავს და მალე ქორწილი ექნება. თუ „გზავნილებს“ კითხულობს, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ვწუხვარ იმ სიტყვების გამო და ბედნიერებას ვუსურვებ. მე ჯერ მისი შემცვლელი ვერ ვიპოვე. იმედია, გამიმართლებს და მისთვის გულისტკენის გამო არ დავისჯები. მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ“.

სიყვარული და ტყუილი

„12 წელი გათხოვილი ვიყავი, თავი უბედნიერესი ქალი მეგონა, რადგან ქმარს ვუყვარდი და ვამაყობდი ამით. გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ, ჩემი მეუღლე დაიჭირეს. მას 10 წელი ველოდე, ბავშვი მამასთან თითქმის ყოველ კვირას მიმყავდა და რამდენიმე დღით ვრჩებოდით კოლონიაში. მე ჩავუნერგე მამის სიყვარული. როცა ჩემი ქმარი ციხიდან გამოვიდა, ძველ საქმიანობას მიჰყო ხელი. არადა, მპირდებოდა, რომ ყველაფერს თავს დაანებებდა. დავიღალე სკანდალებით, ჩხუბით და გადავწყვიტე, გავშორებოდი. აღარ მჯეროდა ბედნიერების, მამაკაცის და აღარც ის მინ-

ლამარას ამბები ანუ საიმედო მესაიდუმლე

დოდა, რომ ვინმე გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში. კარგი სამსახური ვიშოვე, შვილს არაფერს ვაკლებ და თავს ბედნიერად ვგრძნობ. ასე გავატარე 5 წელი და აი, გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში მამაკაცი, რომელიც შემიყვარდა. მართლა შემიყვარდა, პატივს მცემს; ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ, მაფასებს, ჩემთან ყოფნა მოსწონს. ურთიერთობა ისე ავაწყვეთ, რომ ბევრს შეშურდება კიდეც. ჩემი შვილის გამო გათხოვებას არ ვაპირებ და ამაზეც მორიგებული ვართ; ძმაკაცურადაც ვართ, ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. ბოლო დროს კი ვგრძნობ, რომ მატყუებს, მეუბნება, კობასთან ვარ სიხარულო, ტელეფონი აქ არ იჭერს და თუ გამეთიშება, არ ინერვიულოო. მეორედ იყო უკვე ასეთი შემთხვევა. არ მინდა, შევამოწმო და შევზღუდო; დარწმუნებული ვარ, რომ მატყუებს. თვითონ უარყოფს: შენ შემდეგ ვის შევხედავ, გალმერთებ, მიყვარხარო. ყველა მისმა ახლობელმა იცის ჩემი არსებობის შესახებ და მეუბნებიან, გაუმართლა, შენ რომ შეგხვდაო. ისიც ამაყობს ჩემით, მაგრამ მაინც... იქნებ გამაგებინოთ, რაშია საქმე? ნუთუ, ვცდები? ეს მაწუხებს. მირჩიეთ რამე, დავიბენი“...

ცუდი მოგონება

„ყველაზე ცუდ მოგონებად, ჩემი ბავშვობის ნებისმიერი დღე შემიძლია დაგისახელოთ. ის სიდუხჭირის პერიოდი ალბათ ყველას ახსოვს, როცა ტალონებით ხელში, პურის რიგში ვიდექით საათობით და ერთმანეთს ვხოცავდით. ჰოდა, იმ პერიოდში მამა ბაზარში წიგნებს ყიდდა. სახლიდან ჩემი საყვარელი წიგნები გაჰქონდა და ამით არჩენდა ოჯახს. ხშირად მესიზმრება, როგორ მოგვყავს მე და დედას მთვრალი მამა, მხარზე აკიდებული ან როგორ ვეძებთ მას სხვადასხვა ადგილას. დიახ, ასე იყო. ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ ის დღეები ცუდად მახსოვს. მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი. :(არა, არ ვწუწუნებ, არც თავს ვაცოდებ ვინმეს, პიროვნულად გამაძლიერა წარსულმა, მაგრამ ხანდახან, როცა ვამბობ, მე ბავშვობა არ მქონია-მეთქი, დედის განაწყენებულ, დახრილ თვალებს ვაწყდები. უსკო!“.

ლამარა

„ჩემი მეზობელი ლამარას ამბავს მოგიყვებით: ერთხელ მისმა ქმარმა შესაკეთებლად ტუალეტს კარი მოხსნა. ლამარა ბაზარში იყო წასული. ცოტა ხანში, მის ქმარს კაცებმა მოაკითხეს, დავლიოთო და ისე გამოთვრა, კარი სულ გადაავიწყდა. საღამოს ლამარა რომ დაბრუნდა, პირველად ტუალეტს ეცა. ძალიან უჭირდა, მაგრამ კარი რომ არ დახვდა, გამობრუნდა და საბძელში შევარდა. ამასობაში კი გაეპარა. გაბრაზებულმა და ჩასველებულმა ქმარს უსაყვედურა, შენ გამო შევრცხვი, ტუალეტს კარი რატომ მოხსენიო. ქმარმა კი იცით, რა უთხრა? — შე ქალო, პირი იქეთ გექნა და უკანალით ვინ მიხვდებოდა, მე ვიყავი თუ შენო? გერასიმე“.

საახალწლო

„2007 წლის 31 დეკემბრის ღამეს, შეყვარებულთან ერთად უნდა გავპარულიყავი და ცოლად გავყოლოდი, მაგრამ რამდენიმე საათით ადრე მომწერა: „უნდა დავშორდეთ, ჩვენს ურთიერთობას გამართლება არ აქვს“. არაფერი ამიხსნა, ასე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დამშორდა. მერე გავიგე, რომ დედამისი ყოფილა ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მდიდარი სარძლო ჰყოლია უკვე შერჩეული. მოგვიანებით, ეს თვითონაც დამიდასტურა. ამ ზაფხულს ვნახე და მითხრა, ისევ შენ მიყვარხარ, მაგრამ დედაჩემს ვერ შევეწინააღმდეგებიო. ეს დღე ყოველთვის ცუდ მოგონებად დამრჩება და ყოველი ახალი წელი, ამ დღეს შემახსენებს. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად გწერთ. იმედია, დამიბეჭდავთ. მარ, მეც მინდა „გზავნილებში“, რა?! „დედიკოს ბიჭი“ თუ წაიკითხავს, მიხვდება, ვინც ვარ. ისტერიჩკა“.

საიმედო მესაიდუმლე

„სოფლის განაპირას ერთი უზნეო ქალი ცხოვრობდა. ქმარი საგიჟეთში ჰყავდა გამოკეტილი და 3 პატარა შვილს ზრდიდა, მაგრამ არავის ერიდებოდა, „ყირაზე“ გადადიოდა მაინც. დაღამდებოდა თუ არა, რიგის მიხედვით მიდიოდნენ მასთან კუროები. ამბობდნენ, მთელი უბნის ბიჭები მაგ ქალზე არიან „დავაჟკაცებულიო“. ამ დალიასთან ერთი „სტარიკა“ მეზობელი მურთაზაც დაძვრებოდა, თურმე. ჰოდა, ერთ დღესაც, მორიგი „ვიზიტის“ შემდეგ, როცა „თვალებდაწმენდილი“ მურთაზა ღობიდან გადაბობღდა და ის იყო, მდინარის არხს ქურდულად უნდა ჩაჰყოლოდა, რომ უეცრად სოფლის ყველაზე ჭორიკანა მეწისქვილე მიშას შეეფეთა (მოგვიანებით სოფელში ამბობდნენ, მურთაზამ პაპისეული ვენახი აჩუქა მიშას, საიდუმლოს შენახვაშიო). ერთი სიტყვით, მიშამ პირი ამოიკერა იმ დღეს, ქრთამის სანაცვლოდ. თუმცა, ერთ ავბედით დღეს მაინც გამოსჭრა ყელი საწყალ მურთაზას. ზამთარი იყო, წისქვილში რამდენიმე კაცი შეიკრიბა, არყით შეხურდნენ და სამუსაიფოც გაეხსნათ. ერთს უთქვამს — მოდი, ბიჭებო, ჩვენი ძველი „გრეხები“ გავიხსენოთ ვაჟკაცურადო. მეორემ მეწისქვილე დაგესლა, თურმე — არა, თუ ძმა ხარ, არაფერი თქვათ, ხომ იცი, მიშამ თუ რამე გაიგო, მთელმა რაიონმა იცის მერეო. მიშას ეწყინა და თავისი „გულუბრყვილობით“ თავი იმართლა — ნუ იკბინები შენ, ნუგზარია ამოსაგდებო, მიდი ერთი და ჰკითხე მურთაზას, ერთი თვის წინ რომ დალიას ეზოში წავუსწარი, თუ დამცდენია ჯერ კრინტი ვინმესთანო. სიცილმა შეარყია წისქვილის ჭერი. კაცების ხარხარზე გამოფხიზლდა მიშა, მიხვდა, თურმე მეზობლის საიდუმლო რომ „წამოაჩერჩეტა“ ამოსაგდები ენით და თავზარი დაეცა. ვაი, რა ვენახი დავკარგეო, — ჩაილუღლუღა და გაშლილი ხელი იტაკა მელოტ შუბლში. ჰო, მართლა, ვენახიც დაკარგა „ვაიმესაიდუმლემ“ და ერთი კვირა სახლიდან ვერ გამოდიოდა. მოსაკლავად დასდევდა შერცხვენილი მურთაზა“.

ძუნწი და ღუმელი

„მეზობელი მყავდა, ღმერთო არ მიწყინო, მაგრამ მეტისმეტად ძუნწი. ისეთი, თოვლიან ზამთარში თოვლს რომ არ გასესხებდა. ერთხელაც ამ ჩემს მეზობელს მეორე მეზობელი ქალი ესტუმრა. მასპინძელი სუფრას შლიდა და ხაჭაპურს დებდა მაგიდაზე. ჰოდა, როგორც კი სტუმრის ხმა გაიგო, ხაჭაპური საჩქაროდ შეაწყო შეშის ღუმლის „დუხოვკაში“. გაუტკბა სტუმარს ჭორები, დაიწყო და აღარ ამთავრებს, ზის ტახტზე ლუარსაბის დარეჯანასავით და აზრადაც არ მოსდის სახლში წასვლა. არადა, „ფეჩი“ ღუღუნებს, ხაჭაპურს უკვე „სცხელა“, მაგრამ არ ემეტება მასპინძელს, რომ აჭამოს უდროო დროს თავზე დამდგარ სტუმარს. დრო კი გადის და ხაჭაპურმაც შეავსო ოთახი სურნელით. არ მიდის სტუმარი, ან როგორ წავა, მუშტისოდენა ნერწყვს ყლაპავს. მასპინძელი უკვე ნერვიულობს. არ დაადგა საშველი და აბოლდა და რას აბოლდა ღუმელი?! ჩაიწვ-ჩაიბუგა ჩემი მეზობლის სტუმრისთვის ვერგამეტებული ხაჭაპური. ასე გასცა ღუმელმა მიბარებული საიდუმლო“.

ნიღბიანი საქმრო

„ამ საიდუმლოს უკვე 4 თვეზე მეტია, გულით ვატარებ, სინდისი მქენჯნის და თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ არ შემიძლია ამის თქმა.

წინა ზაფხულის ერთ დღეს, მე და ნინი გვიან ღამით ვბრუნდებოდით სახლში ბათუმის ბულვარიდან. ნახევარი გზა გავლილი გვქონდა, 3 ნიღბიანი ტიპი გადაგვიდგა წინ. შეგვეშინდა, მაგრამ შიშს ცნობისმოყვარეობამ სძლია. გულმა არ მომითმინა და ერთს ნიღაბი ჩამოვგლიჯე. ნინის სახეზე ხელი ააფარეს, მე კი სამუდამოდ ჩამებეჭდა გონებაში მისი მწვანე თვალები. ყველაფერი წაიღეს, რაც გვქონდა და უკანმოუხედავად გაიქცნენ. მე კი პატარა ჭრილობა დამიტოვეს, რათა არასოდეს დამვიწყებოდა ის წყეული დღე. ცოტა ხანში ნინიმ მითხრა, რომ ბიჭი გაიცნო და ხვდებოდნენ ერთმანეთს. ერთ დღეს კი გამომიცხადა, დღეს დათოს ვხვდები და თუ გინდა, გაგაცნობო. სიხარულით გავუყევით „პორტო ფრანკოსაკენ“ მიმავალ გზას. შესასვლელთან მდგარ ბიჭში ნაცნობი მწვანე თვალები ამოვიცანი. შევცბუნდი, როდესაც ნინიმ სწორედ ის გამაცნო, როგორც თავისი საქმრო და მერე ისიც მითხრეს, რომ მალე დაქორწინდებოდნენ. თავზარდაცემულმა ხმა ვერ ამოვიღე, ბრაზილიურ სერიალში მეგონა თავი. მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა და ჩავვარდნილიყავი. მანაც მიცნო, მაგრამ არ შეიმჩნია, არც მე მითქვამს რამე. ნინისა და დათოს შეხვედრები კი გრძელდებოდა. ერთხელ დათომ დამიმარ-

ტოხელა და დამემუქრა, ნინის მოვკლავ, თუ რამეს ეტყვიო. ისინი უკვე დანიშნულები არიან, მე კი არ შემიძლია, გავცე „მწვანე თვალები“ და საუკეთესო დაქალი ვიხსნა მოსალოდნელი ტანჯვისგან. გული მერევა და სული მიგუბდება, ყოველ მის დანახვაზე. ნეტავ, საერთოდ არ მენახა მისი სახე, ახლა ხომ ასე არ დავიტანჯებოდი. ვიკა“.

მთხოვნელების რიგი

„მოულოდნელი გაბედნიერების მცდელობის სცენარი: დღევანდელი დღე ჩემთვის ჩვეულებრივ დაიწყო. როგორც ყოველთვის, დედამ დამირეკა და გაიმართა ჩვეული დიალოგი — „ქალბატონო, ადგომას არ ინებებ?“ — „კარგი, რა, დე, ცოტაც მაცალე“, — „აშენდა, გოგო, ქვეყანა, იქნებ მთხოვნელები მოდიან, საწოლში უნდა დახვდე?“ — ამ ფრაზას ჩემი ირონიული ჩაცინება მოჰყვა. ვიცი, ეს არ მოხდება, მთელი ჩემი სანათესაოს დიდი სურვილის მიუხედავად (შინაბერა ვარ, 24 წლის, ეს ზომიერად ფერხორციანი და მოწიფული გოგო) და უდარდელად ვიცვალე მხარი, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, ზუსტად დღეს მოხდა სასწაული და ჩვენი ეზოს კარს მთხოვნელები მოადგნენ. ჰოდა, რას გეუბნებოდით — „მოსატანი მოეტანათ, გო, შავი ღაკი ტუფლები, თავი თეთრი ნასკებითა...“ მთლად ასეც არ იყო, მაგრამ დაპირება ბევრი დატოვეს. ჰოდა, მეც ის გოგო ვარ, დაპირებებს დავჯერდე?! თავაზიანი ღიმილით გავისტუმრე და ამათ კიდევ, — ხვალაც მოვალთ, ხვალაცო. ვაა, ბედი კარს მომდგომია და ხელი ვკრა? ამასობაში, მოსაღამოვდა და მეორე, მოულოდნელი ახალი ამბავი მომაფეთეს: თურმე კი არა და, ნამდვილად მეტრფიან შორიდან და მპირდებიან ბედნიერებას. არჩევანის არეალი ფართო კია, მაგრამ ეჰ, მე უბრალოდ, არ მაქვს ბედნიერების უფლება. უდიდესი სისულელე ჩავიდინე, რაც ქალს შეიძლება დაემართოს. ამის გამო კი მარტოობისთვის ვარ განწირული. დავდივარ და დავღიღინებ, „გულდამწვრისას“ — „კარგი იყო, არ გამეცან თავიდااااან“... შუა წყალში რომ მაგდებენ, აქ ვჩერდები, ცრემლს მოვიწმენდ და ვცვლი სიმღერას — „ყარაჩოღელნო, მე ჩემს სატრფოს აღარ ვუყვარვااااარ, ჩემმა ღამაზმა დამაბნია გულზე ეკااალიიი“ და „რა ვქნა, რომ ბედი არ მწყალობს“-ით ვამთავრებ, მოთქმა-გოდებას“.

მოტყუებული

„4 წლის ვიყავი, როცა დედიკო ყოველდღე 50 თეთრს მაძლევდა, რომ გავეხარებინე. მეც ვაგროვებდი და ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა მეორე დღე, სანატრელი 50-თეთრიანი რომ მიმეღო. დღეში ღამის ოცჯერ ვნახულობდი ხოლმე ჩემს სამალავს და რკინის მონეტების ცქერით ვტკბებოდი. ამ ფულის შესახებ იცოდა ჩემმა ბიძაშვილმა და გადაწყვიტა, „გავებედნიერებინე“. როცა უამრავი 5-თეთრიანი მიჩვენა და ჩემს ფულში გაცვლა მთხოვა, უყოყმანოდ დავთანხმდი. მეგონა, მოულოდნელი ბედნიერება დამატყდა თავს და სიხარულით გავუცვალე ათი 50-თეთრიანი ოც 5-თეთრიანში. ბედნიერმა კი დედას ვახარე — შეხედე, დე, რამდენი ფული მაქვსმეთქი. დედამ ბევრი იცინა 5-თეთრიანების დანახვაზე. ჩემს ბიძაშვილს კი შერჩა ჩემი ფული. დედა არ გაუბრაზდა, რადგან მე გამბედნიერა. მე კი კვლავ მაფინანსებდა, ოღონდ, უკვე 5-თეთრიანებით. ტოპოლინა“.

სვანი „პაკლო“

„მარი, სვანები ძალიან კარგები ხართ, მაგრამ ხანდახან... ერთი გულდამწვარი სვანი „პაკლონიკი“ მყავს. ჰოდა, მესიჯით უამრავი კოცნა გამომიგზავნა. გავეხუმრე, უხერხულია, გაჩერებაზე ვდგავარ და რას იფიქრებს ხალხი-მეთქი? დამირეკა და გოაცებულმა მითხრა: კარგი, მარტო რომ იქნები, მერე გამოვგზავნი კოცნას, არაა პრობლემა, მაგრამ მაგ ხალხმა როგორ დაინახა, მე რა მოგწერეო? მეგონა, ხუმრობდა და ისევ ვეხუმრე — კოცნას რომ გზავნი, ყველას ეკრანზე ფიქსირდებამეთქი. მცირე პაუზის მერე შეწუხებულმა მკითხა — აუ, მამაშენიც ნახავდაო? ბიჭო, ბიჭო, ბიჭოოო“.

ცვლილება

„ბედნიერი დღე იყო, როცა ჩემი საყვარელი ადამიანი სიყვარულში გამომიტყდა, თავბრუ დამახვია, უბედნიერესი გოგო გამხადა, გრძნობათა მორევში ჩამითრია, ცხოვრება გამილამაზა, ოცნების კოშკები ამაგებინა, სიხარულის მეცხრე ცაზე ამიყვანა... ქვეყანა — ჩემი, თავი კი სიზმარში მეგონა. მოულოდნელი ბედნიერება მოულოდნელი იმედგაცრუებით შემეცვალა. მეცხრე ციდან — ბრახ!.. და მიწაზე მოვადინე ზღართანი. მართალია, ტკივილი ჯერ კიდევ არ გამნელებია, მაგრამ ამას დეპრესიაში არ ჩავუგდივარ. ღვთის წყალობით, მეორე მხრიდან შევაფასე მომხდარი. მას შემდეგ უფრო რეალისტი გავხდი და ამან საკუთარი თავის რწმენა შემმატა. მარ, ხომ მიცანი? „გზავნილების“ ძველი და უერთგულესი მგზავნელი ვარ. უბრალოდ, ნიკი მაქვს ახალი. კეთილი ფერია“.

ბავშვობის უხერხულობა

„ზაფხულში არდადეგების დროს ჩემს სკოლაში ბანაკი გაიხსნა. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ბავშვები დასასვენებლად. როცა ერთმანეთი გავიცანით, დავმეგობრდით, მაგრამ ერთ ბიჭს გოგონებმა ვერაფრით გავუგეთ. ან როგორ უნდა გაგვეგო უზრდელი და თავხედი ბიჭისთვის, რომელმაც დიდი, პატარა, გოგო, ბიჭი არ იცოდა და ვინც თვალში არ მოუვიდოდა, განურჩევლად ყველას ეუზრდელებოდა. ერთხელ გოგონები კიბეზე ჩავდიოდით და ჩვენ ბედად, ეს ბიჭი დაგხვდა კიბესთან. — ჩაეთრიე, — უთხრა ამ ბიჭმა ყველა გოგოს. მე ბოლო ჩავდიოდი და დასძინა — შენც ჩაეთრიეო. ტყლაშან, ხუთი თითი სახეზე აღებეჭდა ბიჭს, — ეს ჩემგან საჩუქრად-მეთქი და ჩავიარე. ის დღე იყო და, ეს თავხედი და უზრდელი ბიჭი უცებ შეიცვალა და კარგი და ზრდილობიანი გახდა. იმ დღის შემდეგ, ამ ბიჭს ჩემ მიმართ სიძულვილსა და დიდ სიმპათიას ვატყობდი, რაც უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. ახლა, წლების შემდეგ ამ ბიჭს ჩემს ბინასთან ხშირად ვხედავ ხოლმე. ვერც ვესალმებით ერთმანეთს და ვერც თვალს ვარიდებთ. პუსიკა“.

„მეზაღე“

„ამ ზაფხულს ერთი კვირით მარტყოფის დედათა მონასტერს ვესტუმრე. ყველა სტუმარს თავისი საქმე ჰქონდა. ერთი დღე მაცალეს ნებივრობა და მერე დამასაქმეს. ყვავილნარი უნდა გამემარგლა. ეზოში დამჭკნარი, დიდი გვირილები იყო. დედა მაკრინემ დამავალა, გვირილები ძირში მაკრატლით გადამეჭრა, რათა შემდეგ ახლები ამოსულიყო. რა ვიცი, დებილი რომ ვარ, ვერ გავიგე ალბათ, დავერიე დედა მაკრინეს გვირილებს და მთელი ყვავილნარი ძირფესვიანად დავთხარე. ამ დროს დედა მაკრინეც მოვიდა. მეც შევხედე კმაყოფილმა, „კარგი გოგო ხარ“-ის მოლოდინში. ძირს რომ დაიხედა, თვალები გაუფართოვდა — ვაიმე, ეს რა გიქნიაო. მოკლედ, კინაღამ გავაგიჟე ქალი. ეს ახლა ვიხსენებ მხიარულად, თორემ მაშინ ისეთ „უხერხულში ჩავვარდი“, ღმერთო, მომკალი-მეთქი, ვამბობდი. დედაო მაინც მომეფერა და დამლოცა. წამოსვლისას, გვირილების განადგურებისთვის კიდევ ერთხელ მოვუხადე ბოდიში, მან კი მითხრა — კიდევ რომ მოხვალ, უფრო ლამაზ ყვავილნარს დაგახვედრებო. ახლა იქაურობა ძალიან მენატრება და ერთი სული მაქვს, ისევ როდის ვესტუმრები მონასტერს. BUTTERFLY“.

ცინგლიანი ამური

„ეს სკოლის პერიოდში მოხდა. თურმე, ნუ იტყვით და, ჩემს „მერხის მეგობარ“ ბიჭს, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, ამური ჰქვია, გული შეუვარდა ჩემზე. არადა, მთელი ბავშვობა იმაზე ვოცნებობდი, რომ ეს სიყვარულის ღმერთის მოსახელე სხვაგან გადაესვათ, რადგან წელიწადის 9 თვე გაცივებული იყო და სულ სახეში „მაცხიკებდა“. ასე იყო, თუ ისე, როცა მთხოვა, ვილაპარაკოთო, დავთანხმდი და ჩამოვჯექით სკოლის შენობის უკან (ეჰ, რამდენი სიყვარულის ახსნის მოწმეა ის დალოცვილი კედელი). ვზიავარ და ველოდები, როდის ამოღერღავს რამეს, ეს კი ჭარხალივით გაწითლებულა და ყურადღებით აკვირდება ჭიანჭველების ცოცხალ ჯაჭვს. უხერხულობის მოსახსნელად გავიხუმრე და გავიცინე. მანაც გაიცინა და... თანმიმდევრულად გამობერა ჯერ ერთი, მერე კი მეორე ნესტოდან დიიიიდი ბუშტი! ისედაც ცხადია, რა სახის იქნებოდა ფინალი“.

სექსუალური ბრიგადირი

„ერთი წელია, ჩემი კვირა ხუთშაბათით იწყება. წინათ, მამიდაჩემი მთავარ აგრონომად მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს, ნივრის ამოსაღებად დარაზმა თავისი ბრიგადა და როცა ადგილზე მივიდნენ, ომახიანად გასცა ბრძანება — კაცები ამოიღებენ და ქალები თავებს დავაჭრითო. იქ ამბავი ატყდაა... ვიღას ახსოვდა ნიორი?

ერთი პედაგოგი მუშაობდა ჩვენს სკოლაში, რომელსაც სოფლიდან უწევდა ავტობუსით სიარული. ერთ დღეს ავტობუსში თუმნიანი იპოვა. მისდა საუბედუროდ, იმ დღეს პედსაბჭო იყო დანიშნული, რომელსაც რაიკომის წევრებიც ესწრებოდნენ. ჰოდა, ამ ჩვენმა პედაგოგმა შეაღო თუ არა კლასის კარი, მიახალა რაიკომის წარგზავნილს — ბატონო კოტე, ამ დილით თუმნიანი ვარ, თუმნიანიო... მერე იდგა გაოცებული და კარგა ხანს ვერ მიხვდა, რატომ იყო ის კაცი ჭარხალივით წითელი და რატომ ხარხარებდა“.

მტკიცებულება

„ერთხელ, შეყვარებულთან ერთად საერთო მეგობრის დაბადების დღეზე წავედი. წასვლამდე საგულდაგულოდ გამოვიპრანჭე, სარკის წინაც რამდენჯერმე დავტრიალდი, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ შევნიშნე, რომ შარვლის შესაკრავი ღია დამრჩენოდა... ქუჩის ბოლომდე ისე გავედი, არავინ შემხვედრია. იქ კი შეყვარებული მელოდა მანქანით. მის მანქანაში არასდროს ვჯდები, რადგან გიჟივით დაჰყავს და მეშინია. მაშინაც ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, ფეხით წავიდეთ-მეთქი. მასაც სხვა რა გზა ჰქონდა? ფეხით გავუდექით გზას. შევამჩნიეთ, რომ ქუჩაში ყველა გაღიმებული სახით გვიყურებდა. ნახე, რა ლამაზი წყვილი ვართ, ყველას შურს ჩვენი, — ჩამჩურჩულა ყურში. როგორც იქნა, მივაღწიეთ რესტორნამდე, მაგრამ მთავარი თურმე წინ გველოდა. იქ ჩემი სადედამთილოც მისულიყო, სარძლოს შესათვალიერებლად. უეცრად, შემოგვხედა და ისე იკივლა, გეგონებოდათ, ჭიკარტზე დაჯდაო. ორივენი დავიბენით... ამ დროს იუბილარი გამოვიდა და როცა შემოგვხედა, ისეთი ხარხარი აუტყდა, საერთოდ გავოგნდით. ბოლოს ერთმანეთი შევათვალიერეთ და... აღმოჩნდა, რომ ორივეს დაგვვიწყებოდა შარვალზე ელვის შეკვრა. ძალიან შემრცხვა და იმდენი ვიტირე, სადედამთილო აქეთ მამშვიდებდა. ახლა ამაზე ბევრს ვიცინით, მაგრამ მაშინ... ერთი ბეწო“. ■

თქვენთვის საინტერესო თემაზე ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია ეი ასეთია:

„დათოიე ხარ, ბიჭო? როის ჩამოი თბილისში?“

„ყოფილმა მეგობარმა ინტრიგებში გამხვია“

„ან სიყვარულით უნდა უპასუხო, ან დაშორდე...“

„გზის“ №27-ში დაიბეჭდა 18 წლის ლიკას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ბიჭმა, ვისთან ერთადაც იზრდებოდა, სიყვარული აუხსნა. „აღარ ვიცი, რა გავაკეთო. მერწმუნეთ, ეს ჩემთვის ყველაზე საშინელი დღე იყო, გული მტკივა... არ მინდა, მასთან ძველი ურთიერთობა გამიფუჭდეს“.

ლიკა ქაჯაია

კლეოპატრა:

„ეჰ, ხომ ვამბობდი, ქალსა და კაცს შორის მეგობრობა არ არსებობს-მეთქი? ჩემო კარგო, მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და მესმის შენი. უნდა დაფიქრდე, იქნებ, შენც გიყვარს? თუ არადა, ჯობია, მასთან ურთიერთობა შეწყვიტო. უფალი გფარავდეს“.

თოლია:

„საყვარელო, მგონი, ეს დიდი პრობლემა არ არის. ასეთი რამ შესაძლოა, ნებისმიერს დაემართოს. პირადად მე, ერთი ბიჭი ძმობას მეფიცებოდა და 5 წუთში მითხრა, — მომწონხარო... რადგანაც ის შენთვის ძვირფასია და მისი დაკარგვა არ გინდა, უბრალოდ, გულახდილად დაელაპარაკე და უთხარი, რომ მეგობრობაზე მეტს ვერაფერს შესთავაზებ. საერთოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხი არა მაქვს. გოგოს და ბიჭს შორის გულწრფელი მეგობრობაც მინახავს და მეგობრობით დაწყებული სიყვარულის შესახებაც მსმენია. გააჩნია პიროვნებას და ხასიათს. გულწრფელი და პირდაპირი იყავი. თუ მეგობრობაზე უარს გეტყვის, თავისი გზით გაუშვი — ასე ნაკლებად დაიტანჯება. წარმატებები!“

თამუნა:

„მეგობარი სიყვარულში რომ გამოგიტყდა, ეს ტრაგედია არ არის. დაფიქრდი, იქნებ შენც თანაუგრძნობ? მთავარია, წრფელი გულით უყვარდე, თორემ მეგობრობა სიყვარულში ხშირად გადაზრდილა და ამის გამო ადამიანს ხელი არ უნდა ჰკრა. იქნებ უფალს თქვენი ერთად ყოფნა სურს, ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ!“

მარტოსული:

„ლიკ, მეც ასეთ მდგომარეობაში ვარ და შენი კარგად მესმის. მას ჩემთვის სიყვარული არ აუხსნია, მაგრამ ყველაფერს ისედაც კარგად ვხვდები. დაელაპარაკე და უთხარი, რომ ამდენი წლის მეგობრობის შემდეგ ასეთი ნაბიჯის გადადგმა გაგიჭირდება. გაკოცე. წარმატებები!“

ტირიფი 73:

„ჩემო კარგო, პირველ რიგში, დრო გჭირდება ყველაფრის გასაანალიზებლად. თუ ერთად იზრდებოდით, ადვილი შესაძლებელია, რომ უბრალოდ, მეზობლები იყოთ, ეს კი არც ისეთი ტრაგედიაა, როგორც შენ ფიქრობ. სიყვარულის უმოკლესი გზა ხომ მეგობრობაზე გადის?! ეცადე, მას სხვა თვალით შეხედო და იქნებ, მოგეწონოს კიდეც ან თუ შეგნებული ადამიანია, შესაძლოა, მეგობრებადაც დარჩეთ (წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან დაშორება მოგიწევს)... უფალი გფარავდეთ!“

მგზავრი:

„კონკრეტულად, როგორი ურთიერთობა გქონდათ — მეგობრული თუ დამძური? თუ მხოლოდ მეგობრობდით, რატომაც არა, მეგობრობიდან სიყვარულამდე ხომ ერთი ნაბიჯია?! გირჩევ, საკუთარ გულში ჩაიხედო და იქ იპოვი შენს კითხვაზე პასუხს“.

უცნობი:

„ლიკ, მეც 18 წლის ვარ, თანაც — გათხოვილი და მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში. მართალია, მას ჩემთვის სიყვარული არ აუხსნია, მაგრამ ამას მაგრძნობინებდა. დაფიქრდი, იქნებ შენც გიყვარს და საკუთარ თავს ამაში არ უტყდები?!“

რუსპირი:

„არ მინდა, მასთან ძველი ურთიერთობა გამიფუჭდესო, — ისე ამბობ, თითქოს, ეს შესაძლებელი იყოს. თუ ის შენი საუკეთესო მეგობარი იყო, მაშინ იმ გრძნობასაც შეამჩნევდი, რომელიც შენ მიმართ აქვს. ისე, იმ ბიჭის არ მესმის და ვერც ვერასდროს გავიგებ. ერთად გაიზარდეთ, და-ძმასავით იქნებოდით და... მაგრამ რას გაუგებ ამ სიყვარულს, ჩემო კარგო? ხშირია ფაქტი, როცა მეგობრობით დაწყებული ურთიერთობა უფრო საიმედო და მყარია, მაგრამ გეთანხმები, ძნელია, მეგობარს ისე შეხედო, როგორც კაცს. ისე, არ გიფიქრია, რომ მიზეზი შენშია? დღეს გოგონების უმეტესობა ისეთი ცანცარაა, რომ ბიჭებს ჭკვიანების ძებნა სულ სანთლით გვიწევს, მან კი შეიყვარა გოგო, რომელსაც საკუთარი ხუთი თითივით იცნობს! ცხადია, ეს მის საქციელს არ ამართლებს, მაგრამ შეეცადე, გაუგო. P.S. რა მოხდება და როგორ განვითარდება მოვლენები, გაგვაგებინეთ ხოლმე, რა“.

M.G:

„მსგავსი რამ მეც შემემთხვა — სიყვარული ჩემი ძმის ძმაკაცმა ამიხსნა, ის კი მართლაც, ღვიძლი ძმასავით მიყვარდა. ვუთხარი, რომ ჩვენ შეყვარებულები ვერ ვიქნებოდით და თუ ენდომებოდა, მეგობრებად დავრჩებოდით. თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მერე დამთანხმდა. ახლა მას არაჩვეულებრივი შეყვარებული ჰყავს. გირჩევ, შენც ასე მოიქცე. თავიდან შეიძლება, ურთიერთობა გაუჭირდეს, მაგრამ მერე სხვა შეუყვარდება, დაგივიწყებს და მეგობრობაც აღდგება. აბა, წარმატებები!“

უცნობი:

„გოგონები ხშირად გვწერენ, — მეგობარ ბიჭს შევუყვარდი და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. ჩემი აზრით, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა სწორედ მეგობრობით, შეჩვევა-შეგუებით იწყება. ჯობია, ბედი იმ ადამიანს დაუკავშირო, რომელსაც წლების განმავლობაში იცნობ და იცი, რა ახარებს, რა სწყინს, იცი მისი ხასიათი, ცხოვრების სტილი... ვფიქრობ, შეხედულებები უნდა გადააფასო და მეგობარს ახლებურად შეხედო“.

ლუნა:

„არ ვიცი, სწორ რჩევას გაძლევ თუ არა, მაგრამ მე ყველაფერს სხვა თვალით შევხედავდი. ასე მგონია, თუ სიყვარულითვე უპასუხებ, მასთან ბედნიერი იქნები — მეგობრობით დაწყებული სიყვარული ხომ ყველაზე წრფელია! მესმის, ძნელია იმის გაცნობიერება, რომ ბავშვობის მეგობარმა სიყვარული აგიხსნა, მაგრამ უნდა შეძლო და შეეცადო, არ დაკარგო. ბოლოს და ბოლოს, მეგობრობიდან სიყვარულამდე ხომ ერთი ნაბიჯია. ჰოდა, ამიტომაც ვერ გავამტყუნებ შენს მეგობარ ბიჭს. მასაც უნდა გაუგო. ხომ იცი, გულს ვერ უბრძანებ, ვინ შეიყვაროს და ვინ — არა. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ! გკოცნი“.

პატარა მავნე:

„მოგესალმებით. ჩემო კარგო, შენ ახლა აგიხსნა იმ კაცმა სიყვარული და მე უკვე 12 წელია, ვუყვარვარ ადამიანს, რომელთან ერთადაც ბაღში ერთი თეფშიდან ვჭამდი საჭმელს, ერთად შევედით სკოლაში

და ერთ მერხთან ვიჯექით... დაელაპარაკე და ის უთხარი, რასაც ფიქრობ. თუ ერთი პროცენტი მაინცაა იმის შანსი, რომ ერთად იყოთ, გადაწყვეტილების მიღებას ნუ იჩქარებ, მასაც მიეცი დრო ყველაფრის გასაანალიზებლად. ჩემო კარგო, მთელი ცხოვრება მსგავს სიტუაციაში ვარ და თუ ჩემთან დაკავშირება მოგინდება, ლიკას გამოართვი ტელეფონის ნომერი. უფალმა გაგაძლიეროს“.

ხატი:

„იცი, მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში და მხოლოდ იმას გეტყვი, რომ არა მგონია, იმ ბიჭს შენთან ძველი ურთიერთობის გაგრძელება სურდეს. მოგიწევს იმ ფაქტს შეეგუო, რომ დაკარგე“.

მისტერ:

„შარშან, მეტროთი მგზავრობისას, ჩემთან ერთად გაზრდილი 20 წლის გოგოსთან ერთად ვიდექი და უცებ, მან ჩემ მიმართ სიმპათიები გამოხატა. ამაზე ჩემი რეაქცია იცი, რა იყო? — გაკვირვებისგან გამეცინა, მას კი შერცხვა, კარის გაღებით ისარგებლა და ვაგონიდან გაწითლებული გავარდა. ასეთ მდგომარეობაში იმიტომ ჩავარდა, რომ მასთან სხვანაირი ურთიერთობის სურვილი არ მქონდა. 18 წლის გოგო ხარ და ასეთი მარტივი საკითხისთვის ვერ მოგივლია? თუ მასთან „სიყვარულობანა“ არ გსურს, დაჯექი (მინდოდა მეთქვა, ადექი) და უთხარი, რომ შენს „შებმობანას“ შეეშვას და ძველებურად იმეგობრეთ ან კიდევ, „აადებინე“ შენი ცხოვრებიდან, სამუდამოდ. ვერ გავიგე, „ლიფის“ გახსნა ხომ არ დაუწყია, ასე საგანგაშო რომ გახადე სიყვარულის ახსნა? და კიდევ, პირადად მე, როდესაც გული მტკივა, „კორსიზს“ ვსვამ და ტკივილი მალევე მიყუჩდება. დამიჯერე, ეს შენც გიშველის :))“.

ლილე:

„სისულელეა, გოგოს და ბიჭს შორის მეგობრობა არ არსებობს — ამას პირადი გამოცდილებიდან გეუბნებით! თუ მოგწონს, შენც სიყვარულით უპასუხე, თუ არადა, „ადიოს ამიგო“-თქო, — უთხარი და ყველაფერი მორჩება. გული არ დაგწყდეს. მეც ზუსტად ასეთ სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ არ მომწონდა და რა მექნა?!. რადგანაც ძმაკაცი იყო, ვცდილობდი, როგორმე ფრთხილად მიმეხვედრებინა, რომ ჩემთან არაფერი გამოუვიდოდა, მას კი თურმე, ჩემმა ნელ-თბილმა ქცევამ თავმოყვარეობა შეულახა. მან ისეთ ინტრიგებში გამხვია, რომ მთელი სამეგობრო გადამკიდა“.

დადუნა:

„მოიცა, სიყვარული თუ აგიხსნა, ეს უბედურებაა? ან ამის გამო მასთან ურთიერთობა რატომ უნდა გაგიფუჭდეს? ეგრე ნუ ლაპარაკობ! ჩემი აზრით, სიყვარულში გადაზრდილი მეგობრობა ყველაზე მყარია. დაფიქრდი ამაზე“.

უცნობი:

„ისე უნდა მოიქცე, რომ ბავშვობის მეგობარი არ დაკარგო, მას გული არ ატკინო. შეეცადე აუხსნა, რომ მასთან წმინდა მეგობრული გრძნობა გაკავშირებს და სხვა არაფერი. ისიც უთხარი, რომ მისი დაკარგვა არ გინდა. წარმატებები!“

ჭრიჭინა:

„მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებ ძველ ურთიერთობას, თუ სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებ. თუმცა, შენი მესიჯიდან ჩანს, რომ ამას არ აპირებ, მეგობრობა კი მას აღარ აწყობს. ისე, დაფიქრდი, იქნებ შენც მოგწონს? სხვა შემთხვევაში, სამუდამოდ დაკარგავ!“

ნატალი 37:

„ასეთი რამ ბევრის ცხოვრებაში ხდება და შენ რატომ გაბრაზდი? გოგოსა და ბიჭს შორის მეგობრობა ხშირად, სიყვარულით მთავრდება. გირჩევ, ეგ ბიჭი არ დაკარგო, საკუთარი საქციელი სანანებელი არ გაგიხდეს“.

ლიკა:

„საკმაოდ ცუდ სიტუაციაში ხარ, მასთან ძველებური ურთიერთობა ვეღარ გექნება — ან სიყვარულით უნდა უპასუხო, ან დაშორდე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე დაიტანჯებით“.

ტერეზა:

„გენაცვალე, მასთან ძველებურად ვეღარ იმეგობრებ, თქვენ შორის დაძაბულობა იქნება. გირჩევ, იმ ბიჭთან ლაპარაკისას ყოველთვის იმას გაუსვა ხაზი, რომ ძმასავით უყურებ. და კიდევ, ცოტაოდენი დისტანცია არ გაწყენდა, მაგრამ იცოდე, ზედმეტი არ მოგივიდეს. ცხვირის აბზეკვა და ეგეთები არ დაიწყო. ბიჭს უყვარხარ, ხომ არ ეჯავრები? ცოტა მის მდგომარეობაშიც შედი და ისეთი არაფერი უთხრა, რომ გული ატკინო. სხვებს ისე მოექეცი, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ. წარმატებები, სიხარულო!“

გრუზინკა:

„ვიცი, მას ისე უყურებ, როგორც ძმას და მისმა სიტყვებმა შოკში ამიტომაც ჩაგაგდო, მაგრამ იქნებ, იმ ბიჭს სხვა თვალით შეხედო და მასში მოსიყვარულე ადამიანი დაინახო?!“ ■

„52 წლის კაცი შემიყვარდა“

ანა, *22 წლის:*

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ და მირჩიეთ რამე. იმასაც გთხოვთ, ნუ დამძრახავთ — მე 52 წლის კაცი შემიყვარდა და ბედნიერებისგან სწორედ მისი ასაკის გამო ვიკავებ თავს. რაც მთავარია, მასაც ძალიან ვუყვარვარ და გვინდა, ერთად ვიყოთ. გთხოვთ, თავი ჩემ ადგილას წარმოიდგინეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„მამამ გამომლანძღა, მაგინა და გარეთ გასვლაც ამიკრძალა...“

„რა ჩემი ბრალია, რომ სიმპათიური დავიბადე?“

ლუკა:

„გამარჯობა. მე ლუკა ვარ და ამ წერილს საბერძნეთიდან გწერთ. აუცილებლად მჭირდება თქვენი რჩევა და გთხოვთ, დამიბეჭდოთ. ვარ 17 წლის. 3 წელია, რაც საქართველოდან წამოვედი. ამ 5 დღის წინ კაფეში ვიჯექი, მეგობართან ერთად. უცებ, ჩვენს მაგიდასთან ერთი ბერძენი ქალი მოვიდა და მთხოვა, — თუ შეიძლება, სურათებს გადაგიღებო. მან საკუთარი თავი წარმოგვიდგინა, რეჟისორი ვარო, — გვითხრა და ამის დამადასტურებელი საბუთიც გვიჩვენა, მერე კი დასძინა: საოცრად გავხარ მსახიობ მაიკლ სკოფილდს, ცნობილი სერიალიდან — „გაქცევაო“. ამას ადრე სხვებიც მეუბნებოდნენ და ეს არც გამკვირვებია. უბრალოდ, გამეცინა და სურათების გადაღებაზე დავთანხმდი. მან წასვლისას ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და დაგვემშვიდობა. ამ ქალმა სამი დღის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ მასთან, სტუდიაში ოჯახის წევრებთან ერთად მივსულიყავი. დედას ყველაფერი ვუამბე და გამომყვა. სტუდიაში თბილად შემხვდნენ, 50 ფოტო მაინც გადამიღეს და პატარა როლზეც დამამტკიცეს; 2 კვირაში კონტრაქტზე ხელის მოსაწერად უნდა მივსულიყავი, მაგრამ მოხდა ის, რასაც არ ველოდი — როცა დედამ ეს ყველაფერი მეუღლეს უთხრა, მამამ გამომლანძღა, სულ „გოგოსავით პრანჭია“ მეძახა, მაგინა, ტელეფონი დამიმტვრია და გარეთ გასვლაც კი ამიკრძალა. ძალიან გთხოვთ, მითხარით, რა ვქნა? რა ჩემი ბრალია, რომ სიმპათიური დავიბადე? ჩემი ძმაკაცები გაოცებულები არიან მამას საქციელით, დედა კი მამშვიდებს, მეუბნება, რომ ყველაფერს მოაგვარებს. ჩემი შეყვარებული 15 წლისაა და დიდი ადამიანივით მიდგას მხარში. წესით, გადაღება 10 დღეში უნდა დაიწყოს. ხომ არ ჯობია, სახლიდან წავიდე და ცხოვრება დამოუკიდებლად დავიწყო? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!“

P.S. ***ბაშ ასე თუ ანასა და ლუკას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*** ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 32 წლის, სუფთა წარსულით. მსურს ლამაზი, თბილი ოჯახი და მოსიყვარულე მეუღლე. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს პატიოსანი დასაქმებული, თბილისში მცხოვრები მამაკაცი.

2. გავიცნობ 20-30 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, დასავლეთისკენ მყოფს. ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სიმპათიური გოგო.

3. ვარ 27 წლის. მსურს გავიცნო განათლებული, ეკლესიური, ფინანსურად ძლიერი, 32 წლამდე ასაკის მამაკაცი, ვისაც სერიოზული ურთიერთობა და ლამაზი ოჯახის შექმნა სურს.

4. წავიდა, ველოდი, ახლაც ველოდები. რას ან ვის? სიყვარულს. ჰო. სიყვარულს, დავიღალე უაზრო ლოდინით, 42 წლის, მშვენიერი და ერუდირებული ქალი იქნებ გამახალისო? ელენე.

5. მინდა გავიცნო 50 წლამდე ასაკის, დასაქმებული მამაკაცი. ვარ 44 წლის, მომხიბვლელი ქალბატონი.

6. მსურს გავიცნო 40-50 წლამდე ასაკის, სიმპათიური, თბილი ბუნების, ფინანსურად ძლიერი მამაკაცი. ვიქნები ერთგული, მოსიყვარულე, მაქვს ბინა, სამსახური, 39/170/54, ლამაზი ქალი.

7. გავიცნობ წესიერ და იუმორის მქონე მამაკაცს, განქორწინებულს ან ქვრივს, 35 წლამდე. თუ ოჯახური სიმყუდროვე გწყურია, დამიკავშირდი და შევქმნათ ლამაზი ოჯახი.

8. „გზა“ №27, მე-19 მესიჯის ავტორი კარგი იქნება, თუ შემეხმიანება საღამოს. გმადლობ, ნინო.

კაცები

9. ვარ სერიოზული ბიჭი, 30/175. მსურს დაოჯახება. ვმუშაობ. გავიცნობ 158-170 სიმაღლის, ლამაზ და კოხტა, ხალისიან, კარგ გოგოს, ეკლესიურს. გიო.

10. ვარ 41 წლის ქვრივი, დასავლეთიდან. ვეძებ ქალბატონს ვინც გამიწევს მეგობრობას.

11. ვეხმაურები „გზა“ №20, მე-4 განცხადების ავტორს. ვარ 40 წლის. ზაზა. დამიკავშირდი.

12. გავიცნობ 18-დან 22 წლამდე ასაკის გოგონას. დასაქმებულს, მანქანიანს. ვარ 18/177/67, ქერა, ცისფერთვალება.

13. ვეხმაურები „გზა“ №27, მე-7 მესიჯის ავტორს. დამირეკეთ, გელოდებით.

14. მოგესალმებით, ვარ ქუთაისიდან, 28 წლის, სიმპათიური ბიჭი და მსურს გავიცნო ლამაზი გოგონა, 18-22 წლამდე.

15. ვეხმაურები 27-ე ნომრის 7-ე მესიჯის ავტორს. თქვენს ტელეფონს ვერ ვიგებ. გთხოვ, დამიკავშირდე.

სხვადასხვა

•სანთელი ქრება, შენ მელანდები, ვარსკვლავი წყდება, შენ მელანდები. გძულვარ? მე მალე აღარ ვიქნები, მალე მომკლავენ შენზე ფიქრები და ბედნიერი იქნები. :-(„ბარსას“ ფანი.

•დრო კი არა, ჩვენ გავდივართ... უბრალოდ, მინდოდა მეთქვა ეს :(ცუდად ვარ. :(

•მელ, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები. მამაოს ველაპარაკე, ალბათ უკვე გითხრა. ფინანსურად დაგვეხმარა უკვე მესამედ. ძალიან გვიდგას მხარში. ბავშვის ნათლიას ველაპარაკე, მაგრამ უიმედოდ. ასეც ვიცოდი. ახლა მეორეს დაველაპარაკები და ვნახოთ. დედა გარდაეცვალათ და აქამდე იმიტომ ვერ ველაპარაკე. სხვა ყველაფერი ძველებურადაა. ჩვენც ვართ ღვთის წყალობით. მარტო უფლის იმედიღა მაქვს. ძალიან გვიყვარხარ, გვენატრები, გკოცნით ბევრს. სულ სიზმარში გხედავ. მენატრები. თანხა ჩაგირიცხე. ნუცი.

•ვალერი მამასახლისო, 23-ში გნახავ, შვილო. ყველაფერი კარგად დამთავრდება. ღმერთმა გაგაძლებინოს. არ იდარდო. მოკითხვა უბნისგან. კარგად იყავი. გკოცნის დედა.

•„გზის“ 25-ე ნომერში მოხუცზე არასწორი ინფორმაცია ეწერა. ეს შეცდომა იყო. ის არაჩვეულებრივი, თბილი, სათნო და კეთილი ადამიანია. ჩემო მოხუცო, ძალიან მიყვარხარ. ფაჩუ.

•ქალბატონო ნანი დუმბაძევ, არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ! ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანები... გკოცნით ბევრს! უფალი გფარავდეთ. დამავიო.

•გიო, მაგრად მომენატრე.

•მისტერ, ზუსტად ეგ მინდოდა გეთქვა, რომ სიტყვა პირიდან ამოდის და ყველა ვალდებულია, განმარტოს მისი მნიშვნელობა. ახლა კი, გადაავლე თვალი შენს, ჩემდამი მოწერილ სმს-ებს, „გზაში“ და მიხვდები, ვის აქვს ასახსნელი. რაც შეეხება ჩემს გასაკეთებელს, არ იდარდო, 10-ზე კი არა, 20-ზე შევასრულებ! კუტრინა.

•თამაზ ელიზბარაშვილს: ძალიან მიყვარხარ, შენზე ვლოცულობ, მჯერა, ყველაფერი მოგვარდება. უშენოდ დავცარიელდი, შენ ჩემი ტკივილი ხარ, ღმერთი არ გაგწირავს. მირანდა.

•ჩემს სიცოცხლე ვიტალის ვეტყვი, რომ მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია და მალე ერთად ვიქნებით. სიკალულო, მპუა, გაკოცე ბევრი. თ.ა.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• ყველა მგზავნელს მინდა მივესალმო და აღვნიშნო, რომ მე ყოველთვის თქვენთან ვიყავი, ვარ და ვიქნები. უბრალოდ, აღარ ვაქტიურობ, რადგან ცოტა გულდაწყვეტილი ვარ. დასანანია, რომ ბერბიჭა წავიდა. მეგონა, რომ არასერიოზულ ხალხს და მათ ნათქვამს არ აჰყვებოდა, მაგრამ ალბათ მასაც აევსო ის ცნობილი მოთმინების ფიალა და... მისიც მესმის. ყველას გვაქვს რაღაც ზღვარი მოთმინების. ქ-ნ ნანი დუმბაძეს მინდა ვუთხრა, რომ ვიზუალურადაც ისეთი არაჩვეულებრივი ქალბატონი ყოფილა, როგორი სასიამოვნო ტექსტებიც აქვს. თქვენი ახალგაზრდული შემართება და დადებითი განწყობა ნამდვილად შესაშურია. უდიდეს პატივს გცემთ, ღმერთმა კიდევ დიდხანს გაცოცხლოთ. რუისპირო, მადლობა, რომ გამიხსენე, ჩემო კარგო. მე არ ვჩანვარ, თორემ რეალურად სულ თქვენთან ვარ. მოგიკითხავ დიდი სიყვარულით. გპირდებით, რომ ყოველთვის მეყვარებით. ვერძი.

• რუისპირ, მადლობა მოკითხვისთვის, გენაცვალე. შენ როგორ ხარ, ჩასაყლაპო? :) მის რეალ, ლიმონა, პარიჟანკა, რაფერ ხართ, ტკბილებო? გაიხარეთ, ბავშვებო. ძაან მიყვარხართ! ტერეზა.

• ქ-ნო ნანი დუმბაძე, უზომოდ თბილი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით. უღრმესი მადლობა, „გზის“ ფურცლებს რომ ავსებთ უსაზღვრო სიყვარულით. მიყვარხართ. უფალი გფარავდეთ! ტერეზა.

• ვარ აგვისტოს ომის მონაწილე, I ჯგუფის ინვალიდი. თანამებრძოლს დავუდექი თავდებად ბანკში. ომის შემდეგ დაიჭირეს და მიუსაჯეს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. ბანკმა არანაირი მდგომარეობა არ გაითვალისწინა და დამაკისრა თანხის სრულიად დაფარვა. ყველა ორგანოს მივმართე, თვით პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც. არავინ თუ ვერავინ დამეხმარა. მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი და მესამეს დღედღეზე ველოდები. ძალიან მიჭირს. გთხოვთ, ყველა ქართველ და არაქართველ, ღვთისნიერ ადამიანს, გამოიჩინეთ გულისხმიერება და დამეხმარეთ. ეს ბოლო გზაა ჩემთვის. შემდეგ იძულებული ვიქნები, თავი მოვიკლა და ჩემს ობლებს პენსიას მაინც დაუნიშნავენ, რომ თავი ირჩინონ.

• ვაიმეე მაარ, „თინეიჯერულ პონტებში“ ვერკას მესიჯი რომ წავიკითხე, გავოგნდი. რამ გააბოროტა ეს გოგო, ნეტავ? დედაა... მეც მყავს პატარა ძამიკო, სულ რაღაც 3 წლის და ისე მიყვაარს, ისეე, როო... საკუთარ თავზე მეტად! ვგიჟდები მასზე. ძალიან მინდა, ამ ეგოისტმა გოგომ ეს მესიჯი წაიკითხოს. ვერკა, ალალ გულზე გეუბნები, მართლა მეცოდები. ეკლესიაში მაინც იარე, ქალოო... უფალმა შეგინდოს. მა

პლაჟზე მაქვს გატარებული-მეთქი. ვიჯექი ნაპირზე დასჯილი ბავშვივით და ვფიქრობდი, პატარა ბავშვის „კამერა“ მაინც მომცა, იმით ვიცურავებდი-მეთქი და ხალხის დაცინვას სულაც არ დავეძებდი. გერასიმე.

• ხშირად ჩემზე ჩუმად გეცინება და მეც სულელივით განვიცდი, შენგან არაფერი მეწყინება, შენ ხომ სიყვარული არ იცი. :) წუხელ შენზე ფიქრში დამათენდა, თავქვეშ დარდის მედო ბალიში, იქნებ მოგენატრე? ოი, გამახსენდა, შენ ხომ მონატრება არ იცი. ისევ არ მასვენებს შენზე ფიქრი, გაქრა იმედების ხალისი, გულმა იცი რა თქვა? მიყვარხარო, რატომ? ეს თვითონაც არ იცის. :) შე ბოთე. :) 9717.

• ცხოვრება ტილოა, რომელზეც ყველას აქვს ხატვის უფლება, ოღონდ, ნელა უნდა ხატო, აუჩქარებლად და უშეცდომოდ, რადგან რასაც დახატავ, ვერასოდეს წაშლი. ასეაა. 9717.

• ჩემო საყვარელო ბუბუკა, ჩვენ აქ კარგად ვართ, მთავარია, შენ იყო კარგად. გთხოვ, არაფერზე ინერვიულო, ვმუშაობ და ყველაფერს ვიღონებ, რომ ღვთის წყალობით მალე ერთად ვიყოთ. იმედებს არასდროს გაგიცრუებ. მენატრები სიგიჟემდე. ოჯახიდან დიდი მოკითხვა და ღვთის წყალობა. შენი დრუნჩა.

• მარიამულ, ერთი მოკრძალებული იდეა მინდა გაგიზიარო. ამ თვის ბოლოს ჩვენი უსაყვარლესი რუბრიკა იუბილარია (მაგას ენაცვალოს პარიზელი დეიდა). ამასთან დაკავშირებით, რამე ორიგინალური გავაკეთოთ. მაგალითად, ყველამ, მგზავნელმაც და მკითხველმაც, ერთად დაასახელონ მგზავნელები, რომლებიც დაუვიწყარნი არიან მათთვის „გზავნილების“ დაარსების დღიდან. ხმათა რაოდენობის მიხედვით შედგება სია: „10 მგზავნელი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება“ და ცოტა გავხალისდებით ძველი, ერთგული ადამიანები, თორემ აღარ შეიძლება ამათი გაუთავებელი უზნეობის კითხვა. მართლა უკანასკნელ მოჰიკანად ვგრძნობ თავს. თვითონაც შემოგვთავაზე ლამაზი იდეები და გაგვახარე, მარ. გკოცნი. პარიჟანკა.

• ათენიდან მაკოს უთხარით, ბერძნებისთვის შვილი თვითონ გააჩინოს ან კვირას, ომონიაზე ნახოს ქართველი გოგოები, ფულზე კი არა, უფულოდ ნებისმიერ საძაგლობას აკეთებენ. ათენი.

• პახმელიაზე საზიზღარი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. :(საშინლად ვარ. P.S. მოკითხვა ყველას, ვისაც ვიცნობ. ფიფქია.

• მეზობელ ხეზე ფოთოლი შემიყვარდა, შესჩივლა ფოთოლმა ქარს, მომწყვიტე, გავფრინდეო, გულში ჩავეკონო, არასდროს ვინატრებ სხვას. მოგწყვიტო? სულელო, მერე ხომ დაჭკნები, ვერასდროს იხილავ მას, ასე არ ჯობია, შორიდან უცქირო, ხანდახან ჩაუკრავო თვალს. :) 9717.

• მარი, მოკლედ ისეთ კარგ, უსაყვარლეს და ჩასაყლაპ მგზავნელებს ვიცნობ შენი დამსახურებით რო, რომ მომწერენ, მათი თბილი სმს-ბის წაშლაც კი მენანება. არასდროს ვინანებ, მგზავნელი რომ ვარ, რადგან რომ არა „გზა“, ვერ გავიცნობდი უტკბილეს, უთბილეს და ულამაზეს კლეოპატრას, ჭრიჭოს, ედელვაისს, 9717-ს, რუისპირსა და აზიელს... მართალია, ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ სამაგიეროდ, უმაგრესნი და უძაანჯიგრესნი არიან. კუტრინ, მეც ძალიან გამიხარდა, შენი სახით ასეთი საინტერესო და ჯიგარი ადამიანის გაცნობა. გაიხარე. მოვიკითხავ კოზანოსტრას და მის დედიკოს, მის რეალს, გრუზის, დაკარგულ თეო მგელოს და ყველა ჯიგარ მგზავნელს. მუდამ თქვენი ფლამინგო.

• მთა მთას რომ შეხვდება, მაგის დიდი ხანია მჯერა, მაგრამ ერთი უძველესი მგზავნელი მეორე უძველეს მგზავნელს თუ აბაზანაში შეხვდებოდა, არ მეგონა. მოკლედ, თითქმის 3 თვეა, პოლიციის აკადემიაში ვარ, პატრულის კურსებს გავდივარ. ერთ დღესაც აბაზანაში ვზივარ და მიკროტაშტზე წვალებით ვრეცხავ სარეცხს. ამ დროს შემოდის მაღალი, სიმპათიური, ქერათმიანი მანდილოსანი. ადრე აქ არ მინახავს და დავინტერესდი. შევხედე და მეცნოოოო... მაგრამ ბოლომდე დასარწმუნებლად მაინც დავხედე ფეხზე: კი, ეს ნამდვილად იქნება 44 ზომა „ბოტასი“, შევუძახე ჩემს თავს და: უკაცრავად, თქვენ ელისო ხომ არ გქვიათ? დიიახ! სწორედ რომ ელისოს შეხვდა პოლიციის აკადემიის სააბაზანოში კანიბალკა. :)

• მომენატრეთ! მე ისევ ისე მიყვარხართ! უძღები შვილი, კანიბალკა“.

• ეჰ, მარტოსულად ვგრძნობ თავს. ჩემი მეგობრები, ყველანი სადღაც წავიდნენ დასასვენებლად, მე კი ისევ ქუთაისში ვარ და ვიხუთები. არა, ერთსაც რომ არ გავხსენებივარ?! ჰმ! გიუპოეტა.

• მთავარია ლექსში, დაიჭირო რითმა, მჭირდები-მეთქი, შენთვის, არასოდეს მითქვამს. ვცდილობ, ჩემს თავს ვებრძვი, შემიყვარდე მინდა, გეფიცები, ჩემთვის, ეს გრძნობაა წმინდა. თუკი რამეს შეცვლი, დაგაფასებ, ვფიცავ, რომ აღარ თქვა ჩემზე, თვალი ამარიდა. რადგან ცივი გავხდი, განა ძალით მინდა, რომ ვეღარ ვგრძნობ სითბოს, გულიც გაირინდა. გიუპოეტა.

• შენ არც კი იცი რა ძლიერი ვარ, შენ მიცნობ, როგორც სუსტს და მიუფარს, შენ სიბრალულით მიყურებ მუდამ, რადგან გგონია, მაშინებს სიტყვა... კი არ მაშინებს, სიტყვებს ვეძახი, ვეძებ დილიდან დაღამებამდე, ნუ გეგონება, ახლა შევჩერდე და ღამეს ვეღარ გავაჩირაღდნებ და ნურც იფიქრებ, შემშინებია, ნურც იმას იტყვი, რომ კვლავ ვარ ბავშვი, შენ მხოლოდ მისთვის დაგჭირვებივარ, რომ გაგეცვალე ქალიდან — ქალში. და ალბათ ხვდები, რარიგ ძნელია, არეულ აზრებს უძებნო რითმა, ალბათ აღარც აქვს აზრი ამ სიტყვებს, სათქმელი უკვე დუმილით ითქვა... ტერეზა.

• ვეცემი, ჩუმად იძინებს სული ღამის წყვდიადში, ამდენი დარდით დასაწერიც გამომელია, გაიფანტა მოგონება ფიქრთა ნიავში, დამიჯერე, უშენობა მართლა ძნელია. რაღა დავწერო, სევდიანია ეს ალიონი, მწუხარება უსასრულო ფიფქად დამათოვს, თურმე როგორ განიცდიდა გალაკტიონი, სხვანაირად აღიქვამდა სასტიკ სამყაროს. რაღა დავწერო, ეს რითმებიც გამომელია, ნელა-ნელა იკარგება შენი მუზობა, გულგრილობა სიყვარულთან რა სათქმელია, ცილს დაგწამებ, რომ დაიწყე გულის ქურდობა. წერა მინდა, უსასრულოდ გაზიარება, გრძნობათა ღელვის გადმოცემა ამ სტრიქონებით, მე, ცხოვრების შეგრძნებებთან ნაზიარებმა, სიყვარულით დავიკვეხნი მთელი ცხოვრებით. მომინდა წერა, ისევ შენი აღწერა ლექსით, თუმცა შენი მუზობითაც გადავიღალე, არა, მართლა, დამიჯერე, შენ კი არ გერჩი, მე უბრალოდ ვემალები მაგ ლამაზ თვალებს. წერა მომინდა და მგონი რაღაც დავწერე, რა ვქნა, მაინც შევაწუხე ეს ჩემი მუზა, მეტი უკვე არაფერი აღარ მაღელვებს და თან მე ხომ ისევ, მაინც, კვლავ შენით ვსუნთქავ. ბეღურას. კლეოპატრა.

• ეჰ, აბა, ჭრიჭი, შენს ნახვას კი ვერ ვეღირსე, ჩემო მწვანეთვალება ფერიავ და არა, ისე მაშინ რაფრა გადამაგდეს და არ წამომიყვანეს თბილისში, თორემ ხომ მეყოლებოდით შემოჭყლეტილი უკვე შენ და კლეოპატრა. :) ლამის ჩალაგებული ჩემოდნით დამტოვეს... უჰ, მართლა კაია შენთან ლაქლაქი, შენს „ბათუმის ზღვაზე“ იმდენი ვიცინეეეეე. ფლამინგო.

• ჩემო ლამაზო მგზავნელებო, როგორ ხართ? იხრუკებით არა, ჩემსავით თბილისში? ეჰ, მესმის თქვენი. :(ჭრიჭინა.

• ტყუილის თქმა რომ ადვილია,/ იქნებ ამიტომაც შეცდა/ სხვა, დანარჩენ ტკივილს დრო უშველის,/ შეძლე! სულ უბრალოდ მოცდა!/ გაგება, უსიტყვოდაც შეიძლება,/ როგორმე უნდა შეძლო ესეც,/ ახლა სინანულს რა აზრი აქვს?/ დარდი ხომ გეყოფა მერეც.../ ზოგჯერ, სიმართლის თქმა უფრო ძნელი არის,/ ტყუილის გაგება კი, უფრო ადვილია/ ზოგჯერ ყველაფერი მართლაც ეულია,/ ყველა წმინდა გრძნობა გადარეულია.../ ყველაფრის პატიება შეიძლე-

ბა!/ აქ სხვა რამე არის ძნელი,/ მიტოვებულების ხვედრი,/ ღამე, უსაშველოდ ნელი... ლუნა.

• ქალბატონო ნანი, ძალიან მიხარია, რომ აფასებთ ჩემს ნაწერებს. მიყვარხართ. მიხარია, რომ თქვენნაირი კარგი და ნიჭიერი ადამიანი მამჩნევს. გაიხარეთ. ლუნა.

• ლამაზი საღამო იყო, წყნარი, იმედის მომცემი. ვსეირნობდი მარტო. ისევ შენზე ოცნება მქონდა ფიქრად. მდუმარედ ჩავუარე ნაცნობ ხეივანს და რატომღაც ჩამოჯდომა გადავწყვიტე. ზურგს უკან სუნთქვა ვიგრძენი. ადგილზე გავიყინე. — არ წახვიდე, ჩამჩურჩულა ნაცნობმა ხმამ. შემოვბრუნდი... შენ იყავი. დავიბენი. ცრემლები წამწამებს თავისით მოსწყდა. შენ გულში ჩამიკარი. ვიდექით ასე, ულამაზესი ზეცის ქვეშ. მე ვტიროდი, ცრემლებით გასველებდი, შენ სულ უფრო და უფრო მიკრავდი გულში. მე მოვედი, სამუდამოდ მოვედი, მითხარი შენ. მე გაგიღიმე... გაგიღიმე და... გამომეღვიძა. :(კლეოპატრა.

• 12 ივლისს ნიკო გომელაურის დაბადების დღეა. გთხოვ, ეს ლექსი დამიბეჭდო. ამ ლექსს მის ხსოვნას ვუძღვნი. ნიკო გომელაურის ხსოვნას: მას სიყვარული მართლაც არ აკლდა, გომელაური ქალაქს დააკლდა, სულით ხორცამდე შეძრა ქალაქი, ქალაქს დააკლდა მართალი კაცი. ეს ქალაქი იყო მისი მოყვარე და ამიტომ უძრახოდა პირში, უმსგავსობით ესეოდა ნაღველი, შეცვლილ თბილისს ვერ იტევდა გულში. განიცდიდა, სულის კივილს ჰგავდა, მისი ლექსი დროებაზე, დროზე და ეს ბორგვა და ეს ბორგვა მას ძალიან სტკიოდა, ვერ მოერგო ნიკო სხვების გონზე. მას ივლისში თოვლად მოსვლა შეეძლო, მაგრამ როცა აღარა გწამს ფიცის, დაიღალა, ზაფხულს ვეღარ შეესწრო, სული მისი დღეს უფალმა იცის!

• მართლა აუტანელი სიცხეა. თბილისში — განსაკუთრებით. ჰოდა, ამ სიცხე-პაპანაქებაში გადამზადების კურსები გვაქვს, პოლიციის აკადემიაში, დღის მანძილზე ლექციები, დილა-საღამოს კი ფიზკულტურა, კერძოდ — კილომეტრებზე დავრბივართ და წინაღობების გადალახვა. მათ შორის არის ჩვეულებრივი, 2-მეტრიანი კედელი, რომელზეც უნდა ახტე და გადაცოცდე. ეს საკმაოდ ძნელია. ჰოდა, გუშინ ორი მუშის საუბარს მოვკარი ყური. ერთი ეუბნება მეორეს: აი, გაიხედე (კედლისკენ ახედებს), კიდევ 30 კაცი მოეწყო და ემზადება, რომ სულ მკვდარი და ცოცხალი გაგინოს, მაგის აშენებისთვისო! ამის გამგონეებმა უზომოდ ვიხალისეთ! გაკოცეთ. ელისო.

• მოგესალმებით და მსურს, რაღაც გიამბოთ. იმერელი, ხარაგაულელი ვარ, მოგეხსენებათ, ხაშური-ზესტაფონის რეისს მასტერაოის ეძახიან, ჩვენში. მივდივარ ქუჩაში და ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც დაახლოება სურდა ჩემთან, მეკითხება: უკაცრავად, მასტერაოის მოჰყევი? დიახ-მეთქი. რა მატარებელია? პეკინი-თბილისი-მეთქი. ააა? მე ხაშური მინდოდაო. გამეცინა და განვაგრძე გზა. ირინა.

• მააარ, როგორ ხარ? მომენატრე, სიხარულო. ამ ბოლო დროს არ შეგხმიანებივარ. ვცდილობ, საკუთარ თავში გავერკვე. უცნაური გრძნობები მეუფლება. კარგად რომ ვარ, უცბად საშინლად ვგრძნობ თავს, ხასიათიც მეცვლება და მეძინება. იცოდეთ, რომ ძალიან მიყვარხართ და ყველას გულით მოვიკითხავ. ამ ზაფხულს იმედია, მეც თქვენთან ვიქნები. თოლია.

• მარტოობა ჭაობია... ის გითრევს ნელ-ნელა, შეპარვით, გხვდება ჯერ ფეხებზე, მერე თეძოებზე, მერე მკერდზე გაწვება და გითრევს. ისე ეგუები ამ სიმძიმეს, თითქოს თანდაყოლილი იყოს და განშორებაც არ გინდა მასთან. თუმცა, სული იბრძვის თავისუფლებისთვის, სხეული კი გეკაჩება მარტოობის ჭაობისკენ. ყველაფერი პირობითია ცხოვრებაში: ბედნიერებაც, უბედურებაც, სიხარულიც და მწუხარებაც. მგონი, თვით სიცოცხლეც კი. რამე ხომ უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი? ან რა არის ჭეშმარიტება?

• ჩემი გული ხარ, ჩემი სიხარული, ჩემი ოცნება, ჩემი სიყვარული, ჩემი მონატრება, ჩემი გულისცემა, ჩემი იმედი და ჩემი ბედისწერა.

• რომ მენატრები, იცი? არ იცი. შენი გაბრაზება რომ მიყვარს, იცი? არ იცი. შენთან რომ მინდა, იცი? არც ეს იცი და საერთოდ, სიგიჟემდე რომ მიყვარხარ, ის თუ იცი?

• დიდად აღფრთოვანებული ვარ ქალბატონო ნანი, თქვენი პიროვნებით. უღრმესი მადლობა, რომ შემამჩნიეთ. თუმცა, ასეთ დიდ შეფასებას არ იმსახურებს ჩემნარი პატარა ადამიანი. აღელვებისგან ხელები ამიკანკალდა, სუნთქვა შემეკრა და წამით გული გამიჩერდა. მიხარია, ჩვენ გვერდით რომ ხართ. ჩვენ თუ პატარ-პატარა ყვავილები ვართ, სამაგიეროდ, თქვენშია თავმოყრილი სიდიადე, ყოველგვარი სიკეთისა და სილამაზის. მაკიაველს დავესესხები და გეტყვით: ყველა ხედავს, როგორ გამოიყურებით, მაგრამ ცოტა თუ მიხვდება, როგორი ხართ სინამდვილეში. გთხოვთ, მიიღოთ ძღვნად და ნუ ითაკილებთ, ამ სიყვარულს, ჩვენგან. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. პატივისცემით, ტირიფი73.

• ბევრჯერ წავაგე ცხოვრებაში, სისულელის გამო. ბევრი დავთმე, ბევრჯერ გავთელე ჩემი გრძნობები, არ მიცხოვრია ქვეყანაზე სასწაულისთვის, სიხარული ჩამიკვლია ჩუმი გოდებით. ბევრი დავკარგე და გავუშვი საკუთარ გზაზე, ვაღიარებ, ბევრჯერ მართლა არ მიბრძოლია, სულ უაზროდ ბედნიერება რამდენჯერ დავთმე, ვერ ვისწავლე, რომ ცხოვრება მართლა ომია. მე ახლა ვხვდები და იღვიძებს ჩემი სხეული, ბედნიერების ნეტარებით ვაღვიძებ სუნთქვას, ნათდება გული, სიყვარულით ამღერებული და ყველაფერს ჩემი სულის სითბო განკურნავს. ბევრჯერ წავაგე ცხოვრებაში, ბევრჯერ წავაგე, არ მიცდია დამეჯერა სასწაულისთვის, მაგრამ ახლა ბედნიერების კარი გავაღე, მე ვიბრძოლებ, დამიჯერე, სიყვარულისთვის. კლეოპატრა.

• — სიხარულო, იცი, წუხელ სიზმარში გნახე. მესიზმრა, ჩემთვის კაბას ყიდულობდი მაღაზიაში. — დედა, რა დამთხვევაა, მეც ზუსტად იგივე მესიზმრა, სიხარულო. — მერე? — შენი ზომა არ ჰქონდათ! :):):) ხით, ხით. :) ააბა, როგორ ვართ, მგზავნელებო? ეჰ, ხედავ, ფლამინგო? შენმა მეზობელმა იმდენი ილაპარაკა, წააგებს გერმანიაო, რომ... :(:(უი, როგორ ხარ, ჯუსტ ნათ? ნუ გაქრები ხოლმე. :) ჩვენებიაანთ მაგდამ და მე ვისაუბრეთ იმ დღეს და დავასკვენით, კარგი ბავშვიაო, ნათია. :) არა, რა, მაგდ, მაგრა ვიცინე მაშინ, რაო, რას შვრება „ჰერეთიო“? :) მაგარი ადამიანი ხარ, გაიხარე. :) დასიცხუუულ! :) მთა მინდა, თან მაგრად დავიკელი წონაში და უნდა ავფორთხდე, რაცხანაირად. :) ჰო, რაცხანაირზე გამახსენდა, ერთი რაღაცნაირი ბავშვია და მიყვარს რაცხანაირად. :) 9717.

• უეცრად გაქრა ჩემში სიცოცხლის უხვი ხალისი, ჩაწყდა სიმები შეგრძნებათა სიყვარულისა, ვერ ვიფიქრებდი, ამას ვიზავდი, მაგრამ გაგიშვი, შენ ვერ შეიგრძნე ძალა ამ ჩემი სასწაულისა. გადაიარა ყველა ოცნებამ ნიავქარივით, თოვლიც ხომ დნება, სპეტაკი, თეთრი, მაგრამ ეული, ყველაფერს შეცვლის დრო ოდესმე ერთი წამივით, დარჩება მხოლოდ მოგონება გადარეული. მომენატრება ვიცი წარსული, მაგრამ უშენოდ, რთული იქნება ეს მოგონება, გამიჭირდება, მართლა არ ვიცი ყველაფერს მარტომ როგორ ვუშველო, ტირის სხეული და გულიც მალე ამიტირდება. ოდესმე ალბათ შენც მიხვდები, როცა დამკარგავ, მიხვდები, როცა სულის სიმებს დაიზიანებ, მე კი ვფიქრობდი, არ მომიწევდა შენი დაკარგვა, მოხვალ, შენს გრძნობას მე უკვე აღარ გავიზიარებ. ბეღურას. კლეოპატრა.

• მისს რეალ, მადლობა ლექსებისთვის, საყვარელო. ფინალში ვააართ. ესპანეთი გავიდაა. კასილასი რა კაციაა?! :) კლეოპატრა.

• დაირეკა მარტოობის ზანზალაკი, ღამე იქცა სამუდამო მეგობრად, მონატრების უსასრულო დრო და წამი, მე ცხოვრება რა იოლი მეგონა. დავიღალე უსასრულო მოლოდინით, ზეცა ტირის, ჩემთან ერთად იღვრება, რომ

იცოდე, მე უშენოდ როგორ მიჭირს, შენც ასევე ძლიერ გაგიჭირდება. გავიქცევი, ისევ ღამეს შევერწყმები, მარტოობას მასთან გავიზიარებ და თუ მოხვალ ვიცი, მაინც შევეცდები, გაპატიებ, სულს არ დაგიზიანებ. ბეღურას. კლეოპატრა.

• ცხოველები ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით — ძაღლები. ბავშვობაში უამრავი ძაღლი მყავდა და რატომღაც მალ-მალე მიკვდებოდა, რაც უბედურება იყო ჩემთვის. ერთ დღეს მანქანამ იმსხვერპლა ჩემი უსაყვარლესი ბიმი. ძალიან განვიცადე ეს ამბავი, ერთი კვირა მოთქმით ვტიროდი. ხალხმა რომ გაიგო, სათითაოდ მომიყვანეს ლეკვები, ოღონდ შენ დაწყნარდიო. ათი ლეკვი მაინც შემიგროვდა და მეც გავიხარე. დედაჩემი ამ ფაქტით გადარეული იყო, სულ ემუქრებოდა ჩემს ლეკვებს, მიწას დაგაყრითო, მაგრამ რატომღაც ამ მუქარას არ ასრულებდა და ლეკვი რომ გარდაიცვლებოდა ხოლმე, მამაჩემი აყრიდა მიწას, ჩვენი კაკლის ძირში. :) ლაკვასტი.

• ხალხო, მე ტერეზა გავიცანიიიი! ქალი სასწაულია, გეფიცებით. ისეთი თბილი და საყვარელია... უკვე მიყვარხარ, ხატიიიი... :) რუისპირი.

• ღიმონ, რა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ხარ, იცი? ბავშვებო, დამეთანხმებით, ღიმონა არის ადამიანი, ვინც ყველაზე მაგარი, ორიგინალური კომპლიმენტების თქმა იცის. აღფრთოვანებუულ! :) ეს დამავიო კიდე ჩემი BEONCYA. რუისპირი.

• ატარექსია, როგორ ხარ, წითელდიპლომიანო სარძლოვ? :):) ეს ჩემი ჭრიჭო, ფლამინგო და თამრიკო რა განძივით ხალხია, ხვდებით? :) ღლონტებმა რომ იპოვეს, ისეთი განძი, ოღონდ. ეს CRAZY, ფეშენა, მემე, კუტრინა და პარიჟანკა? ხალხი — საოცრება. ღიკა და მარიამული? ოო, უძალიანკარგი არსებები. :) ბათუმელები ხომ საერთოდ, ჩასაყლაპი ხალხია და ნანი დუმბაძე? „გზის“ სიამაყე ადამიანი, სითბო ხართ, ქ-ნ ნანი... უი, რამდენი ვიღაპარაკე. ჩემი მასხარა გამომრჩა. მაგრამ თელაველები ყველაზე მაგრები ვართ, რა. რუისპირი.

• არა, საყვარელი რომ ვარ და თავმდაბალი კი ვიცოდი, მაგრამ ღურსმნებსაც თუ მე ვუყვარდი, არ ვიცოდი. მოვდივარ ამ ბებო-ნაქებაში და დავაბიჯე ჟანგიან ღურსმანს. რუისპირი.

• საღამოს მე და ბებო ქუჩაში ვისხედით... შეყვარებული ბიჭი გოგოს აცილებდა და ერთი მაგრად აკოცა. ბებო მიუტრიალდა და — უმე, ქა, ჩემ დროსა ეგრე მეგონა, კაცის შარვლის ტოტი თუ მამედებოდა, უკვე ფეხმძიმეთ ვიყავიო. ჭრიჭ, გავაცნოთ ბებიები? :) რუისპირი.

• ვიღაზე ვწერო? შენ წახვედი, დავრჩი მარტოკა... გდია დივანზე ხის წავი და ბამბის მარტორქა. რა მოხდა მერე, თუ ბავშვობას წლები გვაშორებს? ვგავართ მე და შენ, ერთმანეთს და სათამაშოებს. რუისპირი.

• შენი დრო პეშვში მაქვს, წყალივით მეღვრება. მიყვარხარ, იმ დროში, ჩვენ რომ არ გვექნება.

• ის მაინც ვიცი, სად გეძებო, რომელ საფლავზე, შენ ხომ მანდედან წამსვლელი უკვე აღარსად ხარ. რამდენი გული აატირა შენმა დაკარგვამ, ადექი მამა! საფლავი შენი ღირსი არაა. დატოვე ცრემლი, მოგონება, ბევრი ლამაზი. მიწაში წევხარ, ცივი მიწაა შენი საბანი. ის არ იფიქრე, რომ დატანჯავდი შენ, ჩემ ფაქიზ გულს. ადექი მამა! მენატრება შენი დანახვა. როგორ ვანუგეშო შენი მშობლები და როგორ გავიქარვო დარდი? მაგრად მენატრები ჩემო მამიკო და... ღმერთს ებარებოდე, ამინ! ეს ლექსი მე დავწერე და ვუძღვნი მამაჩემს. მაგრად მენატრება და მაკლია. ნანა.

• ცხოვრებაში რაც უფრო მეტად ცდილობ ისე იცხოვრო, რომ შენკენ თითი არავინ გამოიშვიროს, უფრო პირიქით ხდება... შენ უძლური ხარ, პირზე ხელს თურმე ვერავის ააფარებ. ყველა იმას ამბობს, რაც სურს... აქედან იწყება, რაც იწყება...

• არავის უამბო გზები სად გაიყო, რად შევრჩით ცალ-ცალკე ცხოვრების დინებას, არავის უამბო რა მოხდა, რა იყო, თორემ იცოდე, რომ გული მეტკინება. არავის უამბო, თუ როგორ მიყვარდი, როგორ ვოცნებობდი ან როგორ ვბავშვობდი, არავის უამბო იმ ლამაზ დღეებზე და არც ის უამბო, თუ როგორ დავშორდით. არავის უამბო გული რად გაცივდა, თუ როგორ ჩაგვიქრა ოცნების ლამპარი, სხვას ნუ მოუყვები ჩვენ შორის რაც იყო, მე და შენ ვიცოდეთ მხოლოდ ეს ზღაპარი. 9717.

• იქნებ რამე მირჩიოთ. საბერძნეთში ახალი ჩამოსული ვარ, ორი წელია და მალევე გავთხოვდი. მომიტაცა მომავალმა მეუღლემ. კარგად არ ვიცნობდი და შეიძლება ამიტომ, სულ ვჩხუბობთ. როგორ შევინარჩუნო სიყვარული ოჯახში და ურთიერთგაგება.

• იცი, როგორ მიტირეთ, რომ მოვკვდები? ასე: ვაიმე, ეთო, შე უბედურო, ეგ რა მოგვიდა, ქალოო, შენ ეგეთები არ იცოდი, არააა! სულ შეცვლილხარ გოგოო, ვაი, შე უბედურო შენაა! ვინღამ უნდა დაგვირეკოს დღეში ასჯერ და ვინღამ უნდა მოგვითხზას სულელური მესიჯებიი! გოგო, ეთო, შე გიჟპოეტავ შენაა! ტელეფონი გაატანეთ იქაც ხალხოოო! „სონი-ერიქსონი“ აუცილებლადა, ეგ უყვარდა ამ უბედურსა ამასაა.... არ დაგვიწყებთ ეთოო, იქიდანაც მოგვწერე მესიჯები ქალოო, რას უწეხარ, ადე, ყავა მოგვიდუღე, პირი აუკრავთ შენთვის და ახლა ვეღარ ილაპარაკებ, არადა როგორ გიყვარდა ყბედობა, გოგოო...

• მამაჩემს ვეუბნები, ვეფხისტყაოსანი მომიყევი-მეთქი და იყო ერთი ვეფხვის სიმპათიური ტყავიო. :) ფიფქია.

• გამარჯობა! გთხოვთ, მარი, იქნებ დამიბეჭდოთ: ახალი წლის დღეები იყო, საღამო ხანს (უკვე ბნელოდა) მეგობართან მიმავალმა, გაჩერებასთან ძალიან, ძალიან ლამაზი გოგონა დავინახე. შეიძლება არც გამოვლაპარაკებოდი (საოცრება იყო, ვერ გავბედავდი), მაგრამ აღმოჩნდა, მარტო მე არ მიმიქცევია მისთვის ყურადღება. იქვე რამდენიმე ნასვამი ახალგაზრდა ტრიალებდა და ბჭობდნენ, როგორ მიექციათ ანგელოზის ყურადღება. ის კი ყინვაში, მსუბუქ თოვაში მოკლე კაბით იდგა და სციოდა; ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ახლოს მივედი: — ახალ წელს გილოცავთ, — ვუთხარი და შოკოლადის კანფეტი გავუწოდე. — დიდი მადლობა, თქვენც გილოცავთ, — და მანაც შოკოლადი მაჩუქა (დიდხანს ვინახავდი იმ შოკოლადს). ცოტა ხანს ვისაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ მეგობრებთან წვეულებაზე მიდიოდა და მამას ელოდა, რომელსაც უნდა გაეცილებინა. მამაც მალე მოვიდა და მე გულისტკივილით დავემშვიდობე. ის გაფრინდა ღამის თოვაში და თან წაიღო ჩემი ოცნების უდიდესი ნაწილი... მას შემდეგ ყველგან დავეძებ, თუმცა უშედეგოდ. იქნებ, წაიკითხოს (დიდი იმედი მაქვს) და გამომეხმაუროს...

• მოკლედ, დაცხა და გაიხადეს გოგონებმა. :) ამას წინათ „მარშრუტკაში“ ისეთი ჩაცმული გოგო ამოვიდა, რა ვიცი, ბრმანაწლავიდან დაწყებული, ყველაფერი მოუჩანდა. გადარეული.

• მარი, შენ როგორ ხარ? ახლა ვზივარ და ვარსკვლავებს ვუყურებ. ამ ზაფხულს მართლა დასასვენებლად მივდივარ განვადებით, ანტალიაში. :) ეჰ, ვიოცნებო მაინც. გადარეული.

• წუხელ ბალიში გაიჟღინთა ცრემლებით. სიყვარულს დავშორდი ჩემი ნებით და ჩემი სურვილის გარეშე. ჩემი სიცოცხლის აზრი კარიერისა და უსაზღვრო მონატრების გამო დავთმე. ალბათ გამკიცხავთ, მაგრამ რა მეშველებოდა, თუკი უღიმღამობა იმ სიყვარულსაც გაფანტავდა. ჩვენ სხვადასხვა ფასეულობები აღმოგვაჩნდა. მართალია, მან ვერ შემინარჩუნა, მაგრამ მეც გავწირე. მომენატრება უსაზღვროდ და საუკუნოდ გამყვება ეს ტკივილი. მე ხომ შენი ცხოვრებუნება ვიყავი.

• აბაააა თურმე რაა და არაფერი. :) მაარ, ჯიგარი ხარ. ფიფქიას გაცნობა მინდაააა. რუდიკა.

• აუ, მაარ, გძინავს? მომწერე, რაა... :) მეც არ მოვინდომე მთვარეზე ასვლაა?! :) რუდიკა.

• როგორ ხართ? ამ გამოცდებმა გადამიყოლა, თუმცა დავამთავრე და ცოტა ამოვისუნთქე. ბათუმში ვინ მოდის ახლა? გელოდებით. სუპერსთარი.

• „ოდნოში“ ვიღაცამ თავი მაგინებინა. იეზიდების ენაზე რაღაც მითხრა და... უსახელო იყო, გოგო ვარო, მაგრამ რა ვიცი, არ მინდა ვიფიქრო რომელიმე მგზავნელზე, თორეე... სუპერსთარი.

• დუმბაძის ქალბატონმა რა გამახარა თავისი მესიჯით, ვერც წარმოიდგენს ალბათ. სამწუხაროდ, გამოცდისთვის (პროკურატურის) ვემზადებოდი და ისეთ დღეში ვიყავი, არაფრის თავი არ მქონდა და „გზა“ ვერ ვიყიდე. მაგრამ მაინც ვიშოვი, წინა ნომერს და თქვენს ინტერვიუს უსიკვდილოდ წავიკითხავ... აღმაფრენა ქალბატონი ხართ. ნამდვილად ძვირფასი ქმნილება... გულით ცივი, წრფელ სითბოზე ვგიჟდები და თქვენი მესიჯიდან ისეთი პოზიტივი გადმოდინდა ჩემში, რომ სიტყვებიც არ მყოფნის ასახსნელად. ძალიან დადებით ამინდს ქმნით და დაე, მუდამ ასე ყოფილიყოს... ღმერთმა ჩვენი გაძლების ჯანი მოგცეთ. სიყვარულით და უზაარმაზაარი პატივისცემით, ლიმონა.

• მალედ მოგწერო ქალაუ, წამზომ ხვარ არ მაქ ჩართული, ერთი კვირაი მაქ პასუხად, შენ ლექს ვაშენო სართული. შარსა რად უბნობ არ მესმის, განმიმარტ შენი ნართული, სხვისკენ რომ არ მრჩის თვალი და შენით რომა ვარ გართული? კაფიის თუ ხარ დედოფალ, არ გამოგივიდ კვართული, ვარდობის მე რა მაცხია, სარეველა ვარ ქართული, ვერ მამსპობს შენი ეჭვები, თან ზედ ეგ კაფვა დართული, ტყუილ მექადნები გაგიწყვეტ, რაც რითმთ გიხვევივ მავთული, ხუთშაბათს პასუხ მოველი, ნაკვესი იყოს თან რთული. P.S. დაბადების დღეს გილოცავ, გულში მინთიხარ სანთლადო, სამოსელი ხარ პირველი, „გზაში“ გვიზიხარ ნათლადო. სულის სიმშვიდეს გისურვებ, მუდამ გეაროს მართლადო. ლიმონა.

• მაარ... ახლა რატომღაც იცი, რისი სურვილი გამიჩნდა? თვალებს დავხუჭავ და რომ გავახელ, აქ დამხვდე, ჩემ წინ იდგე და თვალებს რომ გავახელ, მმმმაააგრად ჩაგეხუტო... აი ისე, როგორც პირველად შეხვედრისას... იცი, რა მაგრად მომენატრე? თბილისში ვერ მოვახერხე და იმედია, ბათუმში გნახავ. მიყვარხარ დე, უუუძალიანესად. შენი გიჟი და ტკბილი გოგო... SWEET-GIRL.

• გადაცხელებულ-გადახურებული ტვინით ძლივს მოვაღწიე შენთვის მოსაწერად მარიამულ და ჩემი მოსვლის მიზეზი რამდენიმე თვის წინანდელი ამბავია, რომელიც გუშინ საღამოს, მასწავლებლიდან მომავალს გამახსენდა. ალბათ გქონია ისეთი მომენტი, როცა ყველაფერი ცუდად გამოგდის და რამდენიმე თვის წინ, ამ ზამთარში მეც ასეთი სიტუაცია მქონდა. მამიდაჩემმა როგორც ბავშვობიდან დაბედებული მაქვს, მაღაზიაში გამგზავნა (პატარა ვგონივარ დღემდე ყველას). მეც დიდი ამბით ვიყიდე ლიმონათი ჰოოდა, გზაზე რომ გადმოვდიოდი (ქალაქის ცენტრალური ქუჩაა და მუდამ დატვირთული მოძრაობა), უცებ ჩემს პარკს მოუნდა შუა ქუჩაში ჩემი შერცხვენა და ეს ჩემი ლიმონათები მთელ გზაზე მიმოიფანტა. ერთი გასკდა და ყინვაში ყვითლად ვიყავი აქაფებული. ჰოდა, უცებ დავიხარე და ბუზღუნ-ბუზღუნით დავიწყე ბოთლების შეგროვება. იქვე გზასთან ბიჭები აბირჟავებდნენ და უცებ კი მოვკარი თვალი, ერთი სადღაც რომ გაიქცა, მაგრამ აბა საიდან უნდა გამეგო სად გაიქცა ან მცხელოდა მისთვის? ჰოდა, ამ დროს ვიღაც ჯენტლმენი მომიახლოვდა, ჩემი ბოთლები აკრიფა და სადარბაზომდე მიმატანინა. გზაში მიმავალმა კი დავინახე ის მორბენალი ყმაწვილი ცელოფნის პარკით ხელში მოდიოდა და რომ დაინახა, უკვე აღმომიჩინეს სასწრაფო დახმარება, შერეკილებში როა, ზუსტად ისე აიქნია პარკი ზემოთ და ეე, ამ ქალაქში დახმარებაც დასწრებაზეაო. აბაა, მარ, აქ დახმარებაც დასწრებაზეა და გაიძახიან, ცუდია ქუთაისიო. :)) მოოვედი მე. ეშმაკუნა.

გილოცავ!

• ირმა კუტაშვილს: გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ულევ სიხარულს, მიზნების ასრულებას და ყოველივე სასურველს, ცხოვრების გზაზე! წმინდა მარიამი გფარავდეს. ასმათ ლოცულაშვილი.

• ჩემს მონატრებულ დედას, თამარ ანანიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელად მიმყოფოს შენი თავი, ჩვენდა საიმედოდ. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გაიხარე და გამრავლდი შვილებთან, შვილიშვილებთან და ახალდაბადებულ შვილთაშვილთან ერთად. გილოცავ დიდ ბებიობასაც. გკოცნი. თამილა.

• დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს საყვარელ მეუღლეს. ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კარგს. სულ სიყვარულში გაგევლოს მთელი ცხოვრება.

• ბაჩუკა ჩუბინიძე, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. სიხარულს და ჯანმრთელობას გისურვებ.

• ჩემს საყვარელ შვილს, თორნიკე ჭალელიშვილს 18 ივლისს ვულოცავ დაბადების დღეს. უფალი ჰფარავდეს შენს ცხოვრებას, დედას სიხარულო.

• ჩემს საუკეთესო მეგობარს, ზესტაფონელ ნანა ლილუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 18 ივლისს. ნანუცი, ბედნიერებას და ოცნებების ასრულებას გისურვებ. ვოვა ხიჯაკაძე.

• ჩემს უსაყვარლეს და მონატრებულ შვილიშვილებს, ნინი და ანი დოლიძეებს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ უსაზღვრო სიხარულს, ჯანმრთელობას, ღამაზ, აყვავებულ საქართველოში ცხოვრებას და თქვენი ღამაზი ოცნებების განხორციელებას. გფარავდეთ ქალწული, დედა ყოვლადწმინდა, მამა, ძე და სულიწმინდა. გკოცნით და გეხვევით, თქვენი ბებო, ღამარა იანტბელიძე.

• ბაღდათში მცხოვრებ ვაჟუნა ებანოიძეს და თეონა გოცირიძეს, ორივე ცოლ-ქმარს ვულოცავთ ბავშვის შეძენას. სულ ჯანმრთელი ყოფილიყოს, ჩემი ღამაზი ბიჭი. ღმერთი გფარავდეთ. მენატრებით ძალიან. მიყვარხართ. დედა ნაილი.

• ჩემს ღამაზებს ვულოცავ პატარა საბას შეძენას. ღმერთი გფარავდეთ, მამი, სულ კარგად მეყოლეთ. მენატრებით და მიყვარხართ. თქვენი მამიდულა მარინულა.

ჩემს მონატრებულ შვილს, ანა ქარჩხაძეს 17 ივლისს ვულოცავ 12 წლის შესრულებას. ვუსურვებ კარგად ყოფნას, მამიკოსა და დებთან ერთად. გაზრდილიყავი მშობლების სასახელო შვილი. გკოცნის და გიხუტებს შენი მონატრებული დედიკო, შორიდან.

მეუღლეს, გია ნერგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევეს. ბედნიერი და გახარებული ყოფილიყოს თავისი ცხოვრებით, ოჯახთან ერთად. მალე ყველა ერთად ვიქნებით. გკოცნით, გულო.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

როგორ ცხოვრობენ მილიარდერები

● მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი 5-საძინებლიან ბინაში ცხოვრობს, რომელიც 1958 წელს 31.500 დოლარად შეიძინა. ერთხელ ბაფეტიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „თუ რაღაც ნივთი 10 წლის მანძილზე სიამოვნებას არ განიჭებთ, მოიშორეთ, ხოლო თუ განიჭებთ, შეინარჩუნეთ“.

● ბილ გეიტსის სახლი 66 ათას ფუტზეა გადაჭიმული. მფლობელმა საცხოვრებელი რამდენჯერმე გადააკეთა. როგორც თვითონ განაცხადა, — „თავდაპირველად, სახლი მარტოხელა მამაკაცისთვის იყო გათვლილი. შემდეგ დავქორწინდი, შვილები მეყოლა და ამიტომაც მომიწია სახლის რამდენჯერმე გადაკეთებამ“.

● კომპანია Apple -ს ხელმძღვანელი — სტივ ჯობსი, ოჯახთან ერთად, 30-ოთახიან ბინაში ცხოვრობს.

● კომპიუტერული მაგნატის მაიკლ დელის ოსტინში (ტეხასი, აშშ) მდებარე სახლს, დაცვისა და მაღალი გალავნის გამო ადგილობრივებმა „სასახლე“ შეარქვეს.

● კორპორაცია Oracle-ს დირექტორმა ლარი ელისონმა 100 მლნ დახარჯა, რათა დიზაინერებს კალიფორნიაში მდებარე მისი ვილა იაპონიის იმპერატორის სასახლისთვის დაემსგავსებინათ.

● ინგლისში მცხოვრები ყველაზე მდიდარი, მეტალურგიული კომპანიის მფლობელი ლაკშმი მიტალა, ლონდონში, კენსინგტონის რაიონში, 124 მლნ დოლარად შეფასებულ სახლში ცხოვრობს. მის მფლობელობაშია: 12 საძინებელი, თურქული აბანო და 20 ავტომობილზე გათვლილი ავტოფარეხი.

● ამერიკელ ბიზნესმენსა და მეწარმეს აირა რენერტს ვილაზე (სახლში 29 საძინებელი ოთახია და 170 მლნ დოლარადაა შეფასებული) ჩოგბურთის კორტისა და ბოულინგის ბილიკის გარდა, საკუთარი ელექტროსადგური აქვს.

● დონალდ ტრამპი მანჰეტენის ცენტრში, სამსართულიან სახლში ცხოვრობს. ბინა ოქროთი და მარმარილოთია გაფორმებული. ერთი სართული კი ლუდოვიკო XIV-ს (14) სტილშია მოწყობილი. სახლი 50 მლნ დოლარადაა შეფასებული.

● ჯორჯ ლუკასის ვილა კალიფორნიაში, მერინის რაიონში 5156 აკრზეა გადაჭიმული. აქვეა სამონტაჟო სტუდია. ლუკასის სახლი მუზეუმს ჰგავს. აქვეა ჩარლი ჩაპლინის ხელჯოხი, წმინდა გრაალი „ინდიანა ჯონსიდან“ და სხვა რეკვიზიტი. ■

სასიკვდილო დოზა

ჰიპერვიტამინები

ერთ ჯერზე დალეული 5 ათასი აბი ვიტამინი მომენტალურ სიკვდილს გამოიწვევს. არსებობს ასეთი მცნება — ჰიპერვიტამინოზი, რაც ორგანიზმში ვიტამინების ჭარბ რაოდენობას ნიშნავს.

მზე

მზის დარტყმის მისაღებად 2-8 საათია საჭირო. თუ მზეზე 8 საათზე მეტს გაჩერდებით, თავის ტკივილი, ხმაური ყურებში, გულისრევის შეგრძნება შეგაწუხებთ (შესაძლოა, ბოდვა დაგეწყოთ ან გონება დაკარგოთ). გარდა ამისა, სხეულის ტემპერატურა 40-42 გრადუსს მიაღწევს.

მარილი

თუ ადამიანი ერთ ჯერზე 250 გ მარილს მიიღებს, აეწევა არტერიული წნევა, შეუშუპდება ტვინი და ფილტვები.

სასმელი

ფატალური შემთხვევით დასრულდება მოქეიფის ბედი, თუ სულმოუთქმელად 3 ბოთლ არაყს დალევს.

ჯოლო

ერთი კოლო 2,6 მგ-ს იწონის და შეუძლია, ადამიანს საკუთარ წონაზე ორჯერ მეტი სისხლი გამოსწოვოს. საშუალოდ, ადამიანს 5-5,5 ლიტრი სისხლი აქვს და თუ ერთდროულად 500 ათასი კოლო უკბენს, კარგი დღე არ დაადგება.

წყალი

ადამიანმა დღეში 1,5-2 ლიტრი წყალი უნდა დალიოს. თუ გადააჭარბა და 8-10 ლიტრი დალია, შესაძლოა, ვეღარ გადაარჩინონ. ■

დასაწყისი იხ. გვ. 16

ოთხივე საგანში რეპეტიტორებთან ვემზადებოდი. სამწუხაროდ, შარშან გრანტი ვერ მოვიპოვე, მშობლებმა კი უნივერსიტეტში ჩემი სწავლის დაფინანსება ვერ შეძლეს. ახლა უკვე ვმუშაობ და გრანტს კიდევ თუ ვერ ავიღებ, სწავლის გადასახადს თავად დავფარავ.

— შენი სამსახური ამის საშუალებას გაძლევს?

— „ტაქსოპარკში“ ოპერატორად ვმუშაობ. სწავლის საფასურს მთლიანად ვერ გადავიხდი, მაგრამ მშობლებიც დამეხმარებიან. იმედია, 30%-იან დაფინანსებას მაინც მოვიპოვებ.

— რომელი ფაკულტეტი აირჩიე?

— ეკონომიკური. მათემატიკა ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ამ სფეროში სამსახურის შოვნა შედარებით იოლია, მაგრამ ნორმალური სამუშაო თუ გინდა, გავლენიანი ნაცნობი აუცილებელია... ნებისმიერ დაბრკოლებას შევეჭიდები და მიზანს მაინც მივაღწევ ცხოვრებაში (*იღიმის*)!

გოგა ციცქიშვილი, *19 წლის:*

— მინდა, გამოცდები მალე დამთავრდეს — დავიღალე (*იღიმის*). მთელი წელი მასწავლებლებთან დავდიოდი. ამ ხნის განმავლობაში, სწავლაში ღამის გათენება ხშირად მიწევდა, მეგობრებთან ერთად, გართობაზეც ხშირად მითქვამს უარი, გოგონასთან პაემანზეც არ წავსულვარ (*იცინის*). წელს კომპიუტერთანაც კი იშვიათად ვჯდებოდი — სულ „წიგნებში ვიყავი“, ვწერდი...

— რომელი ფაკულტეტი აირჩიე?

— ეკონომიკური.

— ეს გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მიიღე?

— კი და არჩევანი მშობლებმაც მომიწონეს.

— ბლანკის შევსებისას, კიდევ რომელიმე ფაკულტეტი ხომ არ მიუთითე?

— კი, სამშენებლო. ქალაქს ავაშენებ, გავალამაზებ (*იცინის*)...

— გამოდის, შენთვის ფაკულტეტს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, უმაღლესი განათლება მიიღო...

— ყველა ეკონომისტი ხომ ვერ გახდება?! მე ჩემსას ვცდი და რაც იქნება, იქნება...

— სკოლაში კარგად სწავლობდი?

— კი, მაგრამ წელს გაათმაგებული ენერგიით ვემზადებოდი.

— სკოლაში მიღებული ცოდნით ეროვნული გამოცდების ჩაბარებას შეძლებ?

— ვერა. სკოლაში სწავლების ისეთი დონე არ არის, რომ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების იმედი გქონდეს. ჩემს კლასში იყო ბავშვი, რომელიც რეპეტიტორებთან ვერ მოემზადა და ალბათ, ვერც საგაისოდ მოემზადება, რადგან ამის მატერიალური შესაძლებლობა არა აქვს. კარგი იქნება, თუკი სწავლის მხრივ, სკოლებში სიტუაცია გამოსწორდება, რათა რეპეტიტორებთან მომზადების გარეშე, ბავშვმა ეროვნულ გამოცდებზე სხვა აბიტურიენტებს კონკურენცია გაუწიოს.

ნინო ფრიდონიშვილი, *17 წლის:*

— ქართულის გამოცდაზე ისეთი თემა შემხვდა, რომელიც არ მინდოდა (*იცინის*), მაგრამ რაღაც მაინც დავწერე. იმედი მაქვს, კარგ შეფასებას მივიღებ. თავიდანვე ლიცეუმში ვსწავლობდი. იქ სწავლების კარგი დონეა. ამიტომ რეპეტიტორებთან მხოლოდ ბოლოს, რამდენიმე თვის განმავლობაში დავდიოდი. იურისტობა მინდოდა, მაგრამ მერე ფსიქოლოგობა გადავწყვიტე. მინდა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მოვხვდე. მართალია, საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის დონით ბევრი სტუდენტი უკმაყოფილოა, მაგრამ ვიცი, რომ „ჯავახიშვილში“, ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე კარგად ასწავლიან. ასე ჩემმა უფროსმა მეგობრებმა (ისინი ფსიქოლოგიურზე სწავლობენ) მითხრეს.

— შენი აზრით, ფსიქოლოგობა შემოსავლიანი პროფესიაა?

— მე თუ მკითხავ, საქართველოში ფსიქოლოგის დახმარება ბევრს სჭირდება (*იცინის*). ჩვენს ქვეყანაში ეს დარგი მაინცდამაინც განვითარებული არ არის, მაგრამ იმედია, ვიდრე სასწავლო კურსს დავასრულებ, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება. ჩემი აზრით, ფსიქოლოგობა ძალიან საინტერესოა! ცუდია, რომ „ჯავახიშვილს“ გრანტი „აუწევია“, მაგრამ მაინც ჩავაბარებ (*იღიმის*)!..

დათო ანდღულაძე, *18 წლის:*

— როცა ადამიანს რწმენა გაქვს, აუცილებლად ჩააბარებ. არ ვნერვიულობ. საშუალოდ ვსწავლობდი, მაგრამ იმ დონის ცოდნა მაქვს, რომ ჩავაბარო.

— რეპეტიტორებთან ემზადებოდი?

— კი, ძლიერ მასწავლებლებთან.!

— რა პროფესია აირჩიე?

— დიპლომატობა მინდა.

— გამოცდაზე მარტო მიხვედი?

— კი, მაგრამ მერე ჩემი ოჯახის წევრებს ვუთხარი: თუ სურვილი გაქვთ, მოდით, მიგულშემატკივრეთ-მეთქი. მოვიდნენ... ახლა წავალ და ჩემს მასწავლებელს ვახარებ, რომ გამოცდას კარგად გავართვი თავი.

— თუ ეხმარებოდი შენს კლასელებს, რომლებსაც რეპეტიტორებთან მომზადების მატერიალური შესაძლებლობა არ ჰქონდათ?

— კი, ასეთი მეგობარი მყავს. ვეხმარებოდი, მაგრამ ბიჭია და ეუხერხულებოდა — დახმარებას ყოველდღე სხვას ვერ სთხოვ... როცა მასწავლებლის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობ, ფულსაც იხდი, უფრო მეტს იმეცადინებ.

— უნივერსიტეტებში სწავლების დონეზე ინფორმაცია თუ გაქვს?

— კი. ვისაც უნდა, ყველგან ისწავლის.

— ამ ლოგიკით, სკოლაშიც ისწავლი და ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებ...

— არა, უნივერსიტეტი სკოლისგან განსხვავდება: როცა შენთვის საინტერესო ფაკულტეტზე აბარებ, ყველაფერს გააკეთებ, რომ კარგად ისწავლო! თან, გადასახადი მცირე ნამდვილად არ არის და თუ სწავლა არ გინდა, ფულს რატომღა იხდი?!.

გადავწყვიტე, უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებსაც გავსაუბრებოდი, მაგრამ უმეტესობამ მითხრა: ჯერ დიპლომი არ აგვიღია და რაიმე ცუდი რომ ვთქვათ, ვაითუ, 4 წლის განმავლობაში „სწავლაში“ დახარჯული ფინანსები წყალში ჩაგვეყაროსო... ვისაც მატერიალური შესაძლებლობა აქვს, სწავლის გასაგრძელებლად, უცხოეთისკენ უჭირავს თვალი, ვისაც — არა, დანანებით ამბობს: რაიმე ხელობა მაინც მესწავლა, დრო, ფული და ენერგია უნივერსიტეტში სიარულისთვის რატომ დავხარჯეო?! რა თქმა უნდა, ისეთებიც ვნახე, ვინც მიღებული განათლებით კმაყოფილია... იმედია, მალე ყველა უნივერსიტეტის კურსდამთავრებული კმაყოფილი იქნება და დიპლომით ხელში, ცხოვრების ახალი ეტაპის პირისპირ დაბნეული არ აღმოჩნდება. ■

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი

2010 წლის მსოფლიოს პირველობის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული დიეგო ფორლანისთვის ასეთი აღიარება ნამდვილ სიურპრიზად იქცა. „სასიამოვნოა ასეთი ჯილდოს დაუფლება. ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო ჩემთვის. წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ მოვლენები შეიძლებოდა, ამგვარად განვითარებულიყო. თავდამსხმელი ვარ და საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის საბრძოლველად ვიყავი განწყობილი. მიზანს მივუახლოვდი კიდეც, თუმცა ბოლოს საუკეთესო მოთამაშის ტიტული დავიმსახურე, რითიც კმაყოფილი ვარ. მჯერა, რომ ამაში მთავარი წვლილი ჩემს გუნდს მიუძღვის. ნახევარფინალში მარცხი ჩემთვის ნამდვილ იმედგაცრუებად იქცა და უხასიათობას დღემდე ვერ დავეხსენი“, — დასძენს ურუგვაის ნაკრების ლიდერი, რომელმაც თავის გუნდთან ერთად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავა.

დასრულებული მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი კი გერმანელი ტომას მიულერი გახდა, რომელსაც სპეციალურად დაწესებული პრიზი — „ოქროს ბუცი“ გადაეცა. მიულერის მსგავსად ხუთ-ხუთი გოლის გატანა მოახერხეს დავიდ ვილიამ (ესპანეთი), დიეგო ფორლანმა (ურუგვაი) და უესლი სნეიდერმა (ჰოლანდია), თუმცა ახალგაზრდა გერმანელმა თავისი კონკურენტები საგოლე პასების რაოდენობით (3) დაჯაბნა, რის მიხედვითაც მას უპირატესობა მიენიჭა. უფრო ადრე ნახევარმცველი ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარეს.

ფინალური შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ესპანელი ანდრეს ინიესტა დასახელდა, რომელმაც ამ დაპირისპირებაში ერთადერთი გოლი დამატებითი დროის მიწურულს (116-ე წუთი) გაიტანა და თავის გუნდს პირველად მოაპოვებინა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

პირველობის საუკეთესო მეკარედ კი ესპანეთის ნაკრების გოლკიპერი — იკერ კასილასი მიიჩნიეს, რომელსაც პლეი-ოფის ეტაპზე არც ერთი გოლი არ გაუშვია. კასილასს ლევ იაშინის სახელობის პრიზი, „ოქროს ხელთათმანი“ გადაეცა.

საგულისხმოა ის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ მუნდიალზე გერმანელ მიროსლავ კლოზეს ბრაზილიელი რონალდოს მიღწევის გაუმჯობესების შანსი მიეცა. როგორც ცნობილია, კლოზეს მსოფლიოს პირველობებზე უკვე 14 გოლი აქვს გატანილი და თავის სამხრეთამერიკელ კოლეგას მხოლოდ 1 ბურთით ჩამორჩება. „ვულოცავ კლოზეს იმას, რომ მსოფლიო პირველობებზე 14 გოლის გატანა შეძლო, — ამბობს რონალდო, — ეს ფანტასტიკური შედეგია. სამწუხაროა, რომ მან ტრავმის გამო მესამე ადგილისათვის გამართული შეხვედრა გამოტოვა. სულაც არ გავღიზიანდებოდი, კლოზეს ჩემი რეკორდი რომ გაეუმჯობესებინა. ჩემი დრო უკვე წასულია და ამიერიდან ისტორია სხვა ფეხბურთელებმა უნდა შექმნან“.

ბომბარდირები:

ტომას მიულერი (გერმანია), დავიდ ვილია (ესპანეთი), უესლი სნეიდერი (ჰოლანდია), დიეგო ფორლანი (ურუგვაი, ერთი გოლი პენალტით) — 5;

გონსალო იგუაინი (არგენტინა), მიროსლავ კლოზე (გერმანია), რობერტ ვიტეკი (ერთი გოლი პენალტით) — 4;

ლუის ფაბიანო (ბრაზილია), ლუის სუარესი (ურუგვაი), ლენდონ დონოვანი (აშშ, ერთი გოლი პენალტით), ასამოა გიანი (განა, 2 გოლი პენალტით) — 3.

რაული ბედნიერია

ესპანეთის ნაკრების გამარჯვებამ არა მარტო ტრიუმფატორი გუნდის შემადგენლობა გააბედნიერა, არამედ იმ თაობის ფეხბურთელებიც, რომლებმაც ამა თუ იმ პერიოდში თავად ვერ შეძლეს მსოფლიოს თასის დაუფლება. გამონაკლისი არც ცნობილი ფორვარდი რაულია. „მთელი ესპანელი ხალხისთვის ეს ისტორიული დღეა, — დასძინა მან, — მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი გამარჯვებით ძალიან გახარებული ვარ. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად სასიამოვნო ისაა, რომ ესპანეთის ნაკრებმა ვისენტე დელ ბოსკეს ხელმძღვანელობით გაიმარჯვა. იგი დიდებული ტაქტიკოსია, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის მსხვილ ტურნირებზე გამარჯვება. მან შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა. თამაშებს ვუყურებდი და ჩვენი ნაკრების თამაშებით სიამოვნებას ვიღებდი. ესპანეთის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა. ამ დიდებულ გამარჯვებას მთელ გუნდს ვულოცავ, მათ შორის ნაკრების სპორტულ დირექტორ ფერნანდო იეროს, მთავარ მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს, ყველა ჩვენს საფეხბურთო ფუნქციონერს და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს“. ■



ისევ ეს მოუსვენარი Jimmy Jump-ი

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაწყების წინ თავშესაქცევი ინციდენტი მოხდა, რომელიც სამწუხაროდ ტელემაყურებელმა ვერ იხილა. საქმე ისაა, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ტელეკამერები მინდორზე გამოსასვლელი კორიდორისკენ იყო მიპყრობილი (სადაც მეტოქე გუნდების მოთამაშეები და შეხვედრის არბიტრები იმყოფებოდნენ), მოედანზე თავზე ხელაღებული ფანი შეიჭრა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი ესპანელთა ქომაგი, ვინმე ჯიმი ჯამპი ყოფილა და იქვე დადგმულ, ტრიუმფატორისთვის მომლოდინე მსოფლიოს თასზე ქუდის დახურება სურდა. ეს გულშემატკივარი პირველად როდი მოიქცა ასე: 2004 წლის 4 ივლისს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე, წითელ კატალონიურ ბერეტსა და Jimmy Jump-ის წარწერიან მაისურში გამოწყობილმა ჯამპმა მინდორზეც შეაღწია და პორტუგალიის ეროვნული გუნდის მაშინდელ ლიდერ — ლუიშ ფიგუსთან „ბარსელონას“ დროშით მიიჭრა. მან კატალონიური საფეხბურთო-საკლუბო გრანდიდან ფეხბურთელის მადრიდის „რეალში“ გადასვლის გამო უკმაყოფილება გამოხატა. 2007 წელს კი, უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში მან „მილანისა“ და „ლივერპულის“ ფეხბურთელების ახლოს გაირბინა.

■

ბლატერი ესპანელთა და ჰოლანდიელთა არაკორექტულობით უკმაყოფილოა

ფიფას პრეზიდენტი — ზეფ ბლატერი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი გუნდების მოთამაშეთა საქციელით უკმაყოფილო დარჩა. მუნდიალის გადამწყვეტ მატჩში მთავარმა მსაჯმა — ჰოუარდ უებმა ფეხბურთელებს 14 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი უჩვენა. „ნაკრებებს ფინალურ დაპირისპირებაში უფრო კარგად მოქცევა შეეძლოთ. ამაში დამნაშავენი მსაჯები სულაც არ არიან. არბიტრთა ტრიო შეხვედრის კეთილსინდისიერად დასრულებას ცდილობდა, მაგრამ გუნდებმა მათ ამაში დახმარება არ გაუწიეს“, — დასძინა მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის თავკაცმა.

საგულისხმოა ის, რომ ფინალურ მატჩამდე ესპანეთის ნაკრები „ფეირ პლეის“ პრიზის (პრიზი, რომელიც მუნდიალის ყველაზე სამართლიანად და კორექტულად მოთამაშე გუნდს გადაეცემა) უმთავრეს კანდიდატად მიიჩნეოდა.

■

„ყველა ასაკში კარგი მკითხველი ვიყავი“...

ჩვენი შეხვედრა ერთი პირობით შედგა. კითხვები კვანტური ფიზიკიდან არ უნდა დამესვა. ჩემი რესპონდენტი ამბობს, რომ განსაკუთრებით ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურა იზიდავს. მისი საყვარელი მწერალი ვაჟა-ფშაველაა და მისი ნაწარმოებებიდან სულიერ საზრდოს იღებს. მართალია, კარგი მეხსიერებით არ გამოირჩევა, მაგრამ თუ ამბავმა დააინტერესა, ადვილად ამახსოვრდება. ახსოვს ის ემოციებიც, რომლებიც ამა თუ იმ წიგნის წაკითხვის დროს ჰქონდა... „შვლის ნუკრის ნაამბობზე“ ყელში ახლაც „ბურთი“ ებჯინება. „ერუდიტის“ სტუმარი ტელეჟურნალისტი ირაკლი მაისურაძე გახლავთ.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— წერა-კითხვა სკოლაში მისვლამდე ვისწავლე და ამით ძალიან ამაყი ვიყავი. ჩემმა მშობლებმა კითხვა ისე შემაყვარეს, ვერც კი გავიგე. კლასში უკვე კლასგარეშე ლიტერატურას ვკითხულობდი. როცა ფარაონთა ისტორიის გაცნობა დავიწყე, ჩემმა რუსულის მასწავლებელმა მამას უთხრა, ძალიან რთულ წიგნს კითხულობს, რის გამოც შეიძლება, კითხვა საერთოდ შესძულდესო. ეს რომ გავიგე, მასწავლებელზე ნაწყენი დავრჩი... ახლაც მახსოვს ის ემოცია, რომელიც ჩემში ფარაონთა ისტორიის გაცნობამ გამოიწვია. ეგვიპტის სასახლის კარზე ჩახლართულმა ინტრიგებმა გამიტაცა.

— ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება შენზე კიდევ რომელმა ნაწარმოებმა მოახდინა?

— ბევრმა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ყველა ასაკში კარგი მკითხველი ვიყავი. მხედველობის პრობლემის გამო, ერთი პერიოდი, მშობლები სკოლის საგნების გარდა სხვა ლიტერატურის გაცნობას მიშლიდნენ. ექიმის რჩევით, კითხვის დროს განათება სწორად უნდა შემერჩია და წამოწოლილს არ უნდა მეკითხა. მე კი ამას არ ვეპუებოდი... ღამე, საბნის ქვეშ, ფარნითაც ვინათებდი და ისე ვკითხულობდი, მაგრამ წიგნიცა და ფარანიც რამდენჯერმე წამართვეს...

— ლექსებს ხშირად კითხულობ?

— ძალიან მიყვარს პოეზია, განსაკუთრებით — მთის ფოლკლორული ნიმუშები. მთელი ბავშვობა ყაზბეგში მაქვს გატარებული. იქ ჩემი დედულეთია.

— მთაში ასვლას ახლა თუ ახერხებ?

— იშვიათად... გერგეტის სამებაში ასვლას მარიამობისთვის ვგეგმავ.

— ძველ რომში ის გვარი იყო, დღეს კი ქველმოქმედ ადამიანს უწოდებენ.

— მეცენატი.

— ფეხბურთი გიყვარს?

— ფეხბურთის ფანი არ ვარ. 4 წელიწადში ერთხელ ბრაზილიას ვგულშემატკივრობ... ისე, მე უფრო კალათბურთი მიყვარს.

— დაასახელე სახელგანთქმული იტალიური საფეხბურთო კლუბი, რომელსაც „ბებერ სენორას“ ეძახიან, მაგრამ მისი სახელი „ახალგაზრდობას“ ნიშნავს.

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.

— „იუვენტუსი“. 7 საოცრებიდან ერთ-ერთი, — არტემიდეს ტაძარი, ამ ადამიანმა დაწვა. მისი მიზანი იყო, ამით მსოფლიოში სახელი გაეთქვა, მაგრამ კანონის ძალით, ვინც მის სახელს ახსენებდა, სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, ისტორიამ მისი სახელი მაინც შემოგვინახა.

— ძველი ბერძნული მითოლოგია ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ პიროვნების სახელს ვერ ვიხსენებ.

— ჰეროსტრატე.

— ძალიან მინდოდა, იმ პერიოდში მეცხოვრა. საოცრებებიდან ყველაზე მეტად ზევსის ქანდაკება და არტემიდეს ტაძარი მაინტერესებს. წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა?

— ძველბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი — თემიდა, რომაულ მითოლოგიაში რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას?

— თემიდა სამართლიანობის ქალღმერთი იყო. რომაულ მითოლოგიაში ვინ შეესაბამება (*ფიქრობს*)? არ მახსოვს. ჩემში ინტერესმა გაიღვიძა, ენციკლოპედიას უნდა გადავხედო.

— იუსტიცია.

— (*იცინის*) რა თანამედროვეა...

— თავდაპირველი მნიშვნელობით ეს ტერმინი ტყავის ტომარას ნიშნავდა. ინგლისის ხაზინის კანცლერი ქვეყნის პარლამენტის წინაშე მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მოხსენების დროს ამ ტყავის ტომრით ხელში წარდგებოდა. მასში საფინანსო დოკუმენტები ეწყო. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და დამკვიდრდა, როგორც ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი. რომელ ტერმინზეა ლაპარაკი?

— ბიუჯეტი.

— ფიროსმანი, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, თამარ მეფე... რა აქვთ მათ საერთო?

— ქართველები იყვნენ.

— კიდევ?

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— ჯიბეში საფულე გექნება...

— (*მაწყვეტინებს*) მივხვდი, ეროვნულ ვალუტაზე არიან გამოსახულნი.

— „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ“... დასრულე ეს აფორიზმი.

— „...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

— რა გვარი იყო ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი ნაწარმოების გმირი ჯოყოლა?

— ხომ გითხარი ცუდი მეხსიერება მაქვს-მეთქი. უამრავჯერ მაქვს წაკითხული ეგ პოემა და ვერ ვიხსენებ.

— ალხასტაისძე. რომელმა რეჟისორმა გადაიღო „დონ-კიხოტის“ ქართული ვარიანტი?

— რეზო ჩხეიძემ.

— საქართველოს რომელ რაიონშია თავმოყრილი ის-

ტორიული ძეგლები: წულრულაშენ, ქვეშის ციხე, ორბელიანთ კარის ეკლესია?

— ბოლნისში.

— ამ ხის სამშობლო აღმოსავლეთ აზიაა. დღეში 60-90 სანტიმეტრი იზრდება, 100 წლამდე ცოცხლობს და მხოლოდ ერთხელ ყვავის. რომელ ხეზეა ლაპარაკი?

— ვიცი, რომ ძალიან სწრაფად ბამბუკი იზრდება.

— ნამდვილად ასეა. საქართველოს რომელ მხარეს ეწოდებოდა ძველად თაკვერი?

— რაჭა-ლეჩხუმს.

— ვინ იყო თამარ მეფისთვის დავით ნარინი?

— (*ფიქრობს*) შვილიშვილი არ იყო?

— დიახ. ანდაზის მიხედვით რა არ დაიმალება თივაში?

— ცეცხლი.

— როგორ წარმოიშვა გამოთქმა — „დრო იწურება“?

— ვიცი, რომ ძველ ეგვიპტეში დროის საზომად წყლით სავსე ჭურჭელს იყენებდნენ, რომლიდანაც წყალი 1 საათის განმავლობაში წვეთობით იწურებოდა. ეს გამოთქმაც აქედან მოდის.

— ბოლო პერიოდში ეგვიპტის პირამიდებს ტურისტებისგან საფრთხე დაემუქრათ. თითქმის ყველა მოგზაური პირამიდის ნატეხის სახლში წაღებას ცდილობს. ეგვიპტის მთავრობამ ამის საწინააღმდეგოდ რა მოიმოქმედა?

— არ ვიცი.

— ყოველდღიურად სატვირთო მანქანით ქვის ღორღი მიაქვთ და პირამიდებზე ყრიან.

— გამოსავალი უპოვიათ... ჰო, ახლა გამახსენდა ეს ამბავი ეთერში წავიკითხე.

— ეთერში წაკითხული ამბავი უფრო გამახსოვრდება?

— ამბავს გააჩნია, თუ ამბავმა დამაინტერესა, მამახსოვრდება.

— უნგრეთის ქალაქ ესტერგომის არქივში 200 წლის წინანდელი დოკუმენტი იპოვეს, დოკუმენტის მიხედვით, ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს ეწ. ბოლის გადასახადი უნდა გადაეხადა. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახავად გამოიყენებოდა. ვინ იხდიდა ამ გადასახადს?

— ადამიანთა გარკვეული კატეგორია იყო?

— დიახ. ბოლის გადასახადი ერქვა.

— ალბათ მწეველები იხდიდნენ, ან ადამიანები, რომლებიც პურს აცხობდნენ.

— გამოიცანი, მწეველები იხდიდნენ. სტატისტიკამ დაამტკიცა, რომ ისინი დღეში 920 კითხვას სვამენ. ვინ არიან ისინი?

— ბავშვები.

— კანადელი სწავლული ჰენრი ლემანი ფიქრობდა, რომ პოეტებში ეს ხდება 26-30 წლის ასაკში, ეტიუდსა და მხატვრებში 20-35, ხოლო მწერლებში — 40-45 წლის ასაკში. რა ხდება ამ დროს?

— მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ამ დროს გენია იღვიძებს.

— ალბათ გახსოვს ფრთიანი გამონათქვამი: „რელიგია — ეს ხალხისთვის ოპიუმია“. რა სიტყვით შეცვალა სიტყვა რელიგია ამერიკელმა პრეზიდენტმა ნიქსონმა?

— ნიქსონის გამონათქვამები ძალიან მომწონს, გავიხსენებ (*ფიქრობს*) ა! ტელევიზიით შეცვალა.

— შენთვის თუ არის „ოპიუმი“ ტელევიზია?

— არა. როცა პირდაპირ ეთერში ვმუშაობ, ტელევიზია მაფხიზლებს. სახლში ტელევიზორს არ ვუყურებ. ახლა ჩემი „ოპიუმი“ ინტერნეტია. ტელევიზიით მხოლოდ შემეცნებით გადაცემებს ვუყურებ. საინფორმაციო გამოშვებები ხომ სისხლში მაქვს გამჯდარი.

— ცურვა იცი?

— ვიცი, მაგრამ ერთხელ ზღვაში ვიხრჩობოდი და მას შემდეგ ღრმა წყალში შესვლის შიში დამჩემდა და ახლა ცურვას ვერიდები.

— ვინ გადაგარჩინა?

— გამოსვლა ჩემით მოვახერხე. საშინელი განცდა იყო.

— ის მეზღვაურთა ისტორიაში ყველაზე სახელგანთქმული მაშველია. შეუდარებელი მოცურავეა და თავის საქმეში გასამრჯელოს არასდროს იღებს. დასახელე რაზეა ლაპარაკი?

— დელფინზე.

— კლასიკური ნიუ-იორკული საუზმე შედგება სამი ელემენტისგან. ერთი არის ცხელი, მეორე — თბილი, მესამე — ახალი. ცხელი — ეს ყავაა, თბილი — ფუნთუშა, ხოლო რა არის ახალი?

— რძე ან კარაქი.

— ცდები. საუზმის დროს აუცილებელია ახალი გაზეთი.

— (*მაწყვეტინებს*) „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

— ნიუ-იორკიდან იტალიაში გადავინაცვლოთ. ამ ქვეყანაში თუ ხარ ნამყოფი?

— ბავშვობაში.

— იტალიის ზოგიერთი ქუჩის კუთხეში დგას ღვთისმშობლის სკულპტურა. მასზე მიკრულია აბრა. რა წერია აბრებზე?

— არ ვიცი.

— ქუჩების დასახელებები. გლოსტერი — იორკების დინასტიის ბოლო წარმომადგენელია. იგი ავიდა ტახტზე და სხვა სახელი დაირქვა. დასახელე ტრაგედია, რომელიც მას შექსპირმა მიუძღვნა.

— „რიჩარდ III“.

— „წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომეცალა მთა და ბარი. გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემს განუშორებლივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი განურჩევლად ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მეპატონის და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრება“, — ალექსანდრე ყაზბეგის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „ნამწყემსარის მოგონებაში“.

— რომელ ორ ზღვას აერთებს ბოსფორის სრუტე?

— შავ და მარმარილოს ზღვებს, არა?

— დიახ, დასახელე ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც — კინოში იმედა კახიანმა, ხოლო თეატრში გოგი გეგეჭკორმა განასახიერა.

— (*ფიქრობს*) მინიშნება მითხარი რა, მაგალითად ვინ არის ავტორი, რომლის ნაწარმოებშიც ეს პერსონაჟი გვხვდება?

— დავით კლდიაშვილი.

— ა! „სამანიშვილის დედინაცვალი“.

— კახიანმა და გეგეჭკორმა დედინაცვლის როლი ითამაშეს?

— (*იცინის*) არა, პლატონის როლი შეასრულეს.

— ქართული ხალხური ეპოსის რომელი გმირი იყო ნადირობის ქალღმერთის — დალისა და უცნობი მონადირის შვილი?

— ამირანი.

— ვისი ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული ქართული მხატვრული ფილმი — „ქვევრი“?

— ავტორი ქართველი არ არის (*ფიქრობს*) ლუიჯი პირანდელო, სწორად მახსოვს?

— დიახ. ცნობილია, რომ შოტლანდიური გვარები იწყება მაკ-ით. მაგალითად მაკ-დუგლასი, მაკ-დონალდსი, და ა.შ. რას აღნიშნავს თავსართი „მაკ“?

— ზუსტად არ ვიცი. შვილს ხომ არა?

— გამოიცანი. დაბოლოს დაასრულე ებრაული ანდაზა: „როცა ღმერთს უნდა დაღუპოს ადამიანი, მას აძლევს უფრო მეტ...

— ეს ანდაზა არ მახსოვს.

— „...უფრო მეტ ჭკუას“.

— ებრაელებს არ ვეთანხმები. თუ ადამიანს ჭკუა აქვს, ის ღმერთთან ყოველთვის ახლოს იქნება. ■

ანეკდოტები

* * *

მიფრინავს არწივი. უცებ ზურგზე ბეღურა დააჯდება. არწივი:

— რა გინდა?!

— არაფერი! გზას უყურე!

* * *

ჭიჭიკია ეკითხება ჟუჟუნას:

— რას იზამდი, ახლა შენთვის რომ მეკოცნა?

— ვიკივლებდი, დედა მიშველეთქვა.

— მერე რა მოხდებოდა?

— არც არაფერი. სახლში არავინაა.

* * *

— იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან და დატოვა ოცდაოთხი წლის ქვრივი ქალი, — წარმოთქვა მიცვალებულის დასაფლავების დროს მისმა მეგობარმა.

— ოცდასაამიიის, — ამოისლუკუნა ახალგაზრდა ქვრივმა.

* * *

ქმარი შინ ჩვეულებრივზე ადრე მივიდა. ხედავს, მისი ცოლი მის მეგობართან ნებივრობს. იძრო პისტოლეტი და მეგობარი იქვე მოკლა. ცოლი საწოლიდან ადგა და საყვედურით აღსავსე ხმით ეუბნება:

— ასე თუ გააგრძელე, სულ მალე უმეგობროდ დარჩები.

* * *

— მამა, აბა გამოიცანი, რა არის „კლინ-კლინ, მიაუ-მიაუ“?!

— არ ვიცი.

— ფისო მგზავრობს ტრამვაით! აბა — „კლინ-კლინ, ავ-ავ“?!

— ალბათ, ძაღლი მგზავრობს ტრამვაით.

— არა, ეს დედიკო დაბრუნდა სამსახურიდან!

* * *

— ექიმო, დარწმუნებული ხართ, რომ ორსულობის 23-ე კვირაზე ვარ და არა 27-ზე?

— აბსოლუტურად!

— ღმერთო, ჩემო, სხვაზე გავთხოვდი!..

* * *

ფერმერმა სმიტმა ქალაქელი ქალი მოიყვანა ცოლად. ქორწილის შემდეგ ცოლი შინ მიჰყავს. გზაში ცხენმა წაიფორხილა;

— ეს ერთი! — ჩაილაპარაკა თავისთვის სმიტმა.

ცხენმა მეორედ წაიფორხილა.

— ეს ორი!

ცხენმა მესამედაც წაიფორხილა.

— ეს უკვე სამი! — თქვა სმიტმა და ცხენი მოკლა.

— რატომ მოკალი, შე უღმერთო?! — გადაირია ცოლი.

— ეს ერთი! — ჩაილაპარაკა თავისთვის სმიტმა.

* * *

სვანი ნაბახუსევზე იღვიძებს და სარკეში იყურება:

— არ გიცნობ, ძმაო, მაგრამ მაინც გაგპარსავ!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი

1. როდის აღნიშნავენ ამერიკელები მადლიერების დღეს?

2. რის კოლექციას აგროვებს ელტონ ჯონი?

3. ამერიკული ვაზის ჯიში — „იზაბელა“ ბუნებრივი ჰიბრიდია. რას ეძახიან მას ჩვენში?

4. რა ჰქვია იაკუტების საცხოვრებელ კარავს?

5. ვის ეკუთვნის ლექსი: „მე მეზმანება ისევ თბილისი“.

6. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი ათ ან ხუთერთეულიან თვლის სისტემას იყენებს, რადგან ადამიანს თითოეულ ხელზე 5 თითი აქვს. იუკის ტომის ინდიელები კი ოთხი ერთეულით ითვლიან. რატომ?

7. ერთხელ ერთმა საშუალო ნიჭის დრამატურგმა ვოლტერს უთხრა: „თქვენი ტრაგედიების კითხვისას მივხვდი, რომ უკეთესად ვერასოდეს დავწერ, ამიტომაც გადავწყვიტე, მხოლოდ კომედიები ვწერო“. რა ურჩია ვოლტერმა?

8. ლივერპულის ერთ პატარა ქუჩაზე მდებარე კაფეს — „სერჟანტ პეპერი“ ჰქვია. რით არის განსაკუთრებული ამ კაფეს მენიუ?

9. რომელი ქართველი რეჟისორი ამბობდა: „მე კინო მაწერინებს მოთხრობას და არა — პირიქით“?

10. სად ინახება გალაკტიონ ტაბიძის სახის ნიღაბი?

11. რა არის „ორჟანდი“?

12. დაასახელეთ მწერი, რომელიც მარცვლოვანი კულტურების სამი მეოთხედის დამტვერვას ახდენს.

13. დაასახელეთ ფინიკიელთა მიერ დაარსებული ყველაზე განთქმული ქალაქი.

* * *

ცოლი ეუბნება ქმარს:

— ძვირფასო, როგორ ფიქრობ, ჩვენს ცხოვრებაში მრავალფეროვნების შესატანად ერთმანეთისთვის ხომ არ გვეღალატა?

— უკვე ვცადე, აზრი არა აქვს.

* * *

ორი მამაკაცი საუბრობს:

— შარშან იაპონიაში ვიყავი. უნდა ნახო, მიწისძვრის დროს იქ რა ხდება, ისმის წივილ-კივილი, ავეჯი ოთახში დაფრინავს, ჭურჭელი იმსხვრევა!.. — ჰყვება ერთი. მეორე უცებ სავარძლიდან წამოხტა:

— უნდა წავიდე, ცოლმა მითხრა, სახლში დროზე მოდიო.

* * *

ეჭვიანმა ქმარმა გადაწყვიტა, ცოლის ღალატში დარწმუნებულიყო და ცოლს უთხრა, მივლინებაში მივდივარო, გავიდა მეორე ოთახში და საწოლის ქვეშ დაიმალა. ღამე ესმის: „გვერდით, გვერდით, ასე, კარგია, ფეხი ასწიე, აბა, მიდი, კარგია“... ქმარმა ცოტა ხანს შეიცადა, მერე კი ოთახში შევარდა იარაღით ხელში და რას ხედავს: ცოლს გულიანად სძინავს, როიალი კი აღარსად არის.

* * *

უფროსის დავალებით მდივანი მის ცოლს ურეკავს:

— თქვენმა მეუღლემ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, დღეს თათბირზე შემაგვიანდებაო.

— ასპროცენტიან გარანტიას მაძლევ, თინიკო?

* * *

ქმარი კურორტზე მიდის დასასვენებლად.

— საქორწინო ბეჭედი რატომ არ გიკეთია! — საყვედურობს ცოლი.

— ამ სიცხეში?

* * *

მარო რეკავს თებროსთან:

— გავიგე, შენი ქმარი სახლიდან ისევ წავიდა.

— ხომ იცი, რა თავქარიანია? იბოდიალებს ჩათლახებში და ისევ უკან დაბრუნდება. მართლა, შენთან ხომ არ შემოუვლია?

* * *

— როცა ცოლად მოგყვებოდი, მეგონა, გაბედული კაცი იყავი.

— მაშინ ყველა ნაცნობიც მაგას მეუბნებოდა.

* * *

ორი სვანი კროსვორდს ავსებს:

— „პროპელერიანი კაცი“, რვა ასო. ნეტავ, რა უნდა იყოს?

— საფრთხობელა.

— არ ეტევა.

— წვრილი ასოებით ჩაწერე.

* * *

— ...და უცებ იმ გოგომ წელამდე გაიხადა...

— ქვემოდან თუ ზემოდან?

— ორივე მხრიდან!..

* * *

ოჯახური სცენა.

ცოლი:

— კაცობა არც არასდროს გქონია და ახლა კაცის ფორმასაც კარგავ!

ქმარი:

— შენ ქალი კი არა, ძაღლი ხარ, ძაღლი!

— აუუუუ!.. — აყმუვლდა ძაღლი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ნოემბრის ბოლო ხუთშაბათს.
2. სათვალის.
3. „ადესას“.
4. ბალაგანი.
5. მანდელშტამს.
6. ისინი თითებს შორის არსებული დაშორებებით ანგარიშობენ.
7. „მოლიერი წაიკითხეო“.
8. მასში შემავალ ყველა კერძს ანსამბლ „ბითლზის“ სიმღერების სახელწოდება აქვს.
9. გოდერძი ჩოხელი.
10. ქართული ლიტერატურის მუზეუმში.
11. ფორთოხლის წვენისგან დამზადებული გამაგრილებელი სასმელი.
12. ფუტკარი.
13. კართაგენი.

ჩვენი ფოტო გაღეარეა

ჰოროსკოპი

16-24 ივლისი

ვეძერი

ახალი საქმე ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ნუ დაივიწყებთ ოჯახის წევრებს. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ. კარგი პერიოდია საოჯახო საკითხის მოსაგვარებლად.

ჯუჯი

ყველა საქმეს ერთდროულად ნუ წამოიწყებთ. თავად გადადგით პირველი ნაბიჯი და შემოირიგეთ ნათესავები. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

ტყუპი

პრობლემების თავიდან ასაცილებლად, უცნობებს ნუ მიიყვანთ სახლში. მოერიდეთ სექსუალურ ურთიერთობას შემთხვევით ნაცნობთან.

კიბოს

მთელი კვირა სიურპრიზებით იქნება სავსე. კარგი დროა იდეების განსახორციელებლად. შუა კვირაში შვილების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

ლომი

ოჯახის წევრებისგან ძალიან ბევრს ნუ მოითხოვთ. ეცადეთ, თვითონ გახდეთ მათთვის მრჩეველი და დამხმარე. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად.

ქალწული

თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველა საქმეს მოასწრებთ. მთავარია, ცუდი ფიქრები თავიდან მოიცილოთ და გამხიარულდეთ.

სასწორი

განწყობილებას ახლობლებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა გამოგიკეთებთ. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შეხვედრები და მოლაპარაკებები გელით.

ჭიანჭველა

კოლეგებისთვის პროფესიონალი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. თავად კი დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ.

ვაშლი

დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ, არ გირჩევთ ახალი საქმეების წამოწყებას. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და საყვარელ ადამიანებთან.

თხა

თუ ყველა ნერვებს გიშლით და საქმიანობაშიც არაფერი გამოგდით, დროა, თავად შეიცვალოთ. დამთმობი და ლოიალური გახდით. ხშირად ისეირნეთ ბუნებაში.

ბერწყუნა

ახალი საქმეების დაწყებისას, რჩევა პროფესიონალებს ჰკითხეთ. შუა კვირაში ნუ გაასესხებთ ფულს. ურთიერთობის გასამყარებლად, მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან ერთად.

თევზები

სამსახურში დაძაბულობა მოიმატებს. ეცადეთ, ყველა საბუთი წესრიგში გქონდეთ. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს.

როგორი ქალები მოსწონთ მამაკაცებს?

✖ ვერძს საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი მოსწონს, რომელიც ყოველთვის ფორმაშია. მას ადვილად დასაპყრობი მანდილოსანი მალე ჰბეზრდება. ქალი ძნელად მოსანადირებელი უნდა იყოს.

✖ კურო ცოლად ენერგიულ, ხელმარჯვე, კარგ დიასახლისსა და ორიგინალური იდეებით სავსე ქალს შეირთავს. ცანცარა და უტაქტო გოგონას გასართობადაც კი არ დაუახლოვდება.

✖ ტყუპთან გულახდილი ნუ იქნებით. თავი იდუმალ მანდილოსნად მოაჩვენეთ. ხშირად აეჭვიანეთ. თუკი თავის კუთვნილებად დაგიგულათ, თქვენდამი ინტერესს დაკარგავს.

✖ სენტიმენტალურ და რომანტიკულ კირჩხიბს განათლებული და ინტელექტუალი ქალი მოხიბლავს, რომელიც პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება. მისი იდეალი ლიდერი ქალია.

✖ ლომის მოსახიბლად თქვენი საუკეთესო თვისებები გამოავლინეთ. მას ბრბოსგან გამორჩეული ქალი ხიბლავს. გახსოვდეთ, რომ თქვენი რჩეული ცხოველთა მეფეა და მის გვერდით დედოფალი უნდა იყოს.

✖ ქალწული საკუთარ თავზე ბატონობის უფლებას მხოლოდ ლიდერს, საქმიან და განათლებულ ქალს მისცემს. მისი რჩეული წარმატებული და მებრძოლი უნდა იყოს.

✖ სასწორის რჩეული ვიზუალურად მიმზიდველი, განათლებული და ელეგანტური უნდა იყოს. მისი გული რომ დაიპყროთ, თავი მის მეგობრებსა და ახლობლებს უნდა მოაწონოთ. სასწორი სხვათა გავლენის ქვეშ ექცევა და ის მოსწონს, რაც სხვებს.

✖ მორიელს ძლიერი ქალების დამორჩილება უყვარს. არასდროს მოატყუოთ. მის დამცირებას ნუ შეეცდებით, თორემ გაგანადგურებთ.

✖ მშვილდოსანს ჭკვიანი ქალები აღიზიანებს. მასთან მხიარული და ლაღი უნდა იყოთ. რჩევისთვის მას უნდა მიმართოთ.

✖ თხის რქის გულს დაიპყრობთ თუ წარმატებული კარიერა გაქვთ, სახელოვანი წინაპრები გყავდათ, ძლიერი ხასიათითა და მიზანსწრაფულობით გამოირჩევით. თქვენს რჩეულს სენტიმენტალური და სუსტი ქალი არ მოეწონება.

✖ მერწყულის გულს მშვიდი ბუნების გოგონა მოიპოვებს, რომელიც რთულ სიტუაციაში გვერდით დაუდგება. თანაც, უკეთესია თუ მერწყულის სატრფო მის ინტერესებს გაიზიარებს და მისი ერთგული მეგობარი გახდება.

✖ თევზებს რომანტიკული და სენტიმენტალური მანდილოსნები ხიბლავს. გარდა ამისა, ქალი კარგი დიასახლისი და საუკეთესო მეგობარი უნდა იყოს. ■

ტაიმ-აუტი

1. უქნარა, პარაზიტი
2. ხმლის ბუდე
3. ხელოვნების დარგი
4. თვალის ექიმი
5. თუთიყუშის სახეობა
6. ავეჯის სრული კომპლექტი
7. კლდის თხა, ქურციკი
8. მსხვილი საფანტი
9. ბოულინგი
10. კურდღლის სახეობა
11. მდინარე ევროპაში
12. დაუფიქრებლად ჩქარი
13. ფულის ერთეული აზერბაიჯანში
14. თანამდებობის პირთა მოსყიდვა
15. ხარების ბრძოლა
16. ისლამის წმინდა ქალაქი
17. ფულის ერთეული რუმინეთში
18. უშხამო გველი
19. ვარსკვლავთა მთელი სისტემა
20. თუფში
21. გრამატიკული კავშირი
22. დანელიას ფილმი
23. ჯამაგირი
24. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია
25. ნავთობისგან მიღებული შავი მასა
26. გერმანელი ფერმწერი
27. ხანმოკლე პრუსკონფერენცია
28. ბანკში შეტანილი ფული
29. ცოცხლება
30. ადუღებამდე მისული წყლის მასა
31. ვერდის ოპერა
32. ლაშქარი
33. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
34. კურორტი თურქეთში
35. ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა
36. ამერიკის შტატი



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ლინგვისტი; 2. წნორი; 3. გრავიტაცია; 4. ვატიკანი; 5. საგანი; 6. ეტლი; 7. სტრატეგია; 8. სენაკი; 9. ფლორიდა; 10. ვირი; 11. ტალინი; 12. აშხაბადი; 13. განა; 14. თონე; 15. ისლამი; 16. ანოფელესი; 17. ჭორი; 18. ტუტუცი; 19. ალაკესი; 20. თუ; 21. იდო; 22. თოხლი; 23. ხარფუხი; 24. ბათუმი; 25. თებერვალი; 26. მეტრო; 27. ხანჯალი; 28. იაფი; 29. კოალა; 30. მატისი; 31. უხა; 32. ნახირი; 33. ელვა; 34. კარე; 35. ანაფორა; 36. კვარტალი; 37. ალქიმია; 38. სმალტა; 39. აკაი; 40. ხაო; 41. ციცქა.

სურათებზე: 1. ლუსი ლიუ; 2. ჯიმ კერი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. დაასახელეთ ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი, რომლის ცხოვრებაც სომერსეტ მოემმა თავის რომან „მთვარე და ექსპენსიანში“ აღწერა; **ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა**. ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **გ**. რა ერქვა ქალს, რომელმაც სომხეთში ქრისტიანობა შეიტანა; **ზ**. სკივრი; **ი**. სუფთა მოგება ძიუდოში; **ს*. ყველაზე დიდი ქალაქი ავსტრალიაში; **თ*. დროის აღრიცხვის ერთეული, წლის მეთორმეტედი; **ვ*. რა ერქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან მჟავანაძეს; **ი*. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; **ს*. იაპონური ნაციონალური ჭიდაობა; **ა*. ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული მზის სხივი; **ო*. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში; **ბ*. ნოდარ დუმბაძის სახელობის პარკის სახელწოდება თბილისში; **კ*. პურის სალეწი ძველი იარაღი; **ი*. ნაწარმოები, სადაც ტროას ომის ბოლო 54 დღეა აღწერილი; **თ*. წვრილი ღვედი; **ხ*. რქიანი საქონლის ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ვ*. „ბივალი“ — მარგუნოვი, „ბალბეს“ — ნიკულინი, „ტრუს“ — ?; **ე*. რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **ლ*. სიგრძის საზომი ფრანგული ერთეული; **ი*. მდინარე ჩინეთში; **ს*. რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ*. თავის ქალის ზედა ნაწილი; **ვ*. ინდუიზმის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება, მზის ღმერთი; **ი*. ქართული ხალხური შეჯიბრება ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **ს*. რა ერქვა ვიტო კორლეონეს უფროს ვაჟს მხატვრული ფილმში „ნათლია“; **ა*. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ო*. რა გვარი იყო ჟაკლინ კენედის მეორე ქმარი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**დ*. დოგმა; **ა*. აზატი; **ი*. ინდოეთი; **ს*. სტატია; **ვ*. ვედრება; **ე*. ელე; **ნ*. ნობელი; **ე*. ერუდიტი; **ჩ*. ჩალმა; **ვ*. ვაიმარი; **ე*. ექსცესი; **ნ*. ნიაგარა; **ს*. სიქა; **ჟ*. ჟამი; **უ*. ურემი; **რ*. რემარკი; **ნ*. ნაგანი; **ა*. არენდა; **ლ*. ლილეო; **თ*. თემიდა; **ა*. ანანია; **ნ*. ნეშტი; **ე*. ელეგია; **რ*. რაჭა; **თ*. თიანეთი; **ა*. ასმათი; **დ*. დრაკონი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
გადადებული საქმე მგელმა შეჭამა

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

* მარტივი

6			8			7		
		4			9			2
	3			4		6	9	
4				6		3		
		7		5	2	8		
		2			8			4
	2	3		8			1	
9			7			2		
		1			3			6

** საშუალო

2			1			7		
		5			3	4	8	
	8				5		1	
		4	5				2	
5					6			3
	7		4		9	1		
	5		9				7	
	1	2	6			8		
		6			2			1

*** რთული

6				7		1		
		3	8	9				4
	5		6				2	
	3	2		6			7	
	6			4			1	
	7					4	9	
	9				1		3	
3				8	2	9		
		5		3				1

„მსოფლიო დეტექტივების სეიფი“

ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!



12 - დან 19 ივლისამდე



19 ივლისიდან

ფასი 2 ლარი!

(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1 , №2 და №3
(ჯეიმს ჰედლი ჩეიზი, ართურ კონან დოილი
და სიდნეი შელდონი)
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში

b 90/26

16-დან 23 ივლისამდე

ზღაპრების მეორე წიგნი

ფერადი და მაგარუკლიანი

ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან

ერთად

წიგნის ფასი
4 ლარი
(ჟურნალთან ერთად
5 ლარი)

გასახარი ამბავი
ბავშვებისა ზღაპრებით!

სანო-სტუდია და გოგი ხარაბაძე

წარმოგიდგენთ: **აუდიო წიგნს**

ქოეზია

10 cd დისკი - რჩეული ლექსებით

მხოლოდ „ბიბლუსის“
წიგნის მაღაზიათა ქსელში

ფასი 28 ლარი

პოეზიის ხიბლი!..

მოესმინეთ, გაიხსენეთ

ფოტოკუთხეები



NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18; ტელ.: 98 27 30; 98 27 50

ტერბინაფინი
ლამიზილ უნო

1 წასმა

~80

ტერფის სოკო გაქვთ?

შეგაწუხათ:

- სუნმა
- წვამ
- ქავილმა

ლამიზილ უნო

- სრული განკურნება ტერფის სოკოსგან მხოლოდ 1 წასმით
- მხოლოდ 1 წასმა და ტერფი დაცულია სოკოვანი ინფექციისგან 3 თვის განმავლობაში

გამოიყენება მოზრდილებში და მოზარდებში 15 წლის ასაკიდან:

- ლამიზილ უნოს თხელი ფენა თანაბრად დაიტანება თითებს შორის არეზე და მის ირგვლივ, ტერფის გულზე და კიდეებზე 1.5 სმ-ის რადიუსში
- ასევე ამუშავებენ მეორე ტერფს, რომელიც შეიძლება ვიზუალურად ჯანმრთელად გამოიყურებოდეს

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს